

ჰუმანიტარულ და პედაგოგიურ მეცნიერებათა განვითარების ფონდი
Foundation For Development of Art and Pedagogical Sciences

ISSN 1987-7323

სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი

ენა და კულტურა

№23

Language and Culture

Scientific Peer Reviewed Journal

ქუთაისი 2020 Kutaisi

მთავარი რედაქტორი: მანანა მიქაძე, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
პასუხისმგებელი რედაქტორი: თამარ ლომთაძე, ფილოლოგიის აკადემიური
დოქტორი, პროფესორი

სარედაქციო კოლეგია: ა. არაბული, ე. არუტუნიანი, ვ. ასათიანი ც. ახვლედიანი, მ. ახმადი,
ა. ბერდიჩევსკი, ნ. გელდიაშვილი, რ. ენოხი, ნ. კაკაურიძე, თ. მახარობლიძე, მ. მეგრელიშვილი,
ნ. ჟანპეისოვა, ა. ჟდანოვიჩი, გ. სანიკიძე, გ. სიხარულიძე, შ. ფაზიევი, მ. უგრეხელიძე,
ტ. ხოლუმენკო.

მთარგმნელთა საბჭოს ხელმძღვანელი: ნ. კვირიკაძე

ჟურნალის სამუშაო ენებია: ქართული, რუსული, ინგლისური, გერმანული, ფრანგული,
ესპანური

ავტორის პოზიცია შეიძლება არ დაემთხვეს სარედაქციო კოლეგიის მეცნიერულ აზრს.

მისამართი: 4600, ქუთისის, დავით და კონსტანტინეს ქ#3

ტელეფონი/telephone: +995-577-458 -297; +995-599-540-755

e-mail: manana-mikadze@rambler.ru; tamrikolomtadze@yahoo.com

ჟურნალი განთავსებულია: Google scholar-ის მონაცემთა ბაზაში; საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკის „ივერიელის“ კოლექციაში; ქართულ რეფერატულ ჟურნალში (ქრჟ)
www.techinformi.ge

Chief Editor: Manana Mikadze, Doctor of pedagogical sciences, full professor

Responsible Editor: Tamar Lomtadze, Doctor of Philology, full professor

Editorial board: Arabuli A., Arutuniani E., Asatiani V., Akhvlediani Ts., Akhmadi M., Berdichevski
A., Geldiashvili N., Enokhi R., Kakauridze N., Faziev Sh., uzbeketiMakharoblidze T., Megrelishvili
M., Janpeisova N., Jdanovich A., Sanikidze G., Sikharulidze G., Ugrekhelidze M., Skolumenko T.

Head of the Board of Translators: Kvirikadze N.

Languages of scientific journal: Georgian, Russian, English, German, French, Spanish.

Position of authors may be out of the position of Editorial Board.

Address: 4600.Georgia.Kutaisi.David and Konstantine#3

The journal is indexed in:

1. Google Scholar;
2. "Ivereli" digital library collection of the National Parliamentary Library of Georgia;
3. [Georgian Abstracts Journal \(GAJ\) www.techinformi.ge](http://Georgian Abstracts Journal (GAJ) www.techinformi.ge)

<https://enadakultura.com>

www.enadakultura.blogspot.com

ჟურნალის სარედაქციო კოლეგია:

- არაბული ავთანდილ** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი, არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო.
- არუტუნიანი ედუარდ** – ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ერევანი, სომხეთი.
- ასათიანი ვალერი** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.
- ახვლედიანი ციური** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.
- ახმადი მამედი** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ტ. მორადესის სახელობის თეირანის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თეირანი, ირანი.
- ბერდიჩევსკი ალენ** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ბურგენლანდის საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა ინსტიტუტი, ავსტრია.
- გელდიაშვილი ნუნუ** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, იაკობ გოგებაშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი, საქართველო.
- ენუქაშვილი რუბენ** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, იერუსალიმისა და არიელის უნივერსიტეტების პროფესორი, იერუსალიმი, ისრაელი
- კაკაურიძე ნანული** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.
- ლომთაძე თამარ** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო
- მახაროზიძე თამარ** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.
- მეგრელიშვილი მადონა** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.
- მიქაძე მანანა** – პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.
- ჟანპეისოვა ნაზია** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ს. ბაიშევის სახელობის აკტიუბინსკის უნივერსიტეტი, ალმა-ატა, ყაზახეთი.
- ჟდანოვიჩი ანასტასია** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მინსკის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მინსკი, ბელორუსია.
- სანიკიძე გუბაზ** – ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისი, საქართველო.
- სიხარულიძე გომარ** – მუსიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო
- უგრეხელიძე მინდია** – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სტრასბურგი, ევროპის უნივერსიტეტი, საფრანგეთი.
- ვაზიფი შოხრუდ** – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ტაშკენტი, უზბეკეთი
- ხოლუმენკო ტიმოთე** – ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ხარკოვის საერო პედაგოგიური უნივერსიტეტი, უკრაინა.

Editorial Board :

- Arabuli Avtandil** - Doctor of Linguistics. Professor. Arn. Chikobava Institute of Linguistics. Georgia.
- Arutunian Eduard** - Doctor of Philosophy sciences. Professor. Yerevan State University. Armenia.
- Akhvlediani Tsiuri** - Doctor of Linguistics. Professor. Tbilisi Javakhsishvili State University. Georgia.
- Akhmadi Mamed** - Doctor of Linguistics. Professor. Teiran T. Moradesi State University. Iran.
- Asatiani Valeri** - Doctor of Art. Professor. Tbilisi J. Javakhsishvili State University.
- Berdichevsky Alen** - Doctor of Linguistics. Professor. Burgeland International Economic Institute. Austria.
- Geldiashvili Nunu** - Doctor of Linguistics. Professor. Telavi State University. Georgia.
- Enokhi Reuven** - Doctor of Linguistic. Ierushalaim and Arieli state universities, Izrail.
- Fayziev Shohrud** - Doctor of Science in Law. Associate Professor. Chief editor at Tadqiqot.uz., Tashkent, Uzbekistan
- .
- Janpeisova Nazia** - Doctor of Art. Professor. S. Baishevi Actiubin National university. Kazakstan.
- Jdanovich Anastasia** - Doctor of Linguistics. Professor. Minsk State University. Belorussia.
- Kakauridze Nanuli** - Doctor of Art. Professor. Kutaisi Akaki Tsereteli State University. Georgia.
- Kholumenko T.** - Doctor of Psychological sciences. Professor. Kharkov National Pedagogical University. Ukrain.
- Lomtadze Tamar** - Doctor of Linguistics. Accot.- Professor. Kutaisi Akaki Tsereteli State University. Georgia.
- Makharoblidze Tamar** - Doctor of Linguistics. Professor. Iliia State University. Georgia.
- Megrelishvili Madona** - Doctor of Linguistics. Professor. Kutaisi Akaki Tsereteli State University. Georgia.
- Mikadze Manana** - Doctor of Pedagogical sciences. Professor. Kutaisi Akaki Tsereteli State University. Georgia.
- Sanikidze Gubazi** - Doctor of Historical sciences. Professor. Tbilisi. Georgia.
- Sikharulidze Gomari** - Doctor of Art. Professor. Tbilisi Shota Rustaveli Institute of theatre and cinema. Georgia.
- Ugrekheldidze Mindia** - Doctor of Law. Professor. Tbilisii. Georgia.

ჟურნალის ექსპერტ-რეცენზენტთა საბჭო:

- ავანესიანი გრანტ** – ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ერევანი, სომხეთი.
- აიდუკოვიჩი იან** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ბელგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სერბია.
- ანისიმოვა დარია** – ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, მოსკოვის სლავისტიკის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის სწავლული მდივანი, რუსეთი.
- არველაძე ანა** – ხელოვნებათმცოდნეობის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.
- არსლან ხ.** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სტამბულის ოკანის უნივერსიტეტი, სტამბული, თურქეთი.
- აფანასიადი მარია** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ფრაკის დემოკრიტეს სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქ. კომოტინი, საბერძნეთი.
- ბალანჩივაძე რეზო** – ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.
- ბარხალოვი გ.** – ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, ბაქოს სლავისტიკის უნივერსიტეტი, ბაქო, აზერბაიჯანი.
- ბახტაძე დალი** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.
- ბენიძე ვენედი** – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისი, საქართველო
- ბუნიაკოვა ე.** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ქ. ალბის სალენტოს უნივერსიტეტი, ალბა, იტალია.
- გავრილინა მარია** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საერო უნივერსიტეტი, ლატვია
- განკევიჩი ვიქტორ** – ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ვ. ვერნადსკის სახელობის საერო უნივერსიტეტი, კიევი, უკრაინა.
- გერსამია რუსუდან** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, ილიაუნი, თბილისი, საქართველო
- გოგოლაშვილი გიორგი** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო.
- გომბეტელიანი ირინა** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, საქართველო.
- გუსევა ოლგა** – პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, სტამბულის ფატიხის უნივერსიტეტი, სტამბული, თურქეთი.
- დიომიდოვა ანა** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ვილნიუსის უნივერსიტეტი, ვილნიუსი, ლიტვა.
- დროზდოვა-დიესი ტ.** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მადრიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მადრიდი, ესპანეთი.
- დუმბილოვი ევგენი** – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, რუსეთის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, როსტოვი, რუსეთი.
- ეკშებევა ლ.** – პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ალ ჰარაბის სახელობის საერო უნივერსიტეტი, ალმა-ატა, ყაზახეთი.
- ვასილევა ნელი** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ვარნის ნ. ვანცაროვის სახელობის სამხედრო-საზღვაო ინსტიტუტი, ვარნა, ბულგარეთი.

- ზვიადაძე ნათია** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.
- თავდგირიძე ლელა** – პედაგოგიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, შოთა რისთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, საქართველო
- თუმანიშვილი ხათუნა** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.
- იზბულე ვ.** – პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, რიგის პრაქტიკული ფსიქოლოგიის უმაღლესი სკოლა, რიგა, ლატვია.
- კაიციანი რობერტ** – ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი, ერევნის ვ. ბრიუსოვის სახელობის სახელმწიფო ენათმეცნიერების უნივერსიტეტი, ერევანი, სომხეთი.
- კარტოზია ალექსანდრე** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.
- კვირიკაძე ნინო** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.
- კირვალიძე ნინო** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ილიას უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.
- კიროვა ლ.** – პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ქ. ტირნის წმინდა კირილისა და მეთოდეს სახელობის უნივერსიტეტი, ტირნა, ბულგარეთი.
- კობეშავიძე მარინე** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასისტენტ პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.
- კოვტუნი ალექსანდრე** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ვილნიუსის ვიტაუტას დიდის სახელობის უნივერსიტეტი, ვილნიუსი, ლიტვა.
- კორენოვსკა ლ.** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, კრაკოვის პედაგოგიური უნივერსიტეტი, კრაკოვი, პოლონეთი.
- კოროტკაია სვეტლანა** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მინსკის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მინსკი, ბელორუსია.
- კოჭლოშვილი ნინო** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, იაკობ გოგებაშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი, საქართველო.
- ლევინიძე ალექსანდრე** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, კიევის ტ. შევჩენკოს სახელობის საერო უნივერსიტეტი, კიევი, უკრაინა.
- ლემკვი ოლეგ** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ი. კონოვსკის სახელობის ჰუმანიტარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა უნივერსიტეტი, ქ. კელცე, პოლონეთი.
- ლორთქიფანიძე რუსუდან** – ხელოვნების დოქტორი, პროფესორი, სამუსიკო კოლეჯი ქუთაისი, საქართველო.
- მამადოვი აზად** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აზერბაიჯანის ენათმეცნიერების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, აზერბაიჯანი.
- მარგველაშვილი მამუკა** – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი საქართველო.
- მალაქელიძე ნათელა** – პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.
- მახმუდოვა გ.** – ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, ბაქოს სამუსიკო აკადემია, ბაქო, აზერბაიჯანი.
- მუჯირი სოფიო** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასისტენტ პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.

მჭედლიძე გიორგი – ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.

ნადარეიშვილი აკაკი – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისი, საქართველო.

ნიკოლეიშვილი სოფიო – ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, მისური კოლუმბიის უნივერსიტეტი, აშშ; მადრიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ესპანეთი.

პეტროსიანი ემმა – ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ერევანი, სომხეთი.

პილიშვილი ს. – ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, ხმელნიცკის სახელობის საერო უნივერსიტეტი, კიევი, უკრაინა.

ჟოლნეროვიჩი პეტრე – ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, მინსკის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მინსკი, ბელორუსია.

როვენკო ალექსანდრე – ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი, ოდესის სახელმწიფო კონსერვატორია, ოდესა, უკრაინა.

სვანიძე რამაზ – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.

სიგუა სოსო – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო.

სიმიანი ტიგრან – ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ერევანი, სომხეთი.

სირბილაძე მარინა – ფსიქოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.

სიჭინავა ნელი – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.

სტარიჩენოვი ვასილ – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მ. ტანკას სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი, მინსკი, ბელორუსია.

ტოკარევი გრიგოლ – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ლ. ტოლსტოის სახელობის ტულის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი, ტულა, უკრაინა.

ფაღავა მამია – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, საქართველო.

ქაცარავა მარინა – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, სრული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო.

ყუფარაძე გიორგი – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.

შაიკენოვა ს. – იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, ალმა-ატის კასპისპირეთის საზოგადოებრივი უნივერსიტეტი, ალმა-ატა, ყაზახეთი.

შენგელია ვაჟა – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი, არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო.

შიოშვილი ირმა – ფილოსოფიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, იაკობ გოგებაშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი, საქართველო.

ჩერნოვატი ლ. – პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ხარკოვის საერო უნივერსიტეტი, უკრაინა.

ჩიხლაძე ნინო – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.

ჭუმბურიძე იოსებ – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, თბილისი, საქართველო

ხაჭაპურიძე რამაზ – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო.

ხერინაშვილი გიორგი – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისი, საქართველო.

ხერინაშვილი თამარ – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისი, საქართველო.

Expert Review Board of the Journal:

- Avanesian Grant** - Doctor of pshiqology. Professor. Yerevan. Armenia .
- Aidukovich Ian** - Doctor of Linguistics. Professor. Belgradi State University. Serbia.
- Anisimova Daria** - Doctor of Linguistics. Dositel. Moscow Academy of Sciences, Institute of Slavistic. Russia.
- Arveladze Ann** - Doctor of Art. accoss. - Professor. Kutaisi Akaki Tsereteli State University.
- Arslan Kh.** - Doctor of Art. Professor. Stambuli State University. Turkey.
- Aphanasiadi Maria** - Doctor of Art. Professor. Frakia Democrite State University. Greece.
- Balanchivadze Rezo** - Doctor of Philosophy sciences. Professor. Tbilisi State University of Art. Georgia.
- Barkhalovi G.** - Doctor of Philosophy sciences. Professor. Baku State University of Slavistics. Azerbaidjan.
- Bakhtadze Dali** - Doctor of Linguistics. Professor. I.Chavchavadze State University. Tbilisi. Georgia
- Benidze Venedi** - Doctor of Law. Professor. Tbilisii. Georgia.
- Buniakova E.** - Doctor of Linguistics. Professor. Alba, Salento State Universiry. Italy.
- Chernovati L.** - Doctor of Pedagogical sciences. Professor. Kharkovi National University. Ukrain.
- Chikhladze Nino** - Doctor of Law. Professor. Kutaisi Akaki Tsereteli State University. Georgia.
- Chumburidze Josef** - Doctor of Art. Professor. Tbilisi. Georgia.
- Garibashvili Manana** - Doctor of Linguistics. Professor. Telavi State University. Georgia.
- Gavrilina Maria** - Doctor of Art. Professor. State University. Latvia.
- Gankevish Victor** - Doctor of Historical sciences. Vernadsky National University. Ukrain.
- Gersamia Rusudan** - Doctor of Linguistics. Accot.- Professor. Tbilisi. Georgia.
- Gogolasvili George** - Doctor of Linguistics. Professor. Arn. Chikobava Institute of Linguistics. Georgia.
- Goshkheteliani Iran** - Doctor of Linguistics. Professor. Batumi State University. Georgia.
- Guseva Olga** - Kandidat of Pedagogical sciences. Dotcent. Stambuli Fatikh University. Turkey.
- Diomidova Ann** - Doctor of Linguistics. Professor. Vilnius State University. Litvua.
- Drozdova-Dies T.** - Doctor of Art. Professor. Madridi State University, Spain.
- Dumilovi Evgeni** - Doctor of Law. Professor. Russia.
- Ekshembeeva L.** - Doctor of Pedagogical sciences. Professor. Al Harabi National University. Kazakhstan.
- Vasilieva Neli** - Doctor of Linguistic sciences. Professor. Varna Vantsarova State Army and Flot Institute. Bulgaria.
- Izbule V.** - Doctor of Pedagogical sciences. Professor. Giga Psicological Institute. Latvia.
- Jolnerovich Petr** - Doctor of Art. Professor. Minsk State University. Belorussia.
- Kaitsuni Robert** - Doctor of Philosophy sciences. Professor. Yerevan Briusov State Linguistic University. Armenia.
- Kartozia Aleksandre** - Doctor of Art. Professor. Tbilisi Ivane Javakhishvili State University. Georgia.
- Katsarava Marina** - Doctor of Linguistics. full- Professor. Kutaisi Akaki Tsereteli State University. Georgia.
- Kvirikadze Nino** - Doctor of Art. Kutaisi Akaki Tsereteli State University. Georgia.
- Kirvalidze Nino** - Doctor of Linguistics. Professor. Tbilisi. Illia State University. Georgia.
- Kirova L.** - Doctor of Pedagogical sciences. Professor. Tirna St. Kiril and Mefodi State University. Bulgaria.
- Khechinashvili George** - Doctor of medicine. Professor. Tbilisi. Georgia.
- Khechinashvili Tamar** - Doctor of medicine. Professor. Tbilisi. Georgia.
- Kobeshavidze Marine** - Doctor of Linguistics. Assist. Professor. Tbilisi Iv. Javakhishvili State University. Georgia.
- Kochloshvili Nino** - Doctor of Art. Professor. Telavi State University. Georgia.
- Kovtuni Aleksandr** - Doctor of Linguistics. Professor. Vilnius Vitautas Grait National University. Litva.
- Korenovska L.** - Doctor of Art. Professor. Krakov State Pedagogical University. Poland.
- Korotkaia Svetlana** - Doctor of Linguistics. Professor. Minsk State University. Belorussia.
- Kuparardze Giorgi** - Doctor of Linguistics. Professor. Tbilisi Javakhishvili State University. Georgia.
- Levitsky Aleksandr** - Doctor of Art. Professor. Kievi T. Shevchenko National University. Ukrain.
- Leshak O.** - Doctor of Linguistics. Professor. Konovsky Humanitarian University. Keltse. Poland.
- Lortkipanidze Rusudan** - Doctor of Art. Professor. Kutaisi Musical college. Georgia.
- Margvelashvili Vladimer** - Doctor of medicine. Professor. Javakhishvili State University. Tbilisi. Georgia.
- Maglakelidze Natela** - Doctor of Pedagogical sciences. Professor. Tbilisi Chavchavadze State University. Georgia.
- Makhmudova G.** - Doctor of Art. Baku musical academy. Azerbaidjan.

Mchedlidze George - Doctor of Historical sciences. Professor. Akaki Tsereteli State University. Kutaisi. Georgia.
Mudjiri Sophia - Doctor of Linguistics. Assist.- Professor. Tbilisi Iv. Javakhishvili State University. Georgia.
Nadareishvili Akaki - Doctor of medicine. Professor. Tbilisi. Georgia.
Nikoleishvili Sophia - Doctor of Philosophy. Misuri-Columbia University. USA.
Pagava Mamia - Doctor of Linguistics. Professor. Shota Rustaveli State University. Batumi. Georgia.
Petrosiani Emma - Doctor of Historical sciences. Professor. Armenia.
Pilishek S. - Doctor of Psychology. Docent. Khmel'nitsky National University. Ukrain.
Rovenko Aleksandr - Doctor of Art. Odessa State Conservatory. Ukrain.
Sigua Soso - Doctor of Art. Professor. Tbilisi Shota Rustaveli Institute of Literature. Georgia.
Simiani Tigran - Doctor of Art. Docent. Yerevan State University. Armenia.
Sirbiladze Marina - Doctor of Psychological sciences. Assoc.- Professor. Akaki Tsereteli State University. Georgia.
Sitchinava Neli - Doctor of Linguistics. Assoc. Professor. Kutaisi Akaki Tsereteli State University. Georgia.
Khachapuridze Ramaz - Doctor of Linguistics. Associate Professor. Kutaisi Akaki Tsereteli State University. Georgia.
Shaikenova S. - Doctor of Law. Docent. Alma-ata University. Kazakstan.
Shengelia Vaja - Doctor of Linguistics. Professor. Arn. Chikobava Institute of Linguistics. Georgia.
Shioshvili Irma - Doctor of Philosophy. Professor. Telavi State University. Georgia.
Starichenko Vasil - Doctor of Art. Professor. Tanka State Pedagogical University. Minsk. Belorussia.
Tavdgiridze Lela - Doctor of Pedagogical Sciences. Professor. Shota Rustaveli State University. Batumi. Georgia.
Tumanishvili Khatuna - Doctor of Linguistics. Assoc.- Professor. Tbilisi Iv. Javakhishvili State University. Georgia.
Zviadadze Natia - Doctor of Linguistic. Assist.- Professor. Akaki Tsereteli State University. Georgia.

ენათმეცნიერება Linguistic

პროტესტის კონცეპტუალურ სფეროში შემავალი ფრაზეოლოგიური გამონათქვამები ფრანგულ და ინგლისურ ენებში

ციური ახვლედიანი, გიორგი ყუფარაძე, ქეთევან გაბუნია

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

e-mail: tsiuriakhvlediani@yahoo.com; kuparadze.george@gmail.com; keti_gabunia@yahoo.com

ფრანგულ და ინგლისურ ენებში, კონცეპტ "პროტესტის" ყველაზე მეტად რეპრეზენტირებული ლექსემეზია ის იდიომატური გამონათქვამები, რომლებიც გამოიყენებიან მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ენაში სხვადასხვა პროტესტის აღსაწერად; ფრანგული და ინგლისური ენები მდიდარია ისეთი ექსპრესიული გამონათქვამებით, რომლებიც ადვილად ხსნიან ფრანგთა და ინგლისელების მიერ წარმოდგენილ სამყაროს სურათებს. წინამდებარე სტატიაში განიხილება ის იდიომატური გამონათქვამები, რომლებიც წარმოადგენენ პროტესტის კონცეპტის სფეროს ნაწილს ფრანგულ და ინგლისურ ენებში.

საკვლევ იდიომატურ გამონათქვამთა ლექსიკურ-სტილისტური შესწავლის შედეგად, მუდგენდება მოცემულ კონსტრუქციათა პრეფერენციული გამოყენება სამეტყველო-სასაუბრო სტილში, დისკურსის ემოციური შეფერილობის მიზნითა და პროტესტის კონცეპტური სფეროს სიტუაციის შესაბამისად.

პროტესტის კონცეპტუალური სფეროს ლინგვოკულტურული სრულყოფილება ძლიერ მდიდარია ფრანგულ და ინგლისურ ენებში არა მხოლოდ ემოციონალურად შეფერილი და ექსპრესიული ფრაზეოლოგიური ერთეულებით, არამედ ასევე სამყაროს ენობრივი და კონცეპტუალური სურათის გადმომცემი სხვა საშუალებებითაც. პროტესტის კონცეპტუალური სფერო ფრანგულ და ინგლისურ ენებში ნაკლებადაა შესწავლილი, რაც ქმნის განსაზღვრულ სირთულეებს ფრანგული და ინგლისური ლიტერატურის ქართულად თარგმნისას და პირიქით.

საკვანძო სიტყვები: იდიომები, პროტესტის კონცეპტური სფერო, ლინგვისტური ანალიზი, ფრაზეოლოგიური ერთეული.

კოგნიტიური ლინგვისტიკის თეორიულ პრობლემათა ერთ-ერთ მწვავე საკითხს წარმოადგენს იმ კონცეპტთა ნაციონალური სპეციფიკის პრობლემა, რომლებიც ფიქსირდება ადამიანის ცნობიერებაში. აშკარაა, რომ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა კონცეპტუალური სფერო გაცილებით მსგავსია, ვიდრე ენობრივი სფერო. აქედან გამომდინარე, დიდ ინტერესს იწვევს ის ლინგვისტური საშუალებები, რომლებიც ხსნიან სხვადასხვა კონცეპტუალურ სფეროებს, ჩვენს შემთხვევაში კი - პროტესტის კონცეპტუალურ სფეროს.

ფრანგულ და ინგლისურ ენებში, კონცეპტ "პროტესტის" ყველაზე მეტად რეპრეზენტირებული ლექსემებია ის იდიომატური გამონათქვამები, რომლებიც გამოიყენებიან მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ენაში სხვადასხვა პროტესტის აღსაწერად; ფრანგული და ინგლისური ენები მდიდარია ისეთი ექსპრესიული გამონათქვამებით, რომლებიც ადვილად ხსნიან ფრანგთა მიერ წარმოდგენილ სამყაროს სურათებს. პრაქტიკული მასალის მოძიებისათვის გამოვიყენეთ ფრანგული და ინგლისური სასაუბრო ენის ლექსიკონები, ასევე სტატიები ფრანგული, ინგლისური გაზეთებიდან და ჟურნალებიდან, რომლებშიც ნათლად ჩანს პროტესტის კონცეპტური სფეროს მახასიათებლები; ეს იდიომატური გამონათქვამებია:

Préférer se couper la main plutôt que de (+ infinitif) - «ამჯობინო საკუთარი ხელის მოკვეთა, ვიდრე»: რაიმეზე უარის თქმა;

I'd rather cut off the hand itself (than take anything); to drop something like a hot potato

Tu peux toujours te gratter (te brosser) (familier) – «შეგიძლია გაიჩხაპნო რამე (მოიფხანო)»: უარი უთხრა ვინმეს რაიმეზე, არ დაუტოვო იმედი;

do not hope for or count on sth./smb., it is not or will not be so; a fat lot of good that will do, a fat lot will he do it

Voir un bandeau sur les yeux – «სახვევის ქონა თვალებზე»: უარი თქვა სიმართლის დანახვაზე; to wear an eye patch; (fig.) to be blind

Se voiler la face – «სახე დაიფარო ვუალით»: ყურადღება არ მიაქციო სამართლიანობას; to turn a blind eye to; screw up eyes to; not to see what is happening; to pay no attention to justice;

Cracher dans la soupe – «ჩააფურთხო წვნიანში»: უარი თქვა კარგ წინადადებაზე; better to reign in hell, than serve in heaven; to be ungrateful, bite the hand that feeds

Monter au créneau – «სიმაღლეზე ასვლა»: პირადად ჩაბმა ბრძოლაში;

To move to the scene of action; enter_the fray; take_up_the_struggle; (*diplomatic*)- enter_the_struggle; throw hat in the ring; toss hat in the ring (*esp. political*)

Entrer (Rentrer) dans la danse – « ცეკვის დაწყება »: მოქმედების დაწყება; (*fig.*) to begin dancing; to start an action;

Faire du foin (familier) – « თიბვა » (ფამილარულია): ხმაური, პროტესტის გამოთქმა; « hay » - to make_hay (*fam.*) to_kick_up_a_fuss; to cause a scandal

Une levée de boucliers – « აჯანყება ფარებით »: პროტესტის კოლექტიური აქცია; (*fig.*) outcry, uproar; collective action of protest

Ruer dans les brancards – « გვერდის ავლა »: რაიმეს წინააღმდეგ აჯანყება; (*figurative*) to kick over the_traces;

Tenir bon – « ვარგად თავის დაჭერა »: შეწინააღმდეგება გაბედულად; keep a tight grip; hold one's ground, hold one's own; keep a grip on the leadership

Tenir le coup – « დარტყმის შეჩერება »: მოწინააღმდეგის შეტევის გადატანა, წინააღმდეგობის გაწევა. weather a storm; hold up well;

საყურადღებოა, რომ ზოგიერთი ფრაზეოლოგიური გამონათქვამი, თავისი სემანტიკური შინაარსით, ემთხვევა ფრანგულ, ინგლისურ და ქართულ ენებში, ანუ სამყაროს კონცეპტუალური სურათი რაღაცით მსგავსია; ამიტომაც ისეთი ტიპის გამონათქვამთა თარგმნა, როგორებიცაა **avoir un bandeau sur les yeux, (to prevent (a person or animal) from seeing by covering (the eyes) tenir bon (keep a tight grip) , tenir le coup (hold up well)** არ იწვევს სირთულეს, დანარჩენ შემთხვევებში კი, აუცილებელია უფრო დეტალური ანალიზი და იმ პრინციპების შესწავლა, რომელთა მიხედვითაცაა აგებული იდიომატური გამონათქვამები პროტესტის კონცეპტური სფეროსათვის.

მოძიებულ იდიომატურ გამონათქვამთა ფონოლოგიური ანალიზი საშუალებას გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ უმეტესობა მათგანში (იგულისხმება ფრანგული იდიომატური გამონათქვამები) თავკიდურია, ან პირველ მარცვალში ფიგურირებს ფრანგული მჟღერი ბგერა [R] გვერდით მდგომ ხშულ თანხმოვანთან ერთად და ეს თანხმოვანთშეერთებები თავიდანვე პროვოცირებენ ემოციათა წარმოქმნასა და მათ შემდგომ ქმედებებს (**préférer, gratter, brosser, cracher, créneau, entrer, rentrer, ruer**). როგორც წესი, ამგვარი ფონემები ჟღერენ საკმაოდ აგრესიულად და უმეტეს შემთხვევაში, მათი წარმოთქმა, თანამოსაუბრეთა შორის, იწვევს ემოციურად შეფერილ ნეგატიურ რეაქციას.

მოცემულ ენობრივ ერთეულთა გრამატიკული ანალიზის შედეგად, აღსანიშნავია, რომ მათში გამოიყენება მარტივი ვერბალური კონსტრუქციები პირდაპირი დამატებებით (**se couper la main (cut off the hand itself), avoir un bandeau (be deprived of sight by tying a blindfold round the head), se voiler la face (to turn a blind eye to), faire du foin (to_kick_up_a_fuss), tenir le coup (hold up**

well) და სხვ.), ასევე ნაცვალსახელოვანი ზმნები (**te gratter, te brosser, se voiler**). ასევე აღსანიშნავია, რომ ასეთ ფრაზეოლოგიზმებში ხშირად გამოიყენება ადგილის ზმნიზედები (**à, dans**) და ფრანგულ ენაში ყველაზე მეტად გავრცელებული ზმნები - **pouvoir, avoir, tenir, faire**.

საკვლევ იდიომატურ გამონათქვამთა ლექსიკურ-სტილისტური შესწავლის შედეგად, მქდავანდება მოცემულ კონსტრუქციათა პრეფერენციული გამოყენება სამეტყველო-სასაუბრო სტილში, დისკურსის ემოციური შეფერილობის მიზნითა და პროტესტის კონცეპტური სფეროს სიტუაციის შესაბამისად: **tu peux toujours te gratter (te brosser)** (do not hope for or count on sth./smb, it is not or will not be so), **faire du foin, cracher dans la soupe (familier)**. ასეთ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებში, უმეტესად, გამოიყენება მეტაფორები (**se couper la main, avoir un bandeau sur les yeux, se voiler la face, une levée de boucliers**) და მეტონიმიები (**tenir le coup** - hold up well, **cracher dans la soupe, entrer (rentrer) dans la danse** - to begin dancing - to start an action), ასევე – ეპითეტებიც, რომლებიც ასახავენ პროტესტის ხასიათს (**tenir bon**) (keep a tight grip).

დასკვნის სახით, უნდა აღინიშნოს, რომ პროტესტის კონცეპტუალური სფეროს ლინგვოკულტურული სრულყოფილება ძლიერ მდიდარია ფრანგულ ენაში არა მხოლოდ იმ ემოციონალურად შეფერილი და ექსპრესიული ფრაზეოლოგიური ერთეულებით, რომლებსაც შევხებით ზემოთ, არამედ ასევე სამყაროს ენობრივი და კონცეპტუალური სურათის გადმომცემი სხვა საშუალებებითაც. პროტესტის კონცეპტუალური სფერო ფრანგულ და ინგლისურ ენებში ნაკლებადაა შესწავლილი, რაც ქმნის განსაზღვრულ სირთულეებს ფრანგული და ინგლისური ლიტერატურის ქართულად თარგმნისას და პირიქით. კოგნიტიურ ლინგვისტიკაში, ამ პრობლემის უფრო დეტალური შესწავლისათვის, აუცილებელია აკუმულირებულ იქნეს ემპირიული მასალის დიდი რაოდენობა, კერძოდ, პოლიტიკური და სოციალური სფეროების შინაარსის მქონე ფრანგული და ინგლისური მედია საშუალებების შესწავლისა და ანალიზის პროცესში.

ლიტერატურა:

1. **Ammer, Christine** (May 7, 2013). The American Heritage Dictionary of Idioms, Second Edition, Houghton Mifflin Harcourt. p. 106. ISBN 0-547-67753-7.
2. **Barotte N., Migrants**: Merkel sous le feu des critiques. Le Figaro, № 22212, 2016.
3. **Chollet I., Robert J.-M.**. Les Expressions Idiomatiques. Paris, 2007.
4. **Dutheil G.**, Pilotes et direction d'Air France calment le jeu. Le Monde, № 22001. 2015.

5. **Harry Oliver**, *Bees' Knees and Barmy Armies: Origins of the Words and Phrases We Use Every Day*, John Blake Publishing Ltd, 2011 ISBN 1857829441

6. **Hervieu D., A Marseille**, «pour ou contre le FN, c'est ça le programme de la gauche?». *La Libération*, № 10744. 2015.

7. "Hook, Line and Sinkers". **Merriam-Webster.com. Merriam-Webster**. Retrieved 6 December 2018.

8. **Robert Allen**, *Allen's Dictionary of English Phrases*, Penguin UK, 2008 ISBN 0140515119.

Websites : 1. <https://idioms.thefreedictionary.com/>

2. <https://www.theidioms.com/>

3. <https://www.vocabulary.com/dictionary/idiom>

Akhvlediani Tsiuri, Kuparadze Giorgi, Gabunia Ketevan

Phraseological Expressions of the Conceptual Field of Protest in the French and English Languages

Abstract

In the French and English languages, the most frequently used words of the concept of "protest" are the idiomatic expressions describing various protests in the language of mass media; The French and English languages are rich in expressive structures that easily explain conceptual images of the world depicted and represented by French and English people.

The presented joint paper deals with the idiomatic expressions that form part of the concept of protest in the French and English Languages. We have tried to convey the analysis of the phraseological units, largely in terms of phonetics, grammar and vocabulary, with the special focus on the French and English languages. The lexical-stylistic study of idiomatic expressions reveals the preferential use of these structures in conversational style, in accordance with the situation of expressing the emotional discourse and the conceptual area of protest.

In our research we used French and English colloquial dictionaries as well as articles from French, English newspapers and magazines that clearly show the conceptual scope and features of the protest. It should also be noted that the linguo-cultural completeness of the conceptual scope of protest is rich in French and English not only with the emotionally coloured and expressive phraseological units, but also with other means conveying the linguistic and conceptual image of the world. The conceptual area of protest is less studied in the French and English languages. This causes certain difficulties in translating French and English literature into Georgian and vice versa. In cognitive linguistics, for more detailed study of this problem, it is necessary to accumulate a large amount of empirical material, in particular, studying and analyzing French and English media means from the political and social spheres.

რეცენზენტი: პროფ. ნ. ზვიადაძე

ბატონიშვილი ვახუშტის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“

ზოგიერთ აღმოსავლურიდან მომდინარე ტერმინთან

დაკავშირებით

(აიდი, ლულუფარი, ლაკლაკი, მეჰმანდარი, მორდარი, ნიჯადი,

საბდივანი, სრა-ფარდაგი)

ნომადი ბართაია

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

e-mail: nomadi.bartaia@mail.ru

ახალი სპარსული ლექსიკა, რომელიც სათავეს იღებს IX-X საუკუნეებიდან, დიდი როლდენობით არის შემოჭრილი ქართულში XII და XVI-XVIII საუკუნეებში. განსაკუთრებით კი XVI-XVIII საუკუნეებში, ანუ სეფიანთა ხანაში, როცა საქართველოს აღმოსავლეთი ნაწილი შედიოდა ირანის პოლიტიკურ შემადგენლობაში და მჭიდრო იყო პირდაპირი ენობრივი კონტაქტები.

ნაშრომში განხილულია, ვახუშტი ბატონიშვილის (1696-1757წწ.) „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ შემდეგი აღმოსავლური ნასესხობანი: აიდი, ლულუფარი, ლაკლაკი, მეჰმანდარი, მორდარი, ნიჯადი, საბდივანი და სრა-ფარდაგი. ჩამოთვლილი ტერმინები, გარკვეული ფონეტიკური და სემანტიკური ცვლილებებით, მოდის აღმოსავლური ლექსიკური ერთეულებიდან.

საკვანძო სიტყვები: ბატონიშვილი, აიდი, ლულუფარი, ლაკლაკი, მეჰმანდარი, მორდარი, ნიჯადი, საბდივანი, სრა-ფარდაგი.

ახალი სპარსული ლექსიკა, რომელიც სათავეს იღებს IX-X საუკუნეებიდან, დიდი როლდენობით არის შემოჭრილი ქართულში XII და XVI-XVIII საუკუნეებში. განსაკუთრებით კი XVI-XVIII საუკუნეებში, ანუ სეფიანთა ხანაში, როცა საქართველოს აღმოსავლეთი ნაწილი

შედიოდა ირანის პოლიტიკურ შემადგენლობაში და მჭიდრო იყო პირდაპირი ენობრივი კონტაქტები.

ნაშრომში განხილულია, ვახუშტი ბატონიშვილის (1696-1757წწ.) „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ ზოგიერთი აღმოსავლური ნასესხობა.

ვსარგებლობთ აღნიშნული წიგნის „ქართლის ცხოვრების“ IV ტომში მოთავსებული სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ დადგენილი ტექსტით [„ქართლის ცხოვრება“ 1973].

აიდი

„და რა ხმა-ჰყო ბილწმან მუყრმან აზანი, რომელ განთენდებოდა **აიდი** მათი აღსება, მოერტყა არდაველს და გამაგრდა ქალაქი ძლიერად“ [„ქართლის ცხოვრება“ 1973: 190,2].

„ქართლის ცხოვრებისავე“ ლექსიკონში **აიდი** განმარტებულია ასე: მაჰმადიანთა აღდგომის დღესასწაული.

დ. ჩუბინაშვილი, რომელიც „ქართლის ცხოვრებიდან“ იმოწმებს ამ სიტყვას, ასე განმარტავს მას: **აიდი** (თათრ.) ს. მთვარის ავსების წინა დღე (ჩუბინაშვილი 1984). ეს სიტყვა სხვა ქართულ ლექსიკონებში არ არის დაფიქსირებული.

აიდი არის არაბული ლექსიკური ერთეული - **عيد** [eid] მრ. **اياد** [aiad], შემდეგი მნიშვნელობით: უქმე, დღესასწაული. ეს სიტყვა არაბულიდან შესულია სხვა აღმოსავლურ ენებში, მათ შორის სპარსულში,

მართალია, **აიდი** კი არის მაჰმადიანთა დღესასწაული, მაგრამ ის არის არა რომელიმე კონკრეტული დღესასწაული, როგორც ეს განმარტებულია „ქართლის ცხოვრების“ ლექსიკონში („მაჰმადიანთა აღდგომის დღესასწაული“), არამედ - ზოგადად დღესასწაული.

ლულუფარი

„ამის სადენს არს ნადარბაზევი, თამარ მეფის ნასასახლევი. აქა არს ტბა მცირე, **ლულუფარისაგან** კიდე მას შინა არარაი“ [„ქართლის ცხოვრება“ 1973: 323,11].

„ქართლის ცხოვრების“ ლექსიკონი, ბროსეზე დაყრდნობით, მიუთითებს, რომ **ლულუფარი** არის თევზი. **ლულუფარის** სახით, იქნებ აქ არა თევზის, არამედ მცენარის ერთ-ერთი სახეობის სახელწოდებასთან გვეკონდეს საქმე, მაგალითად, **ნილუფართან**, რომელიც არის შემდეგი სპარსული ლექსიკური ერთეული - **نيلوفر** [nilufar]. მისი მნიშვნელობებია: 1. (ბოტ.) (نيلوفر أبيض) თეთრი დუმფარა (Numphaea alba); ლოტოსი (Nelumbium speciosum); ხვართქლა [რუბინჩიკი,1390].

ლოტოსის ორი სახეობიდან (ინდური და ყვითელი) ინდური მტკვრის ქვედა დინებაშიც არის გავრცელებული [ენციკლოპედია,,: 298]. არ არის გამორიცხული, რომ **ლულუფარი** წყალმცენარის სახელწოდება იყოს და არა თევზის.

ფონეტიკური გზა ასეთი ჩანს: ნილუფარი -> ლილუფარი -> ლულუფარი.

ლაკლაკი

წიგნის ერთ-ერთ თავში, რომლის სახელწოდებაცაა „პირუტყვთა და ფრინველთათვის“, ფრინველთა მრავალრიცხოვანი ჩამონათვალიდან, ერთ-ერთია ლაკლაკი [„ქართლის ცხოვრება“ 1973: 42,17], რომელიც ლექსიკონში განმარტებულია, როგორც ზოგადად ფრინველი.

ლაკლაკი სხვა ქართულ ლექსიკონებში არ დასტურდება. იბადება კითხვა, თუ რა ფრინველი უნდა იყოს იგი? სპარსულ ენაში არის ლექსიკური ერთეული لاکلک [laklak], რომლის მნიშვნელობაცაა - წერო [რუბინჩიკი,1390].

საეჭვო არ არის, რომ სპარსული لاکلک [laklak] და ქართული ლაკლაკ-ი ერთი და იგივე ლექსემებია, რაც მის განმარტებაში უნდა აისახოს.

მეჰმანდარი

„მსმენელმან ყეენმან ამისთვის მოსცა ხანსა მას თოფანჩი-აღასობა და მეფისათვის წარმოევლინა მეჰმანდარი, და ესე მოვიდა აღს. მცნობი მეფეცა მივიდა აღს, წარუძღვა მეჰმანდარი დიდითა პატივითა [„ქართლის ცხოვრება“ 1973: 25,26].

„შემდგომად მოვიდა მეჰმანდარი ყეენისა და დედოფალი და ძენი თვისნი დაადგინა გორს“ [„ქართლის ცხოვრება“ 1973: 491,21].

„ქართლის ცხოვრება“ მეჰმანდარ // მემანდარს ასე განმარტავს: („მესტუმრეთუხუცესი“) [„ქართლის ცხოვრება“ 1973: 937].

ამ ტერმინს, როგორც სპარსულიდან მომდინარეს, ორი ფონეტიკური ფორმით იცნობს დ. ჩუბინაშვილი: მეჰმანდარი, მიხმანდარი და განმარტავს ასე - მესტუმრე [ჩუბინაშვილი,1984]. ლექსიკოგრაფი მიუთითებს აგრეთვე მის სპარსულ წარმომავლობაზე.

მართლაც, მეჰმანდარი მომდინარეობს შემდეგი სპარსული კომპოზიტიდან - مهماندادار [mehmândâr], რომლის მნიშვნელობებია: 1. ოფიციალური პირი, რომელსაც სტუმრის თანხლება ევალება; 2. მასპინძელი [რუბინჩიკი,1390]. ეს რთული სიტყვა, შედგება ორი წევრისგან مهمان [mehmân] - სტუმარი და داد [dâr] მქონე, მყოლი (بودان [budan] - ქონა, ყოლა ზმნის აწმყოს ფუძე).

მორდარი

„განარისხნა ყეენი და წარმოავლინა მურდარი თვისი“ [„ქართლის ცხოვრება“ 1973: 495,20].

„ამისთვის მოვიდა მორდარი ყეენისა და წარიყვანა იესე“ [„ქართლის ცხოვრება“ 1973: 25]

მორდარი // მურდარი, „ქართლის ცხოვრების“ ლექსიკონში განმარტებულია ასე: ბეჭდის მცველი... [„ქართლის ცხოვრება“ 1973: 942].

დ. ჩუბინაშვილის განმარტებითაც მორდარი არის სამეფო ბეჭდის მცველი [ჩუბინაშვილი,1984]. ლექსიკონში მითითებულია მისი სპარსული წარმომავლობა.

დიახ, **მორდარი** მომდინარეა შემდეგი სპარსული რთული სიტყვიდან: **مردار** [mohrdâr]. მისი მნიშვნელობებია: 1. დაბეჭდილი; ბეჭდიანი 2. ბეჭდის მფლობელი [ჩუბინაშვილი,1984], რომელიც დაიშლება ასე: **م** [mohr] - ბეჭედი და **دار** [dâr] - მეონე, მფლობელი.

ნიჯადი

„ამისი მსმენელი დავით მეფე განვიდა თელეთს ყოვლითა სპითა და **ნიჯადითა**“ [„ქართლის ცხოვრება“ 1973: 398, 8].

„და ამით გუართა იციან გუართა თვისთა **ნიჯადი**, ერთმან მეორესა ზედა ლაშკრობა!“... [„ქართლის ცხოვრება“ 1973: 639,17].

„წარვიდნენ აბაშიძენი და რაჭველნი სპითა წინაშე მეფისა **ნიჯადად**“ [„ქართლის ცხოვრება“ 1973: 883, 8].

ლექსიკონის მიხედვით, **ნიჯადი** არის **მიმშველელი** [„ქართლის ცხოვრება“ 1973: 947].

ამ სიტყვას სხვა ქართული ლექსიკონებიც იცნობს:

ნიჯადი ლაშქარი მეშველი, სხვათა თემში შემწე [ორბელიანი, 1991-93].

ნიჯადი მეშველი ლაშქარი, სხვის თემიდან [ჩუბინაშვილი,1984].

ნიჯადი მომდინარეობს შემდეგი არაბულ-სპარსული სიტყვიდან - **نجاة** [nejât] - ხსნა, განთავისუფლება. აქედან ნაწარმოებია: **نجاة بخش** [nejât baxš] -განმათავისუფლებელი; **جات دهنده** [nejât dahande] - მხსნელი და სხვა [ჩუბინაშვილი,1984].

საბდივანი

„ამის გამო განდიდებულ იყო და ყენმან ხელთ-უდვა ყოველნი და **საბდივანი** ავაგისა მას აქუნდა“ [„ქართლის ცხოვრება“ 1973: 227,26].

„ქართლის ცხოვრების“ ლექსიკონის მიხედვით, **საბდივანი** („სამართლის პატრონობა“) იგივეა, რაც „საჰიბდივანი“ ანუ „სიბდივანი“ ანუ „ვაზირი“ [„ქართლის ცხოვრება“ 1973: 949].

ტექსტის სქოლიოში კი მოცემულია ამ ტერმინის დავით რექტორისეული განმარტება: „საბ-დივანი ვჰგონებ იყოს ლექსი სპარსული; საბ პატრონი, დივანი სამართალი. ესე იგი სამართლის პატრონობა.

საბდივანი შემდეგი ჰიბრიდული არაბულ-სპარსული კომპოზიტია - **صاحب ديوان** [sâheb divan], რომლის მნიშვნელობებია: ხაზინის გამგებელი; უმაღლესი საფინანსო თანამდებობის პირი [ორბელიანი,1991-93].

რთული სიტყვის პირველი კომპონენტია არაბული **صاحب** [sâheb] - მფლობელი, მეორე - სპარსული **ديوان** [divân], რომლის მნიშვნელობებია: 1. სასამართლო ტრიბუნალი. 2. დივანი (უმაღლეს ჩინოვნიკთა საბჭო სულთნის კარზე). 3. სამეფო კარი და მისი მოხელენი [ორბელიანი,1991-93].

صاحب [sâhebd]-ით სპარსულში მრავალი რთული სიტყვაა ნაწარმოები, მაგალითად: صاحب افسر [sâheb afsar] - გვირგვინოსანი; მეფე, صاحب اقبال [sâheb akbâl] - ბედნიერი, صاحب اخلاق [sâheb axlâk] - ზნეობრივი და სხვა.

სრა-ფარდაგნი

„ფარემთუხუცესი, ამისი ხელისა იყო: ფარეშნი, ნოხნი, კარაგნი, ოთახნი, მნათენი და ყოველნი საგებელნი, დალიჭნი, სკამნი, სავარძელნი, **სრა-ფარდაგნი**, ფარდანი და მნენი მისნი, და მერწყულნი“ [„ქართლის ცხოვრება“ 1973: 23,2].

„ქართლის ცხოვრების“ ლექსიკონში **სრა-ფარდაგნის** მხოლოდ პირველი კომპონენტია განმარტებული: „სრა“ – „სახლი“, „სასახლე“.

სრა-ს, ანალოგიური მნიშვნელობით, სხვა ქართული ლექსიკონებიც იცნობს.

რას ნიშნავს ერთად აღებული **სრა-ფარდაგი**?

ახალ სპარსულში არის რთული სიტყვა **سرا پردہ** [sarâ parde], რომლის მნიშვნელობებია: - სამეფო კარავი; ჰარამხანა [რუბინჩიკი, 1390]. კომპოზიციის პირველი წევრია **سرا** [sarâ] - სახლი, სასახლე, როგორც ეს „ქართლის ცხოვრების“ ლექსიკონშია განმარტებული, მეორე - **پردہ** [parde] - ფარდა, რომლის ადრინდელი - ფალაური ფორმაა **pardak** - ფარდაგი [ფარევაში, 1386: 1381], რაც მის წარმომავლობაზე მიუთითებს.

„ქართლის ცხოვრების“ ლექსიკონშიც ერთად უნდა იყოს განმარტებული **სრა-ფარდაგი**, შემდეგი მნიშვნელობით - **სამეფო კარავი**. **სრა-ფარდაგი** არა, მაგრამ **სრა** ჯერ კიდევ კლასიკური ხანიდან დასტურდება ქართულ წერილობით ძეგლებში, მაგალითად, „ვეფხისტყაოსანში“ არაერთხელ გვხვდება იგი „**სრა** ედგა მოფარდაგული ოქსინოთი და შარდითა“ [რუსთველი, 1966: 333,1].

ამგვარად, ჩამოთვლილი ტერმინები, გარკვეული ფონეტიკური და სემანტიკური ცვლილებებით, მოდის შემდეგი აღმოსავლური ლექსიკური ერთეულებიდან:

სპარსული: **ლაკლაკი**-ი ← لکلک [laklak] - წერო; **ლულუფარი**-ი ← نیلوفر [nilufar] - ლოტოსი; **მეჰმანდარი**-ი ← مهماندار [mehmândâr] - მასპინძელი; **მორდარი**-ი ← مردار [mohrdâr] - ბეჭდის მფლობელი.

ფალაური: **სრა-ფარდაგი**-ი ← sarâ fardak- სამეფო კარავი.

არაბულ-სპარსული: **აიდ**-ი ← عید [eid] - დღესასწაული; **ნიჯად**-ი ← نجات [nejât] - შველა.

ამათგან ერთი - **საბდივანი**-ი არის არაბულ-სპარსული ჰიბრიდული კომპოზიტი - صاحب دیوان [sâheb divân] - ხაზინის უფროსი.

ლიტერატურა:

1. ბატონიშვილი., - „აღწერა სამეფოსა საქართველოსი,“ ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, „ქართლის ცხოვრება“, IV, გამ-ა „საბჭოთა საქართველო“. თბილისი. 1973.
2. ენციკლოპედია - ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 6, თბილისი, 1983.
3. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, „მერანი“, თბილისი, 1991-1993.
4. რუბინჩიკი., – Персидско-русский словарь, под редакцией Ю. Рубинчика, М. Османов, Тегеран, 1390 (2012).
5. შოთა რუსთველი, „ვეფხისტყაოსანი,“ „მეცნიერება“, თბილისი, 1966.
6. ფარევაში 1386 – فرهنگ زبان پهلوی، تألیف دکتر بهرام فره وشی، انتشارات دانشگاه تهران، تهران،
7. დავით ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1984.
8. ნიკო ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1961.

Nomadi Bartaia

In connection with some terms of oriental origin in the Georgian language found in the “Description of the Kingdom of Georgia” by Batonishvili Vakhushti

Abstract

The new Persian vocabulary which originates in the 9th-10th centuries, penetrated Georgian language in great abundance in the 12th century and XVI-XVIII centuries. Especially in the XVI-XVIII centuries, i.e., the Safavid era, when the eastern part of Georgia was a part of Iran’s political structure and there were close direct linguistic relations.

The article discusses some of the eastern borrowings from the "Description of the Kingdom of Georgia" by Batonishvili Vakhushti (1696-1757): aid-i, lulufar-i, laklak-i, mehmandar-i, mordar-i, nijad-i, sabdivan-i and sra-fardak.

The above terms, with certain phonetic modifications, originate from the following eastern lexical units: *Persian*: Laklak-i ← لکلک [laklak] – crane (bird). lulufar-i ← نیلور [nilufar] - lotos. Mehmândâr-i ← مهماندار [mehmândâr] - host. mordâr-i ← مردار [mohrdâr] – seal-bearer nijad-i ← نجات [nejât] - aid.

Pahlavi sra-fardag ← sarâ fardak – royal tent.

Arabic-Persian aid-i ← عيد [eid] - holiday. nijad-i ← نجات [nejât] - aid.

One of these is an Arab-Persian composite - sabdivân-i - صاحب دیوان [sâheb divân] – head of treasury.

რეცენზენტი: პროფ. მ. ქაცარავა

სახელზმნის ზოგი მორფოლოგიური მახასიათებელი ინგლისურ ენაში

თამარ გელაშვილი

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

gel.tam@mail.ru

ინგლისურ ენაში ზმნის უპირო ფორმები ანუ სახელზმნები, სრულიად განსხვავდებიან ზმნის პირიანი ფორმებისგან, რადგანაც მოეპოვებათ, როგორც ზმნური, ასევე სახელის მორფოლოგიურ-სინტაქსური კატეგორიები.

სახელზმნის ზმნური ნიშნები აშკარად შესამჩნევია ინგლისური ენის, როგორც სინტაქსურ, ასევე მორფოლოგიურ დონეზე ანალიზისას. კერძოდ, მორფოლოგიური თვალსაზრისით, სახელზმნას გააჩნია დროის, ასპექტის და გვარის გაგება. თუმცა, სახელზმნების შემთხვევაში, დროის გაგება სრულიად განსხვავდება ზმნის პირიანი ფორმებით გამოხატული დროის გაგებისაგან. ზმნის პირიანი ფორმებით გადმოცემულ დროს გააჩნია განსხვავებული და დამოუკიდებელი ფორმები დროის გამოსახატავად. სახელზმნის შემთხვევაში კი დრო პირობითია, ის მიემართება და დამოკიდებულია იმ დროზე, რომელიც პირიან ზმნას აქვს.

სახელზმნა, მორფოლოგიური და სემანტიკური თვალსაზრისით, გაცილებით ახლოს დგას ზმნასთან, ვიდრე სახელებთან, მაშინ როდესაც მისი „არაზმნური“, ანუ სახელისთვის დამახასიათებელი ნიშნები შესამჩნევია ინგლისური წინადადების სინტაქსური აგებულების ანალიზის დროს.

საკვანძო სიტყვები: ინგლისური ენის სახელზმნა, მორფოლოგიური მარკერები

მეტყველების ნაწილების სფეროში გარდამავალი მოვლენები საკმაოდ ხშირია და განპირობებულია ენის გრამატიკული წყობით. ერთი მეტყველების ნაწილიდან მეორეში სიტყვის გადასვლისას იცვლება სიტყვის ფუნქცია მეტყველებაში, ჩნდება ახალი გრამატიკული ფუნქციები და ახალი კავშირები სიტყვებს შორის, ხდება სემანტიკური გადაადგილება. როგორც კვლევებმა აჩვენა, საზღვრები მეტყველების ნაწილებს შორის მოძრავია, ისინი მუდმივად ურთიერთ კავშირშია [Лингвистический энциклопедический словарь, 1990: 519].

განსხვავდება ტრანსპოზიციის ორი ეტაპი: 1) არასრული, ან სინტაქსური, როდესაც იცვლება საწყისი ერთეულის მხოლოდ სინტაქსური ფუნქცია მისი მეტყველების ნაწილისადმი მიკუთვნების შეცვლის გარეშე; 2) სრული ან მორფოლოგიური, რომლის დროსაც იქმნება ახალი მეტყველების ნაწილის ფუნქციების მქონე სიტყვა. ტრანსპოზიციის საშუალებებია აფიქსაცია და კონვერსია [Бал, 1953: 35]. სიტყვებს, რომლებსაც აქვთ სხვადასხვა მეტყველების ნაწილების ფუნქციები, ეწოდებათ სინკრეტული, ჰიბრიდული სიტყვები. ერთი მეტყველების ნაწილიდან მეორეში გადასვლის კრიტერიუმების განსაზღვრა წარმოადგენს გარკვეულ სირთულეებს ინგლისურში, რადგან ერთი და იგივე სიტყვა შეიძლება რეგულარულად გამოიყენებოდეს მეორადი სინტაქსური ფუნქციებით [Пушина, 2001: 42].

ისტორიული კვლევის მონაცემები ადასტურებენ, რომ ყველა უპირო ფორმამ გაიარა ხანგრძლივი ვერბალიზაციის - ზმნური თვისებების შექმნის, მოქმედების სემანტიკის დამყარების სტადია, გენეტიკურად ყველა უპირო ზმნის ფორმა წარმოიშვა სახელისგან [Пушина, 2001: 33]. ძველ ინგლისურში ზმნის სისტემა წარმოდგენილი იყო ორი განსხვავებული ჯგუფის, ზმნის პირიანი და უპირო ფორმების სახით. იმ პერიოდის ინგლისურში უპირო ფორმები მოიცავდა მხოლოდ ინფინიტივსა და მიმღობას. ზმნის პირიან და უპირო ფორმებს შორის განსხვავება უფრო დიდი იყო, ვიდრე ეს თანამედროვე ინგლისურშია. სახელზმნებს არ გააჩნდათ უღლების კატეგორია და ფორმას, ბრუნვის მიხედვით, არსებითი და ზედსართავი სახელების მსგავსად იცვლიდნენ [Бал, 1955: 38].

ლინგვისტები განიხილავენ სახელზმნის ქრონოლოგიურ სახეცვლილებას და აღნიშნავენ, რომ სახელზმნური ფორმები თავიდანვე გამოიყოფოდა ინგლისური ენის განვითარების ყველა ეტაპზე, მაგრამ ისინი განსხვავებულად არსებობდნენ. კერძოდ, ძველ ინგლისურში განასხვავებდნენ ოთხი სახის სახელზმნურ ფორმას, რომელთა შორის ორი ინფინიტური და ორი მიმღობის ფორმა გამოიყოფოდა.

ზმნის უპირო ფორმები ინგლისურში სრულიად განსხვავდება ზმნის პირიანი ფორმებისგან, რომლებსაც გააჩნიათ შემდეგი გრამატიკული კატეგორიები: პირი, რიცხვი, დრო, ასპექტი, გვარი, კილო. ზმნის უპირო ფორმებს (სახელზმნებს), კი არ გააჩნიათ პირი, რიცხვი და კილო.

ტერმინი “სახელზმნა“ მიანიშნებს მის ორგვარ ბუნებაზე. სახელზმნებს ზმნურ ნიშნებთან ერთდ, გააჩნიათ სახელადი ნიშნებიც. კერძოდ, ინფინიტივსა და გერუნდივს მოეპოვებათ არსებითი სახელის სახასიათო ნიშნები, ხოლო მიმღობას - ზედსართავის და ზმნიზედისა. სახელზმნის ზმნური ნიშნები აშკარად შესამჩნევია ინგლისური ენის, როგორც სინტაქსურ, ასევე მორფოლოგიურ დონეზე ანალიზისას. კერძოდ, მორფოლოგიური თვალსაზრისით, სახელზმნას გააჩნია დროის, ასპექტის და გვარის გაგება. თუმცა, სახელზმნების შემთხვევაში, დროის გაგება

სრულიად განსხვავდება ზმნის პირიანი ფორმებით გამოხატული დროს გაგებისაგან. ზმნის პირიანი ფორმებით გადმოცემულ დროს გააჩნია განსხვავებული და დამოუკიდებელი ფორმები აწმყოში, წარსულსა და მომავალში. სახელზმნის შემთხვევაში კი დრო პირობითია, ის მიემართება და დამოკიდებულია იმ დროზე, რომელიც პირიან ზმნას აქვს. მას შეუძლია გამოხატოს: თანხვედრა ან წინსწრება იმ დროის მიმართ, რომელსაც ზმნის პირიანი ფორმა გამოხატავს.

უპირო ფორმების დროის მნიშვნელობა რეალურად ექვემდებარება პირიანი ზმნის დროს. პირველად ტაქსისის კატეგორია იაკობსონმა შემოიტანა (Jakobsen, 1972: 101) ზმნის კატეგორიების კლასიფიცირებისას. მისი განმარტებით „ტაქსისი ახასიათებს აღნიშნულ ფაქტს სხვა ფაქტთან შეფარდებით და არ არის კავშირში შეტყობინების ფაქტთან“.

ა. ვ. ბონდარენკო [Бондаренко, 1987: 77], ი.ს. მასლოუს მითითებით, ხაზს უსვამს იმას, რომ „ასპექტი, დრო და ტაქსისი - ზმნის (და საერთოდ პრედიკატის) გრამატიკული კატეგორიებია“. ავტორის აზრით, ტაქსისი აღნიშნავს დროსთან დაკავშირებულ დამოკიდებულებას მოქმედებებს შორის ერთიანი დროის პერიოდის ფარგლებში და მისი გამოხატვა დაკავშირებულია სინტაქსურ, მორფოლოგიურ და ლექსიკურ საშუალებებთან.

ი. ი. კოსინეცი [Косинец, 2001: 48]. განიხილავს ტაქსისს, როგორც დამოუკიდებელ კატეგორიას, რომლის საერთო სემანტიკური ერთდროულობა/არაერთდროულობის მნიშვნელობის რეალიზაცია ხდება სხვადასხვა ასპექტისა და დროის დაკავშირებით. ავტორი გამოყოფს ასპექტსა და ტაქსისს და ხაზს უსვამს, რომ ისინი წარმოადგენენ სხვადასხვა ენობრივ მოვლენებს. ფაქტობრივად, გამონათქვამებში, რომლებიც შეიცავენ სახელზმნის პერფექტულ ფორმებს, ტაქსისის კატეგორიას ექვემდებარება ასპექტუალური სემანტიკა.

ზმნის უპირო ფორმების ფუნქციონალური ასპექტის ანალიზის დროს საუბარია დამოკიდებულ ტაქსისზე. მრავალი ავტორი აღიქვამს დამოკიდებულ ტაქსისს, როგორც დამოუკიდებელი ზმნის მიმართ სხვადასხვა მიმართების ტიპს - ერთდროულობას, წინსწრებას, წყვეტას, დათმობით კავშირს და ა.შ. დამოკიდებული ტაქსისი გულისხმობს დროზე დამოკიდებულ ურთიერთობას ისეთ მოქმედებებს შორის, რომელთაგან ერთია ძირითადი და მეორე მეორეხარისხოვანი (თანმხლები). დამოუკიდებელი ტაქსისი წარმოადგენს დროზე დამოკიდებულ ურთიერთობას ისეთ მოქმედებებს შორის, რომელთა აღნიშვნის დროსაც არ არსებობს გრადაცია მთავარ და მეორეხარისხოვან მოქმედებებს შორის [Бондаренко, 1987: 239;].

უპირო ფორმების ფუნქციონალური ასპექტის ანალიზის პროცესში, ხაზგასმით აღნიშნება, რომ სახელზმნა შეიძლება გამოხატავდეს შეფარდებითი დროის მნიშვნელობების 3 ტიპს, ანუ ტაქსისის 3 სახეობას: წინსწრებას, ერთდროულობას და შემდგომობას. დამოკიდებული ტაქსისი გამოიხატება ძირითადად ამ სამი სახეობით.

დავასკვნით, აშკარად ვლინდება, რომ სახელზმნა, მორფოლოგიური და სემანტიკური თვალსაზრისით, გაცილებით ახლოს დგას ზმნასთან, ვიდრე სახელებთან, მაშინ როდესაც მისი „არაზმნური“, ანუ სახელისთვის დამახასიათებელი ნიშნები შესამჩნევი ხდება ინგლისური წინადადების სინტაქსური აგებულების ანალიზის დროს.

ლიტერატურა:

1. Allen W.S.,- Living English Structure,(Practical Book for foreignn Students), London, Longmns, 1964;
2. Iakobson M.,- Theoretical Grammer of English, M: Progress Publishers, 1972;
3. Бал Е. Н., Грамматика английского языка, М: Высшая школа,1953;
4. Бондаренко Г.Н.,- Теоретическая грамматика английского языка, М.: Просвещение, 1987;
5. Косинец И.И.,- Стилистическая обусловленность экспликации видовременных и залоговых русских причастий в английском языке: Дис. ... канд. филол. наук / И.И. Косинец. – Пятигорск, 2001;
6. Пушина Н.И.,- Межкатегориальные связи в грамматике неличных форм, Ижевск, 2001;
7. Лингвистический энциклопедический словарь / Гл. ред. В.Н. Ярцева. - М., 1990

Tamar Gelashvili

Some morphological features of the non-finitive forms in English

Abstract

In English, the non-finitive forms of a verb completely differ from the finite forms of a verb, as they are characterized by the morphological and syntactic features of a verb as well as a noun.

The verbal features of non-finite forms of a verb are clearly visible in the analysis of the syntactic and morphological level of the English language. In particular, from the morphological prospective the non-finite forms have time, aspect, and voice features. However, in the case of non-finite forms of a verb, they are completely different from time category expressed by the finite forms of a verb. The finite forms of a verb have different and independent forms to express present, past and future tenses. In the case of non-finite forms of a verb, time feature is conditional, which means that it is related and depends on the tense understanding of a verb finite form.

The non-finite forms of verbs are much closer to a verb than to a noun from a morphological and semantical prospective. However, noun features of non-finite forms of verbs become noticeable when analyzing the syntactic structure of an English sentence.

რეცენზენტი: პროფ. მ. მიქაძე

ხმისმიმბაძველობა თანამედროვე ინგლისურ ენაში

თამარ თვალაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

e-mail: takotvaladze2010@gmail.com

გამოკვლევის მიზანია – ხმისმიმბაძველი ერთეულების ძირითადი ფუნქციონალური კანონზომიერებებისა და მნიშვნელობის გამოვლენა. გამოკვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ თანამედროვე ენებში არსებობენ და მეტყველებაში გამოიყენებიან საკმაო რაოდენობის სიტყვები-ხმისმიმბაძველები. ისინი აღადგენენ სხვადასხვა ხმებს, რომელსაც გადმოსცემს ცოცხალი ან არაცოცხალი ბუნება. მათ ხშირად მიაკუთვნებენ შორისდებულებს, რომელთა მსგავსად არ გააჩნიათ ნომინაციური მნიშვნელობა და გრამატიკული ფორმა. ხმისმიმბაძველი სიტყვების სემანტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური თავისებურებანის გაანალიზებით ვემხრობით იმ მკვლევართა აზრს, რომელთაც მიაჩნიათ რომ ხმისმიმბაძველები უნდა გაიმიჯნოს შორისდებულებისაგან, რამდენადაც ისინი წარმოადგენენ მეტყველების ცალკე ნაწილს. ისინი გვხვდებიან წინადადების ნებისმიერი წევრის მნიშვნელობით, ყველაზე ხშირად კი როგორც შემასმენელი, რომლებიც იძლევიან წარმოდგენას ქმედების ხმოვანი გამოვლენის თვისების შესახებ. ხმისმიმბაძველი სიტყვები აგრეთვე დამახასიათებელია მხატვრული ტექსტებისათვის. მწერლები იყენებენ ონომატოპებს აღსაწერი სცენის ფსიქოაკუსტიკური ფონის გასაძლიერებლად, გმირის მდგომარეობის, შეგრძნებების გამოსახატავად და ა. შ. ინგლისელი მწერლების ნაწარმოებებიდან ამოკრებილი იქნა ონომატოპები, რომლებიც კლასიფიცირებული იქნა პირდაპირი და /გადატანითი მნიშვნელობის პრინციპით. გამოვლინდა, რომ შედარებით ხშირად გამოიყენებიან ხმისმიმბაძველები, იმ ხმების აღმნიშვნელები, რომლებსაც გამოსცემენ ადამიანები და ცხოველები. ხმისმიმბაძველთა უნიკალურობა მდგომარეობს მასში, რომ ისინი მიმსგავსებულნი არიან გარემოს რეალურ ხმებთან და ამავდროულად წარმოადგენენ ენის ერთეულებს.

საკვანძო სიტყვები: ხმისმიმბაძველი ერთეულები, შორისდებულები

ძველი დროის ფილოსოფოსები (გ. ლეიბნიცი, შარლ დე ბროსი, ი. გერდერი) გამოჰყოფდნენ ენის წარმოშობის რამდენიმე თეორიას. მათ შორისაა ხმისმიმბაძველთა (ფილოსოფიური სკოლის წარმომადგენლები, რომლებიც ამტკიცებდნენ რომ ენა წარმოიშვა ბუნების ხმების მიმბაძველობით) და შორისდებულების (თვლიდნენ რომ ადამიანების პირველი სიტყვები –ეს შორისდებულებია) ჰიპოტეზები.

შორისდებულები და ხმისმიმბაძველები აძლევენ სასაუბრო მეტყველებას ექსპრესიას, სიციხადეს და თხოულობს ლინგვისტოთა განსაკუთრებულ ყურადღებას როგორც გამოუკვლევ სტილისტიკური საშუალება. ხმისმიმბაძველები წარმოადგენენ იმ ჟღერადობის პირობით წინასწარ განზრახულ ადგენას (განმეორებას), რომელიც თან ახლავს ადამიანის, ცხოველის ან რაიმე საგნის მიერ წარმოებულ ხმას. შორისდებულები და ხმისმიმბაძველები ასრულებენ სხვადასხვა ფუნქციებს, შორისდებული ასახავს მოსაუბრის ემოციურ მდგომარეობას ან ნება-სურვილს, ხმისმიმბაძველები კი ადადგენენ ცოცხალი ან არაცოცხალი ბუნების ხმებს.

ხმისმიმბაძველობა (ონომატოპეა) – ბუნების ხმებისა და ზოგიერთი პროცესების (ცახცახი, სიცილი, სტვენა და ა.შ.) თანმხლები ჟღერადობის, ასევე ცხოველების წამოძახილების პირობითი კვლავწარმოებაა [11].

გამოკვლევის მიზანია – ხმისმიმბაძველი ერთეულების ძირითადი ფუნქციონალური კანონზომიერებებისა და მნიშვნელობის გამოვლენა.

თანამედროვე ენებში გამოიყენება ე. წ. ხმისმიმბაძველები, რომლებიც ნიშნების ერთობლიობით უნდა გამოიყოს ცალკე ლექსიკო-გრამატიკულ კატეგორიად, რამდენადაც არ შეუძლიათ გაერთიანდნენ დღეისათვის არსებულ ვერცერთ მეტყველების ნაწილში. ხმისმიმბაძველობას არ გააჩნია ლექსიკური მნიშვნელობა. არსებობს სხვა მოსაზრებაც: მართალია ხმისმიმბაძველობას არ გააჩნია ნომინაციური ფუნქცია, მაინც ფლობენ ლექსიკურ მნიშვნელობას და არიან სრულფასოვანი სიტყვები, არიან ხმოვანი ინფორმაციის მატარებლები და გამოიყენებიან როგორც ურთიერთობის საშუალება. ან. ტიხონოვს [3] მიაჩნია, რომ მეტყველების ნაწილების სისტემაში ხმისმიმბაძველები გამოდიან როგორც თავისებური სიტყვების დამოუკიდებელი თანრიგები, რითაც განსხვავდება სხვა სიტყვებისაგან. საერთოდ მიღებულ ხმისმიმბაძველობას აქვს მუდმივი შემადგენლობა; მიაუ (კატის შესახებ), კრია-კრია (ბატის შესახებ), ჰავ-ჰავ (ძაღლის შესახებ), ღრუ-ღრუ (ღორის შესახებ), კო-კო-კო (ქათამის შესახებ), რასაც ერთნაირად გებულობენ სხვადასხვა ენის მატარებლები. მაშასადამე ხმისმიმბაძველობაზე მიბმულია საზოგადოებრივად შეცნობილი აზრობრივი შინაარსი. ანუ ერთნაირი ფორმისა და მუდმივი აზრობრივი შინაარსის მქონე ხმისმიმბაძველები ენაში გამოდიან როგორც სრულფასოვანი სიტყვები.

ინგლისურში, ისევე როგორც სხვა ენებში, არსებობს საკმაოდ მრავალრიცხოვანი სიტყვები რომელსაც ლინგვისტიკაში უწოდებენ „ხმისმიმბაძველებს“. მათი მეშვეობით გადმოიცემა გარემომცველ სამყაროს სხვადასხვა ხმები: დარტყმის, გრუხუნის, ჭრიალის, წრიპინის, ჟღერის, ტკაცუნის, ხმაურის, შრიალის, ცვენის და ა.შ. ასევე ცხოველთა და ფრინველთა შემახილების მიბაძვა. სხვადასხვა საგნებისა და ცოცხალი არსებების მიერ გამოცემული ხმების იმიტაცია, სხვადასხვა ენაში მიმდინარეობს სხვადასხვაგვარად, თუმც ხანდახან შეიმჩნევა მიმგვანება. ყოველი ენა თავისებურად აღიქვამს სამყაროს შინაგან ჟღერადობას და ამიტომ ხმისმიმბაძველობა სხვადასხვა ენაში ვერ დაემთხვევა ერთმანეთს. მისი ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ შეუძლებელია ხმის ზუსტი იმიტაცია ენის საშუალებით და ენა თავისი ბგერითი შემადგენლობის შესაძლებლობების შესაბამისად ირჩევს შესაბამისი ხმის ხმისმიმბაძველ ბგერებს.

ხმისმიმბაძველებს დიდი ხნის მანძილზე მიაკუთვნებდნენ შორისდებულებს და მხოლოდ ბოლო პერიოდში ენათმეცნიერთა უმრავლესობა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ესენი არიან

სიტყვათა სხვადასხვა ჯგუფები. თუმცა, არსებობს რიგი ნიშნებისა, რომლებიც მათ აერთიანებს. მათ არ გააჩნიათ ნომინაციური ფუნქცია, არ გააჩნიათ გრამატიკული ფორმა და არ შედიან წინადადების შემადგენლობაში, მაგრამ აღმოჩნდა არსებითი სემანტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური თავისებურებანი, რომლებიც გვაძლევს საფუძველს ჩავთვალოთ, რომ ისინი წარმოადგენენ სიტყვათა სხვადასხვა ჯგუფს.

სემანტიკურად: შორისდებულები გამოხატავენ მოსაუბრის ემოციურ დამოკიდებულებას სინამდვილისადმი, წარმოადგენენ მეტყველების სუბიექტის შინაგანი მდგომარეობის გადმოცემის ან ნებასურვილის გამოვლინების ნიშანს, ხმისმიმბაძველები კი ეს არის ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების მიერ გამოცემული სხვადასხვა ხმების მიბაძვა. მაგრამ მთავარი განსხვავებულობა ის არის, რომ შორისდებულებს არ გააჩნიათ განსაზღვრული დანიშნულება.

ხმისმიმბაძველთა მორფოლოგიურ განსაკუთრებულობას წარმოადგენს ის, რომ შორისდებულებისაგან განსხვავებით მათ აქვთ სიტყვათწარმოქმნისა და სიტყვათ-ცვლილების ფორმები. ზოგჯერ მათგან წარმოიქმნება განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე სიტყვები (ძირითადად ზმნები- შიშინებს, გრიალებს, ტკაცუნობს). გვხვდება ხმისმიბაძვა, რომელიც ფლობს არსებითი სახელის ძირითად ნიშნებს, ანუ ისინი იბრუნვინს, აქვთ რიცხვითი ფორმა და. შეიძლება წინადადებაში გამოვიდნენ ქვემდებარის, დამატების ან გარემოების როლში. ხმისმიმბაძველთა უნიკალურობა მდგომარეობს მასში, რომ ისინი მიმსგავსებულნი არიან გარემოს რეალურ ხმებთან და ამავდროულად წარმოადგენენ ენის ერთეულებს.

შესრულებული ფუნქციის მიხედვით ხმისმიმბაძველები იყოფიან:

1. ხმისმიმბაძველები, რომლებიც აღადგენენ წარმოსახვით ხმებს-გარემოებებს (ცოცხალი ბუნება);
2. ხმისმიმბაძველები, რომლებიც აღადგენენ ადამიანის სხვადასხვა ქმედებების ხმებს;
3. ხმისმიმბაძველები, რომლებიც აღადგენენ არა ცოცხალი ბუნების ხმებს;
4. ხმისმიმბაძველები, რომლებიც აღადგენენ ცხოველებისა და ფრინველების მიერ გამოცემულ ხმებს.

ამ ჯგუფში შესრულებული ფუნქციის მიხედვით გაერთიანებულია ა) სიტყვები, რომლებიც გამოიყენებიან მუშა ცხოველების გარეკვისათვის. აჭუ (ცხენისათვის), ჰამო (ხარისათვის), ბ) სიტყვები, რომლებიც გამოიყენებიან შინაური ცხოველებისა და ფრინველების მოსახმობად: ღრუტ-ღრუტ (ღორებისათვის), წიფ-წიფ (ქათმებისათვის) და სხვ.). გ) სიტყვები, რომლებიც გამოიყენებიან ცხოველებისა და ფრინველების განსაღვენად: ბრის (კატებისათვის), ქშა (ქათმებისათვის) და სხვ.

მორფოლოგიური შედგენილობის მიხედვით ხმისმიმბაძველები იყოფიან ერთშემადგენელიან, ორშემადგენელიან და სამშემადგენელიანებად, ახასიათებთ ბგერითი კომპლექსის განმეორებები. სუფთა განმეორებები: -კო-კო-კო (ქათამი), ძინ-ძინ-ძინ(ზარი), განმეორება ხმოვანი და თანხმოვანი ბგერების ცვლით პიფ-პაფ (გასროლა), ტიკ-ტაკ(საათი), რთული განმეორებები ტრა-ტა-ტა (ზარბაზანი), რატ-ტატ-ტატ (ბარაზანი). ხმისმიმბაძველი სიტყვები გამოდიან როგორც სიტყვათწარმოქმნის საშუალებები. ღრუტ-ღრუტ(ღრუტუნნი), კა-კა-კა(კაკანი) შრ-შრ-შრ (შრიალი). ხმისმიმბაძველი სიტყვების მეტყველების ჩვეულებრივი ბგერები დაახლოებულია, ზოგჯერ სიმბოლური, თავისებური თითოეული ნაციონალური ენისათვის, გადმოსცემენ ბგერითი მნიშვნელობის მელოდიას, ტემპს, ზოგჯერ კი ტემბრსაც. ასეთი სახით ისინი ემსახურებიან ადამიანს მოძრავი - ხმოვანი სინამდვილის ხელახალი წარმოდგენისათვის.

ხმისმიმბაძველობის მასალად ზოგჯერ გამოიყენება ნომინაციური მნიშვნელობის სიტყვებიც. უნდა განვასხვავოთ იმიტაცია ხმისმიმბაძველობისაგან. მხოლოდ იმიტაციისას დგება ამოცანა ბუნების ხმების ზუსტი კვლავწარმოებისა. იმიტაციას აქვს მოხმარების შედარებით ვიწრო სფერო: ნადირობა, დაზვერვა, ცირკი.

საჭიროა ხმისმიმბაძველი სიტყვების გამიჯვნა მეტყველების ჩვეულებრივი ნაწილების სინამდვილის ბგერების გადმოცემისაგან. ზოგჯერ სიტყვამ დაკარგა რა ლექსიკური მნიშვნელობა, გადმოგვცემს თავისი ფორმით სინამდვილის მხოლოდ ხმოვან მხარეს. ხმისმიმბაძველობა ჩვეულებრივი სიტყვებით და წინადადებებით გვეხმარება წარმოვიდგინოთ ერთად სამყაროს იდეები ხმოვანი სახოვნებით და ადამიანის განცდები. ზეპირ ხალხური პოეზიის ენაში და წერიტი ლიტერატურის განსაზღვრულ ჟანრებში ეს საშუალება ამაღლებს სახოვნების გამომსახველობას.

ხმისმიმბაძველობა კლასიფიცირდება წარმოშობისა და ლიტერატურაში გამოყენების მიხედვით. წარმოშობიდან გამომდინარე ხმისმიმბაძველობა იყოფა: 1. ადამიანის უნებლიე ბგერების მიბაძვა. **hic, cough, ha ha ha, atchoo**. 2. ცხოველთა (გარდა ფრინველებისა) უნებლიე ხმების მიბაძვა **baa, bow wow, quack, moo, meow, wuff, oink**. 3. ფრინველთა ხმების მიბაძვა : **cock-a-doodle-doo, cuckoo, coo, tweet, chirp, chirrup**. 4. ბუნების ხმოვანი მოვლენების, არასულიერი საგნებით წარმოშობილი ხმების და ა. შ. მიბაძვა **boom, bang, gurgle, ding, dong, dung, dipp dopp dopp, rat-tat-tat, thump, plonk, crash, wham, knock knock, caboom, snip**. 5. შერეული თანრიგი **zzzz (1,2), puff (1,3), croak (2,4)**. ლიტერატურაში გამოყენებაზე დამოკიდებულებით ისინი შეიძლება დაიყოს: ა) საერთოდ მიღებული **klopp klopp** – (ცხენის ფლოქვა); **slurp** – (წკლავუნის ბ) საავტორო **RRrrRRrrRRoom** (სკოლის ავტობუსი) ავტორული ხმისმიმბაძველობა – ისე როგორც ესმის ავტორს, ან როგორც მას სურს, რომ ის გაიგონოს მკითხველმა.

იმის მიუხედავად, რომ შორისდებულებიც და ხმისმიმბაძველი სიტყვებიც მორფოლოგიურად ამორფულები არიან, სინტაქსურად კისაკმაოდ დამოუკიდებლები და დგანან რა ლექსიკო-სემანტიკური სისტემის პერიფერიაზე, გააჩნიათ შესამჩნევი ფუნქციონალური სხვადასხვაობა, კერძოდ: შორისდებულებიც და ხმისმიმბაძველებიც გამოიყენებიან სრულიად სხვადასხვა სინტაქსური მიზნებით, **cock-a-doodle-doo, bow-wow, thud** ტიპის ხმისმიმბაძველი სიტყვები არ გამოხატავენ არც ემოციებს, არც გრძნობებს, წარმოადგენენ კონკრეტული ბუნებრივი ჟღერადობის მიბაძვას. შორისდებულები, გამოხატავენ გრძნობებს, მაგრამ არ ასახელებენ მათ, საჭიროებენ ჩვეულებრივ დართულ ახსნა-განმარტებას. ხმისმიმბაძველი სიტყვები აღნიშნავენ გარე სამყაროს სრულიად კონკრეტულ მოვლენას და პრინციპში გასაგებია ახსნა-განმარტების გარეშე. აღნიშნავენ რა საგნებისა და მოვლენების ბუნებრივ ჟღერადობას, ხმისმიმბაძველ სიტყვებს შორისდებულებისაგან განსხვავებით გააჩნიათ განსაზღვრული ლექსიკური მნიშვნელობა. ისინი ფართოდ გამოიყენებიან სიტყვათწარმონაქმნებში. **buzz (v)** – ბზუილი, გუგუნის, ზუზუნის **buzz (n)** – საყვირი, სირენა, ზუმერი, **buzz (n)** – ტელეფონის ზარი . ხშირ შემთხვევებში ხმისმიმბაძველი სიტყვები წარმოადგენენ წინადადების წევრებს.

განვიხილოთ ხმისმიმბაძველების თავისებურებანი ინგლისურ ენაში. ინგლისური ხმისმიმბაძველი სიტყვები იქცევენ მეცნიერთა ყურადღებას რამდენიმე ფაქტის წყალობით:

1. დიდი ემპლიციტიურობა. ონომატოპების დიდი ნაწილი შედგება ან ერთი ძირისაგან: **bang (n); plop (n)**, ან იერთებენ ფლექსიის ძალიან შეზღუდულ რაოდენობას (ერთს, იშვიათად ორს): **screamed; creaking; squeaker**, ქართულ ენაში კი ხმისმიმბაძველ სიტყვათა ძირები შემორტყმულია სხვა მორფემებით და მათი ხმისმიმბაძველი ხასიათი ნაკლები ხარისხით შეიგრძნობა მოსაუბრისა და მსმენელის მიერ (მაგ: აზუზუნება, დახეთქება).

2. ხმისმიმბაძველების შეუფერხებელი გადასვლა მეტყველების ერთი ნაწილიდან მეორეში **hiss (v) – შიშინებს – hiss (n) – შიშინი; ding-dong (v) – ზარის რეკვა – ding-dong (n) – ზარი**

3. ინგლისური ენის ორიენტირებულობა სმენითი შეგრძნებების ასახვაზე, ანუ ინგლისურ ენაზე სიტუაციის აღწერისას მოსაუბრე უპირატესობას ანიჭებს ბგერით აღქმას ვიდრე მხედველობითს.

4. ხმისმიმბაძველი ერთეულების მნიშვნელოვანი რაოდენობა შეიცავს ბგერითი კომლექსის გამეორებას (**quack-quack –კრია-კრია , plod-plod –ჩლიქების კაკუნი, tick-tick –საათის ტიკ-ტიკი**).

ამდენად, ხმისმიმბაძველობითი ლექსიკა ინგლისურ ენაში წარმოგვიდგება როგორც ვრცელი და საინტერესო მასალა ლინგვისტური გამოკვლევებისათვის

განვიხილოთ ხმისმიმბაძველების როლი მხატვრულ ლიტერატურაში, სადაც დიდი მნიშვნელობა აქვს ექსპრესიულ ენობრივ ფორმებს, რომლებიც გადმოგვცემენ პერსონაჟთა ან მთხრობელის ემოციურ მდგომარეობას. ინტონაციური შებრუნებების აღქმის დახმარებით, რომელიც თან ახლავს ცოცხალ - ინდივიდუალურ მეტყველებას, ნაწილობრივ დამაგრებულს მის კონკრეტულ მატარებელზე – მთხრობელზე. არსებით მნიშვნელობას (განსაკუთრებით ლექსურ მეტყველებაში) იძენს მეტყველების ხმოვანი ორგანიზაცია, რომელიც ზოგჯერ ღებულობს უშუალო მნიშვნელობას, მაგრამ ძირითადად ხელშეწყობილს ინტონაციური გამომსახველობით.

ლ. გოროხოვას [2] აზრით, ხმისმიმბაძველები ხასიატდებიან: გვხვდებიან ტექსტების ფრაგმენტებში, ასრულებენ საერთო ფუნქციას ტექსტში; აქვთ შემადგენლობაში შემავალი ონომატოპების მნიშვნელობის რეალიზაციის ხარისხი. ხმისმიმბაძველები ფართოდ გამოიყენებიან მხატვრული ლიტერატურაში. ატარებენ დამოუკიდებელ ფუნქციონალურ დატვირთვას, ემსახურებიან: მკითხველისათვის აშკარა ფსიქოაკუსტიკური სახის შექმნას.; ჟღერადობის გრადაციის გამოსახვას (ჟღერადობის სიმაღლის, ტემბრის ან სიძლიერის ცვლილება); მკითხველის ყურადღებას მიაპყრობს გმირების ინდივიდუალურ თავისებურებებს და აზრობრივი ოპერაციების გამოსახვას. განვიხილოთ

ხმისმიმბაძველების ფუნქციების გათვალისწინებით მხატვრული ლიტერატურიდან ამოვკრიბეთ ხმისმიმბაძველი ერთეულები, რომლებიც კლასიფიცირდა შემდეგი სახით: 1. ხმისმიმბაძველობა, რომლებიც აღნიშნავენ ბუნების ხმებს, გამოცემულს ქართ, წვიმით, ქარიშხლით და ა.შ. 2. ხმისმიმბაძველობა, წარმოქმნილი სხვადასხვა საგნებით, ასევე მანქანებით, აპარატებით 3. ხმისმიმბაძველობა, რომლებიც აღნიშნავენ ადამიანებისა და ცხოველების მიერ გამოცემულ ხმებს.

I. ბუნების ხმების აღმნიშვნელი ხმისმიმბაძველობა. ხმისმიმბაძველობის პირდაპირი დანიშნულება: 1. **echo** - Now to cause laughter to *echo* from those lavish jungles and frowning crags where formerly rang the cries of pirate's victims; to lay aside pike and cutlass and attack with quip and

jollity; to draw one saving titter of mirth from the rusty casque of Romance – this were pleasant to do in the shade of the lemon-trees on that coast that is curved like lips set for smiling. [2]

.2./ **tap** - It *tapped* on the yellow hood of the boy's slicker, sounding to his ears like rain on a shed roof . . . a comfortable, almost cozy sound. [3]

3.**thunder** -Why, they rub an old tin lamp or an iron ring, and then the genies come tearing in, with the *thunder* and lightning a-ripping around and the smoke a-rolling, and everything they're told to do they up and do it. [1]

ხმისმიმბაძველობის გადატანითი დანიშნულება:

1.**rattle** -Over his head, a grim gust of October wind *rattled* the trees, now almost completely unburdened of their freight of colored leaves by the storm, which had been this year a reaper of the most ruthless sort. [3]

2. **roar** -The Dyea River as of old *roared* turbulently down to the sea; but its ancient banks were gored by the feet of many men, and these men labored in surging rows at the dripping tow-lines, and the deep-laden boats followed them as they fought their upward way. [4]

II. სხვადასხვა საგნებით წარმოქმნილი ხმისმიმბაძველობა. ხმისმიმბაძველობის პირდაპირი დანიშნულება:

1, **jingle** -Their buckles made a jolly *jingling* as George Denbrough ran toward his strange death. [3]

2. **scratch** -For half an hour the pen *scratched* without stopping. [5]

3. **zip. splash** - *Zip! Splash!* She shook the water from her eyes, squirming the while as some of it ran down her warm back. [4]

ხმისმიმბაძველობის გადატანითი დანიშნულება :

1, **snore. gutter** The tall, red, iron-clamped pump-beam rose and fell, and the pumps *snored* and *guttered* and shrieked as the first water poured out of the pipe. [5]

2, **jangling** -The “two-circle” and the “circle-and-dot” brands caused endless *jangling*, while every whipsaw discovered a dozen claimants. [4]

III. ადამიანებისა და ცხოველების მიერ წარმოქმნილი ხმისმიმბაძველობა. ხმისმიმბაძველობის პირდაპირი დანიშნულება: 1. **carol** - Knots of women with complexions varying from palest olive to deepest brown gathered at street corners and plaintively *carolled*: “Un telegrafo por Senor Goodwin!” [2]

2. **growl** -It, *growling* deeply – he would hear the *growl* in those lunatic seconds before it pounced on him and unzipped his guts. [3]

3. **whisper** -There followed a *whispered* conversation of the sort which means very little to anyone save small boys. [3]

ხმისმიმბაძველობის გადატანითი დანიშნულება:

1. **Pound** -Sir John Morgan, Lafitte and other eminent swashbucklers bombarded and *pounded* it in the name of Abaddon. [2]

2. **Crisp, crackle** -A man on the barge leaned over from above and baptized him with *crisp* and *crackling* oaths, while the whites and Indians in the canoe laughed derisively. [4]

გავანალიზოთ I. (1-2) ნიმუშები და ვეცადოთ გავიგოთ, რატომ იყვნენ ისინი გამოყენებული გადატანითი მნიშვნელობით.

1. **rattle** – ტკაცანი (ტკაცა-ტკუცი) - მის თავზე ხეები ტკაცუნობდნენ ოქტომბრის ქარით წარმოქმნილი ქარბუქით.. [3]

2 **roar** –(ღრიალი)- მდინარე ძველებურად ღრიალებდა და მიედინებოდა ზღვისაკენ [4]

ნიმუშებიდან ჩანს, რომ ხმისმიმბაძველები **rattle, roar**, გამოყენებულია გადატანითი მნიშვნელობით, მეტყველებისთვის მეტი გამომსახველობისა და მეტაფორულობის მისანიჭებლად, რამდენადაც თვით მოქმედების საგნებს, რომლებმაც გამოიწვიეს შესაბამისი ხმები ეს არ შეუძლიათ.

ვასკვნით: რომ თანამედროვე ენებში არსებობენ და მეტყველებაში გამოიყენებიან საკმაო რაოდენობის სიტყვები-ხმისმიმბაძველები. ისინი აღადგენენ სხვადასხვა ხმებს, რომელსაც გადმოსცემს ცოცხალი ან არაცოცხალი ბუნება. ხმისმიმბაძველ სიტყვებს ხშირად მიაკუთვნებენ შორისდებულებს, რომელთა მსგავსად არ გააჩნიათ ნომინაციური მნიშვნელობა. ჩვენ ვემხრობით იმ მკვლევართა აზრს, რომელთაც მიაჩნიათ რომ ხმისმიმბაძველები უნდა გაიმიჯნოს შორისდებულებისაგან, რამდენადაც ისინი წარმოადგენენ მეტყველების ცალკე ნაწილს. ხმისმიმბაძველი სიტყვები იშვიათადაა იზოლირებულნი. წარმოადგენენ რა ენის ფონდის გამომსახველობის ნაწილს, გამოდიან წინადადების ნებისმიერი წევრის მნიშვნელობით, ყველაზე ხშირად როგორც შემასმენელი. ხმისმიმბაძველი სიტყვების მეტყველების ჩვეულებრივი ბგერები დაახლოებულია, ზოგჯერ სიმბოლური, თავისებური თითოეული ნაციონალური ენისათვის, გადმოსცემენ ბგერითი მნიშვნელობის მელოდიას, ტემპს, ზოგჯერ კი ტემბრსაც. ასეთი სახით ისინი ემსახურებიან ადამიანს მოძრავი, ხმოვანი სინამდვილის ხელახალი წარმოდგენისათვის.

ხმისმიმბაძველ სიტყვებს მწერლები იყენებენ ონომატოპებს აღსაწერი სცენის ფსიქოაკუსტიკური ფონის გასაძლიერებლად, გმირის მდგომარეობის, შეგრძნებების გამოსახატავად და ა. შ. ინგლისელი მწერლების ნაწარმოებებიდან ამოვკრიბეთ ონომატოპები, რომლებიც კლასიფიცირდა იქნა პირდაპირი და /გადატანითი მნიშვნელობის პრინციპით. აღსანიშნავია, რომ შედარებით ხშირად გამოიყენებიან ხმისმიმბაძველები, იმ ხმების აღმნიშვნელები, რომლებსაც გამოსცემენ ადამიანები და ცხოველები.

ლიტერატურა:

- 1.Лингвистический энциклопедический словарь. [Текст] / гл. ред. В. Н. Ярцева. – М. : Сов. Энциклопедия, 1990. – 683 с.
- 2.Горохова Л.А.- О критериях выделения поля звукоподражания. [Текст] / Л. А. Горохова // Проблемы гуманитарного образования: содержание и методы –1996–№ 3.С.35 – 38.
3. Тихонов, А. Н. -Междометия и звукоподражания – слова? [Текст] / А. Н. Тихонов // Русская речь. – 1981. – № 5. – С. 72-76

მხატვრული ლიტერატურა:

1. Twain, M. Huckleberry Finn [Текст] / M. Twain. – М. : AST, 2006. – 312 p.
2. Chandler, R. Playback. [Текст] / R. Chandler. – М. Arcade Publishing, 2006. – 120 p
3. Henry, O. Cabbages and Kings. [Текст] / O. Henry. – М. : ABC-classics, 2007. – 137 p.
4. King, S. It. [Текст] / S. King. – М. : AST, 2007. – 458 p
5. London, J. The Little Lady of the Big House. [Текст] J. London. М. 1993 – 528 p.

Tamar Tvaladze**Sound imitation in modern English****Abstract**

The aim of the study is to identify the main functions and meanings of sound imitating units. The article identifies that there are quite a few number of sound imitating words in modern English language. These words restore the various sounds conveyed by living or non-living nature. These words are often thought to be interjections as they don't have nominative meanings or grammatical forms. By analyzing semantic, morphological and syntactic features of sound imitating words, we agree with the researchers who consider that these words should be distinguished from interjections, as they represent a separate part of speech. The article states that they can be found as any part of the speech, often they are verbs that detect sounds in action. Sound imitating words can be found in fiction. Writers have often used onomatopoeius to describe certain feelings of the characters as well as surroundings. The onomatopoeius examples with direct and indirect meanings are discussed in the article. The article reveals that sound imitating words are used relatively often to depict the sounds made by humans and animals. They are unique as they are similar to the real sounds and at the same time represent language units.

რეცენზენტი: პროფ. ი. გომხეთელიანი

Functional-Systematic Forms in Public Speeches of Politicians

Ekaterine Topuria

Akaki Tsereteli State University

e-mail: etopuria@yahoo.com

The article under the title “Functional-Systematic Forms in Public Speeches of Politicians” turns to be the contemporary work on search of functional-structural analysis for political public speeches.

The article studies the Caesar’s as the world startegic politician’s strategies for making the purposeful speeches for the future military success. The grammatical-functional speech units represented in the article are a sfollows : Gerundive forms, sapines and subordinate sentencews of purpose to express the politician’s strategies.

The article once again proves the historical truth approving the Caesar as the politician and startegic genral as well as a thoughtful narrator and an interesting grammarian.

Key words of the article: *The examplum positivum, dicourse, sapines*

Introduction

The article highlights that politicians who well master the public speech-making techniques clearly see the importance of syntactical as well as the word choice in search of the right emotional impulse upon the audience. Robert Maxwell Ogilvie states that the overwhelming impression of the politicians’ speeches is its clarity and precision’. (B.Gall).

The presented article highligts the peculiarities of Julius Caesar’s preference for plainer elements over the ornate speech style. The nature of one’s brevity is usually reflected in his public speech especially if it precedes the up-coming threatening political instability in the country .

The aim of the article is to highlight the beginning of his treatrise on Grammar by Iulius Caesar who reportedly claimed: “Avoid as you would a rock, every unheard and unusual word”!

He also promoted ‘the knowledge of this easy and everyday speech’. These sayings have been outstanding in search of the right linguistic approach to overwhelming political interests of many politicians of different times while making their public speeches.

Procedure

The purpose of my choice to go into deeper grounds of the Caesar’s speech appeared to me very interesting as the OE (Old English, the course I deliver) is the adopter of many ecclesiastic as well as political terms from Latin vocabulary and grammar. On the other hand I research the political discourse markers.

Thus the Methodology lies on the ground of discourse analysis studied on the empiric material from the book Classical Philology by Karen L. Carducci. (The First Sapine in Bellum Gallicum And Bellum Civile, a study of Caesar as Grammarian , Narrator and Exemplum , The University of Chicago Press, volume 113, number 4, 2018)

Findings

Political speeches are usually purposeful. In Old Latin expressing purpose in unique syntactical as well as semantic patterns was relatively rare occasion, so Caesar used the first supine, the fourth declension form derived from the verb stem just the same way like in Old English which ended in **-tum** or **-sum**.

This form and adverbial accusative, closely accompanies the forms that serve as purpose. Most of these sapines based upon the edition follow common verbs of motion (stingu, stund, hentan). If on the one hand he was attempting to correct the text he had in front of him he would more likely change it for the more familiar to make it more understandable for the audience. Thus he often changed the grammar construction for the familiar gerundive forms.

The usage of the named linguistic forms usually referred to the certain purpose such as the change of the physical location of the army for the coming battle. In this way he as an ideal general showed his men a positive example (*exemplum positivum*) worthy of his men faithfulness.

The lesson of another example serves as the lexically marked *exemplum positivum*, when he applies to the Cimbri and Teutoni who tried to cross the river Rhine by hostile forces and establish the likeness between the ancient Germanic tribes of Teutoni , Germani and Cimbri. This event clearly showed their wish of invasion of Rome for the second time.

- a) Homines feros ac barbaros
- b) Ut ante Cimbri Teutonique fecissent

The examples show that he judges the migration of the tribes dangerous for Roman interests. So the Caesar as the actor and embedded focalizer believes that like Cimbri and Teutoni and Germini are to be answered as swiftly as possible.

a) Quibus rebus quam maturime occurrendum putabat (B.Gall)

Thus another exemplum positivum used to be mentioning Marius as highly praising general to show that his army appears to be a threat and warning as not the best experience for the Cimbri and Teutoni. Marius was the person whom the Caesar publicly awarded with a statue for the victory over the Cimbri and Teutoni as the commander brutally competent. Thus the Caesar as the commander played the role of the author of massive recruitment and training while reforming a loyal, professional military.

Indeed, to succeed against these aggressive opponents in addition to adopting Marius' political eclat as the defender of the Roman interests Caesar is warning the audience that if it is necessary he will make the second Marius whose personal glory is mirrored in the Roman legions.

Like many Greek and Roman writers describing the past events the Caesar relies also on the discourse of **exemplarity** to convey themes via the discourse making the citizens draw the historical parallels for acknowledging the term "example" in action and speech. So linguistically the Caesar uses the sapines and the Genitive structural forms for marking the exempla(examples). Sapines are an abbreviated forms in Latin and thus impersonal kind of purpose clause. Thus the purpose clauses are the best means for expressing the human actions in military and political domains against the treachery of barbarian enemies. Here, 'mutatis mutandis', he can use them to mute particular circumstances surrounding a purpose clause which can thereby draw closer to generalities about human action in military and political domains. (K.L Carducci)

Using sapines notifying what a real military leader should do or avoid the Caesar shows the importance of begging to avoid mercy not to miss the treachery of barbarian enemies. The exemplum positivum described the Caesar's character in transgressive virtus to overwhelm the most dangerous of enemies those who could not understand that Caesar's interests were their interests as well. The Caesar's unexpected advocacy for mercy surprised everybody as contrary to Republican virtus. Exempla positiva was the modelling action for aspiring the commanders and voted authors expressed in terms of grammatical structural as well as lexical forms. Mercy towards the enemies renders him in possession of power not only over those he presents as public enemies but also over fellow Romans.

Reference:

1. Karen L. Carducci_ the First Sapine in Bellum Gallicum And Bellum Civile, a study of Caesar as Grammarian , Narrator and Exemplum , Classical Philology, The University fo chicago Press, volume 113,number 4, 2018
2. Batstone, William Wendell and Cynthia Damon.2006 Caesar's Civil war.Oxford Approaches of Classical Literature

ეკატერინე თოფურია

„ფუნქციურ-სისტემური ელემენტები პოლიტიკოსთა მეტყველებაში“

ანოტაცია

სტატია ეხება პოლიტიკოსების გამოსვლების კვლევას პოლიტიკური გამოსვლების სტრატეგიულ-მიზნობრივი შინაარსის სტრუქტურულ-ფუნქციური ანალიზის საფუძველზე. სტატია იკვლევს იულიუს კეისრის პოლიტიკურ ტაქტიკათა გამომხაველ სამეტყველო-სისტემურ ერთეულებს. კერძოდ, ნათესაობითი ბრუნვის, საპინის, მიზნისა და მიზეზის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებებს, როგორც სტრატეგი პოლიტიკოსის ჩანაფიქრის გადმოცემის სტრუქტურულ ერთეულებს.

სტატიაში მოცემულია თეორიულ-ისტორიული საკვლევი ემპირიული ბაზა და გაანალიზებულია დამამტკიცებელი მაგალითები. აღნიშნული გრამატიკული ერთეულების კვლევამ კიდევ ერთხელ დაადასტურა იულიუს კეისრის როგორც დიდი სტრატეგის , მეომრის, პატრიოტის და შემწყნარებლის ისე სერიოზული გრამატიკოსისა და ნარატივის სპეციალისტის საჯარო გამოსვლების განსაუთრებულობა. თითოეული ფრაზა სტრატეგიული გამარჯვების მოპოვებისათვის, თავდაცვისა ან თავდასხმისათვის იყო გრამატიკულად სწორად აგებული. ენობრივი ლაკუნები კი ზუსტად მიაჩნებდნენ მხედართმთავრის სამხედრო ჩანაფიქრს.

რეცენზენტი: მ. ახმადი

საქართველოში კორპუსის ლინგვისტიკის, როგორც ახალი ინტერდისციპლინური მიმართულების ისტორია (კორპორა და ვებკორპორა)¹

ნათია კენჭიაშვილი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

natia.kentchiashvili@gmail.com

წინამდებარე კვლევის მიზანია წარმოაჩინოს კორპუსის ლინგვისტიკის, როგორც ციფრული ჰუმანიტარიისა და ლინგვისტიკის ახალი ინტერდისციპლინური ქვედარგის, ადგილი და როლი ქართულ მეცნიერებასა და უმაღლესი სასწავლებლების საგანმანათლებლო მიმართულებებს შორის. ასევე განხილულია ქართული ენის დოკუმენტირებასთან დაკავშირებული ელექტრონული რესურსები და რაც მთავარია, ქართული კორპორა და ვებკორპუსი.

კორპუსლინგვისტიკის პოპულარიზებას საქართველოში ხელი შეუწყო ფრანკფურტის გოეთეს სახელობის ემპირიული ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებმა: ი. გიპერტმა, მ. თანდაშვილმა და სხვ. 2012 წლიდან მოყოლებული ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ტარდება საზაფხულო და ზამთრის სკოლები კორპუსლინგვისტიკაში, დიგიტალურ ქართველოლოგიასა და დიგიტალურ ჰუმანიტარიაში.

საქართველოში კორპუსის ლინგვისტიკის განვითარების კვალდაკვალ, შეიქმნა უამრავი, სხვადასხვა სახის კორპუსი, თუ ვებკორპუსი, რაც მნიშვნელოვანი ფაქტია.

საკვანძო სიტყვები: კორპუსის ლინგვისტიკა, კორპუსის ლინგვისტიკა საქართველოში, ქართული კორპორა, ქართული ვებკორპუსი

¹ წინამდებარე სტატია ეფუძნება 2019 წლის 19-21 აპრილს, ქუთაისში გამართულ, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს მიერ ორგანიზებულ ახალგაზრდა მეცნიერთა VII ინტერდისციპლინური კონფერენციაზე წაკითხულ მოხსენებას სახელწოდებით „კორპუსის ლინგვისტიკა საქართველოში“.

შ ე ს ა ვ ა ლ

კორპუსლინგვისტიკის პოპულარიზებას საქართველოში ხელი შეუწყო ფრანკფურტის გოეთეს სახელობის ემპირიული ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებმა: **ი. გიპერტმა, მ. თანდაშვილმა** და სხვ. 2012 წლიდან მოყოლებული ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ტარდება საზაფხულო და ზამთრის სკოლები კორპუსლინგვისტიკაში, დიგიტალურ ქართველოლოგიასა და დიგიტალურ ჰუმანიტარიაში.

პირველი სასწავლო სახელმძღვანელო კორპუსლინგვისტიკაში გამოიცა **მ. თანდაშვილისა და ზ. ფურცხვანიძის** ავტორობით 2014 წელს, სახელწოდებით „*კორპუსლინგვისტური პარადიგმა ენათმეცნიერებაში*“ [თანდაშვილი, ფურცხვანიძე, 2014], ხოლო 2018 წელს **რ. ხალვაშის** ავტორობით – „*დიგიტალური ჰუმანიტარიის შესავალი*“ [ხალვაში, 2018].

ქართული ენის დოკუმენტირებაში წამყვანი როლი ფრანკფურტის გოეთეს სახელობის ემპირიული ენათმეცნიერების ინსტიტუტს მიუძღვის. ინტერნეტსივრცეს შეემატა ისეთი რესურსები, როგორცაა TITUS-ARMAZI – 1999-2002 წწ. [იხ. არმაზი / ARMAZI – Alternative Resources, Materials, Applications and Zipped Information], ECLinG – 2002-2005 წწ. [იხ. ეკლინგ – საფრთხეში მყოფი კავკასიური ენები საქართველოში / ECLING – Endangered Caucasian Languages in Georgia], SSGG (Die soziolinguistische Situation im gegenwärtigen Georgien) – 2005-2007 წწ. [იხ. სსგგ – სოციოლინგვისტური სიტუაცია დღევანდელ საქართველოში / SSGG – The sociolinguistic situation of present-day Georgia]. აღნიშნულ ელექტრონურ რესურსებთან ერთად ქართული ენის ეროვნული კორპუსის [იხ. ქეეკ – ქართული ენის ეროვნული კორპუსი / GNC – Georgian National Corpus] შექმნას საფუძველი ჩაუყარა ისეთმა საერთაშორისო პროექტმა, როგორცაა „*ქართული ენის ეროვნული კორპუსი – ტექნოლოგიური ჩარჩოს შექმნა*“.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე განხორციელდა ასევე რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი, რომლებიც კორპუსის შექმნას ისახავდა მიზნად: **ქართული ენის კორპუსი და საქართველოს ეპიგრაფიკული კორპუსი**. ასევე აღსანიშნავია **ქართული ენის ლინგვისტური კორპუსი**, რომელიც საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შეიქმნა და **პარალელური კორპუსი**, ინგლისურ-ქართული სამეცნიერო ტექსტების პარალელური კორპუსი, რომელზეც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ „*ლექსიკოგრაფიული ცენტრი*“ მუშაობს.

ქართულენოვანი კორპუსების გვერდით, ასევე არსებობს **ქართული ვებკორპუსიც** [KaWaC – Kartvelian Web as a Corpus – ქართველური ვები, როგორც კორპუსი], რომელიც შეიქმნა **ს. დარასელიას** მიერ სადოქტორო კვლევების ფარგლებში.

ამდენად, საქართველოში კორპუსის ლინგვისტიკის განვითარება მნიშვნელოვანი ფაქტია ქართული ენის შემდგომი თანამედროვე სტანდარტების კვლევების უზრუნველსაყოფად და წინამდებარე სტატიის მიზანია სწორედ ამის ჩვენება.

1 კორპუსის ლინგვისტიკა საქართველოში

კორპუსის ლინგვისტიკა დარგთაშორისი სამეცნიერო დისციპლინაა, რომელიც იკვლევს კორპუსების აგების, მართვისა და გამოყენების მეთოდებს. ეს სამეცნიერო მიმართულება ანგლო-ამერიკულ გარემოში ჩამოყალიბდა გასული საუკუნის 60-იან წლებში და უკავშირდება პირველი ტექსტური კორპუსის – ბრაუნის კორპუსის (Brown Corpus) შექმნას. მიუხედავად იმისა, რომ კორპუსების შექმნა გაცილებით ადრე დაიწყო, კორპუსლინგვისტიკამ, როგორც მეცნიერების დარგმა, სამეცნიერო წრეებში აღიარება მხოლოდ გასული საუკუნის 90-იან წლებში მოიპოვა.

კორპუსის ლინგვისტიკის პირველ ქართულენოვან სახელმძღვანელოში ეს დარგი შემდეგნაირადაა განმარტებული: „*კორპუსლინგვისტიკა ჰუმანიტარული მეცნიერების ერთ-ერთი თანამედროვე მიმართულებაა, რომელიც მეცნიერების ორი დარგის, ჰუმანიტარიისა და ინფორმატიკის მიჯნაზე წარმოიშვა და იმდენად სწრაფად განვითარდა თეორიული ლინგვისტიკისა და ინფორმატიკის განვითარების პარალელურად, რომ ინტერდისციპლინულ სამეცნიერო დარგად ჩამოყალიბდა*“ [თანდაშვილი, ფურცხვანიძე, 2014:13].¹

აღნიშნავენ, რომ „*პოსტსაბჭოთა სივრცეში კორპუსული ლინგვისტიკის თეორიული და პრაქტიკული პრობლემები განიხილება სემინარებსა და სამეცნიერო კონფერენციებზე გამოყენებით კომპიუტერულ ლინგვისტიკაში: „დიალოგი“, „მეგალინგი“, „კომპიუტერული ლინგვისტიკა“ და ა.შ. საქართველოში 1998 წლიდან იმართება საერთაშორისო კონფერენცია: „ქართული ენა და კომპიუტერული ტექნოლოგიები“* [ბაკურაძე, ბერიძე, 2011:33].

დღესდღეობით არსებობს ქართულენოვანი სახელმძღვანელოები კორპუსის ლინგვისტიკაში. შეიქმნა არაერთი კორპუსი და ვებკორპუსი.

1.1.1 ქართულენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა კორპუსის ლინგვისტიკაში

საქართველოში კორპუსლინგვისტიკის საკითხებზე პირველი მოხსენებები ეკუთვნით თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებს. ასევე შეიძლება საკონფერენციო მასალებისა და ცალკეული სტატიების მოძიებაც. თუმცა რაც შეეხება სახელმძღვანელოებს, პირველი სასწავლო სახელმძღვანელო კორპუსლინგვისტიკაში გამოიცა 2014 წელს, მ. თანდაშვილისა და ზ. ფურცხვანიძის ავტორობით „*კორპუსლინგვისტური პარადიგმა ენათმეცნიერებაში*“ [თანდაშვილი, ფურცხვანიძე, 2014], მ. თანდაშვილის „*ენის დიგიტალური დოკუმენტირება*“ [თანდაშვილი, 2016]. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი

¹ აღნიშნული ინფორმაცია ასევე იხ. საავტორო ვებგვერდზე [იხ. დიგიტალური ქართველოლოგია, პროფ. მანანა თანდაშვილის ლინგვისტური გვერდი].

სახელმძღვანელო გამოიცა 2018 წელს **რ. ხალვაშის** ავტორობით „*დიგიტალური ჰუმანიტარიის შესავალი*“ [ხალვაში, 2018].

2016 წელს პროფ. **მ. თანდაშვილმა** შექმნა ვებგვერდი „*დიგიტალური ქართველოლოგია*“, სადაც წარმოდგენილია მასალები დიგიტალური ჰუმანიტარიის, კორპუსლინგვისტიკის, დოკუმენტისტიკის, ფუნქციური გრამატიკის შესახებ [იხ. დიგიტალური ქართველოლოგია, პროფ. მანანა თანდაშვილის ლინგვისტიკური გვერდი].

1.1.2 კორპუსის ლინგვისტიკა ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში

კორპუსლინგვისტიკა, როგორც ციფრული ჰუმანიტარიისა და ლინგვისტიკის ახალი ინტერდისციპლინური ქვედარგი, სიახლეს წარმოადგენს საქართველოში და თავის ადგილს იმკვიდრებს ქართული უმაღლესი სასწავლებლების საგანმანათლებლო მიმართულებებს შორის. მაგალითად, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე 2008 წლიდან დღემდე იკითხება კორპუსის ლინგვისტიკის შესავალი კურსი, იგივე კურსი ახალციხის უნივერსიტეტში (სჯუნის) – 2012 წლიდან.

ასევე ილიაუნის აქვს სადოქტორო პროგრამა „*ციფრულ ჰუმანიტარიაში*“, რომელიც 2017 წლიდან არსებობს პროფ. **ნ. დობორჯინიძის** ხელმძღვანელობით. ციფრული ჰუმანიტარია ილიაუნისში წარმოდგენილია სამი მიმართულებით: 1. ციფრული ეპიგრაფიკა; 2. ციფრული პროსოპოგრაფია და 3. კომპიუტერული და კორპუსის ენათმეცნიერება.

2016 წლიდან ბსუ-ში მოქმედებს „*დიგიტალური ჰუმანიტარიის ცენტრი*“, რომლის ხელმძღვანელობითაც ხორციელდება საბაკალავრო მაინორი პროგრამა დიგიტალურ ჰუმანიტარიაში. პროგრამამ 2015 წელს გაიარა აკრედიტაცია და საქართველოში ჯერჯერობით ერთადერთი საგანმანათლებლო პროგრამაა ამ მიმართულებაში (პროგრამის ხელმძღვანელები: რამაზ ხალვაში – ბსუ, მანანა თანდაშვილი – ფრანკფურტის უნივერსიტეტი) [ხალვაში, 2018:170-171].

1.1.3 სეზონური სკოლები კორპუსის ლინგვისტიკაში

კორპუსის ლინგვისტიკის პოპულარიზებას საქართველოში ხელი შეუწყო სხვადასხვა სეზონური სკოლის ჩატარებამ. 2012 წლიდან ბსუ-ში ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტთან და ფრანკფურტის ლინგვისტიკურმა წრესთან თანამშრომლობით იმართება საერთაშორისო საზაფხულო სკოლა დიგიტალურ ჰუმანიტარიაში. დღემდე ჩატარდა შვიდი საზაფხულო სკოლა, რომლის ძირითადი თემაა დიგიტალური ჰუმანიტარია, კორპუსლინგვისტიკა და ქართველოლოგიის პრობლემები. საზაფხულო სკოლის ფარგლებში გამართულ საერთაშორისო ვორკშოფში მონაწილეობდნენ ცნობილი ევროპელი მეცნიერები ფრანკფურტის, კიოლნის, ლაიპციგის, ბერგენის, მიუნხენის, დარმშტადტის უნივერსიტეტებიდან და ნეიმეჰენის ენათა არქივიდან. სეზონურ სკოლებში საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტის 200-ზე მეტმა სტუდენტმა

მიიღო მონაწილეობა. მათი დიდი ნაწილი ასევე ჩაერთო სხვადასხვა პროექტში, რომელიც კორპუსების შექმნას ისახავდა მიზნად.

ფრანკფურტის გოეთეს სახელობის ემპირიული ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლების **იოსტ გიპერტის, მანანა თანდაშვილის** და სხვ., უშუალო ხელმძღვანელობითაც ტარდებოდა და ტარდება საზაფხულო და ზამთრის სკოლები კორპუსლინგვისტიკაში, დიგიტალურ ქართველოლოგიასა და დიგიტალურ ჰუმანიტარიაში¹.

გარდა ამ სეზონური სკოლებისა, უნდა აღინიშნოს 2014 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დიგიტალური ჰუმანიტარიის ორი სეზონური სკოლა, რომელიც ჩატარდა პროფ. ირინე დარჩიას ხელმძღვანელობით: 1) თსუ ზაფხულის სკოლა „*ციფრული კვლევების მეთოდები ფილოლოგიურ მეცნიერებებში*“ (ბოლონიისა და სოფიის უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით); 2) თსუ ზამთრის სკოლა „*შესავალი ციფრულ ფილოლოგიაში*“ (ლაიფციგის უნივერსიტეტის ციფრული ჰუმანიტარიის კათედრასთან თანამშრომლობით).

შედეგად, არაერთი სტუდენტი დაინტერესდა კორპუსის ლინგვისტიკით და მიიღო მონაწილეობა ამ მიმართულებით განხორციელებულ პროექტებში.

2 ქართული კორპორა და ვებკორპუსი

2.1 ქართული ენის კორპორა

თავდაპირველად, სამუშაოები შეეხებოდა ქართული ენის ელექტრონულ დოკუმენტირებას. წამყვანი როლი ფრანკფურტის გოეთეს სახელობის ემპირიული ენათმეცნიერების ინსტიტუტს და მის მეცნიერ-თანამშრომლებს – ი. გიპერტს, მ. თანდაშვილსა და სხვ. – მიუძღვით. მეცნიერთა ამ ჯგუფმა ფასდაუდებელი ამაგი დასდო ქართული ენის დოკუმენტირების საქმეს. „*იოსტ გიპერტმა ჩაუყარა საფუძველი აგრეთვე ძველი ქართული ენის ძეგლების გაციფრებას, რითაც შეიქმნა ციფრული ბანკი ქართული ენის ისტორიული კორპუსისათვის. პირველი ციფრული კორპუსი ძველი ქართული ენისათვის მოიცავდა ძველ ქართულ ბიბლიურ ტექსტებს, აპოკრიფებსა და კომენტარებს, ჰაგიოგრაფიულ და ჰომილეტიკურ ტექსტებს. იოსტ გიპერტმა მოამზადა ძველი ქართული ენის კორპუსი, რომელშიც 100-მდე ტექსტი გაერთიანდა, ფრანკფურტის უნივერსიტეტის TITUS-ის პლატფორმაზე განთავსდა და დღემდე მოიხმარება მკვლევართა მიერ, როგორც საერთაშორისო მიმოქცევის პროდუქტი*“ [ხალვაში, 2018:149-150]. აქედან მოყოლებული დიგიტალურ კავკასიოლოგიასა და ქართველოლოგიაში **ი. გიპერტისა** და **მ. თანდაშვილის** ხელმძღვანელობით განხორციელდა კიდევ არაერთი პროექტი. შედეგად, ქართულ ინტერნეტსივრცეს შეემატა ისეთი რესურსები, როგორცაა: **TITUS-ARMAZI** – 1999-2002 წწ. [იხ. არმაზი / ARMAZI – Alternative Resources,

¹ აღნიშნული სეზონური სკოლების მონაწილე მეც გახლდით.

Materials, Applications and Zipped Information], **ECLinG** – 2002-2005 წწ. [იხ. ეკლინგ – საფრთხეში მყოფი კავკასიური ენები საქართველოში / ECLING – Endangered Caucasian Languages in Georgia], **SSGG** (Die soziolinguistische Situation im gegenwärtigen Georgien) – 2005-2007 წწ. [იხ. სსგგ – სოციოლინგვისტური სიტუაცია დღევანდელ საქართველოში / SSGG – The sociolinguistic situation of present-day Georgia].

2009 წლიდან ეს სამუშაოები, რომელიც მანამდე დოკუმენტური ლინგვისტიკის ფორმატით მიმდინარეობდა¹, გარდაიქმნა კორპუსულ მოძრაობად და ყველა ეს ბაზა გაერთიანდა **პაულ მოირერის** მიერ შექმნილი GEKKO-ს ჩარჩოში. პროექტს ეწოდება „ქართული ეროვნული კორპუსის ტექნოლოგიური ჩარჩო“ (GEKKO-ს რესურსები, ნორვეგია, ბერგენის უნივერსიტეტი, ავტორი – პაულ მოირერი): მოიცავს ორ ქვეკორპუსს: თანამედროვე ქართული ენის კორპუსს (124,055,170 ერთეული) და ქართულ ლიტერატურულ კორპუსს, მორფოლოგიური ანოტირებით (20,903,850 ერთეული). პროექტის ხელმძღვანელია პაულ მოირერი, ბერგენის უნივერსიტეტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი. პროექტი ხორციელდებოდა 2012-2015 წლებში და ფინანსდებოდა Volkswagen-ის ფონდის პროგრამის „ვეროპასა და აზიას შორის – შუა აზია და კავკასია მეცნიერების ფოკუსში“ ფარგლებში².

თავის მხრივ, აღნიშნულ ელექტრონურ რესურსებთან ერთად **ქართული ენის ეროვნული კორპუსის** შექმნას საფუძველი ჩაუყარა ისეთმა პროექტებმა, რომლებიც მიზნად ისახავდნენ შემდეგი თემატური კორპუსების შექმნას: ა) **ქართული დიალექტური კორპუსი** [ქდკ – ქართული დიალექტური კორპუსი / GDC – Georgian Dialect Corpus] (საქართველო, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, პროექტის ხელმძღვანელი – მარინე ბერიძე): პროექტს ხელმძღვანელობს არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის ენობრივ მონაცემთა კომპიუტერული დამუშავების განყოფილების ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი **მარინე ბერიძე**. კორპუსში ტექსტის აღსაწერად გამოყენებულია სხვადასხვა ექსტრალინგვისტური მახასიათებლები: რეგიონალური, ანკეტური, ტიპოლოგიური, ქრონოლოგიური – ტექსტებში გადმოცემულ მოვლენათა პერიოდიზაციისათვის. მითითებულია ტექსტის სახე (ნაბეჭდი, ხელნაწერი, აუდიოტრანსკრიფტი, ვიდეოტრანსკრიფტი) [იხ. ბერიძე, სურმავა, 2009].

ბ) **ქართული სამეცნიერო მეტაენის კორპუსი**. კორპუსი 2016 წლის 14 აპრილს, დედაენის დღეს გამოქვეყნდა საინტერნეტო სივრცეში და მიეძღვნა ბესარიონ ჯორბენაძეს. პროექტი თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის „ენობრივ მონაცემთა

¹ სწორედ ამ ფორმატშია შექმნილი ტიტუსისა და არმაზის ბაზები. მაგალითად, ტიტუსი იშიფრება, როგორც Thesaurus Indogermanischer Text- und Sprachmaterialien – ინდოევროპული ტექსტებისა და ენის მასალების თესაურუსი.

² დღესდღეობით ქართულენოვანი კორპუსები, მათ შორის ქართული ეროვნული კორპუსი, ქართული რეფერენციული კორპუსი, ქართული დიალექტური კორპუსი და ა.შ. განთავსებულია ასევე სხვა ვებგვერდზეც [იხ. „კლარინო“].

კომპიუტერული დამუშავების განყოფილების“ ბაზაზე შეიქმნა „შოთა რუსთაველის ეროვნული ფონდის“ ხელშეწყობით [იხ. ქართული სამეცნიერო მეტაენის კორპუსი].

გ) **ქართული პოლიტიკური კორპუსი** (პროექტის ხელმძღვანელი: მანანა თანდაშვილი): პროექტი განხორციელდა 2016 წლის ზამთრის სკოლის „დიგიტალური ქართველოლოგიის“ ბაზაზე, რომელიც მიემდგვნა თემატური კორპუსების შექმნის ძირითად პრინციპებსა და მეთოდებს. პროექტის სამუშაო პროცესში ჩართული იყო 28 სტუდენტი¹. პროექტი მიზნად ისახავდა ქართული პოლიტიკური კორპუსის შექმნას. პროექტი ითვალისწინებდა ქართული პოლიტიკური მეტყველების ანალიზს ქართველ პოლიტიკოსთა საჯარო გამოსვლების მაგალითზე. ასევე შემუშავდა სპეციალური პროგრამა „პოლიტიკური მეტყველების სტატისტიკური კვლევის ვიზუალიზაცია“: ამჟამად, კორპუსი ხელმისაწვდომია ქართული ენის ეროვნულ კორპუსში და წარმოდგენილია ქვეკორპუსის სახელით [ქვეკ – ქართული ენის ეროვნული კორპუსი / GNC – Georgian National Corpus].

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე განხორციელდა ასევე რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი, რომელიც კორპუსის შექმნას ისახავდა მიზნად: **ქართული ენის კორპუსი** (პროექტის საერთო ხელმძღვანელი: ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, პროფ. ნ. დობორჯგინიძე): ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის მეგაპროექტი. პროექტი განხორციელდა 2009-2015 წწ.-ში. ამ ეტაპზე კორპუსი მოიცავს 100,000,000-ზე მეტ სიტყვა-ფორმას და შედგება მონოლინგვური და ბილინგვური ქვეკორპუსებისგან. მონოლინგვურ კორპუსში წარმოდგენილია ორი ძირითადი სექცია: 1. ძველი და საშუალო ქართული ენა; 2. ახალი და უახლესი ქართული ენა. ძველი და საშუალო ქართული ენის ქვეკორპუსები აგებულია, ერთი მხრივ, სხვა ენებთან და კულტურებთან ქართულის ურთიერთობისა (ბერძნული, სირიული, ქრისტიანული არაბული, სომხური) და, მეორე მხრივ, ქართული სამწერლობო-მთარგმნელობითი სკოლების (წინაათონური, ათონური, ანტიოქიური, ქართული ელინოფილური და ა.შ.) მიხედვით. ბილინგვურ კორპუსში ამ ეტაპზე წარმოდგენილია „ვეფხისტყაოსნისა“ (ქართულ-ინგლისური) [უფრო ვრცლად იხ. დობორჯგინიძე, 2011:54-57; დობორჯგინიძე, 2013:47-50] და „ქართლის ცხოვრების“ (ქართულ-სომხური) პარალელური კორპუსები. 2016 წელს დასრულდება მუშაობა „შუმანიკის წამების“ ქართულ-სომხურ და „პეტრე იბერის ცხოვრების“ ქართულ-სირიულ პარალელურ კორპუსებზე. 2012-2014 წლებში ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტში შეიქმნა და ქართული ენის კორპუსში ინტეგრირებულ იქნა თანამედროვე ქართული ენის ანალიზატორი. ამ ეტაპზე მუშავდება ლინგვისტური და ტექნოლოგიური სტანდარტები ძველი და საშუალო ქართული ენის მოდელირებისთვის [იხ. ქართული ენის კორპუსი].

¹ მათ შორის სტატის ავტორიც.

საქართველოს ეპიგრაფიკული კორპუსი (პროექტის ხელმძღვანელი: ნინო დობორჯგინიძე): პროექტი „საქართველოს ეპიგრაფიკული კორპუსი“ 2015 წლიდან ხორციელდება ილიაუნის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტში. იგი მიზნად ისახავს საქართველოში აღმოჩენილი ან დაცული უმდიდრესი ეპიგრაფიკული მემკვიდრეობის დოკუმენტირებას ლაიდენის კონვენციის ციფრული მემკვიდრის – EpiDoc-ის მიხედვით. ამ სტანდარტით შესრულებული პირველი ელექტრონული გამოცემა არმაზის ბილინგვისა 2014 წელს **თ. კალხიტა-შვილმა** მოამზადა სამაგისტრო კვლევის ფარგლებში; ციფრული ჰუმანიტარიის უახლესი მიდგომების გამო ამ გამოცემამ მაღალი შეფასება დაიმსახურა EAGLE-ის (The European network of Ancient Greek and Latin Epigraphy) მიერ ორგანიზებულ ციფრული ეპიგრაფიკის საერთაშორისო კონფერენციაზე. ამ ეტაპზე საქართველოს ეპიგრაფიკულ კორპუსში შესულია ახ. წ. I-X სს.-ის ქართული, არამეული და ბერძნული წარწერები. პროექტი გრძელვადიანია და, ქართულის გარდა, მიზნად ისახავს საქართველოში დაცული უძველესი პერიოდის (პირველი ნიმუშები ძვ. წ. IX ს.-აა) ურარტული, არამეული, ბერძნული, ებრაული, არაბული, სპარსული და სომხური წარწერების გამოცემას/კორპუსის მომზადებას აღნიშნული სტანდარტით [იხ. საქართველოს ეპიგრაფიკული კორპუსი].

ასევე აღსანიშნავია კიდევ ერთი ქართული კორპუსი, რომელიც საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შეიქმნა: **ქართული ენის ლინგვისტური კორპუსი** (პროექტის ხელმძღვანელი გიორგი ჩიკოიძე). კორპუსი განთავსებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდზე. კორპუსი შეიქმნა პროექტის „ქართული ენის კორპუსის სრული (მორფოლოგიური, სინტაქსური, სემანტიკური) ანოტირების სისტემა“ ფარგლებში. პროექტი განხორციელდა თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტში რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით. პროექტი მიმდინარეობდა 2013-2016 წწ.-ში. შემუშავდა ქართული ენის მორფოლოგიური, სინტაქსური და სემანტიკური ანალიზ-ზატორი. სუბკორპუსად, რომელზედაც გამოიცადა ქართული ენის სრული ანოტირების სისტემა, შეირჩა თანამედროვე ქართველი მწერლის ოთარ ჭილაძის პროზა. პროექტის ფარგლებში ანოტირებული კორპუსის დახმარებით შესაძლებელია: 1. კონკრეტული სიტყვაფორმის მოძიება და კონკორდანსის სახით გამოტანა; 2. სიტყვაფორმის ძიება ლემის მიხედვით; 3. წყვეტილი ან უწყვეტი სინტაგმის მიხედვით სიტყვაფორმათა ჯგუფის ძიება; 4. სიტყვაფორმების ძიება მორფოლოგიური მახასიათებლებით; 5. სხვადასხვა ლექსიკო-გრამატიკული სტატისტიკური მონაცემების მოპოვება; 6. კონკორდანსიდან შერჩეული სტრიქონების ცალკეულ ფაილში შენახვა. კორპუსის ტექსტი ანოტირებულია მორფოლოგიური, სინტაქსური და სემანტიკური მარკერებით, რომლებშიც ასახულია მწერლის ენის მორფოლოგიური, სინტაქსური და სემანტიკური სტრუქტურა. კორპუსში გამოიყოფა 655,811 სიტყვაფორმა და 97,155 სიტყვათხმარება. ტექსტში ყველა დონეზე ნაწილობრივ მოხსნილია ომონიმია [იხ. ქართული ენის ლინგვისტური კორპუსი].

პარალელური კორპუსი – ინგლისურ-ქართული სამეცნიერო ტექსტების პარალელური კორპუსის ავტორია პროფ. **თინათინ მარგალიტაძე**. 2013 წლიდან ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექსიკოგრაფიულ ცენტრში მიმდინარეობს მუშაობა პარალელურ კორპუსზე (ინგლისურ-ქართული), რომლის შექმნა არიანე ჭანტურიას სამეცნიერო სტატიების რეზიუმეების პარალელური ქართულ-ინგლისური ტექსტებით დაიწყო [იხ. ვრცლად: მარგალიტაძე, ქერეჭაშვილი, 2013:83-84; მარგალიტაძე, ქერეჭაშვილი, 2013:85-88]. ქართული ენის პარალელურ კორპუსში შეიქმნა ჯგუფები, რომლებიც დაიყო კრებულებად, ხოლო კრებულები ტექსტურ წყვილებად. კრებულები მოიცავს სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიების ინგლისურ-ქართულ თეზისებს. კორპუსის მეორე ჯგუფია არქეოლოგია, რომლის კრებულები მოიცავს: დმანისის გათხრების შესახებ გამოქვეყნებულ სტატიებს ინგლისური თარგმანებითურთ, ვანის გათხრებს და სხვა. კრებულებში შეტანილი ტექსტები ავტომატურად იშლება ტექსტურ წყვილებად, ინგლისურ-ქართულ წინადადებებად, რომლებიც რედაქტირდება ხელით, რათა ავტომატურად დანაწევრებული წინადადებები გათანაბრდეს და ძიების დროს მივიღოთ იდეალური ინგლისურ-ქართული წინადადებების წყვილები. კორპუსში შეტანილი ტექსტები მეცნიერების თითქმის ყველა დარგს მოიცავს და ამ ტექსტებისა და დარგების რაოდენობა ყოველდღიურად იზრდება. კორპუსში დამუშავდა დარგების მიხედვით ტერმინოლოგიის მონიშვნისა და კორპუსიდან აღნიშნული ტერმინოლოგიის ამოღების მეთოდოლოგია. ამ მიზნით შეიქმნა, ე.წ. ტერმინოლოგიური მოდული, რომელიც საშუალებას იძლევა კორპუსში არსებული მასალიდან ამოიკრიბოს წინასწარ მონიშნული დარგობრივი ტერმინოლოგია. ძიება ხორციელდება ორმხრივად – როგორც ნაწარმოების ორიგინალ, ასევე, ნათარგმნ ტექსტში. ძიება შესაძლებელია როგორც მთლიან მასალაში, ასევე, სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით, მათ შორის, ნაწარმოების ჯგუფების, კრებულების, ტიპების, ჟანრების, ავტორების, წლების და ა.შ. ფილტრაციით. ძიების შედეგებში ასევე, ხელმისაწვდომია ინფორმაცია ნაწარმოების შესახებ, ავტორის, თარგმანის ავტორის, გამოცემის წლისა და ა.შ. შესახებ [იხ. პარალელური კორპუსი].

ამდენად, საქართველოში კორპუსის ლინგვისტიკის განვითარების კვალდაკვალ, შეიქმნა უამრავი, სხვადასხვა სახის კორპუსი, რაც აღსანიშნი ფაქტია.

2.2 ქართული ვებკორპუსი

ქართულენოვანი კორპუსების გარდა, ასევე მნიშვნელოვანია, რომ არსებობს **ქართული ვებკორპუსი** [KaWaC – Kartvelian Web as a Corpus – ქართველური ვები, როგორც კორპუსი], რომლის შექმნაც ახალგაზრდა მკვლევრის – **სოფიკო დარასელიას** სახელთანაა დაკავშირებული. როგორც თავად ავტორი აღნიშნავს, ესაა პირველი ვებკორპუსი ქართული ენისთვის, რომელიც გამართულია ვებკორპუსების უახლესი მეთოდებისა და სტანდარტების შესაბამისად [დარასელია, 2015:5].

ს. დარასელიას მიერ სადოქტორო კვლევების ფარგლებში შექმნილი ქართული ენის ვებკორპუსი (KaWaC) ასახავს თანამედროვე, ცოცხალ ქართულ ენას – სახელდობრ, ქართული ენის განვითარების უახლეს 10-15 წელიწადს. დღეისათვის ქართული ენის ვებკორპუსი მოიცავს 150 მილიონზე მეტ სიტყვას და განთავსებულია ლიდისის უნივერსიტეტის ვებგვერდზე, სხვა ისეთი ენების ვებკორპუსების გვერდით, როგორცაა: ინგლისური, ჩინური, ფინური, არაბული, გერმანული, ბერძნული, იტალიური, იაპონური, პოლონური, პორტუგალიური, რუსული, ესპანური და უკრაინული ვებკორპუსები [ხალვაში, 2018:118-119].

გარდა ამისა, არსებობს ქართული ენის ვებკორპუსი სიტყვათმეხამებითი მოდელების პროგრამაში, რომელიც მოიცავს 500-ზე მეტ კორპუსს 90-ზე მეტ ენაზე¹. სიტყვათმეხამებითი მოდელების პროგრამაში (Sketch Engine) ქართული კორპუსის შექმნა დაკავშირებულია **დევიდ თაგუელის** სახელთან [იხ. თაგუელი, 2011:72-76]. დღეისათვის, ქართულ კორპუსში დაახლოებით 50 მილიონი სიტყვაა, რომელიც ძირითადად ეფუძნება წერილობით ტექსტებს. კორპუსი ნაწილობრივ ანოტირებულია. სამწუხაროდ, **დ. თაგუელის** გარდაცვალების გამო, კორპუსი დაუსრულებელია.

3 დასკვნები

წინამდებარე მოხსენების მიზანი იყო წარმოგვეჩინა კორპუსის ლინგვისტიკის, როგორც ციფრული ჰუმანიტარიისა და ლინგვისტიკის ახალი ინტერდისციპლინური ქვედარგის ადგილი და როლი ქართულ მეცნიერებასა და უმაღლესი სასწავლებლების საგანმანათლებლო მიმართულებებს შორის, მიმოგვეხილა ქართულენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა, მათ შორის პირველი ქართული სასწავლო სახელმძღვანელოები კორპუსის ლინგვისტიკაში და სხვ.

ასევე განვიხილეთ ქართული ენის დოკუმენტირებასთან დაკავშირებული ელექტრონული რესურსები: TITUS-ARMAZI – 1999-2002 წწ., ECLinG – 2002-2005 წწ., SSGG – 2005-2007 წწ. და რაც მთავარია – ქართული კორპორა: ქართული ენის ეროვნული კორპუსი, ქართული დიალექტური კორპუსი, ქართული სამეცნიერო მეტაენის კორპუსი, ქართული პოლიტიკური კორპუსი; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე განხორციელდა ასევე რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი, რომლებიც კორპუსის შექმნას ისახავდა მიზნად: ქართული ენის კორპუსი; საქართველოს ეპიგრაფიკული კორპუსი. გარდა ამისა, აღსანიშნავია ქართული ენის ლინგვისტური კორპუსი, რომელიც საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შეიქმნა და პარალელური კორპუსი – ინგლისურ-ქართული სამეცნიერო ტექსტების პარალელური კორპუსი, რომელზეც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „*ლექსიკოგრაფიული ცენტრი*“ მუშაობს. ქართულენოვანი კორპუსების გვერდით, ასევე არსებობს ქართული ვებკორპუსიც KaWaC, რომელიც შეიქმნა ს. დარასელიას მიერ სადოქტორო კვლევების

¹ შენიშვნ. ეს რიცხვი მუდმივად იზრდება [იხ. „სკეჩენჯინი“].

ფარგლებში. აღნიშნული თითოეული ქართულენოვანი კორპუსი მნიშვნელოვანი ელექტრონული რესურსია ქართულ ინტერნეტსივრცეში.

ამდენად, საქართველოში კორპუსის ლინგვისტიკის განვითარების კვალდაკვალ, შეიქმნა უამრავი, სხვადასხვა სახის კორპუსი, თუ ვებკორპუსი, რაც მნიშვნელოვანი ფაქტია ქართულ მეცნიერებაში. წინამდებარე კვლევის მიზანია, უპირველეს ყოვლისა, იმ რესურსების, მათ შორის სამეცნიერო ლიტერატურისა და ასევე სხვადასხვა ტიპის ქართულენოვანი კორპუსების მიმოხილვაა. აუცილებელია ამ ტიპის ელექტრონული რესურსებით სარგებლობა სხვადასხვა ტიპის ლინგვისტური კვლევების განხორციელების მიზნით.

ლიტერატურა:

1. არმაზი / ARMAZI – Alternative Resources, Materials, Applications and Zipped Information – [ელექტრონული რესურსი]. – ხელმისაწვდომია: <http://armazi.uni-frankfurt.de/> – ნახვის თარიღი: 22.02.2020.
2. ზაკურაძე ლ., ბერიძე მ., – ქართული დიალექტური კორპუსი (ქდკ) კორპუსული გამოცდილების ფონზე, კონფერენციის მასალები, „ქართული ენა და თანამედროვე ტექნოლოგიები – 2011“, მერიდიანი, თბილისი, 2011, გვ. 32-36. http://www.ice.ge/symposium/symp2011_2/konferencia-2011.pdf;
3. ბერიძე მ., სურმავა ნ., – ქართული დიალექტური კორპუსი – როგორც ლინგვისტური საკვლევი ინსტრუმენტი, საერთაშორისო კონფერენცია „ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში“, ბათუმი, 2009.
4. დარასელია ს., – ქართულ-ევროპული ტიპის ახალი სასაწავლო ლექსიკონების შედგენის საკითხები კორპუსული მეთოდოლოგიის გამოყენებით, სადოქტორო დისერტაცია, თბილისი, 2015. https://press.tsu.ge/data/image_db_innova/Disertaciebi/sofiko_daraselia.pdf?fbclid=IwAR2EFcmXOtjx4_x4E_SIkI3ksMw6OjUU7E2Z3BiVAPsPAEl04mNQ1QqPH0U
5. დიგიტალური ქართველოლოგია, პროფ. მანანა თანდაშვილის ლინგვისტური გვერდი – [ელექტრონული რესურსი]. – <http://tandaschwili.com/> – ნახვის თარიღი: 22.02.2020.
6. დობორჯგინიძე ნ., – პროექტები კორპუსის ლინგვისტიკის მიმართულებით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, კონფერენციის მასალები, „ქართული ენა და თანამედროვე ტექნოლოგიები–2011“, მერიდიანი, თბილისი, 2011, გვ. 54-57 http://www.ice.ge/symposium/symp2011_2/konferencia-2011.pdf;
7. დობორჯგინიძე ნ., – „ვეფხისტყაოსნის“ პარალელური (ქართულ-ინგლისური) კორპუსი, „ქართული ენა და თანამედროვე ტექნოლოგიები – 2013“, კონფერენციის მასალები, მერიდიანი, თბილისი, 2013, გვ. 47-50 http://www.ice.ge/symposium/symp_2013_3/masalebi.pdf
8. ენისლინგვისტური კორპუსი – [ელექტრონული რესურსი]. – <http://geocorpora.gtu.ge/#/texts>
9. თაგუელი დ., – ქართული სიტყვათმეხამებითი მოდელები პროგრამაში „Sketch Engine“. საერთაშორისო კონფერენციის „ქართული ენა და თანამედროვე ტექნოლოგიები – 2011“ მასალები, 2011, გვ. 72-76; http://www.ice.ge/symposium/symp2011_2/konferencia-2011.pdf

10. თანდაშვილი მ., ფურცხვანიძე ზ., – კორპუსლინგვისტური პარადიგმა ენათმეცნიერებაში, გლოსარიუმი, ფრანკფურტი-ბათუმი, ფრანკფურტის ლინგვისტური წრე, 2014.
11. თანდაშვილი მ., – ენის დიგიტალური დოკუმენტირება, ბსუ, 2016;
12. მარგალიტაძე თ., ქერეჭაშვილი გ., – პროგრამული პლატფორმა ელექტრონული ქართული ორენოვანი ლექსიკონებისათვის, „ქართული ენა და თანამედროვე ტექნოლოგიები – 2013“, კონფერენციის მასალები, მერიდიანი, თბილისი, 2013, გვ. 83-84.
http://www.ice.ge/symposium/symp_2013_3/masalebi.pdf
13. მარგალიტაძე თ., ქერეჭაშვილი გ., – სამეცნიერო ტექსტების ინგლისურ-ქართული პარალელური კორპუსი (არიანე ჭანტურას თარგმანების ბაზაზე), „ქართული ენა და თანამედროვე ტექნოლოგიები – 2013“, კონფერენციის მასალები, მერიდიანი, თბილისი, 2013, გვ. 85-88.
http://www.ice.ge/symposium/symp_2013_3/masalebi.pdf
14. ხალვაში რ., – დიგიტალური ჰუმანიტარიის შესავალი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, 2018.
15. ეკლინგ – საფრთხეში მყოფი კავკასიური ენები საქართველოში / ECLING – Endangered Caucasian Languages in Georgia – [ელექტრონული რესურსი]. – ხელმისაწვდომია: <http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/ecling/ecling.htm> – ნახვის თარიღი: 22.02.2020.
16. პარალელური კორპუსი – [ელექტრონული რესურსი]. – <https://corp.dict.ge/> – ნახვის თარიღი: 22.02.2020.
17. საქართველოს ეპიგრაფიკული კორპუსი – [ელექტრონული რესურსი]. – <http://epigraphy.iliauni.edu.ge/> – ნახვის თარიღი: 22.02.2020.
18. „სკეჩენჯინი“ – [ელექტრონული რესურსი]. – <https://www.sketchengine.eu/user-guide/user-manual/corpora/corpus-hosting/> – ნახვის თარიღი: 22.02.2020.
19. სსგგ – სოციოლინგვისტური სიტუაცია დღევანდელ საქართველოში / SSGG – The sociolinguistic situation of present-day Georgia – [ელექტრონული რესურსი]. – ხელმისაწვდომია: <http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/ssgg/ssgg.htm> – ნახვის თარიღი: 22.02.2020.
20. სტრუქტურირებული სადოქტორო პროგრამა: ციფრული ჰუმანიტარია – [ელექტრონული რესურსი]. – <https://iliauni.edu.ge/uploads/other/44/44175.pdf> – ნახვის თარიღი: 22.02.2020.
21. ქეეკ – ქართული ენის ეროვნული კორპუსი / GNC – Georgian National Corpus – [ელექტრონული რესურსი]. – ხელმისაწვდომია: <http://gnc.gov.ge/gnc/page> – ნახვის თარიღი: 22.02.2020.
22. „კლარინო“ – [ელექტრონული რესურსი]. – <http://clarino.uib.no/korpuskel/corpus-list> – ნახვის თარიღი: 22.02.2020.
23. ქდკ – ქართული დიალექტური კორპუსი / GDC – Georgian Dialect Corpus – [ელექტრონული რესურსი]. – <http://www.corpora.co/> – ნახვის თარიღი: 22.02.2020.
24. ქართული სამეცნიერო მეტაენის კორპუსი – [ელექტრონული რესურსი]. – <http://sml.corpora.co/#/> – ნახვის თარიღი: 22.02.2020.
25. ქართული ენის კორპუსი – [ელექტრონული რესურსი]. – <http://corpora.iliauni.edu.ge/> – ნახვის თარიღი: 22.02.2020.

26. **KaWaC – Kartvelian Web as a Corpus – ქართველური ვები, როგორც კორპუსი** – [ელექტრონული რესურსი]. – <http://corpus.leeds.ac.uk/internet.html> – ნახვის თარიღი: 22.02.2020.

Natia Kenchiashvili

History of Corpus Linguistics as a New Interdisciplinary Field in Georgia (Corpora and Webcorpora)

Abstract

Popularizing of corpus linguistics in Georgia was promoted by scholars of the Institute of Empirical Linguistics of Goethe University of Frankfurt: J. Gippert, M. Tandashvili and etc. Since 2012, Batumi Shota Rustaveli State University hosts summer and winter schools in corpus linguistics, digital Kartvelology and digital humanities. The first Georgian handbook in corpus linguistics was published by M. Tandashvili and Z. Purtskhvanidze in 2014, entitled "Corpus Linguistics Paradigm in Linguistics" and in 2018 by R. Khalvashi's authorship – "Introduction to Digital Humanities".

In the process of documenting Georgian languages, the leading role is also given by the Institute of Empirical Linguistics of Goethe University of Frankfurt. As a result, we have a many sources such as TITUS-ARMAZI (Alternative Resources, Materials, Applications and Zipped Information – Caucasian Languages and Cultures: Email Documentation) – 1999-2002, ECLinG (Endangered Caucasian Languages in Georgia) Languages in Georgia) – 2002-2005, SSGG (Die Soziolinguistische Situation im gegenwärtigen Georgien – Sociolinguistic situation in modern Georgia), 2005-2007. Besides the above mentioned electronic resources, the Georgian National Corpus Project (GNCC) has laid the foundations for such projects as the Georgian language corpus; Georgian Dialectic Corpus, Georgian Scientific Metalanguage Corpus, Georgian political corpus and etc.

At the base of Ilia State University there were also several important projects that were aimed at building the corpus: Georgian language corpus and The Epigraphic Corpus of Georgia. In addition, the linguistic corpus of the Georgian language, which was created at the Georgian Technical University and Parallel Corpus – parallel corpus of English-Georgian scientific texts, created by the "lexicographic center" of Ivane Javakhishvili Tbilisi State University. Besides the Georgian language corpora, there is also the Georgian webcorpus named KaWaC (Kartvelian Web as a Corpus), which was created within the framework of S. Daraselia's doctoral studies. Thus, after the development of the corpus linguistics in Georgia, many types of corpus and webcorpus were created, which is a very important fact.

რეცენზენტი: პროფ. თ. ლომთაძე

ევიდენციალურ-ეპისტემიკური მწკრივების კვალიფიკაციის საკითხი მეგრულში

მაია ლომია

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

lomia@tsu.ge

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ეპისტემიკურ-ევიდენციალური შინაარსის მწკრივების კვალიფიკაციის საკითხი მეგრულში. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ზმნური ფორმები ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში შენიშნული, გამოყოფილი და აღწერილი იყო ჯერ კიდევ გასული საუკუნის მიწურულიდან, თუმცა მათ სხვაგვარი კვალიფიკაცია ჰქონდათ. როცა ევიდენციალურ-ეპისტემიკური ფორმების ორგანულ (მორფოლოგიურ) წარმოებაზეა საუბარი, იგულისხმება საუღლებელი ზმნითა (**აწმყოს კავშირებითის ან პირობითი I-ის მწკრივებით**) და **დამხმარე საშუალებით** (იცი/იყუაფუ „იქნება“, იციდუ/იყუაფუდუ „იქნებოდა“) გადმოცემული რთული ფორმები. ამ ფორმათა გამოყოფის ისტორია **თავიდან** მჭიდროდ დაუკავშირდა მყოფადის წარმოებას და ორივე ტიპის ფორმებს ეწოდა: **მყოფადუსრული**: ჭარუნდას იცი/იყუაფუ „წერდეს იქნება“; ჭარუნდუკო იციდუ/იყუაფუდუ „წერდეს იქნებოდა“. შემდგომ ეს და ამ ტიპის ფორმები გაიყო და ეწოდათ: **მყოფადუსრული**: ჭარუნდას იცი/იყუაფუ „წერდეს იქნება“ და **პირობითუსრული**: ჭარუნდუკო იციდუ/ იყუაფუდუ „წერდეს იქნებოდა“. მოგვიანებით, **აწმყოს კავშირებითითა** და **დამხმარე საშუალებით** ნაწარმოებ ფორმებს ეწოდა: **აწმყო უსრულის კავშირებითი**.

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა დროს ცალკეული ავტორების მიერ (ზ. ჭუმბურიძე, ი. ქობალავა, ქ. მარგიანი), გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინებამ და ამ ფორმათა ევიდენციალური კუთხით შეფასებამ შესაძლებელი გახდა მათი ევიდენციალურ-ეპისტემიკურ მწკრივებად კვალიფიკაცია. კერძოდ, სათანადო მეთოდოლოგიური მიდგომით გამოიკვეთა, რომ: 1. მეგრულში დასტურდება ორი ევიდენციალურ-ეპისტემიკური მწკრივი: ევიდენციალურ-ეპისტემიკური აწმყო და ევიდენციალურ-ეპისტემიკური იმპერფექტი I.

2. ევიდენციალურ-ეპისტემიკური აწმყო გადმოიცემა აწმყოს კავშირებითის მწკრივისა და იცი/იყუაფუ „იქნება“ ნაწილაკის საშუალებით.

3. ევიდენციალურ-ეპისტემიკური იმპერფექტი I გადმოიცემა პირობითი I-ის მწკრივისა და იციდუ/იყუაფუდუ „იქნებოდა“ ნაწილაკის საშუალებით.

4. ევიდენციალურ-ეპისტემიკურ მწკრივთა რთული ფორმები გამოხატავენ საეჭვო-სავარაუდო მოქმედებას აწმყოსა და წარსულში და ამით უპირისპირდებიან ნეიტრალური აწმყოსა და უწყვეტლის მწკრივებით გადმოცემულ მოქმედებას.

5. მეგრულში დადასტურებული ევიდენციალურ-ეპისტემიკურ მწკრივთა რთული ფორმები ქართულად გადმოიცემა აწმყოს ან უწყვეტლის ზმნური ფორმებითა და „ალბათ“ ნაწილაკით.

6. მიუხედავად იმისა, რომ ევიდენციალურ-ეპისტემიკური მწკრივები ორი ნაწილისგან შედგება და რთული სტრუქტურისაა, აზრობრივად ერთიანია და მათი ადგილი მწკრივთა სისტემაშია.

საკვანძო სიტყვები: ეპისტემიკურ-ევიდენციალური შინაარსის მწკრივები

მეგრულში, ისევე როგორც სხვა ქართველურ ენებში და ზოგადად ბევრ ენაში, ორი სახის ევიდენციალობა დასტურდება: არამოდალიზებული და მოდალიზებული. როცა ფონურ ცოდნაზე დამყარებული ინფერენციული წყაროდან მიიღება ინფორმაცია, ადამიანი საკუთარ აღქმაში მას აფასებს **საეჭვოდ, სავარაუდოდ, საალბათოდ**. ამგვარი შეფასების საფუძველზე იქმნება **ეპისტემიკური მოდალობის** გამოხატველ ფორმები, რომლებიც გადმოიცემა როგორც აღწერითი, ასევე ორგანული საშუალებებით. ლექსიკურად (აღწერითად) ნებისმიერი აზრი თუ ფორმა შეიძლება გამოიხატოს ენაში, ხოლო ორგანული წარმოების გაჩენა ბევრ რამეზეა დამოკიდებული და ასევე, მორფოლოგიური თვალსაზრისით ენის შესაძლებლობებზეც იძლევა წარმოდგენას.

მეგრულში მოდალიზებული ევიდენციალობა გამოიხატება გრამატიკულად (მორფოლოგიურად) და ლექსიკურად.

წინამდებარე **ნაშრომის მიზანია** მორფოლოგიური საშუალებების, კერძოდ, ეპისტემიკურ-ევიდენციალური შინაარსის მწკრივების კვალიფიკაციის საკითხის განხილვა მეგრულში. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ზმნური ფორმები ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში შენიშნული, გამოყოფილი და აღწერილი იყო ჯერ კიდევ გასული საუკუნის მიწურულიდან, თუმცა მათი გამოყოფა **თავიდანვე** მჭიდროდ დაუკავშირდა მყოფადის წარმოებას. ქართულისაგან

განსხვავებულ რთულ ფორმებს, რომლებიც აწმყოს კავშირებით ან პირობითი I-ითა და დამხმარე საშუალებით (იცი/იყუაფუ „იქნება“ იქიდუ/ იყუაფუდუ „წერდეს იქნება“) გადმოიცემა, მ. მარგველაშვილმა *მყოფადუსრული* უწოდა: *ჭარუნდას იცი/იყუაფუ „წერდეს იქნება“*; *ჭარუნდუკო იქიდუ/ იყუაფუდუ „წერდეს იქნებოდა“* [მარგველაშვილი 1980 : 164-165], თუმცა მწკრივთა სისტემაში არ შეუტანია [მარგველაშვილი 1982]. ზ. ჭუმბურიძემ განაცალკევა ისინი და *ჭარუნდას იცი/იყუაფუ „წერდეს იქნება“* ტიპის ფორმებს დაუტოვა ძველი სახელწოდება (*მყოფადუსრული*), ხოლო *ჭარუნდუკო იქიდუ/იყუაფუდუ „წერდეს იქნებოდა“* ტიპისა გააერთიანა *პირობითუსრული* სახელწოდების მწკრივში [ჭუმბურიძე 1986: 133]. *პირობითუსრული*-ს ცალკე მწკრივად გამოყოფას დაეთანხმა ო. ქაჯაიაც [ქაჯაია 2001:64], თუმცა არ შეცვლილა ამ მწკრივთა სტატუსი და *უსრული ასპექტის მყოფადად* განიხილებოდა.

ტრადიციულად მიღებულ მყოფადუსრულის მწკრივს ((*ჭარუნდას იყუაფუ/იცი*) „წერდეს იქნება“) ბოლო პერიოდის ნაშრომში ეწოდა *აწმყო უსრულის კავშირებითი* [გერსამია 2013:95-101], თუმცა მწკრივის დასახელების შეცვლამ საანალიზო ფორმის სემანტიკასა და, შესაბამისად, კვალიფიკაციაში სიცხადე ვერ შეიტანა შემდეგი გარემოებების გამო: *მყოფადი* და *მყოფადუსრული* ერთმანეთს შეიძლება დაუპირისპირდეს თეორიულად, როგორც სრული და უსრული ასპექტის ფორმები, რასაც ვერ ვიტყვით *აწმყოს* და *აწმყო უსრულზე*, რადგან აწმყო თავისთავად უსრული ასპექტისაა. რაც შეეხება „*კავშირებითს*“, ხასიათდება სემანტიკური მრავალფეროვნებით, როგორც მოდალობის გამომხატველი; ამიტომ, სახელდება თუ მოდალობის მიხედვით უნდა დაზუსტდეს, კონკრეტულ სემანტიკაზე მინიშნება აუცილებელია.

აღნიშნულ ფორმებზე მსჯელობისას თავის დროზე ზ. ჭუმბურიძემ აღნიშნა, რომ „[ისინი] გამოყენებულია... შესასრულებელი მოქმედების შესაძლებლობის, ალბათობის აღსანიშნავადაც“ და, მიუხედავად რთული აგებულებისა, მწკრივთა სისტემაში უნდა ერთიანდებოდნენ [ჭუმბურიძე 1986:133-136]. აღნიშნული ფორმების სწორი გრამატიკული კვალიფიკაციისთვის მნიშვნელოვანია ი. ქობალავას თვალსაზრისიც, რომლის მიხედვით, *აწმყოს კავშირებითი + იყუაფუ/იცი „იქნება“* მოდელით გადმოცემული ზმნური ფორმები გამოიყენება „*აწმყოში მოქმედების თანადროულობის აღსანიშნავად*“ [ქობალავა 2015: 234] (იგივე თვალსაზრისი ბევრად ადრე აქვს გამოთქმული ი. ქობალავას სამეცნიერო სემინარებზე). ზემოაღნიშნულ მეგრულ ფორმებთან გაავლო პარალელი ე. მარგიანმა სვანურში ორი ტიპის აწმყოს (ნეიტრალურისა და ეპისტემიკურის) არსებობის შესახებ მსჯელობისას. მისი აზრით, მეგრული „*ჭარუნდას იყუაფუ/იცი „წერდეს იქნება“* ტიპის ფორმები, როგორც ჩანს, სვანურის ინფერენციული აწმყოს (მყოფადუსრულის) იდენტური სემანტიკისაა“ [მარგიანი 2012: 117].

ქართველ მეცნიერთა (ზ. ჭუმბურიძე, ი. ქობალავა, ქ. მარგიანი) მოსაზრებების გათვალისწინება და ზემოხსენებული მწკრივების ევიდენციალური კუთხით შეფასება იძლევა ზმნურ პარდიგმათა (მწკრივთა) ზემოხსენებული დასახელებების რეინტერპრეტაციის საშუალებას.

საანალიზო ფორმათა კვალიფიკაციის საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული მათი ფორმაწარმოებისა და სემანტიკის შესწავლასთან. სტრუქტურულად ეს ფორმები, როგორც აღვნიშნეთ, ორი კომპონენტისგან შედგება: **საუღლებელი ზმნა + ნაწილაკი** (და არა მეშველი ზმნა, როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული). რთული ფორმით გადმოცემული მწკრივების სემანტიკის დასადგენად გადამწყვეტია საუღლებელი, საყრდენი ზმნების მნიშვნელობა, რომლებიც გადმოცემულია *აწმყოს კავშირებითით*, მყოფადუსრულის შემთხვევაში, და *პირობითი I-ით* (*resp. აწმყოს პირობითით*), პირობითუსრულის შემთხვევაში.

აწმყოს კავშირებითი ეყრდნობა ნამყო უწყვეტელს, მაგრამ, კავშირებითი რამდენადაც მოდალური კილოა, შეუძლია დროის შეცვლა და ისიც **ახლანდელი დროის გაგებას** იძენს. „ამ ფუნქციით გამოხატავს აწმყოში არშემდგარ მოქმედებას და მის მიმართ მოლაპარაკე პირის დამოკიდებულებას.. . ამის მიხედვით ზმნური მოქმედება წარმოგვიდგება როგორც **შესაძლებელი, სავარაუდებელი, სასურველი, ან სანატრელი**“ [ქობალავა 2001 : 115]. ამიტომ, სრულიად კანონზომიერია *აწმყოს კავშირებითით* გადმოცემული მოდალური ზმნისა და მოდალური ნაწილაკის (*იყუაფუ/იცი* „იქნება“) აზრობრივი შეხამება საეჭვო-სავარაუდო მოქმედების გადმოსაცემად. ამგვარ კომბინაციას ენა მიმართავს მაშინ, როდესაც აწმყოში ორი მოქმედება უკავშირდება ერთმანეთს; კერძოდ:

მოქმელი საუბრობს ფონური ცოდნის მიხედვით, თუმცა კონკრეტული შემთხვევისთვის არ არის დარწმუნებული მის აუცილებლად შესრულებაში; ამიტომ ნათქვამი შესაძლებელ-სავარაუდოობის, საეჭვოობისა და ალბათობის ელფერს ატარებს.

პირობითუსრულის მწკრივში ძირითადი საუღლებელი ზმნაა *პირობითი I*, რომელიც უწყვეტლის ფუძეზე -*კო* სუფიქსის დამატებით იწარმოება. *პირობითი I*-ის ფორმებიც „იმავე შინაარსის მოდალობას გამოხატავენ, რასაც აწმყოს კავშირებითის ფორმები — არშემდგარ მოქმედებას და ამ მოქმედების შეფასებას მოლაპარაკე პირის თვალსაზრისით. განსხვავებას ქმნის მხოლოდ დრო“ [ქობალავა 2001: 118]; კერძოდ, მოქმედებათა **თანადროულობა აწმყოდან გადატანილია წარსულში** და გადმოცემა *პირობითი I-ით* შესაბამის მოდალურ ნაწილაკთან (*იყუაფუდუ/იციდუ* „იქნებოდა“) ერთად.

დასკვნა:

ამრიგად, მეგრულში დასტურდება ორი ევიდენციალურ-ეპისტემიკური მწკრივი, რომელთა ტრადიციული დასახელებებია: *მყოფადუსრული* და *პირობითუსრული*. ახლებური კვალიფიკაციის გათვალისწინებით, *მყოფადუსრულის* სახელწოდებაა *ევიდენციალურ-ეპისტემიკური აწმყო*¹, ხოლო *პირობითუსრულისა* – *ევიდენციალურ-ეპისტემიკური იმპერფექტი I*. აღნიშნული ზმნური ფორმების ქართულად გადმოტანისას სემანტიკური ნიუანსების შენარჩუნება შესაძლებელია *აწმყოს* ან *უწყვეტლის* მწკრივისა და *ალბათ* ნაწილაკის საშუალებით: *ჭარუნდას იცი/იყუაფუ „წერს ალბათ“; ჭარუნდუკო იციდუ/იყუაფუდუ „წერდა ალბათ“*.

ევიდენციალურ-ეპისტემიკური მწკრივების საშუალებით მთქმელი ასახელებს შესაძლებელ-სავარაუდო, ალბათობის სემანტიკის მოქმედებას ახლანდელ ან წარსულ დროში. მთქმელის ვარაუდი ეფუძნება გარკვეულ გამოცდილებას, რომელსაც ის კონკრეტული შემთხვევისთვის განაზოგადებს. რამდენადაც ის არ არის დარწმუნებული დასახელებულ მოქმედებათა შესრულების აუცილებლობაში, ნათქვამს ახლავს ალბათობის, სავარაუდოობის ელფერი. ამით უპირისპირდება ევიდენციალურ-ეპისტემიკური აწმყო და უწყვეტელი ნეიტრალურ აწმყოსა და უწყვეტელს.

ლიტერატურა:

1. **გერსამია რ.**, – აწმყო-მყოფადის სისტემა მეგრულში, I საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა“. შრომები. გვ. 95-101. ქუთაისი. 2013.
2. **მარგველაშვილი მ.**, – მყოფადის წარმოებისათვის მეგრულში, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები. კრებული 23, გვ. 163-168. „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“. თბილისი. 1980.
3. **მარგველაშვილი მ.**, – მწკრივთა წარმოება მეგრულში. საკანდიდატო დისერტაცია (ხელნაწერის უფლებით). თბილისი. 1982.
4. **მარგიანი ქ.**, – ევიდენციალობის კატეგორია ქართველურ ენებში. გამომცემლობა „გლობალ-პრინტი +“. თბილისი. 2012. 316 გვ.
5. **ქაჯაია ო.**, – მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I. გამომცემლობა „ნეკერი“. თბილისი. 2001.

¹ მეგრულში დადასტურებული ევიდენციალურ-ეპისტემიკური მწკრივების ტერმინოლოგიისა და კვალიფიკაციის საკითხების შესახებ დაწვრილებით მსჯელობა მოცემულია მონოგრაფიაში „ევიდენციალობის კატეგორია ქართველურ ენებში“ (თ. I, §3,5), თბ. 2019 (ავტორები: ქ. მარგიანი, რ. ქურდაძე, მ. ლომია).

6. ქობალავა ი., – კავშირებითი კილო მეგრულში. სამეცნიერო ჟურნალი „ენათმეცნიერების საკითხები“, #4. „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“. თბილისი. 2001.

7. ქობალავა ი., – დროის სემანტიკა მეგრულში, სამეცნიერო ჟურნალი „ენათმეცნიერების საკითხები“, გვ.218-251. „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“. თბილისი. 2015.

6. ჭუმბურიძე ზ., – მყოფადი ქართველურ ენებში. „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“. თბილისი. 1986. 264 გვ.

Maia Lomia

The Issue of Qualification of Evidential-Epistemic Screeves¹ in Megrelian

Abstract

In Megrelian, like other Kartvelian languages and, in general, numerous languages of the world, there are two types of evidentiality: modalized and non-modalized. When information is obtained from an inferential source based on background knowledge, such information is considered as *dubitable*, *probable*, *likely*. Based on such evaluation, the forms expressing *epistemic modality* are created. These forms are expressed both descriptively and organically. In Megrelian, modalized evidentiality is also expressed lexically (descriptively) and grammatically (by means of verb paradigms i.e. screeves).

The given paper focuses on the issue of qualification of epistemic-evidential screeves in Megrelian. It should be mentioned that such verb-forms were noted, distinguished and described in the Georgian scientific literature at the end of the past century, yet, they were qualified differently. When speaking of the organic (morphological) formation of evidential-epistemic forms, we imply complex forms expressed by means of **Present Subjunctive** or **Conditional I**, as well as **additional means** (*i"i/i"uapu* „may be“, *i"idu/i"uapudu* „would be“). **Initially**, the distinction of these forms was closely related to the formation of the future tense, and the forms of both types were termed as follows: **Future Continuous**: *čarundas i"i/i"uapu* „he/she may be writing“; *čarunduko i"idu/i"uapudu* „would be writing“. Later, the forms were separately termed as: **Future Continuous**: *čarundas i"i/i"uapu* „may be writing“ and **Conditional**

¹ A screeve is a verb paradigm which is based on screeve and mood.

Continuous: *čarunduko i"idu/i"uapudu „would be writing“*. Later, the forms expressed by means of **Present Subjunctive** and **additional means** were termed as **Present Continuous Subjunctive**.

It should be noted that consideration of opinions of different authors (Z. Chumburidze, I. Kobalava, K. Margiani) and the evaluation of the forms in question from the viewpoint of evidentiality have enabled their qualification as evidential-epistemic screeves. Namely, based on the corresponding methodological approach, it has been concluded that:

1. In Megrelian, there are two evidential-epistemic screeves: *Evidential-Epistemic Present* and *Evidential-Epistemic Imperfect I*.

2. *Evidential-Epistemic Presentis* expressed by means of Present Subjunctive and *i"i/i"uapu „may be“* modal form.

3. *Evidential-Epistemic Imperfect I* is expressed by means of Conditional I and the modal form *i"idu/i"uapudu „would be“*.

4. The complex forms of evidential-epistemic screeves express dubitable-probable actions in the present and past. In this, they are opposed to actions expressed by means of neutral present and continuous tenses.

5. The Megrelian complex forms of evidential-epistemic screeves are expressed in Georgian by means of neutral present or continuous verb-forms and the modality adverb „probably“.

6. In spite of the fact that evidential-epistemic screeves consist of two parts and are of complex structure, they are semantically unified and they perfectly fall within the tense system.

რეცენზენტი: პროფ. რუბენ ენუქაშვილი (ენოხი)

ოდნობითობის სემანტიკის გამოხატვისათვის ქართულში

თამარ მამარდაშვილი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

e-mail:tamar.mamardashvili.@atsu.edu.ge

ხარისხის ფორმა საგანთა გარკვეული ნიშნისა თუ თვისების ურთიერთდაპირისპირების, ურთიერთმიმართებისა და შედარების საფუძველზე მიიღება და საგნის ნიშანზევე მიუთითებს. ხარისხის შესახებ ჩვეულებრივ ვმსჯელობთ ზედსართავ სახელებთან მიმართებაში, რამეთუ იგი უშუალოდ გამოხატავს ისეთ ნიშან-თვისებას, რომელიც შეიძლება იყოს მეტი ან ნაკლები ოდენობის, სხვადასხვა ხარისხის და ხარისხის წარმოების უნარი ძირითადად აქვს ვითარებით ზედსართავებს, იშვიათად მიმართებითსაც და თუკი რომელიმე შეიძენს ამ უნარს, ვითარებითის ჯგუფში გადადის.

საგნის ნიშნის ნაკლები ოდენობით გამოხატველია ოდნობითი ხარისხის ფორმა. მიმართება უფროობითი ხარისხის ფორმისა დადებითისადმი ისეთი არ არის, როგორც ოდნობითისა იმავე დადებითის მიმართ, რამეთუ საგნის ნიშანს უფროობითი გამოხატავს მეტი ოდენობით, განუსაზღვრელად, ოდნობითი კი – ნაკლები ოდენობით, მაგრამ ერთგვარი მიახლოებით, განსაზღვრით. აღწერითი წარმოება, მართალია, საგნის ნიშნის მეტი ოდენობის შინაარსობრივი გადმომცემია, თუმცა ზოგჯერ ოდნობითის, სიმცირის გადმოცემაც შეუძლია.

ნისანდობლივია, რომ ოდნობითობის გაგება სცილდება ზედსართავი სახელის სფეროს და ენაში ნათლად იკვეთება ზოგიერთი ზმნისწინის მეტ-ნაკლები როლი მოქმედების სიმცირის, სიცოტავის ანუ ოდნობითობის აღნიშვნა-გადმოცემაში ზმნებთან და რიგ ფორმებში სახელზმნასთანაც, რომელიც თანაბრად შეიგუებს როგორც სახელურ, ისე ზმნურ ნიშნებს..

ახალ ქართულში მოქმედების ოდნობის, მცირე ზომით შესრულების, ხარისხის ან მოცულობის შედარებითი სიმცირის გამოსახატად მო-, წა-, ჩა-, შე-, წამო- ზმნისწინები გამოიყენება, რომლებიც ძირითად ფუნქციასთან ერთად ამ გაგებასაც ითავსებენ. ეს სემანტიკა კიდევ უფრო მრავალფეროვნებით გვეძლევა ქართული ენის დიალექტებში.

საკვანძო სიტყვები: ოდნობითი ხარისხის გამოხატვა, ზმნისწინის ფუნქციები

საგნის ნიშან-თვისების მეტი ან ნაკლები ოდენობით წარმოდგენა დამყარებულია ძირეულისა და წარმოქმნილის შედარებაზე. შედარების დროს ამოსავლად აღებული ფორმა (წარმოების თვალსაზრისით ძირეული) მიჩნეულია დადებით ხარისხად, ხოლო მასზე მეტი ან ნაკლები ოდენობის გამომხატველი ფორმები, შესაბამისად, უფროობით და ოდნაობით ხარისხად. ხარისხის ფორმა საგანთა გარკვეული ნიშნისა თუ თვისების ურთიერთდა-პირისპირების, ურთიერთმიმართებისა და შედარების საფუძველზე მიიღება და საგნის ნიშანზევე მიუთითებს.

როგორც წესი, ხარისხის ფორმებს აწარმოებს ზედსართავი სახელი, რამეთუ იგი უშუალოდ გამოხატავს ისეთ ნიშან-თვისებას, რომელიც შეიძლება იყოს მეტი ან ნაკლები ოდენობის, სხვადასხვა ხარისხის. ვითარებითი ზედსართავებიდან ზოგს ხარისხის სამივე ფორმა ეწარმოება, ზოგს ორი. თუმცა, არის რიგი ვითარებითი ზედსართავებისა, რომელიც მუდმივ ნიშანს გამოხატავს და შესაბამისად ხარისხის ფორმებს არ იწარმოებს: სველი, ჩუმი, ანკარა, ნელი, შხაპუნა, კოჭლი... ან ხასიათდება ხარისხის ნაკლებლოვანი სისტემით (ნაზი - უნაზესი, ნაცრისფერი - მონაცრისფრო...). რაც შეეხება მიმართებითებს, რადგანაც ისინი მეორეული წარმოშობისაა, ამგვარ წარმოებას მოკლებულნი არიან (მაგ.: შავი შეიძლება იყოს მეტად შავიც და ნაკლებად შავიც. შდრ.: ქუდიანი, საურმე და მისთ., რომლებიც საგნის ამა თუ იმ ნიშანს უჩვენებენ, მაგრამ მათი ნაკლები ან მეტი ოდენობით წარმოდგენა შეუძლებელია). ამის უნარი მათ მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვთ, როცა მიმართებითობას კარგავენ და ვითარებითად იქცევიან.

დადებითთან შედარებით საგნის ნიშნის ნაკლები ოდენობით გამომხატველია ოდნაობითი ხარისხის ფორმა. აღსანიშნავია, რომ ოდნაობითი ხარისხის ფორმები ქართული ენის განვითარების მანძილზე ერთნაირად გავრცელებული არ ყოფილა: ძველ ქართულში იშვიათია, რადგან ამ დროის ძეგლებში აღწერითი წარმოებაა მეტად გაბატონებული, ახალ და თანამედროვე ქართულში კი უფრო ხშირად იხმარება.

ოდნაობითის ფორმები უფროობითთან შედარებით ქართულში ნაკლებ განვითარებულია. მიმართება უფროობითი ხარისხის ფორმისა დადებითისადმი ისეთი არ არის, როგორც ოდნაობითისა იმავე დადებითის მიმართ, რამეთუ საგნის ნიშანს უფროობითი გამოხატავს მეტი ოდენობით, განუსაზღვრელად, ოდნაობითი კი – ნაკლები ოდენობით, მაგრამ ერთგვარი განსაზღვრით, მიახლოებით, ოდნავ. მაგ.: უ-თეთრ-ეს-ი არის ისეთი, რომელიც სითეთრით უმაღლესი ხარისხისაა, მო-თეთრ-ო კი თეთრს უახლოვდება, სითეთრის ნიშნები აქვს, ანუ ოდნავ თეთრია. სწორედ სემანტიკა განაპირობებს სახელწოდებებს. ზოგადად, ფერისა და ზომის აღმნიშვნელი სახელებისათვის უფრო ბუნებრივია ოდნაობითი ხარისხის წარმოება (ლურჯი - მოლურჯო, ყვითელი - მოყვითალო), მსგავსი ფორმების უფროობითი ხარისხის მნიშვნელობის

გადმოცემა ცოცხალ მეტყველებაში უფრო ბუნებრივად აღწერთი წარმოებით გამოიხატება (ხასხასა მწვანე, მუქი ლურჯი...).

საყურადღებოა, რომ ხარისხის გადმოსაცემად ენას მოეპოვება ასევე აღწერთი წარმოებაც, როდესაც ნიშნის ან თვისების გადმომცემ სახელთან ჩვეულებრივ გამოყენებულია ზმნიზედები. აღწერთი წარმოება, მართალია, საგნის ნიშნის მეტი ოდენობის შინაარსობრივი გადმომცემია, თუმცა ზოგჯერ ოდნაობითის, სიმცირის გადმოცემაც შეუძლია (ოდნავ დიდი და მისთ.)

სამეცნიერო ლიტერატურაში ზმნისწინთა ფუნქციებზე მსჯელობისას გამოკვეთილია მათი მეტ-ნაკლები როლი მოქმედების სიმცირის, სიცოტავის ანუ ოდნაობითობის აღნიშვნა-გადმოცემაში.

ახალ ქართულში მოქმედების ოდნაობას, მცირე ზომით შესრულებას, სიცოტავს ყველაზე ხშირად მო- ზმნისწინი გამოხატავს. იგი „ზმნას აძლევს ოდნაობის, ზერელობის გაგებას, მო-რბილდება, მო-მწარდება, მო-მჟავდება, მო-ისუსტებს, მო-იდიდება... მო- აქედან უნდა იყოს გადასული ოდნაობითის ფორმებში (მო-დიდო, მო-სუსტო...) [ჯორბენაძე, 1988:302]. თუ ერთმანეთს შევადარებთ ფორმებს: მოათბო და გაათბო, მოალბო – გაალბო, მოაცოცხლა – გააცოცხლა... ცხადია, ეს უკანასკნელი თავის ძირითად შინაარსს სისავსით წარმოგვიდგენს, ეს სისრულე უკვე აღარ იგრძნობა ამავე ზმნათა მო- ზმნისწინიან ფორმებში, სადაც მოქმედების შესრულება მცირე დოზით ხასიათდება. ასეთი ზმნები თანამედროვე ქართულში მრავლადაა: მოასველებს – ცოტათი დაასველებს; მოიზარმაცებს – ოდნავ ზარმაცია; მომხიარულდება – თანდათან გამხიარულდება; მოიკოჭლებს – ოდნავ კოჭლია; მოიძუნწებს – ცოტა ძუნწია და სხვ. [4:686-695].

მო- ზმნისწინის მიერ მოქმედების სიმცირის გამოხატვის შესაძლებლობა სულხან საბა ორბელიანის „სიტყვის კონაშიცაა“ დადასტურებული: მომკვდარუნება – თავი მკუდარს ამსგავსოს; მოხრა – მცირედ მოდრეკა; მოთუთქვა – მცირედ მოხარშვა, მოჭუტვა – თვალის ოდნავ მოხუჭვა [ორბელიანი, 1991: 496-505].

საყურადღებოა, რომ მო- პრეფიქსიანი ფორმების გვერდით ოდნაობითის მნიშვნელობით ვხვდებით წა- ზმნისწინიან წარმოებასაც: წა-იმუშავა, წა-ითამაშა, წა-იმღერა, წა-თვლიმა, წა-იბორძიკა, წა-ივარჯიშა, წა-ისაუზმა, წა-იეშმაკებს, წა-იკოჭლებს, წა-იპოეტებს და ა.შ. ოდნაობითი ხარისხის თავკიდური მაწარმოებლის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში ვარაუდობენ, რომ „როგორც მო-, ისე წა- წარმოშობით იგივეა, რაც სათანადო ზმნისწინები“ [შანიძე, 1973:141]. შდრ.: მოიწითლებს//წაიწითლებს და მოწითალო//წაწითალო, ასევე მოითეთრებს//წაითეთრებს და მოთეთრო//წათეთრო და მისთ. ფორმები. ჩანს, ოდნაობითი ხარისხის ფორმები დასახელებულ ზმნებს სწორედ ზმნისწინებით უკავშირდება, რამეთუ

აღნიშნულ ზმნებში მო- და წა- ზმნისწინები ცოტაობას გამოხატავენ და ოდნაობითი ხარისხის სახელებშიც იმავე მნიშვნელობით გამოიყენებიან. საყურადღებოა, რომ სულხან-საბას “სიტყვის კონაში” მოცემული ზოგიერთი ზმნის განმარტებაც იმაზე მიგვითითებს, რომ ყურადღება გავამახვილოთ მოქმედების ოდნაობითობის აღნიშვნაზე. მაგ.: წაჭრა – მცირე კიდურთ მოკვეთა; წაჭრილი – მცირე მოკვეთილი; წამრგვალეა – მოგრძედ დამრგვალეა [ორბელიანი, 1991: 363-369].

ამავე ფუნქციით გვხვდება წამო- ზმნისწინიც, რომელიც აღნიშნავს მოქმედების (ნიშან-თვისების) ზერელობას [შანიძე, 1973: 462]: წამო-წითლდა, წამო-იზარდა, წამო-იჩიტა, წამო-წვიმა, წამო-ნამა, წამო-სტკივდა და სხვ.

მოქმედების სიცოტავის, ოდნაობის და ხარისხის ან მოცულობის შედარებითი სიმცირის გამოსახატად ასევე შე- ზმნისწინიც გამოიყენება: შე-მწიფდა, შე-ბინდა, შე-ტკბა, შე-ხმა, შე-შრა, შე-იმღვრა, შე-ამცივნა და სხვ. აკ. შანიძე მიუთითებდა: „შე- ზმნისწინი ზოგჯერ გულისხმობს ისეთ მოქმედებასაც, რომელიც ცოტაა ზომით ან მოცულობით, ან ნაკლებია ხარისხით. მისი ეს მნიშვნელობა შეგვიძლია გავითვალისწინოთ ასეთი დაპირისპირებით: გა-წითლდა და შე-წითლდა (გაწითლდა – წითელი შეიქმნა, შეწითლდა – ოდნავ წითელი შეიქმნა), გა-ხურდა და შე-ხურდა, და-თვრა და შე-თვრა, გა-თხელდა და შე-თხელდა, გა-თბა და შე-თბა, გა-თეთრდა და შე-თეთრდა და მისთ. სულხან საბას თავის ლექსიკონში შეტანილი აქვს ფორმები: შეღვინება – მცირე სიმთვრალე; შეეცივებინა – მცირედ გაეცივებინა“ [შანიძე, 1973 : 258-259].

ეს მნიშვნელობა განვითარებული ჩანს მისი ძირითადი ფუნქციისგან, კერძოდ, მოქმედების შიგნით მამართულების ჩვენებისგან. შე- ზმნისწინია ფორმებში ოდნაობითობა ზოგჯერ დაკავშირებულია დროის გაგებასთან: შე-ავვიანდა, შე-ყოვნდა, შე-ჩერდა და მისთ.

შედარებით ნაკლებადაა გამოხატული, თუმცა ოდნაობითობის გამოხატვა იშვიათად შეუძლია ჩა- ზმნისწინსაც: ჩა-იცინა, ჩა-ილაპარაკა, ჩა-ილიმა, ჩა-იბურდღუნა [ჯორბენაძე, 1988: 444].

როგორც აღმოჩნდა, ოდნაობითის შინაარსი ზმნისწინების საშუალებით შეიძლება გადმოიცეს არა მარტო ზედსართავებთან და ზმნებთან, არამედ სახელზმნებთან, უფრო მეტად მიმღეობებთან, რამეთუ მიმღეობა, როგორც სახელზმნის ერთ-ერთი სახე, თანაბრად შეიგუებს როგორც სახელურ, ისე ზმნურ ნიშნებს. სახელური ნიშნებითა და სინტაქსური ფუნქციით იგი ზედსართავის იდენტურია და წინადადებაში გამოყენებულია, როგორც მსაზღვრელი. როგორც წესი, ხარისხის წარმოების უნარი გამონაკლისის სახით აქვთ იმ ერთეულ მიმღეობებს, „რომლებიც სახელები უფრო არიან, ვიდრე ზმნები“ და საგნის ისეთ ნიშანსა თუ თვისებაზე მიუთითებენ, რომლის წარმოდგენა შეიძლება რაოდენობრივად მეტად ან ნაკლებად“ (ა. შანიძე).

ზმნისწინის საშუალებით ხარისხის შინაარსს გადმოსცემენ ის პირველადი ზმნები და მათგან წარმოებული სახელზმნები, რომლებიც აღნიშნავენ მოქმედებას ან თვისებას, რომელიც რეალურად შესაძლებელია მოხდეს მეტი ან ნაკლები ინტენსივობით, სიღრმით (გაიყინა – შეიყინა, გაყინვა – შეყინვა, გაყინული – შეყინული).

ზოგჯერ უზმნისწინო მიმღობის ფორმა ზმნისწინიანთან მიმართებაში გადმოგვცემს ხარისხის დადებით შინაარსს (მაგ.: მი-მკვდარუნებული – მკვდარი).

ოდნობითობის სემანტიკა ასევე მრავალფეროვნებით გვეძლევა ქართული ენის დიალექტებში. მაგ.: მშისავით, აგრილდასავით, მოშავო//დაშავო, მომცრო//მოდამცრო (აჭარული), თეთრონაი, შავრონაი (ანუ მოთეთრო, მოშავო) (რაჭული), წითლონა//წაწითლონა, მაწითლონა (ხევსურული) და ა.შ. [შანიძე, 1973]

გარდა ამისა, არსებით სახელებზე მო-ო და წა-ო კონფიქსების დართვამ შეიძლება მას მიანიჭოს ოდნობითობის, მიმსგავსების გაგებაც: მოპოეტო, მომწერლო, წაპოეტო, წამწერლო...

ამდენად, უდაოა, რომ ოდნობითობის გაგება სცილდება ზედსართავი სახელის სფეროს და ენაში ნათლად იკვეთება ზოგიერთი ზმნისწინის მეტ-ნაკლები როლი მოქმედების სიმცირის, სიცოტავის ანუ ოდნობითობის აღნიშვნა-გადმოცემაში ზმნებთან და რიგ ფორმებში სახელზმნებთანაც. ეს სემანტიკა მრავალფეროვნებით გვეძლევა ასევე ქართული ენის დიალექტებშიც.

ლიტერატურა

1. თ. ზურაბიშვილი, ხარისხი ქართველურ ენებში, თსუ შრომები, ტ. 67, 1957, გვ. 129-143
2. ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ II, თბ., 1963.
3. სულხან საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბ., 1991
4. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ნაწილი I-II, თბ., 1990
5. უ. ყორღანაშვილი, ზმნასა და სახელზმნასთან ხარისხის წარმოების საკითხისათვის, ქელს, IV, თბ., 1972, გვ. 65-67
6. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973
7. ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდაკური ელემენტების ლექსიკონი, თბ., 1988

Tamar Mamardashvili

To express the semantics of diversity in Georgian**Abstract**

The form of a quality is obtained on the basis of a confrontation, relationship and comparison of a certain sign or trait of objects, and indicates the sign of the object. We usually talk about quality in relation to adjectives, because it directly expresses a trait that can be more or less quantity, the ability to produce different quality and quality is mainly related to situational adjectives, rarely to relative ones, and if one acquires this skill, it passes into the situational group.

A lesser degree of subject matter is expressed in the form of a slight degree of quality. The relation to the positive of the form of the superior quality is not the same as the relation of the minor to the same positive, because the sign of the object is expressed by the superior in more quantity, indefinitely, and the slightest in lesser quantity, but with a kind of approximation. Descriptive production, though, is more a matter of conveying the content of a subject's mark, but sometimes it can also convey the slightest, lesser.

Understandably, the understanding of singularity goes beyond the realm of the adjective, and the role of some prepositions more or less clearly in language is evident in the indication of the scarcity, infallibility, or slightness of action with verbs and in some forms even with the adverb.

In modern Georgian, the prepositions mo-, tsa-, cha-, she-, tsamo- are used to express the smallness of the action, the small size, the relative lack of quality or volume, which, along with the main function, combine this understanding. This semantics is even more diverse in the dialects of the Georgian language.

რეცენზენტი: აკად. ვაჟა შენგელია

არამანუალოური გრამატიკული მარკირების შესახებ ქართულ ჟესტურ ენაში

თამარ მახარობლიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

e-mail: tamar.makharoblidze@iliauni.edu.ge

ჟესტურ ენებში არსებობს მორფემათა გამოყოფის რამდენიმე პარამეტრი, ესა თუ ის ჟესტი არის მორფემა და აკისრია კონკრეტული მორფოლოგიური ფუნქცია. ეს მორფემები ძირითადად მანუალოური ჟესტებია, თუმცა ენაში გვაქვს არამანუალოური გრამატიკული მარკირების ფორმებიც. არამანუალოური მარკირება მოიაზრებს სახის მიმიკასა და თავის მოძრაობას. ის ორი მოცემულობა ხშირად კომბინაციაშია წარმოდგენილი. მაგალითად, მხოლოდ მიმიკა ზემოთ აწეული წარბებით (თავის განმეორებითი გაქნევის გარეშე) ვერ იქნება კითხვითი შინაარსის შემცველი ფორმა. ორივე ერთად კი საკმაოდ ნათლად გამოხატავს კითხვით შინაარსს ისეთ წინადადებებში, სადაც კითხვითი სიტყვები არ არის წარმოდგენილი.

საკვანძო სიტყვები: ჟესტური ენა, მორფემები, გრამატიკული მარკირება, არგუმენტი

ზოგადად, ჟესტურ ენებში მორფემათა გამოყოფის პარამეტრები ასეთია:

1. დელექსიკალიზაცია,
2. გრამატიკალიზაცია,
3. ჟესტის ეროზია,
4. მყარი პოზიცია ფორმაში.

ამ ჩამოთვლილი პარამეტრების ყველა ან რამდენიმე მოცემულობა ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ესა თუ ის ჟესტი არის მორფემა და აკისრია კონკრეტული მორფოლოგიური ფუნქცია. ეს მორფემები ძირითადად მანუალოური ჟესტებია, თუმცა ენაში გვაქვს არამანუალოური გრამატიკული მარკირების ფორმებიც. არამანუალოური მარკირება მოიაზრებს სახის მიმიკასა და თავის მოძრაობას. ეს ორი მოცემულობა ხშირად კომბინაციაშია წარმოდგენილი. მაგალითად, მხოლოდ მიმიკა ზემოთ აწეული წარბებით

(თავის განმეორებითი გაქნევის გარეშე) ვერ იქნება კითხვითი შინაარსის შემცველი ფორმა. ორივე ერთად კი საკმაოდ ნათლად გამოხატავს კითხვით შინაარსს ისეთ წინადადებებში, სადაც კითხვითი სიტყვები არ არის წარმოდგენილი.

ზოგადად, ჟესტურ ენებს ახასიათებთ ინდივიდუალური მიდგომები არამანუალური მარკირების მიმართ. მაგალითისთვის, ამერიკული ჟესტური ენა გაცილებით უფრო ხშირად იყენებს მიმიკურ ელემენტებს, ვიდრე ქართული. ზოგ ენაში ოდენ მანუალური ნეგაცია ვერ ჩაითვლება უარყოფად მიმიკის გარეშე.

არამანუალური გრამატიკული მარკირების ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო შემთხვევაა არგუმენტთა ანუ ზმნურ აქტანტთა მარკირება. ქართულ ჟესტურ ენაში ზმნური აქტანტები, შესაძლოა, წარმოდგენილი იყოს სამი საშუალებით:

1. პირის ნაცვალსახელით – მითითებითი (დეიქტიური) ან მიმიკური. როგორც წესი, სივრცეში განთავსებული აქტანტის ადგილი არის მითითებითი – მანუალურად ან მიმიკით.
 - მესამე პირის ზმნური აქტანტისთვის მიჩენილი ადგილი გაბმული ჟესტირების პროცესში უცვლელი რჩება.
 - ინკორპორირებული ზმნების კინეტიკა მიემართება სივრცეში განთავსებული ირიბი ობიექტისკენ.
2. არსებითი სახელით გამოხატული ზმნური აქტანტები დაირთავენ ბრუნვის ნიშნებს. ეს არის ორი ბრუნვა – ირიბი ობიექტის ბრუნვა დატიური მარკერით და ტრანზიტული ზმნის სუბიექტის ბრუნვა წარსულ დროში (აორისტში) ერგატივის მარკერით. აღსანიშნავია, რომ ეს ორივე ბრუნვა მხოლოდ ადამიანის კლასის არსებით სახელებთან გვხვდება ქართულ ჟესტურ ენაში.
3. შესაძლოა, ზმნური აქტანტი არ ჩანდეს რომელიმე წინადადებაში, ანუ მას ჰქონდეს ნულოვანი სინტაქსური მარკირება. თუ წინადადებებში მკვეთრად იყო ესა თუ ის აქტანტი წარმოდგენილი და მომდევნო წინადადებებში მისი გამოტოვება ბუნდოვანებას არ წარმოქმნის. ჟესტურ ენებს ზოგადად ახასიათებთ ამ ტიპის ელიფსისები. ეს უკავშირდება ენის ეკონომიკურობის პრინციპს.

ქართულ ჟესტურ ენას შეუძლია ზმნური აქტანტების წარმოდგენა მიმიკურად როგორც სუბიექტის ასევე (ირიბი) ობიექტის. ქვემოთ მოყვანილია წინადადება *‘შენ აძლევ მას წიგნს’*, სადაც სუბიექტი წარმოდგენილია თვალის მზერის მიმართულებით:



‘შენ აძლევ მას წიგნს’

ქვემოთ მოყვანილ წინადადებაში ‘*მან მოგცა შენ წიგნი*’ სუბიექტიც და ირიბი ობიექტიც, ორივე აქტანტი წარმოდგენილია არამანუალური მარკირებით, კერძოდ, მზერის მიმართულებით:



‘მან მოგცა შენ წიგნი’

ზემოთ წარმოდგენილი ზმნა ‘*მიცემა*’ ითვლება პოლიპერსონალურ ფორმად, რადგანაც მისი კინეტიკა მოიაზრებს ობიექტის სივრცით მიმართებას. მზერითი აქტანტის ჩართვისას ადგილი აქვს ზმნური კინეტიკის შვიწროვებას, ანუ ფორმა ‘*მიცემა*’ დავიწროვებულია ვისკენაც მიემართება იმ კუთხით. ეს სხვაობა ნათლად ჩანს ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში:



‘შენ აძლევ მას წიგნს’

აქ ირიბი ობიექტი დეიქტიური ნაცვალსახელის ფორმითაა წარმოდგენილი, ხოლო მომდევნო მაგალითში, იგი მზერითი აქტანტით არის მოცემული. შესაბამისდ, ზმნა დავიწროვებულია და აღარ აქვს ირიბი ობიექტის ფართო კინეტიკური მინიშნება:



‘შენ აძლევ მას წიგნს’

არამანუალური მარკირება გვხვდება ე.წ. მარტივ ზმნებთანაც როგორცაა მიყვარს/უყვარს ფორმები:



‘მას ვუყვარვარ მე’

მოცემულ წინადადებაში 'მას ვუყვარვარ მე' ობიექტიც და სუბიექტიც მზერითი აქტანტებითაა წარმოდგენილი. ამ ტიპის ზმნებში ზოგჯერ ზმნის წარმოდგენისას ხდება აქტანტის /ობიექტის გამოხატვა თანადროულად. ამ გარემოებას კი ეს ზმნები გადაჰყავს ე.წ. ინკორპორირებულ ზმნათა რიცხვში, რამდენადაც მზერითი აქტანტი მორფოლოგიურად მარკირებული ფორმაა. საგულისხმოა, რომ მზერითი აქტანტი სამივე პირში გვხვდება, თუმცა პირველი პირის გამოხატვა ამ ფორმით შედარებით იშვიათია. ეს უკავშირდება იმ გარემოებას, რომ ჟესტურ ენებში ზოგადად სხეული მოიაზრება როგორც სუბიექტი.

უნდა ითქვას, რომ ამ ტიპის არამანუალური მარკირება კერძოდ ზმნური აქტანტების წარმოდგენა თვალის მზერის მიმართებებით ანუ მზერითი აქტანტებით ხდება მხოლოდ სიმეტრიულ (ფამილარულ) დიალოგში და ამ დროს ძალზე მნიშვნელოვანია დისკურსი.

ლიტერატურა:

- Bahan, Benjamin (1996) [Non-Manual Realization of Agreement in American Sign Language](#). Doctoral dissertation, Boston University, Boston, MA.
- Crasborn O A (2006), Nonmanual Structures in Sign Language. In: Keith Brown, (Editor-in-Chief) Encyclopedia of Language & Linguistics, Second Edition, volume 8, pp. 668-672. Oxford: Elsevier
- Makharoblidze Tamar (2018) Verbal Temporal Categories in Georgian Sign Language (GESL) Moambe - Bulletin of the Georgian National Academy of Sciences. Georgian Academy Press. ISSN-0132-1447. Vol.12, no 1. Pp. 125-128.
- Marschark, Mark/Spencer, Patricia E. (eds.) 2010 *Oxford Handbook of Deaf Studies, Language, and Education, Volume 2*. Oxford: Oxford University Press.
- Meir, Irit/Sandler, Wendy 2008 *A Language in Space. The Story of Israeli Sign Language*. New York: Lawrence Erlbaum.
- Sandler, Wendy/Lillo-Martin, Diane 2006 *Sign Languages and Linguistic Universals*. Cambridge: Cambridge University Press.
- Sutton-Spence, Rachel/Woll, Bencie 1999 *The Linguistics of British Sign Language: An Introduction*. Cambridge: Cambridge University Press.
- Wilcox, Sherman/Wilcox, Phyllis P. 2010 The Analysis of Signed Languages. In: Heine, Bernd/Narrog, Heiko (eds.), *The Oxford Handbook of Linguistic Analysis (Oxford Handbooks in Linguistics)*. Oxford: Oxford University Press, 739_760.

- მახარობლიძე თ. (2012) ქართული ჟესტური ენა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. USIAD, Save The Children International. თბილისი
- მახარობლიძე თ. (2019) ქართული ჟესტური ენის ზმნის მორფოლოგია. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. თბილისი.
- თ. მახარობლიძე, (2017) ბრუნვათა სისტემა ქართულ ჟესტურ ენაში. იკე, ტ. 45. არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი. თბილისი.

Tamar Makharoblidze

On non-manual grammatical marking in GESL

Abstract

In GESL there are a few types of non-manual marking. One very interesting case is eye gaze argument marking (EGA). It may occur as a subject and/or an indirect object. Incorporated verbs with EGA are shortening the verbal kinetics. Plain verbs can have the EGA including body anchored verbs, such as 'love'. Thus, EGA makes a valuable input in argument structures across sign languages. It brings closer the sign language verbal argument structure to the semantic content of a verb, which is universal for spoken and sign languages.

რეცენზენტი: პროფ. თ. ლომთაძე

„წყლის“ სიმბოლიკისა და სემანტიკისათვის გერმანულ ფრაზეოლოგიზმებში

ცისანა მოდებაძე

a-mail: tsisana.modebadze@tesau.edu.ge

სტატიაში განხილულია კონცეპტ „წყლის“ სიმბოლიკა და სემანტიკური ჯგუფები. კვლევის თანახმად, გამოიკვეთა როგორც დადებითი (სიცოცხლე, სიწმინდე, სისუფთავე, მოძრაობა, უძლეველობა...), ასევე უარყოფითი (სიკვდილი, წარუმატებლობა...) კონოტაციის სემანტიკური ჯგუფები. სიტყვა „Wasser“ (წყალი) წარმოიქმნა მერვე საუკუნეში. წყალი არის სიცოცხლის, სიწმინდის და კეთილდღეობის სიმბოლო: *Wasser des Lebens*-წყალი სიცოცხლისა. წყალი დროსავით მიედინება. მიმდინარე წყალი მოძრაობის, გზის და სხვა სამყაროში გადასვლის სიმბოლოა. სიცოცხლე მოძრაობამია. გაჩერებული ადამიანი არაჯანსაღია: *stehendes Wasser stinkt*-დამდგარი წყალი ყარს. ფრაზეოლოგიზმებში დიდი მნიშვნელობა აქვს, წყნარ წყალზეა ლაპარაკი თუ აბობოქრებულზე: *Stilles Wasser ertrinkt die Menschen und sturmishes erschreckt*-წყნარი წყალი ახრჩობს ადამიანებს და აბობოქრებული აშინებს. ფრაზეოლოგიზმი *ein stilles Wasser sein* აღნიშნავს თავის თავში ჩაკეტილ ადამიანს. როდესაც ადამიანი მოულოდნელად გაუთვალისწინებელს აკეთებს, ამ შემთხვევაში გერმანელები მასზე ამბობენ: *Stilles Wasser ist tief*-წყნარი წყალი ღრმაა. ეს ფრაზეოლოგიზმი იგივეა, რაც ქართული: დამდგარ წყალში მეტი ბაცილებია ანუ წყნარ გულჩათხრობილ ადამიანებს მეტი საიდუმლო აქვთ. წყალი არის ბოროტი ძალებისგან განთავისუფლების და გაწმენდის სიმბოლო: *Jemand ist mit allen Wassern gewaschen*-ძალიან გამოცდილია/ემშაკია. გადაჭარბებულის, არასაჭიროს კეთებას ნიშნავს: *Mit einem Sieb Wasser schöpfen/Wasser im Sieb tragen*- წყლის საცრით ტარება/ამაო გარჯა. გერმანელები ამ ხერხს მიმართავდნენ გვალვის დროს. მათი აზრით, საცრით წყლის ტარება წვიმას გამოიწვევდა. წყალი ადამიანის არამართო ფიზიკური არსებობისთვის არის აუცილებელი, არამედ სულიერი ცხოვრებისთვისაც. ამიტომ მდინარეები და წყაროები მრავალ რელიგიაში წმინდა ადგილებად მიაჩნიათ. ასეა ქრისტიანულ რელიგიაშიც. ნათლობა ხდება მდინარეში. „წყალი“ უძლეველობის და ყოვლისშემძლეობის სიმბოლოა: *das Wasser kriecht überall hinein*-წყალი ყველგან აღწევს.

მიუხედავად წყლის დადებითი მნიშვნელობისა, იგი უარყოფითი კონოტაციით უფრო ხშირად გვხვდება, ვიდრე დადებითით, რადგან წყალი არის ასევე ნგრევისა და წარღვნის სიმბოლოც:

საკვანძო სიტყვები: წყალი, კონოტაციის სემანტიკური ჯგუფები.

წყალი არის სამყაროს მაცოცხლებელი ძალა. მრავალ კულტურაში იგი ყოფიერების საწყისია. სტატიაში საკვლევ ობიექტს წარმოადგენს კონცეპტ „წყლის“ სიმბოლიკა და სემანტიკა. როგორც კვლევამ გვიჩვენა, „წყალი“ გერმანულ ფრაზეოლოგიზმებში გვხვდება როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი კონოტაციით. წყალი არის სიცოცხლის აუცილებელი წინაპირობა. ძველი გერმანელები ადამიანის ავადმყოფობის დროს წყალში აგდებდნენ ავადმყოფის პერანგს და აკვირდებოდნენ: თუ პერანგი ჩაიძირებოდა, ავადმყოფი არ გამოჯანმრთელდებოდა და გარდაიცვლებოდა, მაგრამ თუ გაცურავდა, მაშინ სასწრაფოდ ამოიღებდნენ პერანგს წყლიდან და სველს აცმევდნენ ავადმყოფს. ძველ გერმანელებს ჰქონდათ ასევე დასჯის უხეში ფორმა: დამნაშავეს წყალში აგდებდნენ და აკვირდებოდნენ გაცურავდა თუ ჩაიძირებოდა. ასე ადგენდნენ, იყო თუ არა ადამიანი დამნაშავე. აქედან მოდის გამოთქმა: trocken aus dem Wasser rauskommen –წყლიდან მშრალი ამოსვლა.

სიტყვა „Wasser“ (წყალი) წარმოიქმნა VIII საუკუნეში. წყალი არის სიცოცხლის, სიწმინდის და კეთილდღეობის სიმბოლო: Wasser des Lebens-წყალი სიცოცხლისა; Sich fühlen wie ein Fisch im Wasser-ისე გრძნობს თავს, როგორც თევზი წყალში; Jemandem/einer Sache das Wasser reichen können-ვინმესთვის/რაიმესთვის წარმატების მოტანა; Bei ruhigem/gutem Wetter /Wasser kann jeder leicht Steuermann sein-კარგ პირობებში ყველას შეუძლია თავკაცობის/უფროსობის საკუთარ თავზე აღება. (wieder) Oberwasser haben/kriegen/bekommen-ვინმეზე გამარჯვება/ლიდერად ქცევა. ამ ფრაზეოლოგიზმს ხმარობენ მაშინ, როცა ცუდ პირობებში მყოფი ადამიანი თავის პირობებს იუმჯობესებს. კარგი მდგომარეობის შენარჩუნებას ნიშნავს გერმანული ფრაზეოლოგიზმი:jemanden sich über Wasser halten.

პური და წყალი ყველაზე მნიშვნელოვანი საკვებია ადამიანისთვის. ამ აზრისაა ფრაზეოლოგიზმები: Mit Wasser und Brot kommt man durch alle Not-წყლით და პურით ყველანაირ გაჭირვებას გადაიტან; auf Brot und Wasser leben- პურზე და წყალზე ცხოვრება. თუმცა ამ ფრაზეოლოგიზმის ცოტა სახეშეცვლილი ვარიანტი ციხეში ჯდომასაც ნიშნავს. Bei Wasser und Brot sitzen-ციხეში ყოფნა; sich/den Kopf über Wasser halten- წყალზე გადავლა ანუ მომჭირნეობით ცხოვრება; auch nur mit Wasser kochen -მოკრძალებულად ცხოვრება; Das Wasser bis zum Hals stehen haben- დიდ ფინანსურ გაჭირვებაში ყოფნა; Durst macht aus Wasser Wein-წყურვილი წყალს ღვინოდ აქცევს. ამ ფრაზე-

ოლოგიზმის ანალოგიურია ქართული: როცა გზია ზაქარია, ცივი მჭადი ზაქარია; ფრაზეოლოგიზმში Jemandem läuft das Wasser im Mund/Munde zusammen- პირწყალი მოსდის ნიშნავს დიდ მდაზე ყოფნას.

წყალი დროსავით მიედინება. მიმდინარე წყალი მოძრაობის, გზის და სხვა სამყაროში გადასვლის სიმბოლოა: Es muss/wird noch viel Wasser den Rhein/Main/Berg hinabfließen bis...- ბევრი წყალი ჩაივლის, სანამ... იგივე შინაარსისაა: Bis dahin fließt /läuft noch viel Wasser den Berg/Bach/Fluss/Rhein/Main hinunter/hinab; სიცოცხლე მოძრაობაშია. გაჩერებული ადამიანი არაჯანსაღია: stehendes Wasser stinkt-დამდგარი წყალი ყარს.

ფრაზეოლოგიზმებში დიდი მნიშვნელობა აქვს წყნარ წყალზეა ლაპარაკი თუ აბობოქრებულზე: Stilles Wasser ertrinkt die Menschen und sturmishes erschreckt- წყნარი წყალი ახრჩობს ადამიანებს და აბობოქრებული აშინებს. ფრაზეოლოგიზმი ein stilles Wasser sein აღნიშნავს თავის თავში ჩაკეტილ ადამიანს. როდესაც იგი მოულოდნელად გაუთვალისწინებელს აკეთებს, გერმანელები მასზე ამბობენ: Stilles Wasser ist tief-წყნარი წყალი ღრმაა. ეს ფრაზეოლოგიზმი იგივეა, რაც ქართული: დამდგარ წყალში მეტი ბაცილებია ანუ წყნარ, გულჩათხრობილ ადამიანებს მეტი საიდუმლო აქვთ. უსიამოვნო სიტუაციაში აღმოჩენას ნიშნავს: ins kalte Wasser springen-ცივ წყალში ჩახტომა.

წყალი არის ბოროტი ძალებისგან განთავისუფლების და გაწმენდის სიმბოლო: Jemand hat von vielen Wassern getrunken/Jemand ist mit allen Wassern gewaschen- ძალიან გამოცდილია/ემშაკია.

გადაჭარბებულის, არასაჭიროს კეთებას ნიშნავს: Das Wasser ins Meer /in den Rhein/in die Elbe/in den Brunnen tragen/schütten-წყლის ზღვაში/რაინში/ელბაში/ჭაში ჩასხმა. Mit einem Sieb Wasser schöpfen/Wasser im Sieb tragen- წყლის საცრით ტარება/ამაო გარჯა. გერმანელები ამ ხერხს მიმართავენ გვალვის დროს. მათი აზრით, საცრით წყლის მოტანა წვიმას გამოიწვევდა. Wasser auf jemanden Mühle gießen-ვინმეს წისქვილზე წყლის დასხმა. ეს ფრაზეოლოგიზმი ნიშნავს დახმარებას/მხარდაჭერას/ვინმეს მდგომარეობის გაუმჯობესებას. წყალი ადამიანის არამართო ფიზიკური არსებობისათვის არის აუცილებელი, არამედ სულიერი ცხოვრებისთვისაც. ამიტომ მდინარეები და წყაროები მრავალ რელიგიაში წმინდა ადგილებად მიაჩნიათ. ასეა ქრისტიანულ რელიგიაშიც, სადაც ნათლობა წყალში ხდება. „წყალი“ უძლეველობის და ყოვლისშემძლეობის სიმბოლოა: das Wasser kriecht überall hinein-წყალი ყველგან აღწევს. ერთმანეთისთვის შეუფერებელ წვილზე გერმანელები იტყვიან: Sie sind wie Feuer und Wasser- ცეცხლი და წყალივით არიან. Wasser predigen und Wein trinken/Öffentlich Wasser predigen und heimlich Wein triken ნიშნავს თავად ხელგამლილად ცხოვრებას და სხვისგან მომჭირნეობის მოთხოვნას. უარყოფითი კონოტაციითაა

ნახმარი stilles Wasser (წყნარი წყალი) შემდეგ ფრაზეოლოგიზმში: Stille Wasser und schweigenden Leuten ist nicht zu trauen-წყნარ წყალს და მდუმარე ადამიანს არ უნდა ენდო.

მიუხედავად წყლის დადებითი მნიშვნელობისა, იგი ფრაზეოლოგიზმებში უარყოფითი კონოტაციითაც გვხვდება, რადგან წყალი არის ასევე ნგრევისა და წარღვნის სიმბოლო: Das Wasser hat keine Balken-წყალი საშიშია, შეიძლება ადამიანი დაახრჩოს. ერთი მხრივ სიწმინდისა და სისუფთავის სიმბოლო, მეორე მხრივ - საშიშია: Blut und Wasser schwitzen-დიდი შიშის ქონა/სტრესში ყოფნა; Jemandem das Wasser im Asch zum kochen bringen-ვინმეს შემინება; Das Wasser bis Oberkannte, Unterlippe stehen haben-უფსკრულთან დგომა.

„წყალი“ არის სიკვდილის, ხიფათის და გლოვის სიმბოლო: ins Wasser gehen-თავის დახრჩობა. Rotz und Wasser heulen- ძალიან ტირილი /დაპა-ლუპით ცრემლის დენა; Ihre Augen sind/ stehen voll Wasser-ცრემლი სდის.

„წყალი“ არის ასევე წარუმატებლობის სიმბოლო: Ins Wasser fallen-წყალში ჩაყრა/ რამის დაკარგვა. წარუმატებლობას გამოხატავს ასევე ფრაზეოლოგიზმები: Der Krug geht so lange zu/zum Wasser, bis er bricht-კოკა ყოველთვის წყალს არ მოიტანს/კოკა წყალზე გატყდება; An jemandem ablaufen wie Wasser-წყალივით ჩავლა; Blut und Wasser schwitzen-მძიმე სიტუაციაში ყოფნა/წარუმატებლობა; Etwas tropft (läuft) von jemandem ab, wie das Wasser von der Gans- უკვალოდ გაქრობა/დავიწყება; Jemandem Wasser in den Wein gießen-ვინმესთვის წყლის ღვინოში ჩასხმა. ეს გამოთქმა მომდინარეობს XVII საუკუნიდან, როცა სუფთა ღვინოს ნაცვლად წყალგარეულს მიირთმევდნენ. იმედგაცრუებას გამოხატავს ფრაზეოლოგიზმი: Wie mit kaltem Wasser übergossen/ begossen-თითქოს ცივი წყალი გადაასხესო.

„წყალი“ ხშირად მიგვანიშნებს ადამიანის ხასიათზე. Er ist ein stilles Wasser იტყვიან წყნარ ადამიანზე; Jemand hat/ist nah/naher am Wasser gebaut-გულჩვილია/მაშინვე ტირილს იწყებს. ადამიანზე, რომელიც ვერავის ბოროტებას ვერ გაუკეთებს, ვერ აწყენინებს, გერმანელები იტყვიან: Er kann kein Wasserchen trüben-წყლის ამღვრევა არ შეუძლია. ადამიანზე, რომელსაც რაღაცის კეთების უნარი არ აქვს, გერმანელები იტყვიან: Ihm kann das Wasser nicht reichen. მსგავსების აღსანიშნავად გერმანელები ამბობენ: sich gleichen wie zwei Wassertropfen-წყლის ორი წვეთივით გვანან. გერმანელების აზრით, ნათესაური კავშირი ყველა ურთიერთობაზე ძლიერია: Blut ist dicker als Wasser- სისხლი წყალზე სქელია. ეს გამოთქმა მოდის შუა საუკუნეებიდან, რაც ნიშნავს, რომ სისხლით ნათესავეები უფრო ახლოს დგანან, ვიდრე ნათლიები. უხარისხობას გამოხატავს: jemandem /einer Sache nicht das Wasser reichen können. ფრაზეოლოგიზმი Alle Wasser laufen/fließen ins Meer- ყველა მდინარე ზღვაში ჩადის ნიშნავს, რომ ყველაფერი ღვთის ნებაა.

როგორც ვხედავთ, წყლის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობის მიუხედავად, უარყოფითი კონოტაციის მქონე ფრაზეოლოგიზმები უფრო ბევრია, ვიდრე დადებითის.

ლიტერატურა:

1. Görner, H. (1982). Redensarten/ Kleine Idiomatik der deutschen Sprache. VEB Bibliographisches Institut. Leipzig.
2. Götz D., Haensch G., Wellmann H. (2008): Großwörterbuch Deutsch als Fremdsprache. Das einsprachige Wörterbuch für alle, die Deutsch lernen. Neubearbeitung. Langenscheidt. Berlin.
3. Herzog, A.; Michel, A.; Riedel, H. (1986). Deutsche idiomatische Wendungen für Ausländer. Verlag Enzyklopädie. Leipzig.
4. Kempke G. (1984): Handwörterbuch der deutschen Gegenwartssprache. In zwei Bänden. Akademie-Verlag. Berlin.

Tsisana Modebadze

Semantic and Symbol Interrelationship of „water“ in German Praselogisms

Abstract

The article discusses the symbolism and semantic groups of the concept of "water". According to the study, both positive (life, purity, cleanliness, movement, invincibility ...) and negative (death, failure ...) connotation groups were identified. Water is a symbol of life, purity and prosperity: Wasser des Lebens- water of life. Water flows like time. Water is a symbol of the movement, the road and the transition to another world. Life is in motion. The man standing there is unhealthy: stehend Wasser stinkt - stehend Wasser stinkt – standing water stinks. In phraseology, it is very important to talk about calm water or flooded: Stilles Wasser ertrinkt die Menschen und sturmishes erschreckt - The calm water suffocates people and frightens them. This phraseology is the same as Georgian: there are more bacilli in the standing water, or quiet-hearted people have more secrets. Water is a symbol of liberation and cleansing from evil forces. Water is essential not only for physical existence but also for spiritual life. That is why rivers and springs are considered sacred places in many religions. The same is true of the Christian religion. Christening takes place in a river. Despite the positive significance of water, it is more often found in negative connotations than in positive ones, because water is also a symbol of destruction and flooding: Das Wasser hat keine Balken - water is dangerous, it can suffocate you. On the one hand, it is a symbol of purity and cleanliness, on the other hand, it is associated with dangerous events: Blut und Wasser schwitzen - having great fear / being in stress. "Water" is a symbol of death, danger and mourning: ins Wasser gehen - drowning himself. "Water" is also a symbol of failure: Ins Wasser fallen-wyalSi Cayra - drowning in water (loss of something). Jemandem Wasser in den Wein gießen - Pour some water into the wine.

რეცენზენტი: პროფ. დ. ბახტაძე

Редактирование эссе Владимира Короткевича «Сказки Янтарной страны»

Петр Жолнерович

Белорусский государственный университет

e-mail: zhaunier62@tut.by

В статье рассматриваются цензорские и редакторские изменения, проведенные при публикации и 1963 г. эссе белорусского писателя Владимира Короткевича «Сказки Янтарной страны». В результате проведенного исследования обнаружены 124 изъятия фрагментов, отдельных абзацев, предложений и их частей. Все правки, в основном, проведены по идеологическим соображениям, т. к. в эссе содержалась критика существующих в СССР недостатков, что не соответствовало политике Коммунистической партии. Редактирование в 1960-е годы находилось под жестким цензурным контролем.

Ключевые слова: Я. Колас, эссе «Сказки Янтарной страны»

Известный белорусский писатель В. Короткевич (1930–1984) активно работал в публицистике, а излюбленным жанром было эссе. Автор сознательно избирает данный жанр, т. к. исследовательские подходы к эссе отличаются необычайным разнообразием и в случае какого-либо возражения относительно содержания и «неправильной» формы его воплощения можно было парировать упреки, сославшись на произвольную композицию, свободное самовыражение и др. Целью настоящей статьи является сопоставление опубликованного при жизни писателя эссе «Сказки Янтарной страны» с первоначальным текстом, который находится в отделе редких книг и рукописей Центральной научной библиотеки им. Я. Коласа Национальной академии наук Беларуси, и определение причин проведенных изменений.

В 1960-е годы теоретические аспекты советского редактирования только начинали формироваться, но основные подходы к редакторскому анализу и правке были уже сформулированы в учебных пособиях К. И. Былинского, Д. Э. Розенталя, Н. М. Сикорского и др. Преимущество ими отдавалось правке языка и стиля, а особенности редакторского анализа затрагивались фрагментарно. Так, в более позднем пособии утверждалось: «Издательства и органы периодической печати, работающие под руководством Коммунистической партии, тем лучше справятся со своим делом, чем правильнее и всестороннее будут учитывать конкретные политические задачи» [1: 10]. Поэтому именно идеологический аспект редакторского анализа выносился на первое место, а фактический, содержательный, стилистический аспекты авторской рукописи были второстепенными.

Сегодня, однако, легко обвинять тогдашних редакторов в неуважении к первоначальному писательскому тексту, т. к. они сами находились под жестким идеологическим прессом Главного управления по охране государственных тайн в печати при Совете Министров СССР и его подразделений в союзных республиках (его статус повысился в 1966 г.). Без разрешения Главлита не могла быть напечатана даже открытка. Существовал предварительный и последующий контроль, призванный определять, учтены ли замечания предварительного контроля, так что двойной фильтр при сверхбдительной работе цензоров (даже должности сохранились) практически исключал возможность попасть в печать вредному, по их мнению, произведению.

Эссе «Сказки Янтарной страны» написано В. Короткевичем в 1962 г. и опубликовано в № 2 белорусского журнала «Полымя» за 1963 г. Насчет жанра сам писатель высказался следующим образом: «В Рогачеве все эти дни писал для “Полымя” путевые заметки о Латвии. Уже почти написал. Вышли не путевые заметки, а стихи в прозе, кое-где раздумчивые, кое-где с юмором» [1: 53–54]. Следовательно, авторское определение не дает возможности отнести произведение к путевым заметкам (путевому очерку), хотя его композиция именно такова. Широкий взгляд на Латвию и ее жителей, восхищение их трудолюбием и талантом, органическое включение в повествование четырех сказок («Сказка о серебряном петушке», «Видземская сказка», «Сказка о янтарном дворце», «Сказка о человеке, который спускался в ад»), размышления писателя о тогдашнем положении дел в народном хозяйстве и политике делают произведение одним из самых запоминающихся в белорусской публицистике.

Исследование позволило определить, что напечатанный текст сокращен более чем на 30 %: сделаны 124 изъятия фрагментов, отдельных абзацев, предложений и их частей. Кроме того, проведены многочисленные правки, не мотивированные никакими правилами словоупотребления,

грамматики или стилистики. Более всего претерпели изменения те части, где открыто звучит авторский голос, где высказывание сосредоточивается на отдельных действиях властных структур или имеет вневременной характер. Остановимся на некоторых изъятиях.

• Во время путешествия по Латвии с другом, поэтом Геронимом Стулпаном, автор рассуждает о совершенно ненужном распаивании местных заливных лугов и приводит пример такой же бесхозяйственности в «окрестностях Солотчи и есенинского села Константинова»: *«Там, не думая о том, что луга с хорошими травами складываются десятилетиями, перепахали окские пойменные луга и спустили луговые озера. Как это назвать, если не заботой только о сегодняшнем дне, не хищничеством, не обкрадыванием потомков. И это обкрадывание не только материальное. Это еще и обкрадывание души народа, так как человек становится хуже и беднее, если уничтожается красота земли, на которой он живет»* [3: 28–29]. Понятная сегодня мысль писателя в то время, видимо, вызвала открытое сопротивление цензурных органов, и фрагмент изъят из эссе. Как это, например, соотносится с высказыванием В. А. Ампилова: «Очеркист не может становиться беспристрастным летописцем. Он должен гневаться, если речь идет о беспорядках или недостатках, восхищаться, если говорит о наших свершениях» [4: 221]? И кто должен определять, о каких «беспорядках и недостатках» можно писать, а о каких – нельзя?

• Редакторы и цензоры сочли лишним описание В. Короткевичем латвийских напитков и блюд. Фрагмент по выразительности, по раблезианскому размаху не имеет себе подобных в белорусской публицистике. Приведем лишь одно предложение о пиве: *«Оно темное, как июльская ночь, бархатное, как темные глаза итальянской красавицы, глубокое и ясное, как море, в глубине которого горит звезда, вкусное, как губы любимой, и привлекательное, как смертный грех»* [3: 46]. Вследствие ликвидации общей авторский замысел сужается, а понимание читателем латышского народа оказалось неполным.

• В нескольких местах эссе ликвидация текста связана с господствующей атеистической идеологией. В. Короткевич, например, пишет, что едет к своей крестнице Илзе – дочери Г. Стулпана, и в ироническом ключе восклицает: *«За что ты милостив ко мне, Бог?! Почему ты дал мне, нехристю и безбожнику, почетное звание крестного отца этого маленького человека?»* [3: 14]. Конечно же, молодой советский писатель должен был быть не крестным отцом, а активным поборником атеистической идеологии. Нельзя было давать следующую характеристику антирелигиозной пропаганде: *«Мы упорно боремся с сектами и с опиумом религии: выпускаем фильмы, которых верующие не смотрят, читаем антирелигиозные лекции, на которых дохнут от скуки мухи»* [3: 42].

• Советские пропагандисты побаивались возвращения многовековых народных традиций и фольклорных праздников: следовало формировать единую общность – советский народ. Не случайно изъят такой фрагмент: *«Так какой же сухой пуританин, какой чинуша решил, что нецелесообразно праздновать белорусам Купалье, русским – Русальный день, а латышам – Лиго? Боятся жупела религии? Но ведь эти наши праздники древнее религии. Это праздник солнцеворота, праздник первых ударов косы, праздник первой зелени. Это праздники язычески полной радости жизни»* [3: 44–45]. Попытка убеждения, к сожалению, не достигла адресата, т. к. с текстом ознакомились только цензоры и редакция журнала. А кто-то из них, видимо, отнес пейоративное слово *чинуша* на свой счет.

• А как же с новыми праздниками? Снова изъят фрагмент: *«Мы, славяне, народ великий, умный, мы регистрируем браки и рождения в загсе, за столом, мраморным от чернильных пятен. Регистраторша зевает, три раза переспрашивает имя ребенка или невесты – в то время как счастливому мужчине казалось, что данное имя должен знать весь свет, – берет на глазах у всех деньги, давая невесте право полагать, что муж покупает ее, да еще значительно дешевле, чем на багдадском невольничьем рынке»* [3: 42]. Но ведь в этом высказывании наиболее полно проявляется иронический стиль, работающий на превращение авторской интенции в вербальный массив, который должен достигать цели – воздействовать на читателя, заставлять его думать, соглашаться или спорить с писателем.

Кроме отмеченных изменений, редакторской (или цензорской) правке подверглись фрагменты о плачевном состоянии памятников архитектуры, о распитии спиртных напитков, о работе журналистов, о приеме в Союз писателей и др.

Таким образом, проведенное исследование свидетельствует, что в 1960-е годы советское редактирование не могло действенно выполнять свою основную функцию – уменьшать зазор (при его наличии) между реальным результатом чтения авторской рукописи и результатом желательным, т. к. желательный результат зависел от господствующей идеологии, сохранение которой в произведении жестко контролировалось Главлитом и отделами пропаганды Коммунистической партии. Известный российский теоретик редактирования А. Э. Мильчин писал: *«Нельзя не признать справедливым недовольство авторов редакторами за правку, искажающую смысл и стиль, за нелепые замечания, за невнимательное и неуважительное отношение к себе, за силовое навязывание решений, с которыми автор не согласен»* [5: 28]. С учетом вышесказанного следует делать поправку на цензурное вмешательство в текст, которое в Советском Союзе превратилось в тотальный контроль над писательским и журналистским трудом.

Литература:

1. Сикорский Н. М. Теория и практика редактирования: учеб. пособие. 2-е изд., испр. и доп. М. : Высшая школа; 1980. 328 с.
2. Караткевіч У. Лісты ў Краіну янтарнай казкі: з п'сьмаў да латышскіх сяброў // Шляхам гадоў: гіст.-літар. зборнік. Мінск: Мастацкая літаратура, 1990. С. 39–93.
3. Караткевіч У. С. Казкі Янтарнай краіны // Зб. тв. : у 25 т. Т. 12 : Публіцыстыка. Эсэ-нарысы : 1952–1982. Мінск: Мастацкая літаратура, 2016. С. 11–57.
4. Ампилов В. А. Современный газетный очерк. Минск: Наука и техника, 1972. 240 с.
5. Мильчин А. Э. Методика редактирования текста. Изд. 3-е, перераб. и доп. М.: Логос, 2005. 524 с.

P. P. Zhauniarovich

Editing of the essay «Tales of the Amber country» by Vladimir Korotkevich**Abstract**

The article deals with the censor and editorial changes made during the publication in 1963 of an essay «Tales of the Amber country» by the Belarusian writer Vladimir Korotkevich. As a result of the research 124 removals of fragments, separate paragraphs, sentences and their parts were found. All edits were mainly made for ideological reasons, as the essay criticized the existing shortcomings in the USSR, which did not correspond to the policy of the Communist party. Editing in the 1960s was under strict censorship control.

რეცენზენტი: პროფ. ნ. კვიციანი

მარინისტული მხატვრული ნაწარმოებები, საზღვაო ტერმინოლოგიის სპეციფიურობა და თარგმანთან დაკავშირებით არსებული თავისებურებები

სვეტლანა როდინაძე, ზურაბ ბეჟანოვი,
თამილა მიქელაძე, ქრისტინე ზარბაზოია, მედეა აბაშიძე

ბათუმის შოთა რუსთველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
s.rodinadze@bsma.edu.ge; z.bezhanovi@bsma.edu.ge; t.mikeladze@bsma.edu.ge;
k.zarbazoiia@bsma.edu.ge; m.abashidze@bsma.edu.ge

მსოფლიო ლიტერატურაში მრავლადაა ნაწარმოებები სადაც ასახულია საზღვაო სფერო, საზღვაო მოგზაურობები, ნაწილობრივ აღწერილია გემების ...აგებულება, დანიშნულება, პარამეტრები, ეკიპაჟი. საზღვაო ფრაზარიუმი გამოიყენება გმირების დახასიათებისას. ასეთმა ნაწარმოებებმა მიიღო მარინისტული ლიტერატურის სახელი. მარინისტული მხატვრული ნაწარმოებების კვლევამ გვაჩვენა, რომ ქართული საზღვაო ტერმინოლოგია ჯერ კიდევ ფორმირების პროცესშია.

ინგლისურენოვანი მარინისტული მხატვრული ტექსტები მდიდარია საზღვაო ტერმინოლოგიით. საინტერესოა მათი ქართული თარგმანები. ჩვენ გავვეცანით და განვიხილეთ შემდეგი ნაწარმოებები: „გულივერის მოგზაურობა“, „რობინზონ კრუზო“, „მობი დიკი“, „ზღვის მგელი“, „განძის კუნძული“ და აღმოჩნდა, რომ აღნიშნულ ნაწარმოებებში უხვადაა გამოყენებული

მხატვრული ტექსტების თარგმნა ძალიან სპეციფიკურია. ლიტერატურული თარგმანის დროს არ შეიძლება ტექსტი, წინადადებები სიტყვასიტყვით ვთარგმნოთ. აქ არ შეიძლება მოხდეს კალკირება, უნდა იგრძნო ენა. ლიტერატურულ თარგმანში აუცილებელია სათარგმნი ტექსტის ფორმის, შინაარსის და სტრუქტურის შენარჩუნება, ამიტომაც სხვადასხვა მთარგმნელის მიერ

შესრულებული ნაწარმოებები გასხვავდება ერთმანეთისგან. ასეთი თარგმანები ნამდვილი ხელოვნებაა, რადგან ესთეტიკური ეფექტი მიიღწევა შესაბამისი ენობრივი საშუალებებით.

მარინისტული ნაწარმოებების კვლევამ გვაჩვენა, რომ მსგავსი ტიპის მხატვრული ნაწარმოებების თარგმნისას ხშირად ვხდებით უზუსტობებს, რაც სხვადასხვა მიზეზით არის გამოწვეული. ხშირ შემთხვევაში ტერმინები ნათარგმნია რუსული ენის ზეგავლენით, კალკირების გზით.

საკვანძო სიტყვები: მარინისტული ლიტერატურა, საზღვაო ტერმინები, ტექნიკური და მხატვრული ტექსტები

ტერმინოლოგიის თარგმნა საკმაოდ სპეციფიკურია, განსაკუთრებით კი საზღვაო ტერმინოლოგია. საზღვაო ტერმინები გვხვდება როგორც ტექნიკურ ტექსტებში, ასევე მარინისტულ მხატვრულ ნაწარმოებებში. აუცილებელია ზუსტად ვთარგმნოთ ტერმინები, რათა თავიდან ავიცილოთ გაუგებრობა და ორაზროვნება. ამისათვის მთარგმნელმა კარგად უნდა იცოდეს, როგორც სალიტერატურო ენა, ასევე ტერმინოლოგია. მარინისტული მხატვრული ნაწარმოებების კვლევამ გვაჩვენა, რომ ქართული საზღვაო ტერმინოლოგია ჯერ კიდევ ფორმირების პროცესშია.

ხშირ შემთხვევაში ტერმინები ნათარგმნია რუსული ენის ზეგავლენით, კალკირების გზით და ასევე ადგილი აქვს ტერმინების ქართული ექვივალენტის არარსებობას. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ ქართული საზღვაო ტერმინოლოგია ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული, ის ფორმირების პროცესშია. ძალიან მნიშვნელოვანია არსებობდეს დარგობრივი, საზღვაო ტერმინოლოგიური ლექსიკონი და აუცილებელია გაგრძელდეს ამ კუთხით მუშაობა. საზღვაო ტერმინები გვხვდება როგორც ტექნიკურ ტექსტებში, ასევე მარინისტულ მხატვრულ ნაწარმოებებში. აუცილებელია ზუსტად ვთარგმნოთ ტერმინები, რათა თავიდან ავიცილოთ გაუგებრობა და ორაზროვნება. ამისათვის მთარგმნელმა კარგად უნდა იცოდეს, როგორც სალიტერატურო ენა, ასევე ტერმინოლოგია. მარინისტული მხატვრული ნაწარმოებების კვლევამ გვაჩვენა, რომ ქართული საზღვაო ტერმინოლოგია ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული, ის ჯერ კიდევ ფორმირების პროცესშია.

ინგლისურენოვანი მარინისტული მხატვრული ტექსტები მდიდარია საზღვაო ტერმინოლოგიით. საინტერესოა მათი ქართული თარგმანები. ჩვენ გავეცანით და განვიხილეთ შემდეგი ნაწარმოებები: „გულივერის მოგზაურობა“, „რობინზონ კრუზო“, „მოზი დიკი“, „ზღვის მგელი“, „განძის კუნძული“ და აღმოჩნდა, რომ აღნიშნულ ნაწარმოებებში უხვადაა გამოყენებული საზღვაო ტერმინოლოგია.

საკმაოდ საინტერესოა ჰერმან მელვილის “მოზი დიკი ანუ თეთრი ვეშაპი” ტერმინოლოგიის მხრივ. ტექსტში გამოყენებულია უამრავი საზღვაო ტერმინოლოგია. თარგმანის დროს შემღებისდაგვარად არის შესრულებული ტერმინების თარგმანი, მაგრამ არის რამდენიმე უზუსტობა. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითს:

“That's the **Grampus's** crew”. [Melville 2009:19]

“კაშალოტის” მეზღვაურები არიან!”. [მელვილი 1983: 36]

გემის სახელები ხშირ შემთხვევაში არ ითარგმნება ისინი გადადის კალკირების გზით, მაგრამ არის შემთხვევები, როცა ისინი ითარგმნება. ამ შემთხვევაში კი გემის სახელწოდება “**Grampus**” ნათარგმნია, როგორც “კაშალოტი”

სიტყვა “**Grampus**” ლექსიკონებში განმარტებულია, როგორც “დელფინი.” ეს სიტყვა თავისთავად რუსული ენის გავლენას განიცდის.

“I seed her reported in the offing this morning; a three years' voyage, and a **full ship**” [Melville 2009:19].

“დილით წავიკითხე, “კაშალოტი” რეიდზე დადგაო. სამი წელია ზღვაში არიან და ალბათ გავსებული ტრიუმებით დაბრუნდებოდნენ“ [მელვილი 1983: 36].

მართალია, ინგლისურ ტექსტში სიტყვა ტრიუმი არ არის ნახსენები, ის სიტყვასიტყვით ითარგმნება როგორც “სავსე გემით”, მაგრამ მთარგმნელმა თავისი ინტერპრეტაციით თარგმნა ეს წინადადება. ტრიუმი გამოიყენება გემზე ტვირთის შესანახად, თავისთავად იგულისხმება, რომ საქონელი ინახებოდა ტრიუმებში.

რამდენიმე მაგალითს მოვიყვანოთ სტივენსონის “განძის კუნძულიდან”

“I did not tell you that Blandly, who, by the way, is to send a **consort** after us if we don't turn up by the end of August, had found an admirable fellow for sailing master”(Stevenson 2010:30).

“აქამდე არ მითქვამს თქვენთვის, რომ ბლენდლიმ, სხვათა შორის, მაშველი ხომალდი უნდა გამოგვიგზავნოს, თუ ვინიცოხა აგვისტოს ბოლოსთვის არ დავბრუნდით, კაპიტნად საუცხოო ვინმე გვიშოვა” [სტივენსონი 1969: 49].

“a consort” – გამცილებელი გემი, თანმხლები გემი.

“The whole **schooner** had been overhauled; six **berths** had been made astern, out of what had been the after-part of the main hold; and this set of **cabins** was only joined to the galley and forecabin by a sparred passage on the port side” [Stevenson 2010:39].

“მთელი გემის განწყობილება გახალისდა; კიჩოზე, მთავარი ტრიუმის უკანა ნაწილში, 6 კაბინა იყო გამართული. ეს კაბინები სამზარეულოსა და წინა ერდოს მარტო ძეგური გასასვლელით უკავშირდებოდა გემის მარცხენა მხარეს” [სტივენსონი 1969: 63].

schooner გათარგმნილია როგორც გემი, ხოლო **berth** და **cabin** კი კაბინა, ქართულად ორივე უნდა ითარგმნებოდეს როგორც “კაიუტა”, რადგან საზღვაო ტერმინი არის კაიუტა.

“Now and again, too, there would come a cloud of light sprays over the **bulwark**, and a heavy blow of the ship's bows against the swell: so much heavier weather was made of it by this great rigged ship than by my home-made, **lop-sided coracle**, now gone to the bottom of the sea” [Stevenson 2010:99].

“მოაჯირის ზემოდან გამუდმებით მოდიოდა შხეფების წვიმა. ხომალდის ცხვირი მძიმედ ეჯახებოდა ტალღებს და ეს ვეება აღკაზმული გემი უფრო დიდ განსაცდელში ვარდებოდა, ვიდრე შინაურულად ნახელავი ჩემი გვერდელა ნუშა, რომელიც ახლა ზღვის ფსკერზე ეგდო” [სტივენსონი 1969: 159].

“**coracle**” ლექსიკონებში განმარტებულია 1) მეზადურის ნავი 2) ტირიფის წნელისაგან დაწნული ტყავადაკრული ნავი.

“**coracle**” იმ დროისათვის ტერმინის არარსებობის გამო, მთარგმნელმა თარგმნა, როგორც “ნუშა”. მთარგმნელმა შენიშვნაც დაურთო, რომ ისარგებლა სულხან-საბას განმარტებითი ლექსიკონით “ნუშა“-ნავთ უმცირესი (სულხან-საბას განმარტება) და სულ პატარა ნავის ბადლად ვიხმარეთო.

ახლა მოვიყვანთ მაგალითებს “რობინზონ კრუზოს თავგადასავლიდან”:

“We worked on; but the water increasing in **the hold**, it was apparent that the ship would founder” [Defoe 2010:7].

“კვლავ განვაგრძობდით მუშაობას, მაგრამ წყალი თანდათან მატულობდა და აშკარა იყო, რომ გემი ჩაიძირებოდა” [დეფო 1996: 16].

წინადადება სიტყვასიტყვით რომ ვთარგმნოთ, გამოვა: “წყალი თანდათან მატულობდა ტრიუმში.”

“I **jumped out of the cabin**, and immediately saw, not only the ship, but that it was a Portuguese ship” [Defoe 2010:18].

“მაშინვე ზე წამოვიჭერი, გარეთ გამოვვარდი და გემი დავინახე. ისიც გავარჩიე, რომ გემი პორტუგალიური იყო” [დეფო 1996: 37].

“**jumped out of the cabin**” – უნდა ითარგმნებოდეს – “გამოვვარდი კაიუტიდან”, თარგმანში სიტყვა კაიუტა გამოტოვებულია.

ახლა მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს ჯ. სვიფტის “გულივერის თავგადასავალი”

“I then took my tackling, and, fastening a hook to the hole at the **pro**w of each, I tied all the cords together at the end” [Swift 2005:27] .

“ჩემს მიერ დამზადებული თოკები ამოვიღე მოკაკული ბოლო სამხედრო ხომალდების კიროებში გავუყარე და თოკის ბოლო ერთად შევკარი” [სვიფტი 1991: 35].

ტერმინი “prow” - გადათარგმნილია როგორც კიჩო, მაგრამ განმარტებით ლექსიკონში აღწერლია “The forward part of a ship's hull; the bow”, ანუ გემის კორპუსის წინა მხარე, ცხვირი.

“I left my poor wife big with child, and accepted an advantageous offer made me to be captain of the “Adventure”, a stout **merchantman of 350 tons**” [Swift 2005: 120]. “ერთხელ კიდევ დავტოვე ჩემი საბრალო მეუღლე და დავთანხმდი მეტად ხელსაყრელ წინადადებაზე: – 350 ტონა წყალწყვის უზარმაზარი სავაჭრო გემის “ადვენჩერის” კაპიტნობა გამეწია” [სვიფტი 1991:87].

”merchantman of 350 ton” - ” 350 ტონა წყალწყვის სავაჭრო გემი”

ტერმინი “წყალწყვა” “displacement” ორიგინალში არ გვხვდება.

განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი ჯეკ ლონდონის “ზღვის მგელიდან”:

“I remembered the **life-preservers** stored in the cabin” [London 2010:5].

“უეცრად გამახსენდა მაშველი სამკერდეები. სამკერდეები ხომ კაიუტაში ინახებოდა”. [ლონდონი, 1971: 9].

life-preserver – ლექსიკონებში განმარტებულია “სამაშველო სარტყელი, ჟილეტი “

“I descended to the **lower deck**. The Martinez was sinking fast, for **the water was very near**” [London 2010:6].

“ქვედა ერდოზე ჩავედი. M”მარტინესი” სწრაფად იძირებოდა. წყალი ფალშბორტს მოსდგომოდა” [ლონდონი 1971: 11].

“lower deck” – (ქვედა ერდო) ლექსიკონებში მოცემულია სიტყვა “ქვედა გემბანი”

“the water was very near” – “წყალი ფალშბორტს მოსდგომოდა.”

სჩანს რომ ორიგინალში ტერმინი ფალშბორტი (ბულწარკ) არ არის ნახსენები. გარდა ამისა ტერმინი ფალშბორტი არის რუსული ენიდან კალკირებული სიტყვა, თანამედროვე ლექსიკონებში მოცემულია ორივე განმარტება “ფალშბორტი” და “ცრუბორტი”.

“The **men** were all on **deck**” [London 2010:33].

“გემის მთელ ეკიპაჟს ერდოზე მოეყარა თავი” [ლონდონი 1971: 50].

როგორც ვხედავთ ტექსტში “მენ” ნათარგმნია როგორც “ეკიპაჟი”, ხოლო დეცკ ნათარგმნია – “ერდო”

“man” ლექსიკონებში განმარტებულია როგორც “კაცი”, “ადამიანი”

“deck” ლექსიკონებში განმარტებულია – “გემბანი”.

მარინისტული ნაწარმოებების კვლევამ გვაჩვენა, რომ მსგავსი ტიპის მხატვრული ნაწარმოებების თარგმნისას ხშირად ვხვდებით უზუსტობებს, რაც სხვადასხვა მიზეზით არის

გამოწვეული. ხშირ შემთხვევაში ტერმინები ნათარგმნია რუსული ენის ზეგავლენით, კალკირების გზით და ასევე ადგილი აქვს ტერმინების ქართული ექვივალენტის არარსებობას. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ ქართული საზღვაო ტერმინოლოგია ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული, ის ფორმირების პროცესშია. ძალიან მნიშვნელოვანია არსებობდეს დარგობრივი, საზღვაო ტერმინოლოგიური ლექსიკონი და აუცილებელია გაგრძელდეს ამ კუთხით მუშაობა.

ლიტერატურა:

- 1.დეფო დ. “რობინზონ კრუზოს ცხოვრება და თავგადასავალი” თბილისი, გამომცემლობა “ნაკადული”,1968
2. ლონდონი ჯ. “ზღვის მგელი” თბილისი, გამომცემლობა “ნაკადული”,1971.;
- 3.მელვილი ჰ. “ მობი დიკი ანუ თეთრი ვეშაპი” თბილისი.1983.
- 4.Defoe D. “Robinson Crusoe”, 2010 http://www.gutenberg.org/catalog/world/readfile?fk_files=1644525
- 5.London J. “The sea wolf”,2010 http://www.gutenberg.org/catalog/world/readfile?fk_files=1436156
- 6.Melville H. “Moby Dick; or, The Whale”, 2009 <http://www.gutenberg.org/catalog/world/readfile?fkfiles=1449861>
- 7.Stevenson R. L. “Treasure Island”, 2010 http://www.gutenberg.org/catalog/world/readfile?fk_files=2276773
- 8.Swift J. “Gulliver's Travels”,2005 http://www.gutenberg.org/catalog/world/readfile?fk_files=1507068&pageno=7

Sv. Rodinadze, Z. Bezanov, T. Mikeladze, Q. Zarbazoiia, M. Abashidze

Marine Literature, Specifics of Marine Terminology and Peculiarities Concerning with Translation

Abstract

Translation of terminology is quite specific, especially the translation of maritime terminology. Marine terms can be found in both technical texts and marine literature. It is necessary to translate terms accurately in order to avoid misunderstandings and ambiguity. For this purpose translator should know both literary language and marine terms.

There are a lot of works in the world literature, especially in English and American literature where maritime field is shown and here are described ships, their structure, purpose, parameters, crew. Marine terminology is used to characterize main characters too. For creating realistic image of marine field is necessary to describe not only the place but also sailors' character. Such works are known as marine literature. The research of marine literature has shown that English maritime terminology has not formed yet, it is still in the process of formation.

English Marine fiction texts are rich with maritime terminology. Their Georgian translations are very interesting. We read and researched the following works "Gulliver's travels "Robinzon Crusoe "Moby Dick "Sea Wolf ", "treasure Island ". We found out that they contain a huge number of marine terminology.

It is necessary to keep the form, content and structure of the text. That's why the translations of different translators differ from each other. So translation is a true work of art and the aesthetic effect can be achieved by appropriate linguistic means. Translators must maintain the content of the text, idea, author's style.

Lots of expressive means such as metaphors, metonymy, phrasal words can be found in such writings. Ttranslator should try translate everything correctly and not to change author's style. Literary and technical translation completely differ from each other. The difficulty while translating literary text is to present author's idea and aims. They must be shown not only by facts but also we must maintain psychological style and emotional elements. Scientific technical texts which don't have such elements seem easier at first.

რეცენზენტი: პროფ. ნ. ზვიადაძე

სიტყვისა და ცნების ურთიერთობისთვის სხვადასხვა ენობრივ სივრცეში

ნუნუ ჩარკვიანი, ირმა რუსაძე, სოფიო ყიფიანი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
nunucharkviani@gmail.com; irmarusadze@gmail.com; sofikokipiani@yahoo.com

ენის სიტყვარის ანალიზი ძირითადი საყრდენია სიტყვის მნიშვნელობის დადგენისათვის. სიტყვის განმარტება არაერთგვაროვანია, რადგან იგი წარმოადგენს რთულ ენობრივ ერთეულს, რომელიც მოიცავს ამა თუ იმ ცნებისათვის დამახასიათებელ თვისებათა ერთობლიობას. ესა თუ ის სიტყვა მეორესგან სწორედ განსხვავებული თვისებებითაა გამორჩეული. ცნების განსაზღვრა რთული საკითხია, სიტყვის განსაზღვრა კიდევ უფრო რთული, რადგან იგი ბევრ ასპექტს მოიცავს, როგორც ენის სისტემის ცენტრალური ელემენტი, სიტყვა ფონოლოგიის, ლექსიკოლოგიის, სინტაქსის, მორფოლოგიისა და იმ სხვა მეცნიერებათა პრობლემების ფოკუსშია მოქცეული, რომლებსაც ენასა და მეტყველებასთან აქვს კავშირი.

ამ სტატიის მიზანი სიტყვის განმარტების ახსნა არ არის, რადგან ბევრი ენათმეცნიერის მცდელობა ამ საკითხში მაინც იმ დასკვნამდე მიდის, რომ სიტყვას კი არ განვმარტავთ, არამედ ვახასიათებთ. სიტყვა ენის ერთ-ერთი ფუნდამენტალური ერთეულია, რომელიც ფორმისა და შინაარსის დიალექტიკურ ერთობას წარმოადგენს. მისი შინაარსი და მნიშვნელობა მართალია ცნების იდენტური არ არის, მაგრამ ასახავს ადამიანურ ცნებას და სწორედ ამგვარად შეიძლება ჩნებათა არსებობის ფორმად ჩაითვალოს. (Arnold I.V. 1973: 27) სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა ცნების რეალიზაციაა, რომელიც გარკვეული ენობრივი სიტყვების მნიშვნელობით ხორციელდება. (ibid:114) აქვე უნდა ითქვას, რომ მეტყველებაში შინაარსის პლანი მთელ ადამიანურ ცნობიერებას ასახვს, რომელიც გარდა მენტალური აქტივობისა, ემოციებსაც მოიცავს.

საკვანძო სიტყვები: სიტყვა, ცნება, ლექსიკური მნიშვნელობა

კოგნიტურ ლინგვისტიკასა და პრაგმატიკაში სიტყვის (ან წინადადების) მნიშვნელობის განსაზღვრებას ხშირად მიმართავენ ე.წ.სამდონიან მოდელს. პირველი დონე არის კონტექსტისაგან დამოუკიდებელი, გრამატიკული კატეგორიებით განპირობებული მნიშვნელობა-ლექსიკური მნიშვნელობა, მეორე დონეზე სიტყვის/წინადადების მნიშვნელობა დამოუკიდებელია კონტექსტზე. კონტექსტით განპირობებული ფაქტორები გავლენას ახდენს მის ლექსიკურ მნიშვნელობაზე და ერთგვარად ცვლის ან ამდიდრებს მას, მესამე დონე კი მოიცავს მთქმელისა და მსმენელის ინტენციებს, მათ განზრახვებსა და სურვილებს, თუ რა მიზნით წარმართება ინტერაქცია. ეს მოდელი იძლევა ინერაქციის თითოეული გამონათქვამის მართებული ინტერპრეტაციის საშუალებას (სიტყვა და ცნება)

დიდი ქართველი ფსიქოლოგი დ. უზნაძე მკვეთრად მიჯნავს სიტყვას, რომელიც ცნების ფუნქციონალურ ექვივალენტს ასრულებს, მაგრამ სუბიექტის ზოგად წარმოდგენას ეფუძნება. მისი განმარტებით 'სიტყვა მხოლოდ ლოგიკურად ობიექტურად წარმოადგენს ნამდვილ ცნებას ფსიქოლოგიურად ე.ი. თითოეული ცალკე ადამიანის ცნობიერების თვალსაზრისით, შესაძლოა მას ბევრი არაფერი ჰქონდეს საერთო ცნებასთან (უზნაძე ,2006:485) დ.უზნაძის აზრით, ფსიქოლოგიისათვის იმ ნაბიჯის შესწავლაა მნიშვნელოვანი თუ როგორ გადაიქცევა სიტყვა (ზოგადი წარმოდგენა) ცნებად (არსებითი ნიშნების შემცველი აზრი). მისივე აღწერით სუბიექტი კომუნიკაციის საფუძველზე უფრო და უფრო აზუსტებს სიტყვის მნიშვნელობას „ბოლოს სწორედ იმას მოვიკვლევთ, რაც ამ სიტყვის ნამდვილ მნიშვნელობაში იგულისხმება“ [უზნაძე, 2006:491-492].

რუსი ენათმეცნიერი ლ.ვიგოტსკი ასე ხსნის ურთიერთობას სიტყვასა და ცნებას შორის 'სიტყვის მნიშვნელობა არის ის ერთეული, რომელიც აერთიანებს აზროვნებასა და მეტყველებას, სიტყვა წარმოდგენელია მნიშვნელობის გარეშე, რადგან მნიშვნელობა არის სიტყვის კონსტიტუციური თვისება, ხოლო მნიშვნელობა წარმოდგენელია განზოგადების გარეშე. „განზოგადება და სიტყვის მნიშვნელობა აზრობრივად სინონიმებია, ყოველი განზოგადება კი, ცნების ყოველი ჩამოყალიბება არის აზროვნების ყველაზე სპეციფიკური, ყველაზე ჭკმმარტი, ყველაზე უეჭველი აქტი. შესაბამისად, ჩვენ გვაქვს უფლება განვიხილოთ სიტყვის მნიშვნელობა, როგორც აზროვნების ფენომენი [Выготский ,1934: 260].

უცხო ენის სწავლების პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ სტუდენტთა უმრავლესობა დიდ სიძნელებებს აწყდება შეარჩიონ ადექვატური სიტყვა თარგმანის დროს (როგორც ქართულიდან ინგლისურად , ასევე ინგლისურიდან ქართულად), არადა ორივე ენაში საკმარისად მოიძებნება მისი შესატყვისი, რომლის გამოყენება მათ აარიდებდა პირდაპირ თარგმანს. თარგმანისას კომუნიკაციის პარტნიორისათვის გაუგებარი არის ნათქვამში ისეთი რამ, რაც შინაგანი თვისებებით სასურველ აზრთან მსგავსებას უზრუნველყოფს. ასეთი რამ სიტყვის შინაგანი თვისებებია

“მოლაპარაკის არჩევანის“ თავისუფლება “შზღუდულია ერთ შემთხვევაში ფორმით, ხოლო მეორე შემთხვევაში სიტყვის არსებითი თვისებებით. გარდა კონტექსტისა, მისი გაგება ზოგჯერ არალინგვისტურ ფაქტორებზეა დამოკიდებული (სიტყვა და ცნება).

ცნებაში სიტყვათა რაოდენობა არაერთგვაროვანია სხვადასხვა ენაში. ამ დროს სიტყვის პოლისემიურობა და სინონიმია გასათვალისწინებელი ფაქტორები. ნებისმიერ ენაში ცნებაში შემავალი სიტყვების რაოდენობა განსაკუთრებულია. სირთულეს კი ის ქმნის სწორედ, რომ ერთი და იგივე სიტყვა შეიძლება ბევრი ცნებით იყოს წარმოდგენილი, წარმოდგენილი იყოს სხვადასხვა ფორმად, რომელსაც შეიძლება ახასიათებდეს ინდივიდუალური თვისებებიც.

ქართული ენის ორი ცნება „ადამიანი“ და „კაცი“-ორი სიტყვითაა წარმოდგენილი, ხოლო ინგლისურში სიტყვა ‘man’ კაცია და ადამიანიც თუკი ინგლისურ ზმნას ‘play’ განვიხილვთ, მას ორი ძირითადი მნიშვნელობა აქვს, რომელსაც ორი ცნებით ვხვდებით: ‘დაკვრა’ და ‘თამაში’. ამ ბოლო სიტყვას კი შეიძლება სხვადასხვა აზრობრივი დატვირთვა ჰქონდეს: ‘ზავში თამაშობს ბურთით’ და ‘მსახიობი როლს კარგად თამაშობს’. ორივე ენაში მდგომარეობა ერთნაირია, თუმცა, ორივეში ‘play’ და ‘თამაში’ სხვადასხვა სიტყვასთან სხვადასხვა აზრს გვაძლევს. ინგლისურში ‘to play a joke’ -გახუმრებაა, ‘to play fair’ -პატიოსნად მოქცევა, ‘to play somebody false’ -გაცემა, ღალატი. საინტერესოა ასევე, რომ მე 2 და მე 3 შემთხვევაში მსგავსება ნათელია, არაპირდაპირი მნიშვნელობითაა ეს ზმნა გამოყენებული: to play with fire -ცეცხლთან თამაში, to play words- სიტყვების თამაში. ქართულ ენაში ზმნისწინი ერთგვარფუძიან ზმნებს ცნებას უცვლის მაგ; 1. ა-აგო მან სახლი -ააგო, 2. და-აგო ფარდაგი - დააგო, 3. წა-აგო თამაში-წააგო. ინგლისურში ამ ფუნქციას ბოლოდებული (postposition) ასრულებს მაგ: look at-შეხედვა, look after-მოვლა, მზრუნველობა, look for-ძებნა. აღნიშნული ზმნების გვერდით მათ პარალელურად მის მიერ გამოხატულ ცნებას სხვა სიტყვებიც ავსებენ. ყურება----look at, stare at, glance..... მოვლა, მზრუნველობა----look after, take care of ძებნა---look for, search for და ა.შ.

ქართულ ენაში ზმნისწინი უმეტესად ზმნის მიმართულებას გვიჩვენებს, თუმცა, „გამოიტანა“, „შეიტანა“, „გადმოიტანას“ გვერდით გვაქვს „აიტანა“, როდესაც ამ ზმნის მიერ გამოხატული მოქმედების მიმართულების გარდა გვხვდება სხვა მნიშვნელობითაც, მაგ: „აიტანა დიდი ტკივილი“ ე.ი. ამ ფორმით გამოხატავს მეორე ცნებას. ინგლისურში იგივე შინაარსით გვაქვს ზმნები -bear, stand, undergo და ა.შ.

სიტყვების უშუალო მნიშვნელობისა და გრამატიკის ცოდნა არ არის საკმარისი წარმატებული კომუნიკაციისათვის, ანუ მხოლოდ პირველი დონის :ცოდნა“ არ იძლევა წინადადებების მართებული ინტერპრეტაციის შესაძლებლობას, მაგრამ ბევრი რამ

დამოკიდებულია ჩვენ ზოგად ცოდნაზე, ე.წ. კონცეპტებისა თუ სცენარების ცოდნაზე, მხარეთმცოდნეობითი ასპექტების გათვალისწინებაზე, სამყაროს ცოდნაზე (სიტყვა და ცნება)

ამრიგად, სიტყვის (ცნების) არსებითი თვისებების ცნობიერად დასახელებისა და მართებულად გააზრება-გაგებას შორის გარკვეული სხვაობა არსებობს და ის ფაქტი, რომ უცნობი და უჩვეულო ფორმაც სრულებით გასაგებია, ძალიან საყურადღებოა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩვენ გვესმის და ვიაზრებთ ცნების აზრს, მიუხედავად იმისა, შეგვიძლია ამ სიტყვის არსებითი ნიშნების ჩამოყალიბება თუ არა. ცნებითი აზროვნების ჩამოყალიბების პროცესში საკვანძო მნიშვნელობა სიტყვას, ინდივიდის მეტყველებას ენიჭება. ცნება შეუძლებელია სიტყვების გარეშე .ცნებითი აზროვნება შეუძლებელია სიტყვითი აზროვნების გარეშე [Выготский, 1934;116]

ლიტერატურა:

1. უზნაძე დ. (2006) ზოგადი ფსიქოლოგია, საქართველოს მაცნე, თბილისი
2. სიტყვა და ცნება - iwaminda, wordpress.com
3. Выготский Т. (1934) Мышление и реч, Москва
4. Arnold I. V. (1973) The English Word, Москва, 'Высшая школа'

Nunu Charkviani, Irma Rusadze, Sophio Kipiani

For the Relationship of Word and Notion in Different Language System

Abstract

This paper deals with the discussion of the word and the notion in different language system, which help us to reveal their features. While studying the foreign language , it became very obvious, that most students find it difficult to choose the appropriate word while translating from Georgian into English , as well as from English into Georgian. They should know that in both languagea there are enough suitable words which can avoid them of using the direct translation.

რეცენზენტი: პროფ. ლ. კიროვა

ფუნქციურ-ენობრივ სტილთა და ჟანრთა ეკლექტიზმი აკა მორჩილაძის რომანში „გაქრები მადათოვზე“

თათია ცეცხლაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: tati.tsetskhladze@mail.ru

სტატიაში განხილულია ფუნქციურ-ენობრივ სტილთა და ჟანრთა ეკლექტიზმი რომანში „გაქრები მადათოვზე“, გაანალიზებულია, თუ რომელ სტილს ანიჭებს მწერალი უპირატესობას, რით არის სტილთა თუ ჟანრთა აღრევა განპირობებული და რა მიზანს ემსახურება ეს.

აკა მორჩილაძე, როგორც პოსტმოდერნისტი მწერალი, თამაშობს ფუნქციური სტილებით და ჟანრებით. ეს დასავლური მწერლობის ერთ-ერთი ტენდენციის გამოხმაურებაა. ის ძირითადად იყენებს სასაუბრო სტილს, რომელშიც უხვადაა ბარბარიზმი, ჟარგონი, ვულგარიზმი და. ა.შ. მწერალი მიმართავს ძველ გუჯრებსაც, გამოძიების ოქმებსაც და პირად წერილებსაც. პროზაში ჩართულია ლექსებიც.

აკა მორჩილაძის მიზანია, მრავალი კუთხით, მრავალი ასპექტით დაგვიხატოს რომელიმე მოვლენა. ეს განპირობებულია თემატიკით, კერძოდ, ძველი და ახალი თბილისის იმ ამბებით, რომლებიც ბურუსითაა მოცული. სტილთა გადართვა-გადათამაშების ხერხები ემსახურება დამაჯერებლობის ეფექტის მიღწევას და მწერლის იდეის გამოხატვას.

სასაუბრო სტილი, რომელსაც მწერალი იყენებს, ერთგვარი გზაა მკითხველმა ადვილად, ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე სწორად აღიქვას მწერლის/პერსონაჟის ამბავი. მწიგნობრული სტილი კი მკითხველის მზაობას მოითხოვს.

რომანში „გაქრები მადათოვზე“ სტილები და ჟანრები ბუნებრივად ერწყმის ერთმანეთს, რაც რომანის ორიგინალურობას ადასტურებს.

საკვანძო სიტყვები: პოსტმოდერნიზმი, ფუნქციური სტილი, ჟანრი, ეკლექტიზმი.

ფუნქციური სტილის კვლევა, სტილთაშორისი საზღვრების დაცვა თანამედროვე სტილისტიკის აქტუალური საკითხია. მეტად საინტერესოა მისი შესწავლა სხვადასხვა ტიპის დისკურსში, რაც უშუალოდ ფუნქციური სტილისტიკის პრეროგატივაა, ის „სწავლობს ენის განსაკუთრებულ შესაძლებლობებს ყველა ტიპის ენაში, აგრეთვე ყველა პირის, ეპოქის, ცალკეული ნაწარმოების ნიმუშებს ენაში და სხვა [გვენცამე, 1974:12]. აღნიშნულ საკითხს იკვლევენ მწერლის ენისა და სტილის შესწავლის დროსაც.

არსებობს ხუთი სტილი (სამეცნიერო, პუბლიცისტური, ოფიციალურ-საქმიანი, მხატვრული ლიტერატურის და სასაუბრო) და სუბსტილები, რომლებიც ხასიათდება ლექსიკური და გრამატიკული თავისებურებებით, განსხვავებულია მათი შემაპირობებელი ლინგვისტური თუ ექსტრალინგვისტური ფაქტორებიც.

მიჩნეულია, რომ „ენობრივ ერთეულთა მიზანდასახული გამოყენება უკავშირდება ადამიანის ურთიერთობის სხვადასხვა სფეროს, კომუნიკაციის მიზნებს, ტიპებს, სიტუაციებს და ა. შ. [კვარაცხელია, 1990:10]. კონკრეტული „ფუნქციურ-ენობრივი სტილი... ადამიანის საქმიანობის ტიპობრივი სფეროს შესაბამისად განსაზღვრულ ფუნქციებს ასრულებს“ [ცეცხლაძე, ხახუტაიშვილი, 2014:38].

ტექსტის სტილი განისაზღვრება კონკრეტული სიტუაციის, ადრესატის ასაკის, მისი განათლების, ცოდნის დონის, სოციალური სტატუსის, ინტერესთა სფეროს გათვალისწინებით. ნაწარმოები განსაზღვრული სტილით იწერება. მას განსაზღვრავს ეპოქა, ლიტერატურული გავლენა, მიმდინარეობა, მწერლის პიროვნება და სხვა.

მწიგნობრულ სტილში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სტილთა ავტონომიურობას და თავისთავადობას. „გასათვალისწინებელია ასევე გამომსახველობით საშუალებათა ზომიერება („მომჭირნეობა“), აკადემიზმი და ამგვარი ფიგურების სტანდარტიზაცია“ [არაბული, 2008:192].

საბჭოთა ეპოქის დაკვეთა იყო სტანდარტულად, სოცრეალისტურად წერა. უსტილობა, სტილური სტერილურობაც სტილია, პოსტმოდერნიზმის უმთავრესი ნიშანი კი სტილებისა და ჟანრების განურჩევლობაა. პოსტმოდერნისტულ ესთეტიკას არ აინტერესებს სტილის ერთიანობა. ორმაგი კოდირების პრინციპიდან გამომდინარე მხატვრული ნაწარმოები განკუთვნილია როგორც მასობრივი მომხმარებლისთვის, ისე ელიტისთვის.

დღეს სხვადასხვა ტიპის დისკურსში სტილთაშორისი საზღვრები დარღვეულია, მწიგნობრული და სასაუბრო სტილები შეჭრილია ერთმანეთში. მხატვრულ დისკურსში ცალკეული სტილის აღრევის ალბათობა დიდი არაა, თუ არსებობს, მას სტილისტიკური დატვირთვა აქვს. მითითებულია, რომ მადათოვის ციკლის პირველი რომანი – „გადაფრენა მადათოვზე და უკან“ XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის დასაწყისის მხატვრული პროზის სტილისა და

პუბლიცისტიკა-ესეისტიკის თავისებურებათა ნაზავია [იმნაიშვილი, 2010]. ტრილოგია მადათოვის მეორე წიგნი „გაქრები მადათოვზე“ კიდევ უფრო საყურადღებოა მრავალსტილიანობით.

თბილისის წიგნის სააგენტოს მონაცემებით, ბესტსელერების ოცდაათეულში 2001-2003 წლებში ქართული მხატვრული ლიტერატურა 30 %-ს ქმნიდა და მათ შორის არის რომანი „გაქრები მადათოვზე“ [ნინიძე, 2008].

ჩვენი მიზანია სტილთა ეკლექტიზმის ფუნქციების კვლევა რომანის – „გაქრები მადათოვზე“ მიხედვით. საამისოდ პასუხი უნდა გაცეს შემდეგ საკვლევ კითხვებს: რისთვის მიმართავს ავტორი XIX (და არა მარტო) საუკუნის მწერალთა სტილს? რატომ გადმოიცემა ერთი ამბავი განსხვავებული ფუნქციური სტილებით და ჟანრებით? რამდენად მოხერხებულად ერწყმის ისინი ერთმანეთს? ხომ არ ტოვებს სტილებით თამაში ხელოვნურობის შთაბეჭდილებას? როგორია სტილთა ეკლექტიზმის დანიშნულება?

ამ რომანში გაცოცხლებულია XX საუკუნის დასაწყისის საქართველოს სურათები. სიტყვა „გაქრობა“ უკავშირდება კუნძულ მადათოვს, რომელიც მდებარეობდა მდინარე მტკვარზე, თბილისში. იგი XIX საუკუნეში გენერალმა ვ. მადათოვმა შეიძინა. აქ ნაპოვნია თბილისელი მამათმავლის მკვლელობის გამოძიების დეტალები ააშკარავებს მრავალი დაფარული საქმის კვალს. ამ რომანებში კარგად ჩანს სიმბოლური მნიშვნელობა და მის გაქრობასთან დაკავშირებული სევდა, რომელიც ამავედროულად ჩვენი ქვეყნის ბედიცაა.

აკა მორჩილაძე არ წერს ერთი კონკრეტული სტილით, თამაშობს ფუნქციური სტილებით და ჟანრებით. დასახელებულ რომანში ერთდროულად სტილთა და ჟანრთა ეკლექტიზმი გვაქვს, რაც ტოვებს შთაბეჭდილებას, თითქოს ერთდროულად დეტექტიურ, სასიყვარულო და ისტორიული ჟანრების ნაწარმოებებს ვკითხულობთ. მწერალი ძირითადად იყენებს სასაუბრო სტილს, წერს ამ პერიოდში საკმაოდ გავრცელებული სოციოლექტით, ჟარგონით, მაგრამ ჩაურთავს მიმართავს ძველ გუჯრებსაც და მიწერ-მოწერასაც. ეს დასავლური მწერლობის ერთ-ერთი ტენდენციის გამოხმაურებაა.

სასაუბრო სტილი, როგორც აღვნიშნეთ, ერთგვარი გზაა მკითხველმა ადვილად, ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე სწორად აღიქვას მწერლის/პერსონაჟის ამბავი. თხრობა მიმდინარეობს სასაუბრო სტილით, რომელშიც ხშირად ჩართულია სქოლიოებიც. მაგ. თაქთაქოვის შესახებ უფრო ვრცელი ცნობებია მოცემული, ოღონდ სქოლიოში. სქოლიო მოცულობით ერთ გვერდზე მეტია.

**აპოლონ თათაქიშვილი გახლდათ ერთი ნაბოლარა შთამომავალი განთქმულ თავადურ გვარისა, გერმანიის სამედიცინო სასწავლებელში პროვიზორის ხელობას დაუფლებული ქეიფის მოყვარე და წვრილშვილის პატრონი. ადრიდანვე კარგი მეგობრობა ჰქონიყო განთქმულ ნარიმან-*

ხანთან ბაქოში...ეს ნარიმანხანი ბრძანდებოდა მილიონერი...ამაყ თაქთაქოვისგან უჩუმრათ, თავისი ფულით კასპის პირად შეეძინა ერთი მიწის ნაკვეთი სწორედ აპოლონის სახელზე. აქ დაეკრათ წერაქვი და ნავთი ჩქეფად წამოსულიყო [იქვე, 163].

აქ დაწვრილებითაა აღწერილი, თუ როგორ მიიღო თაქთაქოვმა ასიგნაციები ნარიმანხანისგან, რაში დახარჯა მიღებული ფული, რა საქმეები გააკეთა და ა.შ. ავტორს დაწვრილებით მოჰყავს დეტალები, რომლებიც ხაზს უსვამს აპოლონის სიამაყეს, მედიდურობას. ამის გამო ის სრულიად უსახსროდ დარჩება და ისევ პროვიზორობას მოჰკიდებს ხელს.

ავტორი დამატებით ცნობებს იძლევა ჩიქილაზე, რომელსაც კაპიტან საგინოვის გარდა სალმის მიმცემი, მომკითხველი არავინ ჰყავდა. „ჩიქილა იყო ერთი ათას ჭირში გამოვლილი თათარი. ერთადერთი კაცი, ვისაც ამ ქალაქში კაპიტან საგინოვ შეუვლიდა ხოლმე...ისინი შემთხვევით შეხვდნენ ერთმანეთს, საგინოვი ამ სიტყვებით შეუვლიდა ხოლმე: და შეხვდნენ ერთიმეორეს ქუჩუკ და ყარამანი, შვილიშვილი და პაპა. ჩიქილაც დახვდებოდა წვერით, მოკლე ულვაშით, მოხოტრილ თავზე შემოტმასნილ შალის ქუდით! აი, კაცი მოვიდა, ბისმალა...“ [იქვე, 220].

ავტორი ახსენებს სევერიანე ღვალაძეს და მის შესახებ ცნობებს არა იქვე, არამედ სქოლიოში გვაწვდის: „უნდა მოგახსენოთ ორიოდ სიტყვა სევერიანე ღვალაძის გამოც: სინამდვილეში მას არ ერქვა სევერიანე ღვალაძე და ოპერის ბუფეტის ჭურჭლის გამკრიალებელ ტანდაბალ ამ კაცში ძნელად ამოიცნობდნენ გერმანოზა სხვაგვად, ბუკისკვარელ დიაკვნის შვილს, წითელ პარტიზანელს, მერე ბაქოში სამი ბომბის დამდებს, რევოლუციის დროს თმაწვერმოშვებულს..., გამოპარულიყო ბაქოდან და ამხანაგებს მიეცათ მისთვის ადგილი საოპერო ბუფეტში. ეს იყო ცრუ ადგილი, ვინაიდან ცრუ ღვალაძე-ჩიფხაიხილიძევი ელოდა უცხოეთის ასევე ტყუილ პასპორტს და პარტიულ ამხანაგებისგან ფულს“ [იქვე, 154].

აქ გადმოცემულია პერსონაჟის ცხოვრების წესის, ორმაგი ბუნების ამსახველი დეტალები.

მეტად საინტერესოა სქოლიოში თანდართული ინფორმაციის წყაროების მითითება, რაც სამეცნიერო სტილისთვისაა აუცილებელი: ამის ძირითადი ცნობები ამოკრეფილია მენშევიკ ვალოდია კვანჭახიძის წიგნიდან „თეთრი გიორგის რაინდები“, პ. 1935 წ. დანარჩენი, ღმერთმა იცის, საიდანაა შეკრებილი“ [იქვე, 154].

მეტი დამაჯერებლობისთვის მწერალი მიმართავს სქოლიოში წყაროების დამოწმების ხერხსაც: მაგ. გაზეთი „კავკაზ“ 1909 წლის 10 ნოემბერი [იქვე, 288]. აქაც კარგად ჩანს პოსტმოდერნისტული დამოკიდებულება. თხრობას მწერალი ოფიციალურ-საქმიანი სტილით აგრძელებს. ეს არის „დაკითხვის ოქმის ამონარიდი“.

გამომძიებელი მოქალაქე იმერლიშვილს ადანაშაულებს საბჭოთა ხალხის მტერ ლევ ტროცკისთან კავშირში და გამოტყუებს კიდევ. ბრალდებული ამბობს, რომ ის ყოველთვის სძულდა,

გიჟი იყო. გამომძიებელი ეუბნება, რომ ნაპოვნია მასთან მიმოწერაც. ის ამტკიცებს, რომ მისი სტუდენტობის დროს ფაშიზმი არ არსებობდა, რაც გამომძიებელს აძლევს იმის მტკიცების საფუძველს, რომ რევოლუციამდეც ჰქონია კავშირი ტროცკისტებთან:

– **გამომძიებელი:** ვინ არის აბსენ ტუნგ, ვისთან მიმოწერაც ნაპოვნია თქვენს ბინაზედ?... იცით თუ არა, რომ ხალხის მტერი ალექსიძე გადებთ ხელს?... ის ამბობს, რომ თქვენ მასთან ერთად ხართ ფაშისტური საიდუმლო ორგანიზაციის წევრი, ჯერ კიდევ თქვენი სტუდენტობის დროიდან, ანუ...

– **იმერლიშვილი:** ჩემი სტუდენტობის დროს ფაშიზმი არ არსებობდა.

– **გამომძიებელი:** ანუ, თქვენ ჯერ კიდევ რევოლუციამდე ეწეოდით ძირგამომთხრელ საქმიანობას რევოლუციონერთა შორის და მასების ფაშისტური იდეებით გამოკვებას ცდილობდით. რევოლუციის შემდეგ კი თქვენ ჩაებით ტროცკისტულ საქმიანობაში. იუდა ტროცკის გაძევების შემდეგ გაქვთ მუდმივი კავშირი საზღვარგარეთ მოკალათებულ ჩვენი ქვეყნის მტრებთან. ეთანხმებით თუ არა ამ ბრალდებას?

– **იმერლიშვილი:** ტროცკისტებს არ ვიცნობ. ვიცნობდი, მაგრამ მერე ყველა დაიჭირეს და დახვრიტეს.

– **გამომძიებელი:** რა კავშირი გაქვთ ალექსიძესთან?

– **იმერლიშვილი:** ახალგაზრდობის მეგობრები ვართ.

– **გამომძიებელი:** ალექსიძე ამბობს, რომ თქვენ ხართ ფაშისტური იატაკქვეშა ძირგამომთხრელი ორგანიზაციის, „კავკასიის დიდი განთიადის“, ხელმძღვანელი. განმარტეთ ამ სახელწოდების შინაარსი...

– **იმერლიშვილი:** არ ვიცი, რას ნიშნავს ეს [იქვე, 276-277].

აკა მორჩილაძე ხშირად ერთი ამბიდან მეორეზე გადადის, ერთგვარ თამაშს ეწევა და მკითხველს თანდათან, შეუმჩნევლად ამ თამაშის თანამონაწილეს ხდის. ეს ერთგვარი ხერხია მწერალმა მრავალი კუთხით, მრავალი ასპექტით დაგვიხატოს რომელიმე მოვლენა. ნაწარმოებში ჩართულია ორი წერილი, რომელთაც ერთნაირი სათაური აქვს: წერილი მარინე სარქისოვნა აგაბეკოვასი, თავისი დისადმი მიწერილი ვარშავაში, კბილის ექიმების სასწავლებელში (შემდგომისდაგვარად გადმოთარგმნილი სომხურიდან და ცოტათი რუსულიდან). ეპისტოლარული ან მიმოწერის სტილი საქმიანი ქალაქების სტილში შეაქვთ [ზასილაია, 1991:46].

წერილებით მკითხველი იგებს წვრილმან დეტალებს. ამბის უშუალო თვითმხილველი და მონაწილე მტკივნეულად განიცდის მომხდარს:

პირველ წერილში გადმოცემულია ქალ-ვაჟის მოულოდნელი შეხვედრა, გაცნობა და დაახლოება. მწერალი თითქოს ამზადებს მკითხველს მათი ტრაგიკული ბედის ამბის მოსათხრობად.

ისინი ერთმანეთს შემთხვევით შეხვდებიან ერთ დაწესებულებაში და იქ არამ ნიკოლაევიჩი უკმეხად მოიხსენიებს აფთიაქარებს, გოგონაც შესაფერისად პასუხობს. მცირე ხნის შემდეგ ისინი ერთმანეთს აფთიაქში შეხვდებიან, ყმაწვილი ნათარგმნ ლექსს - „ანაბელ ლიდს“ დაუტოვებს ქალს და სთხოვს, შეაფასოს ის. გოგონა ლექსს აფასებს, როგორც მტანჯველს.

მეორე წერილში გადმოცემულია დეტალები, არამ ნიკოლაევიჩი და აკაკი როგორ მივიდნენ გვიან ღამით მარინეს და ასიას მამასთან ოჯახში. ისინი მთვრალეები ყოფილან. არამ ნიკოლაევიჩს გაუმხელია საიდუმლო, მე ასიას სიყვარულის დასტური მაქვსო. მამა მეტად აღშფოთებულა და დაუკრავს მუშტი მაგიდაზე, ეს სიყვარული კი არა, უზრდელო თამაში არისო. მამა კიდევ უფრო მეტად გაუბრაზებია აკაკის ურცხვ საქციელს, რომელსაც უბიდან ამოუღია ქაღალდები და წაუკითხავს ძველი ინდოური წიგნიდან დეტალები, სადაც აღწერილია, თუ „როგორ ისიყვარულონ ქალმა და კაცმა ნაირგვარ ხერხებით, რათა იმათ სიყვარული არ გაჭკნეს [იქვე, 310].

თხრობა მოულოდნელად გრძელდება „დასაწვავი ბარათით“. ეს არის სტუდენტ იოსელიანის მონათხრობი ჟანდარმერიის პოლკოვნიკ გრიგოლ ყორღანოვისადმი 1914 წლის 1 აგვისტოს. ძველი მეგობარი იოსელიანს წიგნის გადათარგმნას სთხოვს და თან ეუბნება: „ერთადერთი პირობა შენი მხრიდან: დასაცავი არის სრული საიდუმლოება ამ საქმისა. საწოლქვეშ არი სამალავი და იქ შესძლებ, შეინახო ეს ყოველივე, რათა მშვიდათ იარო... წაკითხვისთანავე დასწვი ეს წერილი. არ მოჰმუქნო და ისე არ შეაგდო ბუხარში, რომ იქ თვეები გაატაროს კუთხეში, მხოლოდ ფერდშებრაწულმა. აკუწე და ყურადღებით მიეცი ცეცხლს“ [იქვე, 170-171].

წერილს ერთვის სქოლიო, სადაც მწერალი იოსელიანის მღელვარებას, მის ემოციურ მდგომარეობას და საბოლოო გადაწყვეტილებას აღწერს: „მტკიცედ ვსთქვი, არა მაქვს შიში ამ წამხდარ ქვეყანაში თუნდ უდიდეს კრამოლაზედ ხელის მოკიდებისა, თუკი ვიცი ის, რასაც ვაკეთებ სამეგობრო საკითხში“ [იქვე, 171].

ავტორისეული თხრობა სასაუბრო სტილისაა, მაგრამ ისნის ისტორიის და საგინანთ გვარის ძველი დიდების გადმოსაცემად მწერალს აქვს პირდაპირ ჩასმული გუჯრები, რომლებიც „მოპოვებულია“ ბიბლიოთეკებში. სწორედ აქ რეალიზდება არქაული სტილი: „*ჯაჭვითა საზომელითა ჩარვიდეს ჩრდილოის კერძ და მეფემან ცოცხალ მთოვარე დასდვა ნიშნად ალამი თვისი. ხოლო სთქვა შემდგომად ამისად მეფემან ცოცხალ მთოვარე მიმოხირა ხედვით მიდამოისა მისისა მონიშნულ-მოზომილისა, ბიჯითა და ჯაჭვითა სარკინოზულითა და ოროლ ალმითა: არს ესე ალაგი ისან? არსა, მიუგეს... დაღაცათუ ალამი ესე, ნიშანი მეფობისა ჩემისა სდგეს აქა, წარვალს ჟამი ესე და წარიტაცოს ქარმან ჟამისამან ნიშანი ესე.*

ციხესად მას ხორხისად სლვათ იქნა მნელ და კრულ, რახანდა გაიხსნას ცაი და იდინოს წყალმან წვიმამან ეშმაკეულმან და გზათა ზედა მორევად იქმნეს ლაფ და წუნწუხო... და ჰგია

ვეზირმა: მეფე ალსავლეთისა და დასავლისავ, ცოცხალ მთოვარე კისკასო და ნაზარდო იფან და ნაზარდო იფან, შვილი აჰ ნიჩბელის, კორინთელის ვახტანგ ბივრტელისა, აზრსა მას ნაღვლარქნსა მოგახსენებ შენ: არა არს თქმული განთხრა ალაგისა მისისა ზედა მას მთისასა მუხისა ახლოისა, ოდენ დასმაი ნიშნისა შენისა... რქუა მეჯინებეთუხუცესსა კოხინჯორ, ჯორ-კაპოეტნი აღმიკაზმე, რათა მარტო ვიდოდე მთას მას ადგილსა სახელითა ისან...და ვიხილო აკვანი უპირველესი ბაგრატუნისანსად, ოქროითა ნაფერ და კეთილ ხით ნაგებ.

სწვდა აღვირსა ჯორისა რჩეულისა ხოლო კაპოეტი იგი ლამაზა ბეჭხედ ესვა და წარემართა ეული, არა თანა ხლებითა ვისმესი, არა თანახლებითა ბერისა, არა სპასი მეფე დიდებული ცოცხალ-მთოვარე... “[მორჩილაძე, 2011:192-193].

სტილთა გადათამაშების კიდევ ერთი მაგალითია თავი „ძველ მეგობართა შეხვედრა“, სადაც ლურჯ და შავროხოსნიან ამხანაგთა შეხვედრაა მოთხრობილი. რომანში ხშირად ვხვდებით ესეისტურ ადგილებსაც. ამგვარი აზრი პოეტთა ლურჯროხოსნობის შესახებ ნიკო ლორთქიფანიძეს გამოუთქვამს თავის „ქედუხრელში“, რომელიც 1938 წლიდან უწერია ლამის სიცოცხლის ბოლომდე, ანუ 1944 წლამდე და მის ბოლო დიდ თხზულებად უნდა მივიჩნიოთ. ბაიარდი ამ წიგნს ვერ წაიკითხავდა 1909 წლის შემოდგომამდე, ხოლო მეორე მსოფლიო ომის მიწურულს, მით უმეტეს, ვერ წაიკითხავდა, რადგან ცოცხალი აღარ იყო.

ესეისტურია სქოლიოში მოცემული ინფორმაცია: „მთელს კავკასიაში საუკეთესო ჩოხებს რომ ზუგდიდში კერავდნენ, ცნობილი ამბავია. ოღონდ კი ჩოხის კლასიკური ფერი გახლავს შავი, თეთრი და (ეს ქართული ვარიანტია) შვინდისფერი.

ნაწარმოები სრულდება ნათარგმნი ლექსით, ეს არის ედგარ პოს „ანაბელ ლი დ“.

„ანაბელ ლი დ

ეს იყო მრავალზე მრავლის წინეთ,

იმ ნაპირს ჰრეცხავდა ტალღები ზღვის,

სცხოვრობდა ქალწული ხმელეთის კიდეზე,

დავარქმევ სახელათ ანაბელ ლიდს...“ [იქვე, 325].

ლექსი ტრაგიკული ხასიათისაა და მწერალმა ამით მეტად ორიგინალურად გადმოგვცა თავისი სათქმელი, რომანის დაწერის იდეა, რომ ამგვარი ყოფის ფინალი ტრაგიკულია.

აღნიშნული ლექსი მწერალს ინგლისურენოვან ანთოლოგიაში წაუკითხავს. ის წერს: „ეს ჩემი საყვარელი ლექსია, ისე მიყვარს, რომ ერთხელ ვთარგმნე კიდევ და საკუთარ წიგნში ჩავტენე. ... პოს ნაწერებში სწორედ ეს არის მთავარი, ძრწოლვა, რომელსაც ვერ წყდები. ხშირად ადამიანები რბილად ფიქრობენ სიყვარულზე, პო – არასდროს. ანაბელ ლიც ეს არის, რა თქმა უნდა, ავის დანახვის ხელოვნება, დასასრულის დანახვის ხელოვნება“ [მორჩილაძე, 2009].

ამრიგად, რომანში „გაქრები მადათოვზე“ სტილთა თუ ჟანრთა ნაირგვარობით გამორჩეული ნაწარმოებია. მასში მონაცვლეობს მხატვრული სტილის სხვადასხვა ჟანრი, ოფიციალურ-საქმიანი სტილის, ეპისტოლარული ჟანრის ტექსტები, სიგელ-გუჯრები, ესეისტური ჩანაწერები, სამეცნიერო სტილის ელემენტები, ძველი და ახალი სტილები, მაგრამ ეკლექტიზმი არ ტოვებს ხელოვნურობის შთაბეჭდილებას. ის შესაძლებელია ჩაითვალოს მწერლის ინდივიდუალურობის, ორიგინალურობის საზომად და სტილის შემაპირობებელ ფაქტორადაც. ამ ხერხით მწერალი დეტალურად აღწერს ძველი და ახალი თბილისის იმჟამინდელი ყოფის აქტუალურ თემებს, რომლებიც ბურუსითაა მოცული. სტილთა გადართვა-გადათამაშების ხერხები ემსახურება დამაჯერებლობის ეფექტის მიღწევას და საქართველოს მომავლის პრონოზირებას.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. არაბული ა., – ქართული მეტყველების კულტურა (მეორე გამოცემა). გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი. 2008.
2. ბასილაია ნ., – ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა. გამომცემლობა „განათლება“. თბილისი. 1991.
3. გვენცაძე ალ., – ზოგადი სტილისტიკის საფუძვლები. გამომცემლობა „განათლება“. თბილისი. 1974.
4. იმნაიშვილი ა., – XX საუკუნის 90-იანი წლების პოსტსაბჭოთა თაობის ქართული პროზის პოსტმოდერნისტული ტენდენციები. ჟურნალი „სემიოტიკა“. №7, თბილისი. 2010 <https://semioticsjournal.wordpress.com/2010/09/15/>
5. კვარაცხელია გ., – ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი. 1990.
6. მორჩილაძე ა., – მადათოვი ტრილოგია. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. თბილისი. 2011.
7. მორჩილაძე ა., – ჰემერჰედი, ცოტა რამ პოს შესახებ. საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი „არილი“. თბილისი. აპრილი 1. 2009. <http://arilimag.ge> (მოძიებულია 20.10. 2019).
8. ნინიძე ქ., – ბესტსელერი და თანამედროვე ლიტერატურული გამოწვევები. ჟურნალი „კრიტიკა“ №3, თბილისი. 2008. <http://literaturatmcdneoba.tsu.ge/kritika-3.pdf> (მოძიებულია 20.10.2019).
9. ცეცხლაძე ნ., ხახუტაიშვილი მ., – სტილისტიკა. გამომცემლობა „ივერიონი“. თბილისი. 2014.

**The Eclecticism of Functional-Lingual Styles and Genres in Novel by Aka Morchiladze
“To Disappear on Madatov Island”**

Abstract

The present Article discusses the eclecticism of functional – lingual styles and genres in novel “**To Disappear on Madatov Island**”, it is analysed which style is preferential for the author himself, what the reason for mixture of styles and genres is and what the purpose of it is.

Aka Morchiladze as post-modernist writer does not follow one certain style, he plays a game with functional styles and genres. This is one of the trends of western literature. The author mostly uses colloquial style which is full of barbarisms, slang, vulgarism, etc. but he also includes old Gujari, investigation protocols and personal letters as well. The prose includes poems as well.

Aka Morchiladze often moves from one story to another, he somehow plays with genres and styles. The goal of the writer is to paint an even in multiple sides and aspects. It is stipulated by the topic in particular stories of old and new Tbilisi which are obscure. The playing with styles serves to achieve effect of reliability and expressing writer’s ideas.

Based on novel studies it was identified that the colloquial style which is used by the writer, is some kind of way for the reader to certainly perceive the story of the writer / character himself without any ambiguity. The literary style requires some kind of readiness from the reader.

In the novel “**To Disappear on Madatov Island**” styles and genres naturally merge with each other which approves originality of this novel.

რეცენზენტი: პროფესორი ა. დიომიდოვა

ლიტერატურათმცოდნეობა Literature

**9 აპრილი, როგორც კოლექტიური ტრავმის ინსპირაცია, გურამ
დოჩანაშვილის მოთხრობის „ორნი აქა-იქ“ მიხედვით**

ნონა ამბოკაძე

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
namboka@gmail.com

9 აპრილმა, როგორც კოლექტიური ტრავმის ინსპირაციამ, ასახვა პოვა გურამ დოჩანაშვილის მოთხრობაში „ორნი აქა-იქ“, რომელიც მოვლენების კვალდაკვალ, „დროის დისტანციის“ გაუთვალისწინებლად დაიწერა და იმავე, 1989 წელს გამოქვეყნდა. ნაწარმოებში ორი ქვეყნის შედარების ფონზე კარგად ჩანს „მძელეველთა“ და „დაძლეულთა“ არაერთგვარი მდგომარეობა. მოძალადეები კარგად შეიარაღებულნი და ფსიქოლოგიურად „დამუშავებულნი“ არიან, დაპყრობილი ხალხი კი (საქართველო) უიარაღოა და მისი „ნაკლი“ ისაა, რომ თავისუფლების მოყვარულია. მოთხრობის მთავარი გმირი, პატარა გოგონა, რომელიც 9 აპრილის ტრაგედიის მსხვერპლია, სიმბოლურად საქართველოს გამოხატავს. ჩვენს ქვეყანას ხშირად უხდებოდა თავისზე ბევრად ძლიერ და დიდ იმპერიებთან ჭიდილი. მეორე პერსონაჟი კი სტასიკი, რომელიც გოგონას ჰკლავს, და რომლისთვისაც სამშობლოს სიყვარული და თავისუფლება კერძო ინტერესებამდეა დასული, იმპერიალისტური ბუნების ნათელი გამოხატულებაა.

აღსანიშნავია, რომ გურამ დოჩანაშვილის შემოქმედებას, ზოგადად, ახასიათებს ნარატივის გამლა ბიბლიური მითების ფონზე და ამავე ჭრილში ავტორისეული კონცეფციის წარმოჩენა. ამ მოთხრობაშიც „ორნი აქა-იქ“ არაერთი სემანტიკური სქემაა მოცემული, რომელიც მკითხველის მხრიდან გულისყურით წაკითხვას მოითხოვს; წინააღმდეგ შემთხვევაში დაირღვევა მხატვრული ნაწარმოების ფუნქციონირების მოდელი (მწერალი, ნაწარმოები, მკითხველი), რადგან მკითხველს ავტორისეული ჩანაფიქრის სწორად აღქმა გაუჭირდება. მოთხრობის ძირითადი

სიუჟეტური ხაზის პარალელურად (რომელიც ზემოთ აღნიშნულ ორ პერსონაჟს შეეხება) ავტორი გადმოგვცემს ქრისტეს ცხოვრების ეპიზოდებს, წარმოაჩენს ქართველ წმინდანთა სახეებს და სხვ.

საკვანძო სიტყვები: გ.დოჩანაშვილი, ნარატივი, 9 აპრილი, მოთხრობის სიუჟეტური ხაზი

9 აპრილის თემა აქტუალურია ქართულ ნარატოლოგიაში. არაერთი ნაწარმოებია ამ ტრაგიკული თარიღის ინსპირაციის წყარო. გურამ დოჩანაშვილის მოთხრობა „ორნი აქა-იქ“ 9 აპრილზე შექმნილ ნაწარმოებთა შორის ერთ-ერთი პირველთაგანია. მოთხრობა 1989 წელს დაიწერა და გამოიცა. მასში მთელი სიცხადითაა ნაჩვენები იმპერიალისტური რუსეთის დაუნდობელი სახე და მის ფონზე დამოუკიდებლობას მოწყურებული პატარა სახელმწიფოს უუფლებო მდგომარეობა.

მოთხრობის ავტორი ადრეული ასაკიდან ჩაება ანტისაბჭოთა მოძრაობაში; გაერთიანებული იყო 1953 წელს შექმნილ არაფორმალურ დაჯგუფებაში „გორგასლიანი“,¹ თავად იყო მომსწრე და მონაწილე 1956 წლის 9 მარტისა და 1989 წლის 9 აპრილის მანიფესტაციებისა. ნაწარმოების სათაურიდანვე ჩანს, რომ მასში ორი პერსონაჟია წარმოჩენილი: პატარა ქართველი გოგონა, რომელმაც „აქა“ წამებით „იქ“, ზეცაში, მარადიული სასუფეველი დაიმკვიდრა და რუსი ჯარისკაცი სტასიკი, რომელიც „აქა“ ჯალათობით „იქ“ სასუფეველს ვერ ეზიარა.

მოთხრობა ბიბლიური ეპიზოდების ფონზე მიმდინარეობს, მაგრამ ისე ოსტატურადაა მასში 9 აპრილის ამბები მოთხრობილი, რომ ერთი მეორეს ხელს არ უშლის, არც ტექსტის სტრუქტურაა დარღვეული და მთავარი სათქმელიც კარგადაა ნაჩვენები. თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ მოთხრობის საფუძვლიანად გასაგებად მკითხველს რელიგიური განათლება მაინც ესაჭიროება. სავსებით გასაზიარებელია ს.ომიამის შენიშვნა, რომ „...ამ მოთხრობის გასაგებად მკითხველს მართლმადიდებლური კომპეტენცია კითხვის დაწყებისთანავე სჭირდება. ბიბლიური ციტატები, ხან ზუსტად, ხან პერიფრაზულად თხრობაში უხვადაა ჩართული. ციტატების საშუალებით ხდება ბიბლიურ პრეცედენტულ სიტუაციათა აღდგენა“ [ომიამე,1991:01 (ელექტრონული რესურსი)]. ავტორი ნაწარმოებს შვილმკვდარ დედებს უძღვნის - „თქვენ გიძღვნი, დედებს“ [დოჩანაშვილი,1991:21] - რომლებმაც სამშობლოს შესწირეს შვილები და,

¹ „გორგასლიანმა“ თავდაპირველად გააერთიანა ოთხი მოზარდი (მათ შორის, ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა); შემდგომ, 1959 წელს „გორგასლიანს“ ცხრა წევრი დაემატა (მათ შორის, გურამ დოჩანაშვილი). არალეგალური ჯგუფი ანტისაბჭოთა პროკლამაციებს უშვებდა. ორგანიზაციის საქმიანობა განსაკუთრებით გააქტიურდა 1956 წლის 9 მარტის ტრაგედიის შემდეგ. ჯგუფის თითქმის ყველა წევრი დააპატიმრეს და დაპატიმრებიდან 5 თვის შემდეგ, 1957 წლის 3-5 აპრილს, თბილისში საჯარო სასამართლო სხდომა გაიმართა, რომელმაც ორგანიზაციის წევრები ანტისაბჭოთა საქმიანობაში დამნაშავედ ცნო და 3 წლიდან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. თუმცა, სასამართლო კოლეგიამ მხედველობაში მიიღო შემამსუბუქებელი გარემოებანი და მსჯავრდებულებს პირობითი სასჯელი შეუფარდა.

ერთგვარად, ანუგეშებს, რომ ისინი ცათა სასუფელში, ღვთისმშობელთან არიან. მოთხრობა პატარა გოგონას სასუფეველში მოხვედრის ეპიზოდით იწყება. კითხვაზე - „ძალიან გეტკინა შვილო?“ - გოგონა პასუხობს: „მე არ მოველოდი“. ცხადია, არც გოგონა და არც 9 აპრილს დარბეული სხვა მომიტინგეები არ მოელოდნენ ასეთ დაუნდობლობას „სოვიეტიკურ“ იდეოლოგიას ნასაზრდოები სპეცრაზმელების მხრიდან. მომდევნო ეპიზოდში გოგონას ნაჭრილობევ თავს ეფერება „დაკოჟრილი დიადი ხელი“ (ანუ, უფლის ხელი), რომელიც დედა ღვთისმშობელთან აგზავნის მას. გოგონას სიხარულის ცრემლები სცვივა მკერდზე, რომლითაც შვილი უნდა აღეზარდა, მაგრამ ვიღაც რუსი გადამთიელის მოქნეული ნიჩბის გამო არ დასცალდა. ღვთისმშობელი გულში იკრავს გოგონას, ეფერება და ეუბნება, რომ ადამიანთა ცხოვრებისეული კრედო უნდა იყოს „გვიყვარდეს... პატივი ეც... გიხაროდენ“ [დოჩანაშვილი, 1991:02]. ტექსტს ლაიტმოტივად გასდევს უფლის სიტყვები „გვიყვარდეს ერთმანეთი“. ავტორის აზრით, სწორედ უსიყვარულობამ/სიყვარულის დეფიციტმა დაარბევინა და ააჩეხვინა რუს ჯარისკაცებს მშვიდობიანი მანიფესტანტები, თორემ კაცთმოყვარე ადამიანი მკვლელი ვერ გახდებოდა.

ქართველი გოგონას ცხოვრებიდან ეპიზოდების აღწერის პარალელურად ავტორი გადმოგვცემს რუსეთში დაბადებული სტასიკის ამბავს. ორი განსხვავებული პიროვნების (გოგონა და სტასიკი) მიღმა იკითხება პატარა ქვეყნის უუფლებო, მონური მდგომარეობა და იმპერიული ქვეყნის სასტიკი, დაუნდობელი ძალა. პატარა ქვეყანა მხოლოდ ღვთისმშობლის იმედად არის დარჩენილი, ხოლო რუსეთი - „აღუვსებელი საწყაულია“, რომლის „საამაყო შვილები“ სხვის დასათრგუნად იბადებიან. მწერალი ხაზს უსვამს, რომ გოგონას დაბადების კურთხეული ადგილი ყველასათვის მიმზიდველია, სტასიკისა კი - უსიამოვნო, რადგან მადლს/კურთხევას მოკლებულია. ალბათ, ამიტომაც გაუსასტიკდა გული (პერსონაჟის სახელიც, თავისი ჟღერადობით, უსიამოვნო ასოციაციებს იწვევს: სტასიკი-სასტიკი-სვასტიკა...). მწერლის მინიშნებით, სტასიკისნაირებს სამშობლო არა აქვთ; ისინი იმპერიული ამბიციების მქონე სახელმწიფოების (ამ შემთხვევაში, რუსეთის) „საწვრთნელ ბაზებში“ არიან გამოყვანილნი და მაქსიმუმ, „ხალხთა ძმობისა და სოლიდარობის სულისჩამდგმელ“ ლეონიდ ილიჩ ბრეჟნევის ჯილდოებზე ოცნებობენ [დოჩანაშვილი, 1991:05]; ამის იქით მათი ფანტაზია არ მიდის. ამ კატეგორიის ადამიანებზე წმინდა ნინო (მტერზედ გულგამწყრალი) პატარა ქართველ გოგონას ეუბნება: „იმ უბედური აპრილის შემდეგ უმადურად შემოხიზნულებიც, თანაგრძნობის ნაცვლად გველის თავებივით წამოიმართნენ... მაგრამ ჩვენ გადაშენება არ გვიწერია, გადაშენება იმათ უწერია, ვისაც არაფერი აქვს დასაკარგი და არც არაფერი გააჩნიათ“ [დოჩანაშვილი, 1991:11].

ნაწარმოების თანახმად, სტასიკს სიამოვნებას ანიჭებს ძალადობა და სისხლისღვრა; როცა მათი სპეცბატალიონიდან ასიოდე კაცი შეარჩიეს და საიდუმლოდ გადმოაფრინეს

საქართველოში, თვითმფრინავშივე მიხვდა, როგორ მონატრებოდა თავისი ნამდვილი საქმიანობა (ანუ, ძალმომრეობა). მას არ აინტერესებს იმ ქვეყნის ბედი, რომლის შვილებსაც დარბევას უპირებს; უბრძანეს და ისიც სიამოვნებით შეასრულებს. დისლოკაციის ადგილზე (ანუ, თბილისში) ჩასულ სპეცრაზმელებს მათი უფროსი, იროდი,¹ დახვდებათ, რომელსაც, არანაკლებ სტასიკისა, სადამსჯელო ოპერაციის წინ „...ძლიერ უწყაქვავებდა ჩასაფურთხებელი სული“ [დოჩანაშვილი, 1991:12]. საბჭოური ნაციონალიზმის სულისკვეთებით მოუწოდებს იროდი „წესრიგის დამცველთ“, რომ „...მრავალეროვანი დედასამშობლო განსაცდელშია ექსტრემისტების გამო. დადგა დრო, რომ თქვენი მაღალი მხედრული ვალი ადასრულოთ. თქვენს დანახვაზე თავს მოიკატუნებენ. არ დაუჯეროთ, არ დაინდოთ, არც დიდი, არც პატარა“ [დოჩანაშვილი, 1991:13].

ერთ-ერთი ჯარისკაცი დანარჩენებს ამცნობს, რომ თბილისში - „ხალხთა ჯალათის, სტალინის ქვეყანაში“ - იმყოფებიან. შევნიშნავთ, რომ სტალინის სახელი „ბედი-მდევარივით“ სდევს საქართველოს და ვისთვისაც დიდი იმპერია შექმნა, სწორედ ისინი უპირისპირდებიან ყველაზე აგრესიულად მის სახელსაც და ზოგადად, ქართველებსაც. სინამდვილეში ის ხალხი, რომლის დასარბევადაც ემზადებოდნენ სპეცრაზმელები „... სტალინის ხალხი არ იყო, არა; ისინი თავისას ცეკვავდნენ, თავისას მღეროდნენ, თავისას მოითხოვდნენ, სხვისი არა უნდოდათ რა..“ [დოჩანაშვილი, 1991: 13].

გ. დოჩანაშვილი 1956 წლის 9 მარტის მომსწრეა და იქ ნანახ-განცდილი ახსოვს; ამიტომაც სურს, თავისი ხალხი გააფრთხილოს: „...ასე, ორიოდ დღეში, ყველაფერს ერთად არავინ მოგვცემს... ძალიან ხომ არ ავჩქარდით, ხალხო... არ შეგვარჩენენ“ [დოჩანაშვილი, 1991:14]; თუმცა, სიტყვას ვერ ძრავს, რადგან ასე ერთსულოვანი, შეკავშირებული ქართველობა დიდი ხანია არ უნახავს; ასეთ დროს შეჩერება და სიმშვიდისკენ მოწოდება კი, შეიძლება ღალატადაც ჩაუთვალონ.

სადამსჯელო ოპერაციის მონაწილეებს, მათ შორის სტასიკსაც, აოცებთ მომიტინგეების სიმშვიდე; თუმცა დროულად ახსენდებათ იროდის დარიგება: „თავს მოიკატუნებენო“ და ყველანი გულდასმით შეუდგებიან უიარაღო, მშვიდობიანი მანიფესტანტების დარბევას. როდესაც სტასიკი ლოყებდაბერილი პატარა გოგონას წინაშე შემართავს ხელს სიტყვებით „ვოტ ტებე, ზა სტალინა“, გოგონა უფრო გაოცდება, ვიდრე შეშინდება. მწერალი სტასიკს როდიონ

¹ სახელი იროდიც სიმბოლურადაა შერჩეული ავტორის მიერ. იგი რემისიციენციულად მიემართება ბიბლიურ ჰეროდეს (იგივე ეროდე-**იროდი**) - იოანე ნათლისმცემლის მკვლელს; ასევე, დოსტოევსკის „დანაშაული და სასჯელის“ გმირს - **როდიონ** რასკოლნიკოვს (მოხუცი მევახშის მკვლელს) და 9 აპრილის სადამსჯელო ოპერაციის ხელმძღვანელს, გენერალ იგორ **როდიონოვს**.

რასკოლნიკოვის სულიერ მემკვიდრედ წარმოაჩენს, რომელშიც არშემდგარი ადამიანის კომპლექსია ჩაბუდებული; სწორედ ამ კომპლექსმა ააღებინა ხელში მესანგრის ნიჩაბი (დოსტოევსკისთან - ნაჯახი) და ადამიანი მოაკვლევინა. სალომე ომიამის თანახმად, 9 აპრილის შემდეგ, ქართულ დისკურსში ნიჩაბი/ზარი ბოროტებისა და სისასტიკის სიმბოლოდ იქცა, რადგან იმ საშინელი, სისხლიანი ღამის თანამდევი ატრიბუტია, რომლის განზოგადებულ სახეს მოთხრობის პერსონაჟი - სტასიკი წარმოადგენს [ომიამე, 2012:02, (ელექტრონული რესურსი)].

„დიადი სამშობლოს“ წინაშე ვალმოხდილი სტასიკი უემოციოდ დაჰყურებს თავგაჩეხილ გოგონას (შესაძლოა, ამ დროს ლეიტენანტის სამხრეებიც ელანდება). არც იროდია გახარებული; პირიქით, სწუხს, რომ სადამსჯელო ოპერაციას მხოლოდ ოციოდ ექსტრემისტი ემსხვერპლა. ამაზრზენია ეპიზოდი, როდესაც რუსთაველის გამზირზე ჩამომსხდარი რუსი ჯარისკაცები სისხლიანი ხელებით შეექცევიან თავიანთ კუთვნილ ულუფას. ისინი ფიქრობენ, რომ საბოლოოდ დაასამარეს ქართველთა სწრაფვა დამოუკიდებლობისკენ, მაგრამ რეალურად, ასე არ აღმოჩნდა. ზვიად კვარაცხელია სტატიაში „სტასიკით შეუმკრთალი ქვეყანა“ აღნიშნავს, რომ სტასიკისნაირმა ადამიანებმა ვერ დააშინეს თავისუფლებისათვის მებრძოლი ქართველები; რომ 9 აპრილს „...სტასიკით შეუმკრთალი ახალი საქართველო დაიბადა“ [კვარაცხელია, 2013:04 (ელექტრონული რესურსი.)].

ავტორისეული კონცეფციით, ყველამ უნდა აგოს პასუხი „აქ“ ჩადენილი ცოდვებისთვის „იქ“. მოთხრობის ფინალში, განკითხვის ჟამს, მოხუცი, გალოთებული ჯალათი სტასიკი ღვთისმშობელთან (რომელსაც კომუნისტური სულისკვეთებით „ამხანაგო მარიამით“ მიმართავს) თავს იმართლებს: „მე მკვლეელი არ ვარ, ეგენი დავკაში მოყვნენ, მე მხოლოდ პრიკაზს ვასრულებდი... თუ ჩემი არ გჯერათ, იროდის ჰკითხეთ“ [დოჩანაშვილი, 1991:19]. იროდს ვინდა ჰკითხავდა; იგი კუპრში იხარშებოდა და სიკვდილში სიკვდილს ნატრობდა. „იქა“, მაღლა კი, „სადაცა მართალნი განისვენებენ“, სტასიკის ადგილი არ იყო. მოთხრობის დასასრულს, გურამ დოჩანაშვილი წარმოაჩენს ქართველთათვის დამახასიათებელ გულმოწყალებასა და დიდსულოვნებას; როდესაც სტასიკისთვის განაჩენის გამოტანას პატარა გოგონას მიანდობენ, ის შეიცოდებს მოხუც ჯალათს და უფალს მისი ცოდვების მიტევებას სთხოვს.

ბოლოს შეიძლება ითქვას, რომ გურამ დოჩანაშვილს ერთი შეხედვით, თითქოს, მიზნად არ დაუსახავს 9 აპრილის მოვლენების დეტალური გადმოცემა და მხოლოდ სიკეთისა და ბოროტების მარადიული დაპირისპირების პრობლემა წარმოაჩინა, მაგრამ სწორედ ამ ფონზე იკითხება იმპერიალისტური ქვეყნის „სახისმეტყველება“. ორი განსხვავებული პიროვნების (გოგონა და სტასიკი) მიღმა იკითხება პატარა ქვეყნის უუფლებო, მონური მდგომარეობა და იმპერიული ქვეყნის სასტიკი, დაუნდობელი ძალა.

ლიტერატურა:

1. დოჩანაშვილი გურამ. ოთხი მოთხრობა. თბ.: „მერანი“, 1991, 112 გვ.
2. კვარაცხელია ზვიად. სტასიკით შეუმკრთალი ქვეყანა. 04.2013. ელექტრონული რესურსი: <http://mastsavlebeli.ge/?p=2944>
3. ომიადე სალომე. კონცეფციები და ტექსტები (გურამ დოჩანაშვილის „ორნი აქა-იქ“). 01.2012. ელექტრონული რესურსი: <https://semioticsjournal>

Nona Ambokadze**April 9 as an inspiration of collective trauma, based on Guram Dochanashvili's short story****"Two here and there"****Abstract**

A lot has been written and said about the April 9, 1989. The dispersal of this peaceful demonstration in Tbilisi once again showed that the "Union of Nations" in the USSR was based on violence and not on the will of people of the "Brotherly Republics". It also became clear that the government's "freedom of speech" (so-called "Glasnost") remained only on paper, and Russia continued to be a totalitarian state, an evil empire.

April 9, as the inspiration for the collective trauma, was reflected in Guram Dochanashvili's short story "Two Here and There", which was written in the footsteps of the events, without considering the "distance of time" and was published in 1989. On the background of the comparison of the two countries, the condition of the "conqueror" and the "defeated" is clearly visible. The perpetrators are well-armed and psychologically "treated", and the conquered people (Georgia) are unarmed and their "deprivation" is that they love freedom. The protagonist of the story, a little girl who is the victim of the April 9 tragedy, symbolizes Georgia.

It is worth noting that the narrative against the background of biblical myths and the presentation of the author's concept in the same context is characteristic to Guram Dochanashvili's works. This story also includes a number of semantic schemes, "Two Here and There", which requires the reader to read carefully; Otherwise, the model of functioning the fiction (writer, work, reader) will be misunderstood, because it will be difficult for the reader to perceive the author's intention correctly. The author tells us the episodes from Christ's life, shows the faces of Georgian saints, etc. In this work, the mention of Christ should not be accidental, his crucified life is considered as an analogy of the fate of Georgia. His patronage towards the little girl and, therefore, towards the little country, is clearly felt. The reader won't be indifferent to the feelings of the Virgin, skillfully painted by the author, how she sheds tears when she sees the girl and how she hugs her, the girl, who misses her parents and doesn't even know where she is and why she was punished so severely.

კოლექტიური ტრავმა და მისი დაძლევის მხატვრულ-ენობრივი მექანიზმები

მაია გუგუნავა

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

e-mail: maigu17@yahoo.com

წინამდებარე სტატიის ძირითადი მიზანია გავანალიზოთ მხატვრული დისკურსის როლი კოლექტიური ტრავმის ფორმირებაში და ამავე დროს კითხვის ნიშნის ქვეშ დავაყენოთ “დამაჯერებლობის” ცნება, როგორც მხატვრული ნარატივის განმსაზღვრელი ფაქტორი კულტურული მეხსიერების ჩამოყალიბებაში.

საკვანძო სიტყვები: ენის სიმბოლური განზომილება, სუბიექტი, კოლექტიური ტრავმა, კომუნიკაციური და კულტურული მეხსიერება, პიკასოს “გერნიკა”

„შენ არაფერი გინახავს ჰიროსიმაში.

-მე ყველაფერი ვნახე.

-შენ არაფერი იცი.

-ვიცი. ყველაფერი ვიცი.

-მისმინე, ისევე როგორც შენ, მეც ვიცი რას ნიშნავს დავიწყება.

-არა!. შენ არ იცი რას ნიშნავს დავიწყება.

-ისევე როგორც შენ მეც მახსოვს რაღაცეები. ამიტომ მოვახერხებ დავივიწყო. ძალებს მოვიკრებ, რომ დავივიწყო და დავივიწყებ.

-არა! შენ არაფერი გახსოვს.

-ჩემში სიყვარულის სურვილი გააღვიძე.

-როგორც ყოველთვის ისეც ტკივილს მომაყენებს სიყვარული“.

მარგერიტ დიურასი

„ჰიროსიმა, ჩემი სიყვარული“ 1959

სოციოლოგიაში ცნობილია რომ, ისტორია თავისთავად ობიექტურად არსებული ფაქტებისა და მოვლენების თანმიმდევრობას წარმოადგენს, ხოლო ისტორიული პროცესის გააზრება და მისი მეხსიერებად ქცევა სუბიექტურობის ნიშნით ხასიათდება და იმავე ფაქტებსა და მოვლენებს სუბიექტური თვალთ ხედავს (მ. ჰალბვაქსი). ასევე დადგენილია ისიც, რომ ისტორიული მეხსიერების ფორმირებისა და მისი შენარჩუნების მიზნით საზოგადოებრივი ჯგუფები თუ ნაციონალური ერთობები ხშირად დანაკარგთან ასოცირებულ მატერიალურ ბაზას, ე.წ. “მეხსიერების არეებს/ადგილებს” (პიერ ნორა) ქმნიან, რომელიც შეიძლება წარმოდგენილი იყოს პერსონალური ნივთების, ფოტოარქივების, მონუმენტების, მემორიალების, ისტორიული

მუზეუმების თუ მხატვრული ნარატივების სახით [11]. სწორედ ამ არეებით „გამყარებული“ კოლექტიური მეხსიერება განსაზღვრავს შემდგომში ამა თუ იმ საზოგადოების ეროვნულ და კულტურულ იდენტობას, პოლიტიკურ მსოფლმხედველობას და ხშირად სოციო-ეკონომიკურ მდგომარეობასაც.

წინამდებარე ნაშრომის ძირითადი მიზანია, ამერიკელი სოციოლოგის, ჯეფრი ალექსანდერისა და ესპანელი ფილოსოფოსისა და ფსიქოანალიტიკოსის, ხესუს გონსალეს რეკენას რამდენიმე თეორიული კონცეფციის შუქზე, გავანალიზოთ მეხსიერების არეების მნიშვნელობა, სადაც განსაკუთრებით გვინდა ხაზი გავუსვათ მხატვრული, სუბიექტური ენის როლს ისტორიული მოვლენის რეპრეზენტაციაში, რომელიც ვფიქრობთ, არსებით ზეგავლენას ახდენს არა მხოლოდ ტრავმული გამოცდილების და მასთან დაკავშირებული განცდის რეაქტუალიზაციაზე, არამედ კულტურული მეხსიერების სტაბილურობაზე და პერმანენტულობაზე დროში.

ჯ. ალექსანდერმა სიღრმისეულად შეისწავლა კოლექტიური ტრავმის პრობლემატიკა და მას “კულტურული ტრავმა” უწოდა. ის განსაზღვრა როგორც “სოციალურად განპირობებული ფენომენი”, რომლის ფორმირებაში არსებით როლს “არა ბუნებრივად განვითარებული მოვლენები, არამედ ნარატივები ასრულებენ” [1:10]. მისი თეორიის თანახმად, ეს ნარატივები ამავე დროს სარწმუნო ხასიათს უნდა ატარებდნენ, ვინაიდან მხოლოდ დამაჯერებელი დისკურსის შემთხვევაში რწმუნდება საზოგადოება, რომ ამა თუ იმ მოვლენით არის ტრავმირებული [იქვე:12]. როგორც ტრავმის დამაჯერებელი ნარატივის (compelling narratives) შექმნისას ისე ტრავმული გამოცდილების დაძლევისას, მისი აზრით, დიდი მნიშვნელობა აქვს მტრის ხატს. “აუცილებელია დადგინდეს დამნაშავეს ვინაობა. ვინ მიაყენა მსხვერპლს ზიანი? ვინ გამოიწვია ტრავმა? ეს მუდმივად სიმბოლური და სოციალური კონსტრუირების საკითხია” [იქვე:15].

ბ. გონსალეს რეკენას თეორიული კონცეფციები ჩვენთვის ძირითადად მხატვრული ენის სპეციფიკის კვლევის კუთხითაა მნიშვნელოვანი. მისი აზრით, ენაში ორი, ნიშნობრივი და არანიშნობრივი მხარე გამოიყოფა, რომელსაც ის “ენის სიმბოლურ განზომილებას” (5) უწოდებს. მხატვრულ ენაში მისი თეორიის თანახმად, არსებით როლს სწორედ ენის ეს განზომილება თამაშობს, სადაც ტექსტის საზრისის ფორმირება ხდება. როგორც თავად აღნიშნავს, ტექსტის სემიოტიკური მნიშვნელობისგან განსხვავებით, რომელიც კოდირებას მოითხოვს და ობიექტურ მონაცემს წარმოადგენს, საზრისი, უკავშირდება რა კონკრეტულ სხეულსა და განსაზღვრულ დროს, ყოველთვის სუბიექტურია და გამოცდილებით შემეცნებას მოითხოვს. საზრისისა და მნიშვნელობის ურთიერთგადაკვეთა მაშინ ხდება, როდესაც მისი დაგემოვნება, მისაკუთრება, ანუ მისი “რეალურ რეგისტრთან” (ლაკანი) შეხება ხდება[7]!

ხესუს გონსალეს რეკენა თავისი თეორიული პარადიგმის ფორმულირებაში ერთი მხრივ ეყრდნობა ფროიდის თეორიულ აღმოჩენებს, რომლის საფუძველზე გამოვლინდა ენის არაცნობიერი და მრავალგანზომილებიანი ბუნება, ასევე ის, რომ ჩვენი ქცევა არა მხოლოდ ცნობიერებით, არამედ მისგან განდევნილი, არაცნობიერი ლტოლვებითაც განისაზღვრება, რომელიც სწორედ შემოქმედებით, ანუ აზრის გამომუშავების პროცესში იჩენს თავს. მეორე მხრივ იგი იზიარებს ე. ბენვენისტის დებულებებს, მათ შორის იმ მოსაზრებას, რომ “სუბიექტურობა წარმოადგენს ენის ფუნდამენტური თავისებურების გამოვლინებას ადამიანში (2:180) ზემოთაღნიშნული კონცეფციების საფუძველზე ესპანელი თეორეტიკოსი ახდენს პოსტულირებას იმ მოსაზრებისა, რომ „მხატვრული ტექსტის წაკითხვის შედეგად მაყურებლის/მკითხველის მიერ მიღებული *გამოცდილება* ერთერთ პრივილეგიურულ ადგილს იკავებს სამეტყველო პროცესში, ანუ იქ სადაც *სუბიექტურობა* ვლინდება. შესაბამისად, “აზრის გამომუშავების ეს აქტი (la enunciacion) აუცილებლად გულისხმობს სემიოტიკური სისტემის გადაკვეთას განკერძოებულ სხეულთან, რომელიც განსაზღვრულ დროსა და სივრცეშია განთავსებული“. ამ „შეხვედრის“, ანუ სხეულის ტექსტუალიზაციის შედეგად ჩნდება სუბიექტური გამოცდილება. (6). ეს ინტრანზიტიული და უთქმელი გამოცდილება კი მისი აზრით განსაზღვრავს მხატვრული ტექსტის სპეციფიკასაც, რაც თავისმხრივ განაპირობებს ამა თუ იმ ტექსტთან მკითხველის/მაყურებლის დაინტერესებას და მისი როგორც სუბიექტის ლოკალიზებას.

ბ. გონსალეს რეკენა ჯ. ალექსანდერის შეხედულების საპირისპიოდ ასევე გამოთქვამს მოსაზრებას, რომ მხატვრულ ნარატივს დამაჯებელ მსჯელობასთან არაფერი აქვს საერთო. მისი აზრით, ამას ცხადყოფს ერთი და იმავე მხატვრულ ტექსტებთან ხელახალი დაბრუნების მოთხოვნა, რაც განპირობებულია არა მათი ნიშნობრივი თვისებით ან მიზეზ-შედეგობრივი სტრუქტურით, როგორც საყოველთაოდ არის მიჩნეული, არამედ სწორედ, იმიტომ, რომ მათში რაღაც დაუჯერებელი, უცნაური და ალოგიკური ხდება. “იქ სადაც ვბრუნდებით არის ის წერტილი, რაც შეუმცნებელი, გაუგებარი დარჩა. ვბრუნდებით იქ, სადაც კვლავ დაინტერესებულნი ვართ ტექსტით. ვუბრუნდებით იმას, რაც „გვწვავს“. [4:36-37]. ტექსტის ამ ცენტრალურ ნაწილს, რომელსაც, მისი აზრით, ენობრივი წარმომავლობა გააჩნია, იგი “აღლები წერტილს” უწოდებს (*punto de ignicion*), რომელიც შეიძლება ასევე განისაზღვროს როგორც “არაცნობიერი სუბიექტის” ლოკალიზების ადგილი ტექსტში” [იქვე:38]. ამრიგად, მხატვრული ტექსტის პოეტური ქმედითობის წყალობით ხდება სუბიექტური სიმართლის ფორმირება, რისი ობიექტივიზაცია შეუძლებელია, ვინაიდან ტექსტის საზრისი მხოლოდ პიროვნულ, სუბიექტურ გამოცდილებაში ვლინდება [იქვე: 38].

წინამდებარე ნაშრომში ზემოთ აღნიშნული თეორიული შეხედულებების გათვალისწინებით, გამოკვეთილი გვაქვს სამი ძირითადი საკითხი. კერძოდ:

- რამდენად უზრუნველყოფს ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და მისი ობიექტური, რეალისტური რეპრეზენტაცია საზოგადოების მიერ განცდის ემოციურ დონეზე მის გათავისებებას და კოლექტიური მეხსიერების ფორმირებას?

- რამდენად მართებულია ჯ. ალექსანდერის ის კონცეფცია, რომ ნარატივის დამაჯერებლობა (*compelling narratives*) არის ის მთავარი კრიტერიუმი, რომელიც კოლექტიური ტრავმის ფორმირებას განაპირობებს?

- და ბოლოს, თუ გავითვალისწინებთ ესპანელი თეორეტიკოსის ზემოთთქმულ კონცეფციებს, რამდენად სწორია მხატვრული, სუბიექტური ენით გადმოცემული რეალობის კომუნიკაციური პარადიგმის ფარგლებში განხილვა და ესთეტიკური გამოცდილების სემიოტიკური სისტემის ჩარჩოში მოქცევა? იქნებ კულტურული მეხსიერების ფორმირებაში სხვა უფრო სიმბოლური მექანიზმების ამუშავებაა მნიშვნელოვანი, ვიდრე კომუნიკაციურისა, ანუ იმ მექანიზმებისა, რომლის ამოქმედება არა სემიოტიკურ, არამედ, “ენის სიმბოლურ განზომილებაში” [5] ხდება?

აღნიშნულ კითხვებზე პასუხის გაცემა ჩვენი კვლევის ძირითად ამოცანას წარმოადგენს, რაშიც ვფიქრობთ, პ. პიკასოს „გერნიკასა“ (როგორც იკონური მხატვრული ტექსტის) და ესპანეთის სამოქალაქო ომთან დაკავშირებული რამდენიმე ისტორიული მოვლენის მიმოხილვა დაგვეხმარება.

მიუხედავად იმისა, რომ ტრავმისგან გათავისუფლების გაუნობიერებელი აქტი ხშირად შემოქმედებით პროცესში ვლინდება და მხატვრულ ფორმას იღებს, ის შეიძლება ამავე დროს პოლიტიკური დაკვეთის შედეგად შესრულებული მხატვრული ნამუშევარიც იყოს. სავარაუდოდ ეს შემთხვევაა პ. პიკასოს „გერნიკაც“, რომელიც ერთერთი ყველაზე გავრცელებული ვერსიის თანახმად მთავრობის დაკვეთით იყო შესრულებული. თუმცა ამ გარემოებამ სრულებით არ შეუშალა ხელი საზოგადოების მხრიდან ტრავმის გამოგლოვებას. პირიქით, ესპანელი მხატვრის ამ გენიალურმა ნამუშევარმა ვფიქრობთ, რომ გადამწყვეტი როლი ითამაშა იმაში, რომ ეს ისტორია გასცდა კომუნიკაციური მეხსიერების ფარგლებს და გადაინაცვლა კოლექტიური მეხსიერების პარადიგმაში, ჯ. ალექსანდერის სიტყვებით თუ ვიტყვით, იქცა „კონფლიქტური პოლიტიკური წარსულის ხელშესახებ მოგონებად“ [1:8]

თვალსაჩინოა, რომ სწორედ პიკასოს ტილოს შექმნის შემდეგ გაჩნდა და დღესაც იწერება არაერთი ნაშრომი, როგორც ისტორიული მოვლენების შესწავლის, ისე ნახატის მხატვრული ღირებულების თვალსაზრისით. აღნიშნულ თემატიკაზე ხდება ახალი ფერწერული, სკულპტურული ნამუშევრების, მხატვრული თუ დოკუმენტური კინოფილმების შექმნა¹. აქცენტი კეთდება მეხსიერების აქტის რიტუალურ მნიშვნელობაზეც და დღესაც ამ ტრაგიკული მოვლენის გახსენება, დაღუპულთა პატივის მიგება, ტრავმული მეხსიერების ახალი თაობებისთვის გადაცემა და ამავე ტრამვის დაძლევა სხვადასხვა კინოჩვენებით, ცერემონიებისა თუ მემორიალური ღონისძიებების მეშვეობით ყოველწლიურ ხასიათს იძენს და თავად ნახატის საიუბილეო თარიღის პერიოდული აღნიშვნითაც გამოიხატება, რომელიც ორი წლის წინ უკვე პიკასოს „გერნიკას“ 80 წლისთავს მიეძღვნა. შესაბამისად, დღეს ძნელად თუ მოიძებნება ადამიანი, რომელმაც არ იცის თუ რა დგას ესპანელი მხატვრის ამ ნამუშევრის უკან და რა ისტორიულ ტრაგედიას უკავშირდება.

თუმცა საგულისხმოა, რომ ესპანეთში გერნიკას ტრაგედიამდე და ასევე ამ ისტორიული მოვლენის შემდგომ პერიოდშიც კიდევ რამდენიმე ქალაქის, კერძოდ, ლა კაბრას, ოჩანდიანოს, ოვიედოს, ბადახოსის და სხვ. დაბომბვასაც ჰქონდა ადგილი, რომელიც არანაკლები მსხვერპლით დასრულდა². ზოგიერთ მათგანზე პასუხისმგებლობა ფრანკისტულ რეჟიმს ეკისრებოდა, ზოგიც კომუნისტებთან შეკრულ რესპუბლიკელებს. განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა 1936 წ. განხორციელებული „პარაკუელიოს მასობრივი ჟლეტა“³, რომელსაც ისტორიკოსები ხშირად

¹რ. არნჰეიმის ნაშრომი „გერნიკა. ნახატის გენეზისი“ (1962); ჰერბერტ საუტვორტის ისტორიოგრაფიული კვლევა „გერნიკას დანგრევა. ჟურნალისტიკა, დიპლომატია, პროპაგანდა და ისტორია“ (1977); ჟ. ლ. ფერიერის „პიკასოდან გერნიკამდე. ნახატის გენეალოგია“ (1985); ი. ვან ჰენსბერგენის „პიკასოს გერნიკა. XX საუკუნის ხატის ისტორია“ (); ს. ვიდალი „გერნიკას ნგრევა: ბალანსი 50 წლის შემდეგ“ (1997); ა. სერე „და პიკასომ დახატა გერნიკა“ (2001); ჯ. ანდრეა „გერნიკა. რეპრეზენტაციის ძალა“ (2009) „პიკასო და ვიზუალური რეპრეზენტაციის პოლიტიკა“, გამოცემ. ლივერპულის ლათ. ამერ. კვლევები (2013) ხავიერ ირუხოს „გერნიკა. 1937 წლის 26 აპრილი“ და მრავალი სხვა. პიკასოს შედეგები და მასთან დაკავშირებული ისტორიული მოვლენა გახდა არაერთი ხელოვანის შთაგონების წყაროც. მათ შორის შეგვიძლია გამოვყოთ პოლ ელუარისა და ეის კრიგეს ლექსები; ჰაინც კვიციტსკის ნახატი „გერნიკა“, რომელიც ამავე სამოქალაქო ომს შეეწირა 1938 წელს; რენე მაგრიტის „შავი დროშა“ (1937), რენე იშეს სკულპტურა „გერნიკა“ (1937). გერნიკას თემაზე შეიქმნა დოკუმენტური და მხატვრული კინოფილმები (რობერტ ჯ. ფლაჰერტის ფილმი „გერნიკა“ 1949; ა. რენესა და რ. ჰესენსის „გერნიკა“ (1950); ინიაკი ელისალდეს „გერნიკა“ (1994), გილიერმო პეიდროს „გერნიკას ვარიაციები“ (2012) კოლდო სერას მხატვრული ფილმი „გერნიკა“ (2016) და სხვ); დაიწერა მუსიკაც (პატრიკ ასიონეს ელექტროაკუსტიკური მუსიკალური ნაწარმოები „გერნიკა“ (1978); ოქტავიო ვასკესის „ტრიო ვილინოს, ჩელოსა და ფორტეპიანოს, (1999,2006), რენე ლუი ბარონის „გერნიკა“ და სხვ).

²ქ. ოჩანდიანი (1936 წლის 22 ივლისი, მსხვ. 89 ადამიანი, უმრავლესობა ბავშვები), ქ. ოვიედი (1936 წ. 25 ივლისი, 10 სექტემბერი. 23 თებერვალი), ბენას დე ლა კაბრა (1938 წ. 7 ნოემბერი. მსხვ. 109 ადამიანი), დურანგო (1937. 31 მარტი. მსხვერპლის რაოდ. 250), ხაენი (1937 წ. 1 აპრილი, მსხვერპლის რაოდ. 157). ამ მოვლენებს შორის განსაკუთრებით შეიძლება ოვიედოს ტრაგედიას გამოიყოს. ქალაქი, რომელიც თხუთმეტოვანი ადების განმავლობაში მრავალჯერ დაიბომბა რუსული ავიაციური ძალების მიერ და რომლის მსხვერპლი არაოფიციალური ცნობებით 2000 კაცს აღწევდა. არანაკლები სისასტიკით გამოირჩეოდა 1936 წლის 15 აგვისტოს, ფრანკისტული რეჟიმის მიერ „მეორე რესპუბლიკის“ დასაშობად განხორციელებული იერიში ქ. ბადახოსზე, რომელსაც არაოფიციალური მონაცემებით 500 დან - 4000მდე სამხედრო თუ სამოქალაქო პირი შეეწირა.

³პარაკუელიოს ოპერაციის დეტალები 1983 წელს პირველად ბრიტანელმა სამხედრო ისტორიკოსმა ენტონი ბივორმა (Antony Beevor) გამოავლინა, რომელიც წლების მანძილზე იკვლევდა ესპანეთის სამოქალაქო ომისა და ფრანკისტული რეჟიმის დეტალებს.. როგორც ე. ბივორი მოგვითხრობს, 1936 წელს მადრიდის ციხეებში არსებული 5000-მდე პოლიტიკური პატიმარი, რომელთაც ძირითადად მშვიდობიანი მოქალაქეები შეადგენდნენ, სამხედრო, პოლიტიკური თუ სასულირო პირები, ახლად დაარსებული ესპანური კომუნისტური პარტიის წარმომადგენლებმა ავტობუსებით და სატვირთო მანქანებით გადაიყვანეს დედაქალაქის შორიანხლოს მდებარე ქ. პარაკუელიოს დე ხარამაში და აქედან 2500 მდე ადამიანი, რომელიც ამ პარტიის მიერ იქნა იდენტიფიცირებული, როგორც ესპანური არისტოკრატის წევრი და მემარჯვენე იდეოლოგიის გამტარებელი, იქნა დახვრეტილი პარაკუელიოს მდელიზე და იქვე წინასწარ გათხრილ შვიდ უშველებელ ორმოში დასაფლავებული. ეს ოპერაცია 1936 წლის 7 ნოემბრიდან 4 დეკემბრამდე გრძელდებოდა და როგორც ბრიტანელი წყარო იუწყება (ავტ. ჟურნალისტი ენტონი ბივორი) სავარაუდოდ განხორციელდა ესპანეთში სტალინის მიერ გაწვეული НКВД-ს რუსი წარმომადგენლის, გაზეთ „პრავდას“ ჟურნალისტისა და მწერლის, მიხეილ კოლცოვის ინიციატივით და ესპანური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელის მოადგილის, ხოსე კასორლა მალურეს განკარგულებით (3). თუმცა, როგორც კიდევ ერთი ბრიტანელი ისტორიკოსის ჯულიუს რუსის სტატიამ ვკითხულობთ, („პარაკუელიოს: უსიამოვნო სიმართლე 2015), ეს იდეა არა რუსი კომუნისტების, არამედ იმ დროის კომუნისტური პარტიის ლიდერის, ედუარდო კარილიოს მეგობარს, სერანო პონსელას ეკუთვნის. ჯ. რუსი იქვე აღნიშნავს, რომ ამ ოპერაციას, რომელიც 7 ნოემბრამდე ბევრად ადრე დაიწყო, ვიდრე ე.ბივორის წყარო იუწყება, არაერთი ცნობილი ისტორიული პირიც შეეწირა. ესენი იყვნენ ესპანელი მწერლები პედრო მუნისო სეკა და რამირო დე მასეტუ, ესპანელი პოლიტიკოსი და CEDA -ს (ავტონ. უფლებების ესპანური კონფედერაცია) ყოფილი მინისტრი, ფედერიკო სალმონ ამორინი, იმ დროის რეალ მადრიდის ცნობილი ფეხბურთელი რამონ მონჩინ ტრიანა და მრავალი სხვ. დახვრეტილია შორის იყო ბევრი არასწრულწლოვანი და რამდენიმე ბავშვიც.

“ესპანური ჰოლოკოსტის” სახელითაც მოიხსენიებენ ხოლმე. ეს ოპერაცია, რომელიც იმ დროინდელი კომუნისტური პარტიის თაოსნობით განხორციელდა და 2500 მდე მშვიდობიანი მოქალაქე გამოასალმა სიცოცხლეს, მათ შორის ცნობილი მწერალი რამირო მასესტუ, თუ რეალ მადრიდის ფეხბურთელი, რ. მონჩინ ტრიანა, დიდხანს დაფარული იყო ესპანური საზოგადოებისთვის და კომუნიკაციური მეხსიერების ფარგლებს არ გასცდენია. მაგრამ დღესდღეობით, ამ ინფორმაციის საჯაროობისა და საკმაოდ დამაჯერებელი არგუმენტების არსებობის მიუხედავად (ფოტო, ვიდეო თუ წერილობითი არქივები, მემუარები), ის კოლექტიურ ტრავმად მაინც არ ქცეულა, რაც წარმოადგენს კიდევ ერთ მტკიცებულებას იმისა, რომ საზოგადოებამ მართლაც შეიძლება მასშტაბური კრაზი განიცადოს, მისი ობიექტური არგუმენტებიც ჰქონდეს, მაგრამ ისტორიული მეხსიერების ნაწილად არ იქცეს. ჯ. ალექსანდერი ამის მიზეზად შესაბამისი ინსტიტუტების პასიურობას ასახელებს, რომელთაც “ისე არ იმუშავეს, რომ ტრავმას საზოგადოებრივი სახე მიეღო და სოციალური კრიზისი კულტურულ კრიზისად გადაქცეულიყო”(1:10).

თუმცა ჩვენ მიერ კვლევისათვის გამოყენებული ლიტერატურისა და ისტორიული მასალების ანალიზი, რომელიც ესპანეთის სამოქალაქო ომში განვითარებულ და შემდეგ გასაჯაროებულ მოვლენებს უკავშირდება, გვაფიქრებინებს იმას, რომ ისტორიული მეხსიერების ფორმირებაში გადამწყვეტ როლს არა მხოლოდ ობიექტური არგუმენტები ან ინსტიტუტები, არამედ უპირველეს ყოვლისა კულტურა და ხელოვნება თამაშობს, მიუხედავად იმისა, რომ ის საზოგადოების არა ობიექტურ, არამედ სუბიექტურ აზროვნებას გამოხატავს.

ვფიქრობთ რომ, ამის ცხადი მაგალითია პიკასოს “გერნიკაც”, რომლის საფუძველზე ესპანეთის სამოქალაქო ომის ეს ისტორიული მოვლენა გასცდა კომუნიკაციური მეხსიერების ფარგლებს და გადაინაცვლა კულტურული მეხსიერების პარადიგმაში, რაც თავის მხვრივ მიუთითებს იმას, რომ ობიექტური რეპრეზენტაციები და რეალისტური, დამაჯერებელი ნარატივები ხშირად არ არის გარანტია იმისა, რომ საზოგადოება ისევე მძაფრად გაითავისებს ამა თუ იმ ისტორიულ მოვლენას, როგორც ეს სუბიექტური ნარატივის შემთხვევაში შეიძლება მოხდეს.

ამრიგად, მხატვრული ენა, რომელიც თავისი ბუნებით არაცნობიერ ხასიათს ატარებს და სიმბოლურ ხერხებს უფრო მიმართავს ვიდრე რეალისტურს, როგორც ჩანს, ბევრად უფრო ძლიერი იარაღი აღმოჩნდა მოვლენების ობიექტურობის აღდგენისა და მათი ისტორიულ მეხსიერებაში აღბეჭდვის თვალსაზრისით. ხოლო თუ ასევე გავითვალისწინებთ, ხ. გონსალეს რეკენას იმ თეორიულ კონცეფციასაც, რომ „დამაჯერებლობა ესთეტიკურ კატეგორიას არ წარმოადგენს“ [4:35], აღნიშნული ცნება, რომელსაც ჯ. ალექსანდერი განსაკუთრებით უსვამს ხაზს, მხატვრული დისკურსის მთავარ კრიტერიუმად, ვფიქრობთ, არ უნდა განვიხილოთ. თუ ნარატივის დამაჯერებლობის საკითხი მოვლენის ობიექტური რეპრეზენტაციის შემთხვევაში მნიშვნელოვანია და ყურადსაღები, მისი სუბიექტური რეპრეზენტაციის დროს, სადაც მთავარი არა კომუნიკაციური, არამედ მისი ესთეტიკური ღირებულება თამაშობს, როგორც ჩანს, მეორეხარისხოვანი ხდება. პიკასოს “გერნიკა” არც ამბის დამაჯერებლობით გამოირჩევა, არც სურათის რეალისტური რეპრეზენტაციით, მაგრამ მოგვითხრობს ისტორიას, რომელმაც ჩვენი

ჯ. რუისმა ახალი ისტორიული დეტალებიც გამოავლინა და დაადგინა იმ დროის სოციალისტური მთავრობის მაღალჩინოსანთა ვინაობაც, რომელთაც უშუალოდ ხელი დააფარეს ამ ოპერაციაში მონაწილე დამნაშავეებს. მათ შორის აღმოჩნდნენ მინისტრი ანხელ გალარსა და სოციალისტური პარტიის ლიდერი და მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელი, ფრანსისკო ლარგო კაბალიერო, რომელთაც არასოდეს უღიარებიათ ეს დანაშაული და არც პასუხი აგეს მისთვის. ხოლო იმ დროის კომუნისტური პარტიის ყოფილი ლიდერი, ედუარდო კარილიო, რომელსაც ისტორიკოს, რ. სიერვას აზრით, ლოგიკურად უნდა დაკისრებოდა პასუხისმგებლობა პარაკუელიოში მომხდარ ტრაგედიაზე, არა თუ ისჯება, არამედ დემოკრატიულ ესპანეთში უკვე დეპუტატის სახით ევლინება საზოგადოებას (12).

აზრით, კოლექტიური ტრავმის ფორმირებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა და არანაკლები (თუ არა მეტი) ეფექტურობით განაპირობა მისი კულტურული მეხსიერების ნაწილად ქცევა. თუმცა ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ ეს დამსახურებაა არა მხატვრული ენის როგორც კომუნიკაციის საშუალებისა, არამედ მისი სიმბოლური განზომილებისა, ვინაიდან, რაც არ უნდა ზედმიწევნით ავლწეროთ პიკასოს ეს გენიალური ტილო და რაც არ უნდა გასაგები იყოს ჩვენთვის მისი შინაარსი და ისტორიული მნიშვნელობა, ის საზრისი და სიმართლე, რომელსაც შეიცავს, მხოლოდ სუბიექტურ გამოცდილებაში ვლინდება, ადამიანისა და ტექსტის გადაკვეთის განსაზღვრულ, ემოციურ მომენტში. ემოციისთვის კი, როგორც ხ. გონსალეს რეკენა ამბობს, „უცხოა სხვა დრო თუ არა აწმყო. ემოციის გახსენება შეუძლებელია. ჩვენ შეგვიძლია გავიხსენოთ ფაქტები, რომლებიც ამ ემოციას უკავშირდებიან, მაგრამ არა ემოციები. მხოლოდ შესაძლებელია ემპირიული სახით მათი ხელახალი განცდა და ხელახლა გაცოცხლება. [...] მას ახასიათებს ყოველივე ის, რაც არ ახასიათებს სიტყვას. ამიტომაც, რომ სიტყვა ეს არ არის ემოცია, ეს არ არის *Trieb* (ფროიდი). სიტყვა ასახელებს, მაგრამ ის, რასაც ასახელებს მასში არ იმყოფება. [...] ის იმყოფება ენის იმ სიმბოლურ განზომილებაში, სადაც სუბიექტური გამოცდილების ლოკალიზება ხდება“ [8].

აღბათ ამას გულისხმობდა დიმიტრი უზნაძე, როდესაც ამბობდა, რომ ნამდვილს, წმინდა სუბიექტურ მდგომარეობას მხოლოდ ემოცია წარმოადგენს“ [14:109], აღბათ ამის თქმა სურდა მ. მამარდაშვილსაც, როდესაც სამშობლოს სიყვარულზე საუბრისას აღნიშნავდა, რომ ის თავისთავად არაფერს მოგვცემს, თუ “ჩვენში არ გავიარეთ გზა უნიკალური, მხოლოდ ინდივიდუალურ ფორმაში არსებული განცდისა, რომელიც არის ხდომილება სამყაროში და არა მენტალური ან ცნებითი შინაარსის გამეორება” (10:118).

და შესაძლოა ეს აზრი ჰქონდა გატარებული ჟილ დელიოზსაც, როდესაც მხატვრულის ენის ერთერთ, ხმოვან-ხედვით გამოვლინებას, კინემატოგრაფს, მანქანა - მეხსიერებას ადარებდა და ამბობდა, რომ ის „საჭიროა არა გასახსენებლად, არამედ წარსულის გარკვეული მომენტის უდიდესი სიზუსტით განსაცდელად“ [9: 423].

ყოველივე ეს კი გარკვეულწილად პასუხს იძლევა ჩვენს მიერ დასმულ ბოლო საკითხზეც, ანუ კითხვის ნიშნის ქვეშ დგება მხატვრული ენის ბუნების კომუნიკაციური გაგებაც, ვინაიდან ტრავმის გათავისება და მასთან დაკავშირებული განცდის რეაქტუალიზაცია, ვფიქრობთ, გამოწვეულია არა მისი კომუნიკაციური თვისებებით, შეატყობინოს ადამიანს მომხდარის შესახებ, ან მკითხველი/მაცურებელი ინტერპრეტაციის უსასრულო პროცესში ჩართოს, არამედ იმ უნარით, რომ ინტრანზიტიულ, არაკოდიფიცირებად და უთქმელ ემოციურ გამოცდილებას აზიაროს. ანუ ენის იმ სიმბოლურ განზომილებას, რომელიც მხოლოდ მხატვრულ ტექსტებთან ემპირიული, სუბიექტური გადაკვეთის შედეგად ჩნდება.

ამრიგად, თუ მხატვრული ენით გამოხატული სინამდვილე უპირველეს ყოვლისა ემოციის რეაქტუალიზაციას ახდენს, შეგვიძლია კიდევ ერთხელ დავრწმუნდეთ ხ. გონსალეს რეკენას თეორიის მართებულობაში, რომ მხატვრული ტექსტის განსაზღვრისას (იქნება ეს ფერწერული, ლიტერატურული, პოეტური თუ კინოტექსტი) პირველ რიგში არა მისი კომუნიკაციის, აღნიშვნისა თუ დამაჯერებლობის უნარი უნდა გამოიკვეთოს, არამედ მისი ესთეტიკური ბუნება და სუბიექტური გამოცდილების როლი, ვინაიდან ის განცდა, რომელიც ენისა და სუბიექტის გადაკვეთისას ჩნდება და წარსულ დროს აწმყოდ აქცევს, არის სწორედ ის, რაც, ჩვენი აზრით, აცოცხლებს გერნიკას ამბავს დღემდე.

ყოველივე ეს კი პირველ რიგში მეტყველებს იმაზე, თუ რამდენად დიდი ძალა აქვს კულტურული მეხსიერების ფორმირებაში სუბიექტური ენით გადმოცემულ სინამდვილეს,

რამდენად მარტივია მეხსიერების მანიპულირება, როდესაც ის არ არის „გამყარებული“ დიდი მხატვრული ნარატივებით, რომელნიც კულტურის ისტორიას ქმნიან და რამდენად ადვილია, რომ ისტორიული მეხსიერებიდან წაიშალოს ის, რისი სუბიექტური რეპრეზენტაციაც არ მოხდა, რაც შეიძლება მეხსიერების პოლიტიკის ნაწილიც იყოს, რომლის მიზანი ასეთ დროს მისი იგნორირება, არაცნობიერი განდევნა ან იქნებ მიზანმიმართული დავიწყებაა.

ლიტერატურა

1. Alexander, Jeffries Charles. *Cultural Trauma and Collective Identity*. University of California Press, 2004
2. Benveniste, Emile. *Problemas de lingüística general I* [1966] México. Siglo XXI. 1974.
3. Antony Beevor, *The Spanish Civil War* (1999), p. 133
4. González Requena, Jesús. *El análisis cinematográfico. Teoría y práctica del análisis de la secuencia*. Editorial Complutense 1995
5. González Requena, Jesús. *El texto: tres registros y una dimensión*, Trama y Fondo, nº1, Madrid, 1996
6. González Requena, Jesús. *Del análisis a la lectura: el texto*. Universidad Complutense, Madrid. Ed. Electrónica. 2000
7. González Requena, Jesús. *Seminario Psicoanálisis y Análisis Textual 2007/2008*. Universidad Complutense de Madrid. de esta edición: gonzalezrequena.com, 2014 (Cap 14: significado/sentido,, semiótico-simbólico) <http://gonzalezrequena.com/14-significado-sentido-semiotico-simbolico/>
8. Gonzalez Requena, Jesus. *Casablanca y el Edipo canónico*. Cap. 13. Música y lenguaje. Nietzsche y Saussure. Ed. electrónica. Universidad Complutense de Madrid. Edición electrónica. 2018 <http://gonzalezrequena.com/13-la-musica-y-el-lenguaje-nietzsche-y-saussure-2/>
9. Кино. Образ-движение, Образ-время. Изд.: М: ООО “Ad Marginem Press” 2013
10. მამარდაშვილი, მ. 2015. საუბრები ფილოსოფიაზე. თბილისი 2015
11. Pierre Nora, “Between Memory and History: Les Lieux de Mémoire,” *Representations* 26 (1989)
12. Paracuellos': Ruiz, Julius. *The Elimination of the 'Fifth Column' in Republican Madrid During the Spanish Civil War*
13. Cierva, Ricardo de la (1994), *Carrillo mente. 156 documentos contra 103 falsedades*, Madridejos (Toledo): Editorial Fénix.
14. უზნაძე დიმიტრი, „ზოგადი ფსიქოლოგია“. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 1940

Maia Gugunava

The mechanisms of artistic language to overcome the Collective trauma

Abstract

This article aims to analyse the importance of artistic language in forming the collective trauma and to question the concept of *verisimilitude* as a determining factor of artistic narrative in the formation of historical memory.

Keywords: symbolic dimension of language, collective trauma, communicative and cultural memory, “Guernica” of Picasso.

რეცენზენტი: პროფ.ს. ნიკოლეიშვილი

ნაცარქექიას ფსიქოლოგიური პორტრეტისათვის /ლინგვოკულტუროლოგიური და ფსიქოლოგიური ანალიზი/

გაბრიელ თაგაური

საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

e-mail: gabrieltagauri@gmail.com

ამ ნაშრომში ჩვენ განვიხილავთ ხალხური „ნაცარქექიას“ მიმართებას აკ. წერეთლის „ნაცარქექიასთან“, და მის ქცევით მანერებსა და ლექსიკაზე დაკვირვებით შევეცდებით გამოვავლინოთ მისი ფსიქოლოგიური პორტრეტი. დღემდე ღია საკითხად რჩება „ნაცარქექიას“ სიმბოლური ხატის რაობა; ქართული საზოგადოების ერთ ნაწილში ამ პერსონაჟის სახელის გაგება დადებით ემოციებს იწვევს, ზოგშიც კი უარყოფით განცდათა აღმძვრელია. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „ნაცარქექია“ საყოველთაოდ ცნობილი პერსონაჟი გახლავთ ქართული ზღაპრებისა და იგი, ერთგვარად, ქართული ხალხური ზღაპრების სავიზიტო ბარათადაც კი იქცა. საინტერესოა, რას მიეწერება „ზარმაცი“ და „არაფრის მაქნისი“ პერსონაჟის ასეთი განდიდება, და თუ ის, მართლაც, უარყოფითი პერსონაჟია, რატომ სარგებლობს ასეთი ყავლგაუსვლელი პოპულარობით?! შეიძლება ითქვას, რომ „ნაცარქექია“ იმ უიშვიათეს ზღაპარს წარმოადგენს, სადაც ასე ნათლად ჩანს პროტაგონისტის ფერისცვალება და სულიერი ზრდა.

აკაკი წერეთელმა ზუსტად ამოიკითხა ხალხური ზღაპრის იდეა, რომ „ნაცარქექია“ არ არის და არც შეიძლება იყოს მხოლოდ ზღაპრული პერსონაჟის სახელი, რომ იგი არამც და არამც არ წარმოგვიდგება ერთ ინდივიდად, როგორებადაც გვევლინებიან, მაგალითად: კომბლე, სიზმარა, ცეროდენა, ხუთკუნჭულა, ასფურცელა და ა.შ., ვინაიდან ნაცარქექია ღრმა და ფართო სიმბოლიკით იტვირთება და იგი ზოგადი/კრებსითი სახე უფროა, ვიდრე კონკრეტული;

საკვანძო სიტყვები: ხალხური „ნაცარქექია“, აკაკი წერეთლის „ნაცარქექია“

შესავალი

ქართული ხალხური შემოქმედების შემკრებ-მკვლევართა და მოხდენილად გამომყენებელთა შორის ერთი პირველი ადგილი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დიდ წარმომადგენელს აკაკი წერეთელს ეკუთვნის. დაუფასებელია ის ღვაწლი და ამაგი, რომელიც მან ხალხურ შემოქმედებას დასდო. მისი ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე ხალხური შემოქმედების ნიმუშების შეკრება-შესწავლა იყო [სიხარულიძე, 1956 : 65].

„ვენახსა კი და დანარჩენ ჩემ უძრავ ქონებას სრულ საკუთრებაში ვუტოვებ ქართულ ეთნოგრაფიულ საზოგადოებას, რათა მან შეჰკრიბოს და გამოსცეს ქართული ზღაპრები, ლექსები და საზოგადოდ ზეპირი თქმულებანი. თუ ვინცობაა ვინმე მოისურვებს ჩემს ხსოვნას პატივი სცეს გვირგვინით, მე ვსთხოვ მას გვირგვინის საფასური შეიტანოს ხსენებულ ეთნოგრაფიულ საზოგადოებაში ზემოთ აღნიშნულ მიზნისათვის. - აკაკი წერეთელი: „ანდერძი“

„კაბინეტში ვზივართ და ხალხს არ ვიცნობთ. აი, ახლაც, სოფლელებს ზღაპრებს ვათქმევინებ ხოლმე და უნდა ნახოთ, რამდენ სიტყვებს მისთანას ხმარობენ, რომელიც მე ან დავიწყებული მაქვს, ან არ მცოდნია, მაგრამ ნამდვილი ქართული სიტყვები კი არის.“ - აკაკი წერეთელი

მთავარი ნაწილი

ხალხური: ნაცარქექია (შევამოკლებთ: **ნ.ხ.** = ნაცარქექია ხალხური)

აკაკი წერეთელი: ნაცარქექია (შევამოკლებთ: **ნ.ლ.** = ნაცარქექია ლიტერატურული)

ზღაპრის შინაარსი

ნ.ხ. : 1. შინაურებმა გააგდეს სახლიდან (ზოგი ვერსიით რძალმა/რძალ-მაზლმა) 2. თვითონ ითხოვა გუდა ნაცარი, სადგისი და ყველი. 3. მდინარესთან მისულმა გაღმა ნაპირზე დევი დაინახა. 4. ჯერ დევს შეეჯიბრა და შემდგომ სთხოვა გადაეყვანა მეორე ნაპირზე. 5. დევი თავისი ნებით პატიჟებს სახლში სტუმრად. 6. დევი სადილზე ძმების დასამახებლად წავიდა. 7. მოხერხებულობით დევები გააქცია სახლიდან და მათ ქონებას დაეპატრონა. 8. ავლა-დიდებით დაბრუნდა სახლში.

ნ.ლ. : 1. ძმებმა გააგდეს სახლიდან. 2. საგზლად გაატანეს გუდა ნაცარი, სადგისი და ყველი. 3. მდინარესთან მისული საღამომდე დამხმარეს (მდინარეზე გადამყვანს) ელოდებოდა. 4. მაშინვე სთხოვა გადაეყვანა მეორე ნაპირზე და შემდგომ შეეჯიბრა. 5. შეშინებული დევი იძულებულია სახლში დაპატიჟოს. 6. დევი სანადიროდ წავიდა, ვახშამზე დევი და ნაცარქექია მარტონი არიან. 7. მოხერხებულობით დევი გააქცია სახლიდან და მის ფუძე-კერაზე დასახლდა. 8. ოჯახის წევრები წამოიყვანა თავისთან - დევის ნაფუძნარზე.

ხალხურ ზღაპარში ნაცარქექია მოხერხებულია, ნაცარქექიამ, თვითონვე, ითხოვა საგზლად ერთი გუდა ნაცარი, სადგისი და ახალი ყველი. ცხადია, მას არჩევანში არავინ ზღუდავდა და შეეძლო სრულიად სხვა ნივთებითა და პროდუქტებით დაეკომპლექტებინა თავისივე საგზალი, მაგრამ მან მომავალი განჭვრიტა. აკაკი წერეთელმა ძალიან კარგად დაიჭირა ეს მომენტი და

ამიტომ თავის შექმნილ ნაცარქექიას (ლიტერატურულ გმირს) „წართვა“ არჩევანის თავისუფლება და მას ძმებმა გაატანეს საგზლად სამყოფი სურსათ-სანოვაგე, ე.ი. შეურჩიეს „უსუსურ“ ძმას. სავარაუდოდ, ძმებმა იფიქრეს, რომ ნაცარქექია იმდენად გონებასუსტია, რომ იმასაც კი ვერ მიხვდება და გადაწყვეტს, რა დასჭირდება საგზლად. ამდენად, აკაკიმ მეტი დრამატიზირება შესძინა ნაცარქექიას სახლიდან გაგდების სცენას, და მართლაც, მან ხალხური ნაცარქექიასაგან განსხვავებით აატირა თავისი გამოგონილი ნაცარქექია: „დაიკარგე ამ ჩვენის ქვეყნიდანო!“ უთხრეს. ტირილით დაადგა გზას საბრალო ნაცარ-ქექია.“ აკაკი წერეთელი, როგორც მწერალი, საოცარ და შთამბეჭდავ ტრანსფორმაციას გვთავაზობს, ერთ დროს, საბრალო ნაცარქექიასი. მის თხზულებაში, თითქოს-და, ორი ნაცარქექია მონაწილეობდესო - ძველი და ახალი; თითქოს ერთ პერსონაჟს ორჯერ ეცხოვროს ხორციელად მატერიალურ სამყაროში. ... ხალხური ზღაპრის ტექსტში ამგვარი ფერისცვალება ზღაპრის პროტაგონისტისა არ იგრძნობა ასე მკვეთრად. ამრიგად, აკაკიმ ერთი პერსონაჟის პოლუსურად განსხვავებულ სულიერ და ფიზიკურ მხარეთა მძაფრად წარმოჩენით საგრძნობლად გაზარდა მკითხველებში პატივისცემა უსამართლოდ განქიქებული ნაცარქექიასადმი. ხალხურ ვარიანტში დევის პირისპირ აღმოჩენილი ნაცარქექია ხვრეტს ნაცრით სავსე გუდას და ამგვარი ხერხით იქცევს დევის ყურადღებას, სხვაგვარად, აიძულებს, რომ დევმა გამოიწვიოს შეჯიბრებაში, სადაც იგი უკვე შეძლებს თავის გამოჩენას, დარწმუნებულია რა თავის გონებრივ შესაძლებლობებში. აი, სწორედ ამისათვის ითხოვა მან გუდა ნაცარი, სადგისი და ყველი. როგორც ირკვევა, ეს სამი ატრიბუტი სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონეა ნაცარქექიასათვის. ალბათ, მან დიდი ხნის წინაც იცოდა უკვე, რომ მოვიდოდა დრო, როდესაც ესენი დასჭირდებოდა, ის ამისათვის (სახლიდან გაგდება) მზად იყო. ფოლკლორიდან ამოზრდილი ნაცარქექია მხოლოდ დამარცხებულ და ფსიქოლოგიურად განადგურებულ, საშინლად შეძრწუნებულ და გაკვირვებულ დევს სთხოვს მდინარის მეორე ნაპირზე გადაყვანას. ნაცარქექია მიხვდა, რომ თუ ის დევს უმაღვე და პირდაპირ გაუმხელდა თავის სურვილსა და საწადელს, რა თქმა უნდა, დევი არ შეუსრულებდა თხოვნას და შეიძლება საიქიოშიც კი გაესტუმრებინა. ხალხურ ტექსტში ნაცარქექია ვერ ბედავს დევისათვის პირდაპირ მიმართვას, ამიტომ ის იქცევა ისე, რომ დევის ყურადღება მიიქციოს. იგი ამ რთული ამოცანის შესასრულებლად ხვრეტს ნაცრით სავსე გუდას და მის ნაპირზე საშინელ მტვერს აყენებს. მართლაც, მისი ამგვარი გამომწვევი საქციელი დევში აღძრავს მკაფიო ინტერესს მის მიმართ, რადგანაც გაღმა ნაპირზე მყოფი დევი გამოღმა მხარეს საკმაოდ უჩვეულო და უცნაურ სურათს ხედავს, კერძოდ: იგი გაკვირვებულია, ვინ აადინა მიწას ამხელა მტვერი; როგორც ჩანს, დაბრკოლების წინაშე მოულოდნელად აღმოჩენილი ნაცარქექია ვერ პოულობს იმ გზას, თუ როგორ სთხოვოს დევს დახმარება და ამიტომ თავისი ქცევით ავალდებულებს დევს, მოძებნოს ის გზა, რომელიც მასვე წაადგება. მართლაც, არჩევანის დევზე გადაცემის ხერხმა გაამართლა და დევი სთავაზობს შეჯიბრებას, რომ ნაცარქექიამ ქვას წყალი გამოადინოს. აქ კი „გზა ნაპოვნია!“ – (ნაცარქექია ფიქრობს): დავამარცხებ დევს თავისივე წამოწყებულ და შემოთავაზებულ

ორთაბრძოლაში და ფსიქოლოგიურად გატეხილს „გამოვსტყუებ“ მდინარეზე გადასვლის უფლებას. გასათვალისწინებელია ერთი ფრიად მნიშვნელოვანი გარემოებაც. იმხანად დევის გარდა სხვა არავინ იმყოფებოდა იმ ადგილზე, ვისაც ნაცარქექია დახმარების თხოვნით მიმართავდა და ისიც ულაპარაკოდ გაუწვდიდა დახმარების ხელს. ამდენად, ნაცარქექიასათვის დევი შემწეობის ერთადერთ წყაროს წარმოადგენს და ამ შანსის ხელიდან გაშვება მას, ზღაპრის მთავარ გმირს სახლში დარჩენას უქადის. სიმბოლურად, მდინარე აქ ორ სამეფოს შორის არსებულ მიჯნას განასახიერებს და თუ ეს მიჯნა ვერ გადალახა ნაცარქექიამ, მას მთელი ცხოვრების გატარება მოუწევს იმ ადგილზე, სადაც მის ნიჟს არ აფასებენ, მისას ვერაფერს ხედავენ, საკუთარ სახლში დარჩენის უფლებასაც არ აძლევენ და ბოლოს, აგდებენ რა, სასიკვდილოდაც კი სწირავენ.

აკაკისეული ნაცარქექიას ფსიქოლოგია სრულიად სხვაგვარია. იქ შეშინებული, მაგრამ თავისი შესაძლებლობების ჭკვიანურად ამწონ-დამწონავი ნაცარქექია დანახვისთანავე ომახიანად მიმართავს დევს და სწრაფადვე ეუბნება, უმხელს თავის სათქმელს დაუფარავად, სრულიად ღია და გასაგებად, რომ დევი გადმოვიდეს მდინარეზე, შეისვას ზურგზე და გადაიყვანოს მეორე ნაპირზე, რადგან არ უნდა (ეზარება) ფეხის დასველება. აკაკის ნაცარქექიამ თავისივე თავში მოძებნა ფარული ძალა და გახედა მდინარის მეორე ნაპირზე მყოფი მრისხანე დევისათვის დაეძახა. თავისთავად, გადაწყვეტილების ეს ფორმა ძალიან სარისკოა, მაგრამ ნაცარქექიამ იცის, რომ ამ ხერხმა, დიდი ალბათობით, შესაძლოა გაამართლოს და საკუთარი გადაწყვეტილების სისწორეში დარწმუნებული რისკავს კიდევ. მართლაც, ხერხმა გაამართლა და დაეჭვებული, გაკვირვებული დევი არა ძახილის, არამედ კითხვითი ფორმების საშუალებით მიმართავს მისთვის უცხო ადამიანს: ვინ ხარ? რა სულიერი ხარ? ცხადია, რომ დევის მრისხანება შეიცვალა გაკვირვებით და გაკვირვების დომინირებამ ცნობიერში გამოიწვია სიბრაზის ქვეცნობიერში ხელოვნური დაწნეხვა. ამრიგად, ნაცარქექიამ დევზე ზემოქმედებით შეამზადა უზარმაზარი არსების ფსიქოლოგიური გატეხვის წანამდღვარები, ამიტომაც არ გაჩერდა და გააგრძელა დევზე წარმატებული შეტევა საბოლოო გამარჯვების იმედად. თუ შეიძლება ასე ითქვას, ლიტერატურული ნაცარქექია უფრო ღირსეულად იქცევა, ვიდრე - ხალხური. ლიტერატურულმა ნაცარქექიამ თავიდანვე უბრძანა დევს, რომ მდინარეზე გადაეყვანა, თუმცა მხოლოდ ბრძანებას არ დასჯერდა: მან გამოიწვია დევი შეჯიბრებაში, რომ ორთაბრძოლის გზით ვაჟკაცურად მოეპოვებინა დევისაგან მდინარეზე გადასვლის უფლება, თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ იგი ამ უფლებას მხოლოდ გამარჯვების შემთხვევაში მოიპოვებდა, რომლის ალბათობაც არც თუ ისე მაღალი იყო. ხალხურში იგივე ალბათობა ბევრად უფრო დიდია. ლიტერატურული ნაცარქექია დარწმუნების გზით ცდილობს საკუთარი მიზნის მიღწევას, ხოლო ხალხური კი იმავე ამოცანის შესრულებას დევის ფსიქოლოგიურ-მორალურ სისუსტეებზე ეტაპობრივი დარტყმებით ესწრაფვის და ახორციელებს. დევი, მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკურად დიდი და დაუძლეველია, ფსიქოლოგიურად, მოსალოდნელზე მეტად, სუსტი გახლავთ, და შესაბამისად, მისი ამ გზით დამარცხება შედარებით მარტივია. ამგვარად, ხალხური ნაცარქექია დევთან

ფსიქოლოგიურ ჭიდილში ჩაება, ლიტერატურულმა კი ძალით შერკინება არჩია უზარმაზარ დევთან. გამარჯვებისათვის აკაკის ნაცარქექიას საკუთარი პიროვნებისა და მასში არსებული ძალების სრული მობილიზაცია-რეალიზაცია მოუწევს. აღნიშნული ნაშრომის ფარგლებში „ნაცარ-ქექიას“ მაგალითზე გვსურს აკაკი წერეთლის სამწერლო ოსტატობის წარმოჩენა. მაშასადამე, მივიღეთ ასეთი მოცემულობა: ხალხურში ნაცარქექიამ დევს გამოსტყუა დახმარება და ფსიქოლოგიურად განადგურებულს სხვა გზა არ დაუტოვა, ლიტერატურულ ვარიანტში კი ნაცარქექიამ მოიპოვა დევისაგან დახმარება და დაარწმუნა იგი თავის შესაძლებლობებში, კონკრეტულად იმაში, რომ მას სახელოვან დევთან ურთიერთობის სრული უფლება გააჩნდა. ჩვენ ხაზგასმით გამოვყავით ზმნები - [გამოსტყუა და მოიპოვა], რადგან ეს ორი უკიდურესად დაშორიშორებული სხვადასხვა ცნებაა და მათი მართებული გამოყენება ბევრს ცვლის ტექსტის იდეურ ასპექტში. ჯამი: ხალხურ ზღაპარში ნაცარქექიამ დევს თავი გადააყვანინა მდინარის გაღმა, ლიტერატურულში კი დევმა გადაიყვანა ნაცარქექია. აკაკის ნაცარქექია ამგვარი შემართებითა და სხვა პიროვნებად გარდასახვის მეთოდით ცდილობს საკუთარ თავში ფეხმოკიდებული და მტკიცედ ფესვგადგმული შიშის დაფარვა-დათრგუნვას, ქვეცნობიერიდან მის ცნობიერში მისთვის არადამახასიათებელი თვისებების ამოფენას, რადგან დევის წინაშე წარმოჩინდეს უძლიერეს და დაუმარცხებელ არსებად. შენიშნულ გარემოებას ემსახურება ნაცარქექიას ტყულიც, რომ არ სურს ფეხის დასველება; ამით დევს კიდევ ერთხელ არწმუნებს თავის უსაზღვრო ძლიერებაში. საინტერესოა, რით აიხსნება ნაცარქექიას ასეთი „თავხედობა.“ ნაცარქექია იწვევს დევს შეჯიბრში და ნაცარქექიას თავხედობით გაჯავრებული დევი იძულებულია მიიღოს მისი ეს გამოწვევა, ვინაიდან დაუთანხმებლობა დაამდაბლებდა და ჩირქს მისცხებდა მის საყოველთაოდ განთქმულ ღირსებას, და თანაც, ჩია კაცის (აქ: ნაცარქექიას) თვალში. თუ ხალხურში დევია გამომწვევი, აკაკისთან დამწყებად და ყოველი ახალი დავალების გამომგონებლად ნაცარქექია გვევლინება. მაშასადამე, ხალხურ ზღაპარში დევი ესწრაფვის ნაცარქექიას სიმართლის დადგენას და ამიტომაც სთვაზობს ქვას წყალი გამოადინოს, ე.ი. შეასრულოს ის, რაც მხოლოდ მას შეუძლია; მხოლოდ ამის შემდეგ დაიჯერებდა იგი ნაცარქექიას გამორჩეულობას. აკაკი წერეთელთან კი აქეთ ნაცარქექია უტარებს გამოცდას დევს და ავალდებულებს მის წინაშეც დაამტკიცოს თავისი უკიდურესი და უშრეტი ფიზიკური მონაცემების რეალურობა. შევნიშნავთ, რომ ორთაბრძოლის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები ორივეგან, როგორც ხალხურ, ასევე ლიტერატურულ ტექსტში, ერთია. საგულისხმოა ის, რომ ამ ორთაბრძოლაში დამარცხება ტყუილს უტოლდებოდა, უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, დავალების ვერდამღევა და მისი შეუსრულებლობა გამოამჟღავნებდა მატყუარას და ეს მატყუარა სასტიკად დაისჯებოდა. ხალხურ ნაცარქექიაში დაისჯებოდა ზარმაცი, სუსტი და არაფრის მაქნისი ნაცარქექია, რომელმაც დევის წინაშე ტყუილის თქმა იკადრა, ლიტერატურულ ნაცარქექიაში კი დასჯის ობიექტი გახდებოდა ჯან-ღონით სავსე და ყველასათვის შიშის მომგვრელი უზარმაზარი დევი, რადგან იგი არ ეახლა ნაცარ-ქექიას და არ გადაიყვანა მდინარის მეორე ნაპირზე. აი, ზუსტად ეს მომენტი გვქონდა მხედველობაში,

როდესაც ვთქვით, რომ აკაკი წერეთელმა ხალხური ნაცარქექიას შესანიშნავი ტრანსფორმაცია შემოგვთავაზა. მიუხედავად იმისა, რომ ორივე ნაცარქექიას ეშინია დევისა, ხალხურ ტექსტში ფარული შიში მაინც იგრძნობა, რაც ნაცარქექიას სიტყვა-პასუხებიდან ამოკითხება; თითქოს, ნაცარქექია თავს იმართლებდეს და იცავდეს; დევის კითხვებს ის მორჩილად პასუხობს (მაგალითებს ქვემოთ მოვიყვანთ). მისივე ლიტერატურულ ვარიანტში კი შიშის მომენტი სრულიად წაშლილია და ნაცარქექია აქეთ გადადის შეტევაზე და რიტორიკული შინაარსის შემცველი კითხვებით ადანაშაულებს დევს უკადრისი შეკითხვისათვის. აკაკისეული ნაცარ-ქექია დევს წამითაც არ აძლევს დაეჭვების უფლებას, რომ ეჭვი შეიტანოს ნაცარქექიას ტყუილ-მართალში, რისი საშიშროებაც ხალხურში აშკარაა.

ნ.ბ. „ბევრი იარა თუ ცოტა, ერთ დიდ წყალს მიადგა. მეორე ნაპირზე უშველებელი დევი დაინახა. დევი წყალს დასწაფებოდა და სვამდა. ნაცარქექია ძალიან შეშინდა, მაგრამ რა ექნა. ერთი გზის მეტი არ იცოდა. ამ გზით ისევ შინ უნდა დაბრუნებულიყო ან დევის საუხმე გამხდარიყო. იფიქრა, იფიქრა და ბოლოს ეს მოიფიქრა, აბა, გავივლი და მტვერს დავაყენებო. უჩხვლიტა გუდას სადგისი, გახვრიტა და, რომ გაიარ-გამოიარა, საშინელი მტვერი დააყენა. დევი გაოცდა, შეშინდა კიდევ, ქვა აიღო და გამოსძახა:

-აბა, თუ ეგეთი მაგარი ბიჭი ხარ, ამ ქვას წყალი გამოადინეო.

დევმა ქვა გადმოუგდო, უნდოდა მისი სიძლიერე გამოეცადა.

ნაცარქექიამ უცხად ჭყინტი ყველი ამოიღო, თან დაიხარა, ვითომ გადმოგდებული ქვა ავიღეო, მაგრამ მოუჭირა ყველს ხელი, წყალი გამოადინა და დევს გასძახა:

-აბა, ახლა აქეთ გამოდი, მხარზე შემისვი და გაღმა გამიყვანე, ფეხის დასველება არ მინდაო.

შეშინებული დევი მაშინვე გამოვიდა, ნაცარქექია მხარზე შეისვა“ [კიდევაც დაიზრდებიან : 109-110]

ნ.ლ. „ცოტა იარა, ბევრი იარა, მიადგა ერთ მდინარეს, ველარ გაბედა წყალში გასვლა და დაჯდა კიდზე. საღამომდე იქ იცადა. საღამოს ნახა, რომ ერთი უზარმაზარი დევი მოადგა წყალს გაღმით და დაუწყო ხვრეპა. „ჰეი! რომელი ხარ შენ მანდ? აქ გამოდი, მხარზე შემისვი და გაღმა გამიყვანე, თვარა მე თვითონ მეზარება ფეხის დასველებათ!“ გასძახა დევს დიდგულად ნაცარ-ქექიამ. დევმა გამოხედა და გაკვირვებით კითხა: „ვინა ხარ? და რა სულიერი ხარ, რომ მაგას მიბედავო?“ „ჰმ, მე შენ გიჩვენებ ვინცა ვარ, რომ არ მეზრალეზოდე, შე ბრიყვო, შენაო! იცოდე, სამჯერ გაპატიებ შეცოდებას და მერე კი ველარ გადამირჩები ცოცხალიო“, უპასუხა ნაცარ-ქექიამ. „შენ ჩემი ამბავი არ გაგიგონიაო? მე ვერმიცანა მქვიანო!: ვერ გამიმეტებია, თვარა, დედამიწას რომ ხელი მოვავლო და ზეცას შევსტყორცნო, ქვეყანა დაიქცევაო! გინდა ეხლავე გიჩვენო ჩემი ძალაო? აბა შენ მანდ აიღე ერთი ქვა, მეც აქ დავსწვდები მეორეს, მოუჭიროთ ხელი და ვინც წვენს გაადენს, კაციც ის იქნება და წვერ-ულვაშიც იმას ესხმისო!“ აიღო დევმა ქვა, მოუჭირა ხელი და დაფშენა. დაიხარა ძირს ნაცარ-ქექია, ვითომ ქვას ვიღებო, ამოიღო კალთიდან ყველი, მოუჭირა ხელი და

სულ წურწურ-წურწურით გაადინა წვენი. გაუკვირდა დევს, ეს რა არისო? აბა ერთი გავიქცეთ რიყეზე და ვინც უფრო მეტს ბდღვირს აადენს ჩვენ ორში, ბიჭიც ის იქნებაო! კიდევ უთხრა ნაცარ-ქექიამ. ამუნძულდა გაღმით რიყეზე დევი და სულ ლაწა-ლუწი დააწყებინა სიპი-ქვებს. გაკუნკულდა გამოღმა ნაცარ-ქექია, უჩხვლიტა და უჩხვლიტა გუდას სადგისი, გამოვიდა ნაცარი და ისეთი მტვერი ადგა, რომ თვალით აღარ იხედებოდა-რა. შეშინდა დევი; დალუნა თავი და ეახლა მორჩილად ნაცარ-ქექიას და შეისვა მხარზე. ...“ [წერეთელი, 1948 : 337-338]

აკაკი წერეთელმა, ნათელია, რომ სიუჟეტი ხალხური ზღაპრიდან აიღო და შემდგომ ისე გადაამუშავა ლიტერატურულად, რომ მისი მწერლური დამსახურებანიც ცხადად ასახულიყო ტექსტში. მან ამოიღო „ქვევრისა“ და „მელიის“ სცენები, რადგან იმდენი მიზეზი, რამდენიც ხალხურშია ჩამოთვლილი, აღარ ჩათვალა საჭიროდ ნაცარქექიას გონიერების დასამტკიცებლად და ცოტაოდენიც აკმარა, კერძოდ: ვეებერთელა კეცის ქვეშ მოყოლა მუცლის ტკივილის მოშუშების მიზნით და სხვენიდან „წკპლების“ ჩამოღება დევის დასასჯელად. აკაკიმ დაარღვია ხალხური ზღაპრის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი, რომლის მიხედვითაც, ზღაპრის მთავარი გმირი ხანგრძლივი და ფათერაკებიანი მოგზაურობის შემდეგ, აუცილებლად და ყოველმიზეზ-გარეშე, თავისიანებთან სახლში ბრუნდება. აკაკისეული ნაცარქექია რჩება მტრის სახლში, და მეტიც, იქ გადაჰყავს თავისი ოჯახი საცხოვრებლად. ეს არა-თუ ნაკლად, დიდებულ გადაწყვეტილებად უნდა ჩავუთვალოთ აკაკის. მოგეხსენებათ, რომ აკაკის საოცრად მდიდარი ფანტაზიის უნარი და დახვეწილი სამწერლო სტილი გააჩნდა. ამის გამო იგი ერთი პატარა დეტალის შეცვლითაც კი ისეთ ასოციაციას იწვევდა მკითხველში, რომ თითქოს ყველაფერი შეცვალა. ხალხურ ზღაპარში ნაცარქექიას სიმართლე ქვეტექსტში ამოიკითხება; უსამართლოდ დასჯილ და სახლიდან უმოწყალოდ გამოგდებულ ნაცარქექიას ყველანაირი უფლება ჰქონდა, რომ არ დაბრუნებულიყო სახლში და თავისი მოხერხებულობით მოპოვებული აუარებელი სიმდიდრე და სარჩო-საბადებელი თავისთვის დაეტოვებინა; მას არავინ უშლიდა ხელს, მთელი თავისი დარჩენილი ცხოვრება მხართემოზე წამოწოლილსა და არხეინად მყოფს გაეტარებინა. იგი კი დაბრუნდა თავის „დამსჯელებთან“, რაშიც მის ოჯახის წევრებს ვგულისხმობთ, და დევების ქონება თავისიანებს გაუნაწილა. ამ მოტივიდან იკვეთება, რომ „ნაცარქექიას“ ოჯახი ხელმოკლედ ცხოვრობდა და მიუხედავად ყოველდღიური შრომა-გარჯისა, ამ სიღარიბიდან ამოსვლას ვერ ახერხებდნენ; მარტო ღონე არ კმაროდა, საჭირო იყო „გონების ძალაც“ („ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა“). საბოლოოდ, მთელი დიდი სახლეულიდან, ისევე ნაცარქექიამ მოახერხა გამოსავლის მოძებნა და თავისი ოჯახის წევრების გაუსაძლისი გაჭირვებისაგან ხსნა. ამრიგად, ნაცარქექია სულაც არ გვევლინება ზარმაც და არაფრის მაქნის, ყოვლად უღონო პიროვნებად, იგი წარმოგვიდგება ვაჟკაც, თავმდაბალ, გონიერ, შრომისმოყვარე, სამართლიან და მიტევების უნარის მქონე გაწონასწორებულ ინდივიდად. მან ხომ აპატია თავისიანებს და წყენა გულში არ ჩაიდო?! წესით, მას დროთა განმავლობაში უნდა გამძაფრებოდა სიმულვილი სახლეულის მიმართ, რომლებმაც საკუთარი ოჯახის წევრი სასიკვდილოდ გაიმეტეს და უკიდურესი განაჩენი გამოუ-

ტანეს ნაცრის ქექვის გამო. წყენასა და ბოღმას გულის ღვარძლს ეძახიან. ... მან სძლია საკუთარ ამპარტავნებას, მის შინაგან სამყაროში გაჩაღებულ ბოროტისა და კეთილის დაპირისპირებას, გულში გამეფებულ სევდას და მიიღო სწორი გადაწყვეტილება; იგი სინათლის მხარეს დადგა. გახსოვთ, ზღაპრის დასაწყისში მან ვერ გადალახა მდინარე და დევის დახმარება დასჭირდა, აქ კი ჩანს (დაბრუნების მომენტი), რომ ნაცარქექიამ მარტივად და დაუბრკოლებლად სძლია, ერთ დროს მისთვის დაუძლეველ სიმწიფეს, დამოუკიდებლად გადმოჭრა მდინარე და მშვიდობით დაბრუნდა სახლში. საქმე ისაა, რომ სახლიდან გამოძევებულ პროტაგონისტს შინ დასაბრუნებლად მდინარე მეორეჯერ უნდა გადმოელახა. უდავოა, ნაცარქექია სულიერად გაიზარდა. ერთი რამ ნათელია, ნაცარქექია იმიტომაც ქექავდა ნაცარს, რომ დაეფარა სხვაზე გამორჩეულობის ფაქტი და არ გამხდარიყო სხვათა მიერ ქება-დიდებას ობიექტი. მან ამ ქება-დიდებას გარიყულობისა და მარტოობის მძიმე ტვირთი არჩია. თუ ხალხურ ზღაპარში ნაცარქექიას სიმართლე და უდანაშაულობა ზღაპრის ქვეტექსტში ამოიკითხება, აკაკი წერეთელმა ტექსტის ზედაპირზევე გაამართლა ნაცარქექია და ამბის (ასე განსაზღვრავს ამ თხზულებას აკაკი) ბოლოს ათქმევინა:

„დევის სახლ-კარი კი მისის მოწყობილობით იმ ნაცარ-ქექიას დარჩა. ისიც წავიდა, მოიყვანა ძმები, თავის თავთან დააყენა და უთხრა, ხომ გაგიგონიათო: „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსო.“

აკაკიმ ასეთი დასასრულით გამოხატა და დააფიქსირა თავისი პირადი დამოკიდებულება დღემდე გადაუჭრელი საკითხის მიმართ: ნაცარქექია დადებითი გმირია, თუ უარყოფითი? აკაკი წერეთელი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჩახვდა ხალხური ზღაპრის („ნაცარქექია“) იდეას, რომ „ნაცარქექია“ არ არის და არც შეიძლება იყოს მხოლოდ ზღაპრული პერსონაჟის სახელი, იგი არამც და არამც არ წარმოგვიდგება ერთ ინდივიდად, როგორებიცაა მაგალითად: კომბლე, სიზმარა, ცეროდენა, ხუთკუნჭულა, ასფურცელა და ა.შ., ვინაიდან ნაცარქექია ღრმა და ფართო სიმბოლიკით იტვირთება და იგი ზოგადი/კრებსითი სახე უფროა, ვიდრე კონკრეტული; თვითონ სახელშიც კი მრავლისმთქმელი და ფილოსოფიური აზრი გახლავთ ჩადებული, რადგან აქ პირდაპირ არ გაიგება „ნაცრის ქექვა“. სწორედ ზემოთქმულს უნდა განვიპირობებინა ის, რომ ავტორმა შეცვალა ტექსტის/თხზულების ჟანრი (ჟანრად განუსაზღვრა „ამბავი“), და არა - სათაური. აკაკი წერეთელმა გაამჟღავნა თავისი სიმპატიები მუდამ დაუფასებელი, გამტყუნებული და იდუმალი ნაცარქექიასადმი და მისივე თხზულებით, რომელსაც „ნაცარ-ქექია“ დაარქვა, შეეცადა „ნაცარქექიას“ რეანიმაციას ქართულ საზოგადოებაში.

ნ.ხ.- „აბა, თუ ეგეთი მაგარი ბიჭი ხარ, ამ ქვას წყალი გამოადინეო!“ (დევი - ნაცარქექიას)

დევი ზემოქმედებს ნაცარქექიაზე და ცდილობს დაითანხმოს იგი. დევის ინტერესებში შედის, რომ წამოაგოს თავისივე შეთავაზებაზე, რათა ამგვარი ხერხით გაიცნოს „ნაცარქექია“ და შეამოწმოს მისი ფიზიკური შესაძლებლობები. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, ცხადია, წამგებიანი იქნებოდა შემდეგი ფორმულირებით მიმართვა:

-ამ ქვას წყალი გამოადინე!

ასეთ მიმართვას ბრძანების ტონი ახლავს, რის გამოც ადრესატში აღძრავს სიბრაზეს, რომ შეილახა მისი პიროვნული ღირსებები და ადამიანთათვის ასერიგად ძვირფასი - „არჩევანის თავისუფ-ლება“. ბუნებრივია, ასეთი ბრძანების შემთხვევაში „ნაცარქექია“ არ დასთანხმდებოდა დევს, რი-თიც თავის პოზიციებს კიდევ უფრო გაიმყარებდა. მიღებული რთული დავალების შესრუ-ლების/დაძლევის შემდეგ „ნაცარქექია“ ეუბნება დევს:

„აბა, ახლა აქეთ გამოდი, მხარზე შემისვი და გაღმა გამიყვანე, ფეხის დასველება არ მინდა!“

ამ მიმართვის ქვეტექსტში ერთდროულად ამოიკითხება, როგორც ბრძანებითი, ასევე იუმორისტულ-კრიტიკული ტონი. ჩანს, „ნაცარქექიას“ განრისხება გამოიწვია იმან, რომ დევმა პირდაპირვე არ ირწმუნა მისი და ზედმეტი თავსატეხი გაუჩინა, ანუ არაგემიურ შრომას შეამთხვია.

ნ.ლ. „ჰეი! რომელი ხარ შენ მანდ? აქ გამოდი, მხარზე შემისვი და გაღმა გამიყვანე, თვარა მე თვითონ მეზარება ფეხის დასველება!“ (ნაცარქექია - დევს)

დაგვეთანხმებით, რომ „ნაცარქექია“ საკმაოდ თავხედურად იქცევა, მაგრამ აქ „თავხედობა“ ერთადერთი გამოსავალია გამოუვალი მდგომარეობიდან, რადგან მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა დევზე ზემოქმედების მოხდენა. „ნაცარქექიას“ წარმატების მოსაპოვებლად მართებდა ფსიქოლოგიური და მორალური სიმყარე. წესით, „ნაცარქექიას“ უცნობი შემხვედრისათვის თქვენობით უნდა მიემართა, მაგრამ მან, არა-თუ, ეს არ გააკეთა, მასხრად აიგდო მდინარის მეორე ნაპირზე მყოფი დევი და დამცინა-ვად გასძახა: „ჰეი, შენ!“ მაშასადამე, მან დევს, როგორც ტოლსწორს, ისე მიმართა და მისი მიმართვის სტილი, რაშიც არასწორად შერჩეულ ტონსა და ტემბრს ვგულისხმობთ, ბრძანებას უფრო ჩამოჰგავდა, ვიდრე თხოვნას. მნიშვნელოვანია შემდეგი გარემოების გათვალისწინებაც, კერძოდ: „ნაცარქექიას“ გამოჩენამდე დევისათვის ასე მკვახედ არავის არასოდეს მიუმართავს და, ამდენად, მთავარი გმირის გადაწყვეტილება დევის მიმართ უპატივცემულობის დადასტურების პირველ შემთხვევად უნდა გავიაზროთ. დევი ერთადერთი გახლდათ თავის სამფლობელოში და თუ მას მეორე დევი ესტუმრებოდა სხვა სამეფოდან, ისინიც კი ერთმანეთისადმი უდიდეს პატივისცემას იჩენდნენ. ეს უზარმაზარი მმართველები შიშის ზარს სცემდნენ მთელს ქვეყნიერებას და მათთვის ხმის გაცემას ვერცერთი სულიერი ბედავდა. ამ ფონზე დევთან მიდის ერთი დაბალი, სუსტი და გამხდარი კაცი და შეხვედრისთანავე უყვირის მას. „ნაცარქექიას“ ასეთი არაფორმა-ლიზმი და უტაქტობა, რომ „აინუნშიც არ აგდებს“ მის „დევობას“, დევში საოცარ გაკვირვებას იწვევს, და იმდენადაც კი, რომ მოულოდნელობის ეფექტი მთლიანად ფარავს სიბრაზის ფონს მის ცნობიერში. შესაბამისად, დევს უწევს საკუთარ გონებაში ჩაბეჭდილი უალტერნატივო ტაქტიკის შეცვლა და შეტევაზე გადასვლის მაგივრად ინტერესდება ნაცარქექიას ვინაობით.

–„ვინა ხარ? და რა სულიერი ხარ, რომ მაგას მიბედავ?“ ნაცვლად:

–მაგას როგორ მიბედავ?! ვინც არ უნდა იყო, ახლავე შუაზე გაგსრეს! / თუ არ გინდა კისერი წაგაწყვიტო, ახლავე დაიკარგე აქედან!

როგორც ზემოთ ვთქვით, „ნაცარქექია“ ახერხებს მორალურ-ფსიქოლოგიური ბალანსის შენარჩუნებას, რითიც უფრო აძრწუნებს, ისედაც ემოციური აფექტისაგან დაზნეულ დევს.

-„ჰმ, მე შენ გიჩვენებ ვინცა ვარ, რომ არ მეზრალეზოდე, შე ბრიყვო, შენაო! იცოდე, სამჯერ გაპატიებ შეცოდებას და მერე კი ველარ გადამირჩები ცოცხალი! შენ ჩემი ამზავი არ გაგიგონია? მე ვერმიცანა მქვია! ვერ გამიმეტებია თვარა, დედამიწას რომ ხელი მოვავლო და ზეცას შევსტყორცნო, ქვეყანა დაიქცევა! გინდა ეხლავე გიჩვენო ჩემი ძალა? აბა, შენ მანდ აილე ერთი ქვა, მეც აქ დავსწვდები მეორეს, მოვუჭიროთ ხელი და ვინც წვენს გაადენს, კაციც ის იქნება და წვერ-ულვაშიც იმას ესხმის!“

ღირსებააყრილი დევი ვერ ეგუება უმკაცრეს რეალობას, ვინაიდან მას აქამდე წაგების გემო არ გამოუცდია და ამის გამო იგი თავს ძალიან არაკომფორტულად გრძნობს. ერთ დროს სახელოვან ფიგურას უჭირს, მეტიც, არ სურს გააცნობიეროს დამარცხება, რაც მისთვის „დიდების ეპოქის“ დასასრულთან ასოცირდება. ამიტომ ძალაგამოცლილი და საგრძნობლად დასუსტებული ცდილობს საკუთარ თავში დარჩენილი ბოლო რესურსის მოძიება-გამოყენებას. გამარჯვების მოსურნე დევი ნაცარქექიას საკმაოდ გამომწვევი და დამცინავი ტონით მიმართავს:

ნ.ხ. =„ოჰ, რა მსუბუქი ყოფილხარო!“

დევის ვერაგულმა ნაბიჯმა/ჩანაფიქრმა კვლავაც არ გაჭრა; ნაცარქექიამ ამჯერადაც წარმატებით გაართვა თავი დევის მიერ აღმართულ წინაღობას, და მეტიც, დამაჯერებლობის ელფერის შესაძენად თავის ფანტაზიას კიდევ უფრო მეტი გასაქანი მისცა:

-„ეს იმიტომ, რომ ცალი ხელი ცაზე მაქვს მოკიდებული და, თუ გავუშვი, ვერც კი დამძრავო, - მიუგო ნაცარქექიამ.

-აბა, ერთი გაუშვიო, - ცნობისწადილმა შეიპყრო დევი.

ნაცარქექიამ სადგისი ამოიღო და დევს კისერში ჩაურჭო...“

ზუსტად იგივენაირად იქცევა აკაკი წერეთლის ნაცარქექიაც:

-„ბატონო ვერმიცანავ, როგორღაც მემჩატებითო!

-გემჩატებო? ჰმ, შენ რომ ჩემი სიმძიმის ამზავი იცოდე, მაგას აღარ წამოროშავდიო. რომ ახლა უჩინარის ბაწრით ცაზე არ ვიყო მიბმული და იქ არ მიჭერდნენ, ქვესკნელში ჩაგიტანდიო. აბა, ვნახოთ, ცოტათი შემიშვან ხელიო! - სთქვა ნაცარ-ქექიამ. ამოლო უბიდან სადგისი და დააჭირა კისერზე. ...“

ნაცარქექიას გაუტეხლობაში დარწმუნებული დევი იძულებულია ნაცარქექია საპატიო სტუმრის სტატუსით საკუთარ სახლში მიიპატიჟოს და სათანადო პატივი სცეს.

შინ დაბრუნებული დევი ხედავს, რომ მის არყოფნაში, თურმე ნაცარქექიას უზარმაზარი კეცი დასცემია გულ-მუცელზე და ძირზე გაუკრავს. არა-და, მან სახლში სულ სხვა „ნაცარქექია“ დატოვა, ვინც ცოტა ხნის წინ მის თვალწინ ქვას წყალი წურწურით გამოადინა, მდინარის ნაპირზე საშინელი ბული დააყენა, თავისი სიმძიმით, კინაღამ, დევიც კი მიწაში ჩაიტანა. ერთობ

ალოგიკური სურათის შემსწრე დევს, ცხადია, სავსებით ლოგიკური და სამართლიანი კითხვა ებადება:

ნ.ბ. - „კაცო, ეგ რა გიქნია?“

ნაცარქექიამ დევის კითხვას მორჩილად უპასუხა. მის ამგვარ პასუხში შიშის ფაქტორი, აშკარად, საგრძნობი და ხელშესახები იყო; ამიტომაც იგი იძულებული გახდა დევისათვის ისეთი დამაჯერებელი ტყუილი ეთქვა, რომელიც დევის გონებაში აღძრულ ყველანაირ ეჭვს მომენტალურად გაფანტავდა. და, მან, ეს შეძლო:

- „მუცელი ამტკივდა ძალიან და თბილი კეცი დავიდე, ეგებ როგორმე ტკივილმა გამიაროს მეთქი. ახლა კარგად ვარ და აიღე, - მიუგო ნაცარქექიამ.“

ეჭვგარეშეა, დევი ოდნავადაც რომ დაეჭვებულყო ნაცარქექიას პასუხში, თხოვნას არ შეუსრულებდა და ეტყოდა: თუ ეგეთი მაგარი ბიჭი ხარ, თავად აიღე კეციო.

აკაკი წერეთელმა საკუთარი გმირი განსხვავებული პრიზმით წარმოგვიდგინა; ფაქტიურად, ავტორმა ხალხური ნაცარქექიას დიდებული ლიტერატურული ანტიპოდი შექმნა. თუ ხალხურმა გმირმა ვერ დათრგუნა შიში, ლიტერატურული გმირი, ამ მხრივ, საკმაოდ ფერცვალებულია და იგი უმძიმესი ხასიათის მქონე პიროვნებად გვევლინება, რამდენადაც მასში მეტოქეობის სურვილი უმაღლეს ნიშნულამდეა აყვანილი. აკაკის ნაცარ-ქექია თავის მართლების ნაცვლად ხისტი მეთოდებით უპირისპირდება დევს და შეკითხვის რიტორიკული ტონით შებრუნების გზით ამხელს მასპინძელს უგუნურებაში.

ნ.ლ. „დევი რომ დაბრუნდა, ნაცარ-ქექია კეცქვეშ სულზე მიგდებული ნახა, აღარც ფერი ჰქონდა და აღარც ხორცი.“

- „რა დაგმართნიაო?“

მხოლოდ ამის შემდეგ პასუხობს ნაცარ-ქექია და მის ნელ-თბილ/ნეიტრალურ ტონში ცხადლივ იგრძნობა უადგილო კითხვის მიცემისაგან გამოწვეული უკმაყოფილება. მისი პასუხი ნათელს ჰფენს, რომ შშიშარა ნაცარ-ქექია გარდაქმნილა უშიშრად და მის პიროვნულ „მე“-ში სიმბდალის მაგივრად ადგილი დაუკავებია რევანშიზმს, რომლისათვისაც უცხო ხილს აღარ წარმოადგენს ხიფათიან „ვა-ბანკზე“ წასვლა. ჩანს, ნაცარ-ქექიას თავიდანვე ჩაუფიქრებია დევის სახლ-კარისა ქონების სამუ-დამო მითვისება. არ გამოვრიცხავთ, რომ ამ მიზნითაც ყოფილიყო მოტივირებული ზღაპრის მთავარი გმირი, როდესაც მრისხანე დევს მიპატიჟებაზე დასთანხმდა.

- „რა უნდა დამმართნოდესო? მუცელი ამტკივდა და ზედ ცხელი კეცი დავიდევიო. ახლა კი გადამიარა, აღარა მიჭირს რაო. მოდი ამაცალე ეს კეციო!“

შეადარეთ:

ნ.ბ. „უცებ ერთმა დევმა ცხვირი დააცემინა და ნაცარქექია ჭერს მიეკრა. დევებმა მალლა აიხედეს და ნახეს, რომ ნაცარქექია ჭერის კოჭს ეჭიდება. ასძახეს:

- კაცო, მანდ რამ აგიყვანა, რას აკეთებო?

-როგორ გაბედეთ ჩემ წინ ცხვირის დაცემინება. ეს წკეპლა უნდა ჩამოვილო და სულ გვერდები აგიწვათო.“

ნ.ლ. „ვახშმად რომ დასხდნენ, დევმა უცბად დააცხიკვა და სტუმარი სესხვანზე შეაგდო. ნაცარ-ქექიამ ღირეს დაუწყო ბლაუჭი.

-„მანდ რას შვრებო?“ - ჰკითხა დევმა.

-„როგორ თუ რას ვშვრებო?! ვისთან გაბედე შენ ცხვირის დაცემინება? ამ ჩხირს ავიღებ და დაგკრავ და თავ-მთხლეს გადაგადენო!“

დასასრულს ერთ ასპექტზეც გავამახვილებთ ჩვენს ყურადღებას. „ნაცარქექიას“ ხალხურ ტექსტში დევი საპატიო სტუმარს, როგორც თავის ტოლსწორ ამხანაგს, ისე მიმართავს და, თითქოს, ებოდიშება, ღვინის მოტანას რომ ახარებსო. ამრიგად, დევმა „ნაცარქექია“ თავისი სამშობლოს სიაში შეიყვანა.

-„თუ ძმა ხარ, გადი, ეზოში ქვევრია, ამ ხელადით ღვინო ამოიღე და მოგვიტანეო.“

დევმა თავის წინადადებას ბრძანების ტონი ჩამოხსნა და ნაცარქექია არა ვალდებულების, არამედ არჩევანის წინაშე დააყენა („თუ ძმა ხარ“), რომ თუ იგი უარს განაცხადებდა აღნიშნული თხოვნის შესრულებაზე, დევი ულაპარაკოდ დაჰყვებოდა მის ნებას და თვითონვე შეავსებდა კოკებს ღვინით.

ხალხურისაგან განსხვავებით, აკაკიმ დევს ნაცარქექიასათვის „თქვენობით“ მიამართვინა, და მეტი სიმძაფრე შეიტანა დევ - ნაცარქექიას ურთიერთობაში. დევი ძლიერი ნაცარქექიასადმი გულწრფელი (და არა თვალთმაქცური!) პატივისცემითაა გამსჭვალული, სამფლობელოების ბატონ-პატრონი, საქვეყნოდ ცნობილი და სახელოვანი ფიგურა არა-თუ მისთვის, ყველასათვის უცნობ პატარა კაცს თქვენობით მიმართავს. ლიტერატურულ ვარიანტში დევმა აღიარა ნაცარქექიას „მეტობა“ და ამიტომაც მიმართვისას „თქვენობით“, ხალხურში კი, დევმა ნაცარქექია თავის ტოლსწორად მიიღო. ნაცარქექიას ნიჭმა და მოხერხებულობამ დევს გარდაქმნა, გადასხვაფერება გამოიწვია. სავარაუდოდ, ავტორმა ამ ფარული ხერხით თავისი მოწიწებითი დამოკიდებულება გამოხატა ნაცარ-ქექიას იმ სიბოლური ხატის მიმართ, რასაც ნაცარქექია განასახიერებს.

-„თუ უკაცრავად არ გახლდეთ, ყური უგდეთ პურს, რომ არ დაიწვას.“

როგორც ხალხურ, ისევე ლიტერატურულ „ნაცარქექიაში“ ბრძანებით ფორმებს სჭარბობს „მიმართვითი“, „კითხვითი“, „სურვებითი“ ფორმები, ასევე შემახილის ფორმულები და შორისდებულები; ზოგჯერ ეს უკანასკნელი ტვირთულობს წინათა ფუნქციებსაც.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, დაუშვებლად მიგვაჩნია ნაცარქექიას გადააზრინება სიზარმაცის სიმბოლოდ, რადგან ასეთი გაგება ეწინააღმდეგება ზღაპრის დიდაქტიკურ მორალს.

1. ბედიანიძე დ., - ნაცარქექია (ტიპოლოგიური პარალელები). ქართული ფოლკლორი 3 (XIX). ქართ.ლიტ.ინსტ., რედ. ა. არაბული. თბილისი. 2006.
2. თაგაური გ., - ქართული ფოლკლორის კვალი ვეფხისტყაოსანში“. რედ. ა. არაბული. გამომცემლობა „მუსფონდი“. თბილისი. 2017.
3. სიხარულიძე ქს., - ქართველი მწერლები და ხალხური შემოქმედება, წ.1. გამომცემლობა „სახელგამი“. თბილისი. 1956.
4. ქეთელაური ს., - იყო და არა იყო რა: ქართული ხალხური ზღაპრები“. რედ. დ. გოგოჭური. გამომცემლობა „ნაკადული“. თბილისი. 1977.
5. ქურდოვანიძე თ., - ქართული ხალხური ჯადოსნური ზღაპარი. რედ. ზ. კიკნაძე. „თსუ“-ს გამ-ბა. თბილისი. 1983.
6. ჩიქოვანი მ., - გონების ძალა (ნაცარქექიას ზღაპრის შესწავლისათვის). ქართული ფოლკლორი: მასალები და გამოკვლევები. ტ.9. - / სტრუქტურა და პოეტიკა. ქართ.ლიტ.ინსტ., თბილისი. 1979.
7. ჩოლოყაშვილი რ., - ნაცარქექია - გამარჯვებული საქართველოს სიმბოლო აკაკი წერეთლის შემოქმედებაში. IX საერთაშორისო სიმპოზიუმის „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები: ტრადიცია და თანამედროვე მწერლობა“ მასალები (აკაკი წერეთელი 100). თბილისი. 2015.
8. ჩოლოყაშვილი რ., - ნაცარქექიას არქეტიპული გააზრებისათვის. ზღაპართმცველებიდან სიტყვიერებამდე. რედ. თ. ჯაგოდნიშვილი. გამომცემლობა „ნეკერი“. თბილისი. 2015.
9. წერეთელი აკ., - თხზულებანი ტ.4. /მოთხრობები/. რედ. პ. ინგოროყვა. გამომცემლობა „სახელგამი“. თბილისი. 1948
10. ჯაგოდნიშვილი თ., - ქართული ფოლკლორისტიკის სათავეებთან. რედ. ა. ცანავა. გამომცემლობა „მეცნიერება“. თბილისი. 1986.
11. კიდევაც დაიზრდებიან (ზღაპრები, ხალხური ლექსები, გამოცანები, ენის გასატეხები, თქმულებები, ანდაზები). საკითხავნი ყმაწვილთათვის 1. შემდგენელ-რედაქტორი და გამომცემელი აკ. ბრეგაძე. „ციცინათელა“ 2004.
12. 100 რჩეული ქართული ხალხური ზღაპარი. შემდგენელ-რედაქტორი ი. დარჩიაშვილი. თბილისი.

Gabriel Tagauri

For the Psychological Portrait of Natsarkekia Linguo-cultural and Psychological Analysis

Abstract

This research compares the character of Natsarkekia (ash-pocking man) as he appears in the folk tale and in the novel by Akaki Tsereteli, and examines his psychological portrait based on the character's demeanor and vocabulary. Symbolic essence of Natsarkekia remains debatable. Part of Georgian society has positive attitude to Natsarkekia, while in others' minds he triggers negative associations. One way or the other, Natsarkekia is a very well-known character and may even be considered as a trademark of Georgian folk tales. It is interesting to explore the reasons that make a "lazy", "worthless" Natsarkekia so prominent. If he is indeed a negative character, where does his popularity come from?! Noteworthily, *Natsarkekia* is a rare example of a tale where protagonist undergoes tremendous transformation to gain confidence and strength: 1. He was expelled from home; could not cross the river without help of a giant; clashed with the giant; 2. He defeated the giant, crossed back the river on his own; got back home with the gained treasure.

Akaki Tsereteli fully comprehended the idea of this folk tale. He understood that Natsarkekia is not a name of an individual character like those populating other tales: Komble, Sizmara, Tserodena, Khutkunchula, Aspurtsela, etc. Natsarkekia is rather a generic figure of a symbolic nature. He revealed his positive attitude to the commonly denounced Natsarkekia and tried to restore his reputation among the Georgian society.

Authors of the folk and literary pieces alike are very selective in what words they put into the mouths of their characters so that their spoken language would accurately communicate the message that the authors aspired to get across. In this regard, literary forms used by Akaki Tsereteli are quite remarkable and, possibly, deserve a deeper analysis. Along with conventional wording, the author skillfully uses dialects and archaic expressions no longer encountered in modern language. Reviving such words and expressions for the use in spoken and written Georgian would be a great achievement. To make this happen, not only scholars have to contribute but the public should buy in as well. Looking at Natsarkekia through the psychological lens and applying behavioristic theory to the research of this ambiguous character would lead to solving his dilemma. The same is true for the Georgian literature in general: considering its psychological aspects would allow deeper comprehension and open up new prospects of highly relevant research. Present paper is inspired by these thoughts and aspirations.

რეცენზენტი: პროფ. ს. სიგუა

О конститутивных признаках жанра ссоры (на материале пьесы А.Житковского «Посадить дерево»)

Елена Киреева

Vilnius, Lithuania

kirejevalenal@gmail.com

В статье исследуются конститутивные признаки речевого жанра ссоры как типической ситуации в межличностном общении, в которой реализуется конфликтная коммуникация. Данное исследование коррелирует с современной парадигмой, господствующей в культурологическом жанроведении, в фокусе которого – выделение и изучение конкретных жанров внутри определенной культуры в связи с существующими в данной культуре нормами и ценностями. Материалом исследования послужила пьеса Алексея Житковского «Посадить дерево» (2018). В силу жанра драма стремится к весьма точной передаче коммуникативного поведения и может свидетельствовать о существующей культуре коммуникации в определенном жанре речевого общения. Кроме того, речевой конфликт, замещающий конфликт физический, представлен в таком материале наиболее ярко и отражает социально-психологический фон эпохи. Анализ материала позволил сделать следующие выводы относительно конститутивных признаков жанра ссоры: общение внутри жанра ссоры строится на уязвимости позитивного и негативного лица интерактантов, и может быть охарактеризовано как неритуализированное, невежливое, сопряженное с несоблюдением базовых культурных ценностей.

Речезанровая картина современности необычайно пестра. Пестрота этой картины обусловлена жанровым своеобразием каждой из представленных на ней национальных

культур. Жанровое пространство внутри каждой из культур наполнено множеством жанров, среди которых – жанр ссоры, в котором реализуется конфликтная коммуникация.

Задачей данного исследования является выявление конститутивных признаков жанра ссоры через: 1) определение тактик и стратегий, применяемых Адресантом, или инициатором ссоры, и Адресатом – объектом воздействия; 2) определение параметра языкового воплощения, т.е., спектра прагмалингвистических ресурсов; 3) установление корреляционной зависимости между применяемыми стратегиями и тактиками и культурно-ценностными установками, составляющими основу аксиологической системы бытия русской культуры. Под стратегией подразумевается «план комплексного речевого воздействия, которое осуществляет говорящий для «обработки» партнера. Это своего рода «насилие» над адресатом, направленные на изменение его модели мира, на трансформацию его концептуального сознания» [2: 103]. Тактика же в свою очередь является инструментом реализации стратегии и подчинена основной цели стратегии. Таким образом, для осуществления определенной стратегии необходимо совершить ряд шагов, или тактик. Каждый из этих шагов в иерархии К.Седова называется внутрижанровой тактикой, или субжанром, т.е., минимальной единицей типологии речевых жанров, равной одному речевому акту [4].

При разработке методики исследования мы в значительной степени опирались на положения теории речевых актов, что позволило нам определить механизмы взаимодействия Адресанта и Адресата [5,8]. Научный подход, применяемый в данном исследовании, как и большинство существующих подходов к речевым жанрам, сосредоточен на интенциях говорящего, на иллокутивно-целевом параметре, являющимся релевантным при определении жанрообразующих признаков. Помимо привлечения положений теории речевых актов, для разработки метода исследования также использовались научные изыскания в области прагмалингвистики (в частности, теория вежливости Браун и Левинсона, краеугольным камнем которой является *лицо*, представленное в двух аспектах: 1) *негативное лицо* как стремление защитить свое личное пространство и быть свободным от насаждения чужого волеизъявления; 2) *позитивное лицо* как стремление получить одобрение и похвалу. Внимание, проявленное к лицу в ходе интеракции, и смягчение ликоугрожающих речевых актов (ЛРА) – залог успешного и

вежливого взаимодействия [6:67-69]), этнопрагматики (культурные скрипты, сформулированные Анной Вежицкой, в частности – скрипт «правда», в котором отражается идея о том, что говорить правду – хорошо, а говорить неправду – плохо, даже если эта правда может причинить боль собеседнику [1]), социологии (параметры описания культур и предложенная Гертом Хофстеде идея о том, что схематически культуру можно представить в виде «луковицы» с четырьмя чешуйками, в глубинных, наименее подверженных изменениям, чешуйках-слоях которой расположены ритуалы (напр., ритуал вежливости), дискурс – то, как язык используется для достижения коммуникативных целей в интеракции и ценности, отвечающие за то, что в данном обществе считается хорошим, а что – плохим [7]).

Именно межличностный конфликт, определяемый как «столкновение личностей, являющихся носителями противоположных интересов, мотивов, целей, происходящее в условиях дефицита ресурсов» [3:62], и эксплицируемый на вербальном и речедеятельностном уровне в рамках речевого жанра ссоры, является предметом данного исследования.

В пьесе Алексея Житковского «Посадить дерево» конфликт возникает между отцом и сыном. Благородное желание отца поделиться опытом и определенными морально-ценностными установками относительно того, что подобает мужчине, а что – нет, вытекает в ссору, которая представляет собой не только частный случай, обнажающий правду о том, что между персонажами нет взаимопонимания и обоюдного доверия, но и глобальный конфликт поколений с разными ценностными ориентирами, отсутствием преемственности и отчужденностью.

Инициатором ссоры, или Адресантом, выступил Отец, вызвавший недовольство Сына по поводу задуманной им авантюры, а именно – посадки дерева, осуществление которой мыслится им как одна из основополагающих и очень важных задач в жизни мужчины: *«В наше время все сажали. Все! Позор тому, кто не сажал. Посадить дерево... это считалось святое! Как там? Посадить дерево, построить дом, вырастить сына. Это ведь каждый мужик должен был сделать, понимаешь?»*. Во время интеракции Отцом неоднократно атакуется *позитивное лицо* Сына. Он совершает многочисленные ЛРА

критики сына в неспособности совершить элементарные физические действия, необходимые для посадки дерева, критически высказывается о его жизненной позиции в целом, принижая его индивидуальный гендерный статус: *«у вас все так – гипотетически, теоретически. И деревья, и женщины, и вся жизнь! Не мужики, а ...я не знаю...»*, тем самым подчеркивая несоответствие этого статуса стандартам и шаблонам, воспринимаемым отцом как наиболее правильные. Употребление Отцом эксклюзивного местоимения «вас» во-первых, расширяет Адресата, тем самым увеличивая «масштаб трагедии», а, во-вторых, дистанцирует Адресанта от Адресата, подчеркивая разность в «наших» и «их» взглядах. Отец также создает атмосферу, опасную для *позитивного лица* Сына, совершая акт критики его умственных способностей: *«Медленно ты соображаешь, а еще – программист»*, *«Да как ты в институт вообще поступил, ты же элементарных вещей не знаешь!?»*. Используя негативно-оценочные каламбурные образования «компьютеры-херуторы, принтеры-херинтеры», а также эксплетиву «программист херов» отец неодобрительно и уничижительно высказывается о том, что составляет значительную часть жизни его сына – сферу его профессиональной деятельности, совершая ЛРА оскорбления. Помимо профессиональных качеств, критике подвергаются и личностные качества Сына. Отец совершает акт оскорбления, критики и обвинения сына в недостаточной маскулинности, никчемности, трусости, несостоятельности, что имплицировано употреблением сравнения «перестань ныть, как баба», слова «чурка» и прецедентного имени «Буратино», являющегося, несмотря на своего предшественника Пинокио, национальным, а не общечеловеческим, прочно укоренившимся в когнитивном пространстве всех тех, кто «родом из советского детства». Дифференциальным признаком данного имени, безусловно, является «беспечность», «наивность», «безмозглость». Однако, контекст, в котором данное прецедентное имя употреблено Отцом, выявляет другой его признак, а именно – «не-человек», а деревянная кукла, или «недочеловек», не пригодный ни для чего, деревянная вещь – *«Надо было из тебя табуретку сделать»*. Выступая в качестве инвектора, Отец неоднократно нападает на *позитивное лицо* сына, совершая акт оскорбления и используя лексические единицы с пейоративным значением «гаденьш», «сопляк», «щенок», чья семантика имплицировует

уничжительное отношение к молодому, неопытному, неумелому человеку, подростку, ребенку. Любое несогласие, выражаемое Сыном, встречается Отцом крайне агрессивно. Так, совершая акт насмешки и атакуя *позитивное лицо* Сына, Отец высмеивает его позицию, созвучную популярной в современном обществе идее о равноправии полов, не подразумевающим распределения гендерных ролей. Употребление Отцом просторечного междометия «вона», характеризующегося оттенком сниженности и грубоватости, устаревшей формы множественного числа «человеки», историзма «чернь» и книжного «презренная» наряду с эксклюзивным местоимением «вы» и инклюзивным местоимением «мы» придает его реплике ироничный, насмешливый тон и, безусловно, понижает статус Адресата:

Сын: Сам ты мужик!

Отец: А ты что, нет? Ты-то кто? Кто ты?

Сын: Я – человек!

Отец: Аааа... вона как. Человек!. Вона вы куда гнете, понятно....человек...а мы значит – не человеки, да?! Чернь, значит мы, толпа презренная? Человек он!

Сын: Да, я человек и что тут такого?

Сын, или Адресат, отважившись пойти в контрнаступление, тоже подвергает *позитивное лицо* отца опасности через совершение речевого акта критики и высмеивания позиции Отца относительно того, что, по его мнению, представляет собой ответственность и долг мужчины, речевого акта упрека и обвинения в родительской несостоятельности в невыполнении обязанностей, предписанных социальной роли отца. Употребляя лексемы «бредытина», «чушь» и «всякий бред», и называя всю ситуацию с посадкой дерева «казино», сын обесценивает благородные порывы отца, демонстрируя нежелание внять его советам: *«Вот, скажи, чему ты научил меня в этой жизни, что ты мне дал? Ничего не дал! Ничему не научил! Даже вот - водить машину. Научил? Фиг там! Один раз за руль дал подержаться и все»*. Сын полностью девальвирует авторитет отца, совершая речевой акт критики и обвинения его в неверности и лживости. Достаточно высокий индекс параметра Дистанции Власти России (Power Distance) предполагает уважительное отношение детей к родителям как базовую ценность семьи [7:61]. Однако, обсуждение сыном

табуированной темы интимных отношений, выражение негативных эмоций злости, негодования, раздражения через употребление грубо-экспрессивной лексики, как, например, «дешевые понты», скатологизмов «говно», «дерьмовый», «медицинской» метафоры, основанной на висцеральных ощущениях и выражающей отвращение к поведению отца – «меня тошнит от этого», параномазии «посадить дерево – засадить Ларисе Ивановне», безусловно, дискредитирует отца и снижает его репутацию, что, в свою очередь, грубо нарушает иерархию и является отходом от системы аксиологических ценностей представителей русской культуры. Несмотря на то, что, согласно параметру Избегание Неопределенности (Uncertainty Avoidance), русскую культуру можно отнести к «беспокойным», экспрессивным и агрессивным [7:191], открытое проявление негативных эмоций воспринимается интерактантами, скорее, как аберрация, нежели норма.

Помимо взаимных атак на *позитивное лицо*, нападкам подвергается и *негативное лицо* ссорящихся через употребление имплицитных императивов, сигнализирующих о нежелании продолжать интеракцию. Кульминацией ссоры является атака Отца на *негативное лицо* Сына посредством совершения акта угрозы:

Отец: Я тебя сейчас!..

Сын: Ну, давай, давай! Заруби меня здесь!

Отец: И зарублю! Зарублю!

Сын: Давай, руби!

Отец: Зарублю!

Анализ конфликтной коммуникации, реализуемой в рамках приведенной выше типической ситуации ссоры, позволил сделать следующие выводы относительно конститутивных признаков жанра ссоры: 1) Отец, или Адресант, применяет стратегию убеждения, схожую с *безапелляционным навязыванием собственной позиции*, реализация которой осуществляется через ряд тактик, описанных выше. Сын, или Адресат, поначалу применяет стратегию *защиты и сохранения лица*, а впоследствии – стратегию *выражения кардинально отличной от навязываемой отцом позиции*; 2) общение внутри жанра ссоры может быть охарактеризовано как неритуализированное, невежливое, сопряженное с

несоблюдением базовых культурных ценностей; 3) ссора происходит в непосредственной близости к *лицу*, интерактанты демонстрируют чувствительность и уязвимость *лица*; 4) существование скрипта «правда» в качестве специфического скрипта русской культуры не подтвердилось – нелицеприятная правда, прямое выражение негативных эмоций несут конфликтогенный потенциал.

Литература

1. Вежбицкая, А., 2002. Русские культурные скрипты и их отражение в языке// *Русский язык в научном освещении*. № 2 (4) – М., С.6– 36.
Режим доступа: <http://www.philology.ru/linguistics2/wierzbicka-02.htm>
2. Иссерс, О.С., 2008. Коммуникативные стратегии и тактики русской речи. Москва: Издво ЛКИ.
3. Король, Л.Г., Малимонов, И.В., Рахинский Д.В., 2015 Конфликтология. Ульяновск. Издво: «Зебра».
4. Седов, К.Ф., 2009. Языкознание. Речеведение. Генристика// *Жанры речи*. Вып. 6. Саратов: «Наука».
5. Austin, J.L., 1975. *How to Do Things with Words*. Harvard University Press.
6. Brown, P. and Levinson, S., 1987. *Politeness: Some Universals in Language Usage*. Cambridge: CUP.
7. Hofstede, G., Hofstede, G., Minkov, M., 2010. *Cultures and Organizations*. New York.
8. Searle, J., 2011. *Speech Acts: An Essay in the Philosophy of Language*. Oxford: OUP.

Материалы

Житковский, А.В., (2018). «Посадить дерево».

Режим доступа: http://litteratura.org/issue_dramaturgy/3342-aleksey-zhitkovskiy-posadit-derevo.html (2020. 04)

**On Constituent Characteristics of the Genre of a Quarrel (on the materials of
A.Zhitkovskiy's play "To Plant a Tree")**

Abstract

The article deals with the constituent characteristics of the genre of a quarrel regarded as a typical situation, in which conflict communication manifests itself. The study correlates with the present-day paradigm prevalent in culturological genistics, whose primary focus can be defined as the study and identification of certain genres within certain cultures in relation to cultural norms and values observant in these cultures. Aleksey Zhitkovsky's play "To Plant a Tree" (2018) has been chosen as the materials of the investigation. The speech genre of drama tends to render human interaction precisely, thus providing knowledge about the culture of communication circumscribed by a particular speech genre. What is more, a speech conflict, which acts as a substitute for a physical conflict, when represented in drama, becomes palpable and embodies the socio-psychological atmosphere of the epoch. On the basis of the analysis of the play the following conclusions concerning the constituent characteristics of the genre of a quarrel can be made: the interaction within the genre revolves around the vulnerability of both positive and negative interactants' faces, it can be defined as nonritualised or impolite and disregarding the basic cultural values.

რეცენზენტი: პროფ. ნ. კვირიკაძე

გამეორებული ისტორია გურამ ოდიშარიას რომანის „სოხუმში დაბრუნება“ მიხედვით

თამარ კობერიძე

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი
Tamarkoberidze1@gmail.com

სტატიაში "გამეორებული ისტორია" გაანალიზებულია გურამ ოდიშარიას რომანი "სოხუმში დაბრუნება". რომანი ეძღვნება აფხაზეთის ომის თემატიკას. სტატიაში დიდი ემოციითა და საოცარი ექსპრესიითაა განხილული ნაწარმოებში მხატვრულ-დოკუმენტურად აღწერილ ცალკეულ ეპიზოდები, კერძოდ, აფხაზეთის ომის დროს განვითარებული მეტად ტრაგიკული მოვლენები. აღსანიშნავია, რომ სტატიაში მოხმობილი და დაძებნილია ლიტერატურული შედარებები. უპირველეს ყოვლისა, პარალელის გავლებულია ლეო ქიაჩელის შესანიშნავ მოთხრობასთან „ჰაკი აძბა“, ნოდარ დუმბაძის, ბექა ქურხულის აფხაზეთისადმი მიძღვნილ წერილებთან. ასევე მოძიებული და მიგნებულია XX საუკუნის დასაწყისისა და დასასრულის დროინდელ პროცესებს შორის საგულისხმო ისტორიული და ლიტერატურული პარალელები.

საკვანძო სიტყვები: გ.ოდიშარია, „გამეორებული ისტორია“, აფხაზეთის ომი

„შენ ჩემთვის მარტო მშობლიური ქალაქი როდი ხარ, სამივე ჟამი ბრუნავს შენში...ჩემო ერთად-ერთო ქალაქო...“ ასე იწყებს სოხუმელი მწერალი გურამ ოდიშარია, თავის რომანს „სოხუმში დაბრუნება.“

მწერალი საუბრობს „თუ როგორ ამსხვრევდა ომი, ნაწილ-ნაწილ როგორ აკვდინებდა, ძარცვავდა, სწვავდა, აწამებდა“ საყვარელ ქალაქს, მაგრამ მათ, ქართველებმა ვერაფერი მოახერხეს მის შესაჩერებლად: „ველარ გიშველე სოხუმო! მაპატიე უსუსურობა!“ სამწუხაროდ, საუკუნის ბოლოსაც საქართველო სახელმწიფოებრივი თავლსაზრისით ისეთივე მდგომარეობაში იმყოფებოდა, როგორშიც იმ ავბედით 1918 წელს. მას შემდეგ არა მარტო ბატონი გურამი, არამედ ვერც ვერავინ „წარმოვიდგენდით ომს შენს დიად დღესასწაულში, სისხლს შენს ქუჩებში,

ცხედრებს შენს ზღვაში,... ცეცხლწაკიდებულ ცას...“ კითხულობ ამ სიტყვებს ადამიანი და თვალნათლივ ხედავ იმ ტრაგედიას, რომელიც 1993 წლის აგვისტო-სექტემბერში დატრიალდა ამ პატარა, ლამაზ, მყუდრო ქალაქში.

ნოდარ დუმბაძე აფხაზეთისადმი მიძღვნილ წერილში „გული“ ეუბნება მკითხველს, რომ აფხაზთა გულის სიმებს ძალიან ფრთხილად უნდა შევეხოთ, მაგრამ აფხაზებიც ასევე ფრთხილად უნდა შეეხოთ ქართველთა გულის სიმებს. ის ორმხრივი ურთიერთპატივისცემა და სიყვარული უნდა აღდგეს ჩვენ შორის თუ გვსურს ჩვენ, ქართველებს, სამუდამოდ რომ არ დავემშვიდობოთ ამ ულამაზეს, უმშვენიერეს და ძირძველ კუთხეს, ხოლო აფსუებს უკვე მეოთხედ საუკუნეზე მეტია, რაც არ მიეწოდებათ სისხლი იმ უმთავრესი ორგანოდან, რომელსაც გული წარმოადგენს და არა მგონია სხვა გულის გადანერგვის პროცესმა მათ სასიცოცხლო ძალები შეჰმატოს, რადგან ასეთმა პროცესმა ისინი ერთხელ უკვე კინადამ გამოასალმა სიცოცხლეს, (მხედველობაში მაქვს მუჰაჯირობის პერიოდი, როდესაც რუსეთის იმპერიამ ეს ეთნოსი გაქრობის პირამდე მიიყვანა), რომ არა საქართველოს „ცხელი გული“.

წარმოუდგენელია ის ტკივილი, რომელსაც მწერალი განიცდიდა მაშინ, როცა ორი წელი, (ახლა უკვე მეოთხედ საუკუნეზე მეტი), აშორებს თავის მშობლიურ ქალაქს. მას ყველაფერი აინტერესებს, რაც სოხუმთანაა დაკავშირებული: „მამისეული სახლი რა დღეშია..., ჩვენი სასაფლაო...მე შენს წვიმებში ვიზრდებოდი, სხვაგან კი ვსველდები მხოლოდ“ [ოდიაშარია,1999: 3]. რამდენი მონატრება და რამდენი ტკივილია ჩატეული ამ პატარა მონაკვეთში შეუძლებელია სოხუმში მოსახლე სხვა რომელიმე ერის წარმომადგენელს ასეთი სიყვარული გააჩნდეს თუნდაც მისი წვიმების მიმართ. „შენ ჩემი სულის ნაწილი ხარ, ჩემი ერთადერთი ოაზისი, ჩემი სახელმწიფო, პლანეტა გალაქტიკა“. რამდენი „გულმოკლული მამულიშვილის“ სათქმელი გადმოგვცა მწერალმა ამ სიტყვებით. ვინ იცის კიდევ რამდენი ადამიანის „სულის ნაწილი“ ხარ სოხუმო და მთლიანად აფხაზეთო?!, ცხინვალო და სამაჩაბლო?! ტაო და კლარჯეთო?!, საინგილოვ?!...

„ყველა მთავრობამ მიდალატა და ყველა პოლიტიკოსმა გამწირა“...მწერლის მიერ უზუსტესი დიაგნოზია დასმული. სწორედ ჩვენ, ვაი ქართველებმა, „ავკაცებს“ რომ უწოდებს ბატონი გურამი, გაწირეს უმშვენიერესი მარგალიტი საქართველოსი -აფხაზეთი. ეს ლიტონი ან ლამაზი სიტყვები არავის ეგონოს, საქმე სამწუხარო, უფრო სწორად ტრაგიკულ რეალობასთან რომ გვაქვს ამას ადასტურებს დოკუმენტური რომანის ორი ურთულესი მონაკვეთი-„დევნილთა უღელტეხილი“ და „ომამდე დამარცხებული“. აქვე მინდა გავისხსენო მწერალ ბექა ქურხულის ჩანაწერი აფხაზეთის ომის შესახებ: „როდესაც აფხაზეთის ომის კადრებს ვუყურებ, მახსენდება, ამ არაორგანიზებულ, არეულ შპანას,...როგორ ეჭირა ზუსტად 13 თვე და 13 დღე ფრონტის ხაზი,

როგორ იგერიებდა სოხუმზე შეტევებს და 14-16 მარტს როგორ გადაუარეს მტერს, როგორ გაანადგურეს ტამიშთან...გასაიდუმლებული რუსული სამხედრო სპეციალური ქვედანაყოფი „ლეტუჩიე მიში“... ჩვენი თბილისელი ქურთის ბიჭების ანაზარა და მაინც როგორ მაგრად იდგნენ, ... სულ მგონია, რომ ამ ომში საქართველო კი არ დამარცხდა – მოკვდა!“ [ქურხული] სწორედ სიკვდილის პროცესს გადმოგვცემს გულდათუთქული მწერალი რომანის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილში და კიდევ „ლტოლვილთა უღელტეხილზე“ ხვდება დამარცხებულ ჯარისკაცებს, იმ საშინელი ბრძოლების გადამტანნი რა საცოდავად გამოიყურებიან დამარცხების შემდეგ, რომელიც მათი ბრალი სრულიად არ იყო, და რომლის მსხვერპლნიც, დახოცილ ჯარისკაცებთან და თანამემამულეებთან ერთად, თავადაც აღმოჩნდნენ.

აკაკი ბაქრაძე ილია ჭავჭავაძის შესახებ წერს: „მან საქართველოს დაჭრილ-დასახიჩრებული სხეული ქირურგის მაგიდაზე დადო და ქირურგისავე სიზუსტით შეუდგა მისი ჭრილობების დამუშავებას“. ბატონი გურამიც, როგორც თვითმხილველი და განმცდელი იმ უბედურებისა, რომელიც აფხაზეთს და მთელ საქართველოს თავს დაატყდა 1992-1993 წლებში, ისეთივე ქირურგიული სიზუსტით აღწერს სამშობლოსადმი მიყენებულ ჭრილობებს, როგორც ილია; განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ XIX საუკუნეში სამოქალაქო ომი არ ყოფილა, ომი ერთი კაცის წინააღმდეგ წარმოებდა და მსხვერპლიც ის იყო, წიწამურის ტრაგედიის შედეგად. ჭკუა მაინც ვერ ვისწავლეთ... ცხენისწყალთან მოღწეულ „ნაუღელტეხილარ სოხუმელებს, სიქაგამოცლილ ქალებსა და ბავშვებს, ... ლამის აფხაზეთის ომი სანატრელი გაუხდათ“. ჩვენ, ქართველებს, ხომ სხვა მტერი არ გვყავს გარდა ერთმანეთისა, ხოდა ცხენისწყალს გაღმელი და გამოღმელი ქართველები ძლივს თანხმდებიან იმაზე, რომ ტყვიას, შიმშილსა და ყინვას გადარჩენილ თანამემამულეებს როგორმე გზა დაუთმონ. თან ორივე მხარე ამუნათებს ნაწამებ სოხუმელებს. როგორ მიიღებს „დარდიანი და მშვიერი, სასოწარკვეთამდე მისული“ დედაქალაქი მათ? „თბილისი მიეაღერსა სოხუმელებს“. შეუძლებელია არ შეძრას ადამიანი ამ სიტყვებმა, მაგრამ „ავსიტყვა“ „ავკაცები“, რა თქმა უნდა, თბილისშიც მრავლად დახვდათ. ამ „ავკაცებს“ წარმოდგენა არ აქვთ რა გადაიტანეს სოხუმელებმა ან ქალაქის დაბომბვის დროს, ან მას შემდეგ რაც საყვარელი მამული დატოვეს და „დევნითა უღელტეხილს“ შეუდგნენ. მათ ხომ არ იციან რა არის ომი. მწერლისათვის კი „ომის სურათი, სოხუმში პუშკინის ქუჩაზე დაღუპული ბავშვის ცხედარია“, რომელიც გალაკტიონის სიტყვებს ახსენებს: „შემლილი სახით კიოდა ქუჩა“... „მაგრამ არა, არ კიოდა ქუჩა და არც შეშლი სახე ჰქონდა მას... მას საერთოდ არ ჰქონდა სახე“ [ოდინშარია, 1999: 162]. უსახო და უსახელო „ომმა წაჰგვარა სიმშვენიერისა და სიდიადის შეგრძნების სიხარული, ზღვა“. ომმა მწერლისათვის „ზღვა სალვადორ დალის ურჩხულად აქცია... ომის ზღვამ, ცხედრებმოტივტივე ტალღები მოაყენა კარს“. ჩემი აზრით, ქართულ მწერლობაში არ

მოგვეპოვება მსგავსი პროზაული ნაწარმოები, რომელიც ასეთ საშინელ ტრაგედიას პოეზიის სიმალღემდე აყვანილი პროზით გადმოგვცემდეს. ომი არ არჩევს ქართველს და აფხაზს, რუსსა და სომეხს, გოქსა და ჭკვიანს, ბავშვსა და ქალს, პოეტსა და მეომარს, დამნაშავესა და უდანაშაულოს.. „ომი უძღვები ვამპირივით“ ზოგს კლავს, ზოგს თავს აკვლევინებს, ზოგს საკუთარ სახლში უხეთქავს გულს, ზოგი ოცი წუთით გადის შინიდან და ვეღარ ბრუნდება, ზოგს ფეხს ართმევს, ზოგს შვილს, ზოგს ცოლს, ზოგს დედას, ზოგს სიცოცხლეს, ზოგს მფარველი ანგელოზი სწყალობს, ჩვენი მწერალივით, და განარიდებს იმ უბანს, რომელიც ხუთი წუთის შემდეგ იბომბება. კითხულობ ამდენ უბედურებას და თავისთავად ისმის კითხვა, სად არის ამ კორიანტელში „ღმერთი, უძღურთა შემწყნარებელი“? მისი ნებისა და დაშვების გარეშე ხომ არაფერი ხდება ამქვეყნად? გასაოცარ პასუხს იძლევა მწერალი, როცა „კაცთა სიბრიყვისა და სისასტიკისაგან გადაღლილ, სევდიანად მომზირალ იესოს“ სახეს ხედავს, როცა „ბუნების გონი“ მასთან „კავშირის დამყარებას ზღვის შემწეობით“ ცდილობს.

გასაოცარ რამეს ამბობს მწერალი, არა, კი არ ამბობს **ლოცულობს**; ჩემი ყურადღება მიიპყრო **სამი დროის გაერთიანებამ**, დაფიქრებაც კი არაა საჭირო იმისათვის, რომ მიხვდე ადამიანი რამდენად მწარე სიმართლეს წერს ავტორი. მერამდენე საუკუნეა ჩვენი მწერლები თუ საზოგადო მოღვაწეები სასულიერო პირები, პატრიარქები გვეუბნებიან, შთაგვაგონებენ, წერენ, მაგრამ ერი ყრუთა და ბრმათა ბრბოდ გადაქცეულა: „ყურ ასხენ და არა ესმით“, „თუალ ასხენ და არა ხედვენ“. რომ არაფერი ვთქვათ ილიასა და უწმინდესი პატრიარქის კირიონის მკვლელობაზე გასული საუკუნის დასაწყისში, რაც ჩვენს თავს ხდება ბოლო სამი ათეული წლის განმავლობაში, მიუხედავად უწმინდესის ამდენი შეგონებისა და რუდუნებისა, რომ არა ჩვენი სიყრუე და სიბრმავე კიდევ პარტიებად, სექტებად, რუსოფილებად თუ ამერიკანოფილებად აღარ იქნებოდა სამარცხვინოდ დახლეჩილი ერი. სულ ცოტა ხნის წინ ზვიადისტებად და შევარდნადისტებად ვიყავით გაყოფილი იმის მაგიერ, რომ სამშობლო დაგვეცვა, ხალხზე ეზრუნათ, ვისაც ეს ევალებოდა, ცხენისწყლის გაღმა-გამოღმიდან თავდაუზოგავად ხოცავდნენ ერთმანეთს. უჯაროდ და უპატრონოდ დარჩენილი თანამემამულეები რა დღეში აღმოჩნდნენ ამაზე ფიქრისათვის ვის ეცალა!? იმის მაგიერ, რომ მოსახლეობის ევაკუაციაზე ეზრუნათ, „აეროპორტიდან დააბრუნეს ხალხი...რუსული დივიზია შემოვა და ყველაფერი რიგზე იქნებაო..., მაგრამ **პასუხისმგებლობა** დივიზიის შემოყვანის თაობაზე არავინ იკისრა...“ გასაგებია, რომ რუსული დივიზიის წვენი არა ერთხელ გვექონდა ნაგემნი, მაგრამ ცდას მოსახლეობის გადასარჩენად და იქ დასატოვებლად, რომ არ დაკარგულიყო სოხუმი და აფხაზეთი მთლიანად, წინ რა ედგა? არაფერი, გარდა იმისა, რომ აღმოჩენილიყო ადამიანი, წინამძღოლი, რომელიც ამ **პასუხისმგებლობას** საკუთარ თავზე აიღებდა. 1918 წლის ისტორია გამეორდა: ვერც სოხუმსა და

ვერც თბილისში ვერავინ აღმოჩნდა სათანადო სიმაღლეზე, გმრობის ტოლფასი ნაბიჯი გადაედგა და უდიდესი უბედურებისა და მსხვერპლის თავიდან აცილება ეტვირთა. ეს კიდევ არაფერია იმასთან, რასაც ჩვენს ჯარს მოამოქმედებინებენ, ის „ვაი ქართველები“, რომელთა ხელშიც ქვეყანა და ამ ომის ბედი აღმოჩნდა საუბედუროდ. ჯარს უკან დახევა და პოზიციების დათმობა უბრძანეს, მაგრამ უკან დასახევი გზაც აღარ ჰქონდათ იმ ადამიანებს, რომლებიც მართლაც სამშობლოსათვის იბრძოდნენ. საქართველოს ისტორიას არ ახსოვს ქართულ ჯარს მოსახლეობა მტრის ხახაში ჩაეტოვებინოს „...და უცებ...ქართული ჯარი ტოვებს სოხუმს და გაქცევით შველის თავს...“ მოსახლეობის ნაწილი სახლებში რჩება. „ახლა ქართველობა გახდა ყველაზე დიდი უბედურება და სასჯელი სოხუმსა და გულრიფში დარჩენილი ქართველებისათვის და ისინიც ღმერთს სწყევლიდნენ_ ქართველებად რატომ დაგვბადეო! ეს უკვე ჭეშმარიტი დამარცხება იყო.“ ჩვენი მრავალსაუკუნოვანი არსებობის განმავლობაში სულ ომში ვართ, რა არ გადაგვიტანია, მაგრამ ქართველად რატომ გამაჩინეო, ეს საყვედური ღვთის წინაშე არასოდეს გვითქვამს; დასკვნაც შესაბამისი გამოაქავს მწერალს, „ეს უკვე ჭეშმარიტი დამარცხებაა“, რომელიც დღემდე გრძელდება.

...ვერც გავექციით და უკვე მეოთხედ საუკუნეზე მეტია გურამ ოდიშარიას წინასწარმეტყველური სიტყვები: „ომის შემდგომი მშვიდობაც თავისებური ომია“ გვისრულდება. ამ „თავისებურ ომში“ ვიმყოფებით დღესაც. „ჩვენ მაშინ დავმარცხდით, როცა სიძულვილის ესკალაცია განვავითარეთ“. ვკითხულობ ამ სიტყვებს და მგონია 90-იანი წლების შესახებ კი არა დღევანდელი რეალობის შესახებ წერს მწერალი. ნუთუ არ გვეყო ამდენი სისხლი თანამემამულეებისა, ამდენი ტანჯვა-ვაება ქვეყნისა, სწორედ ესაა მიზეზი იმისა, რომ დღემდე ვერ დავიბრუნეთ დაკარგული, დღემდე ქვეყანაში უპირველესი პრობლემა ოკუპაცია და სიღარიბეა, დღემდე ყოველი მეხუთე ბავშვი შიმშილობს, დღემდე მერამდენე თაობა იზრდება სიყვარულის იდეოლოგიის გარეშე და გარბის საკუთარი ქვეყნიდან. „მოძულე კაცზე უბედური ამ ქვეყანაზე არ დადის. დღევანდელი მოძულეები ხვალინდელი ომის შემოქმედები არიან“. მათი შემოქმედება ერთხელ უკვე ვიხილეთ თბილისელებმაც, გადამწვარ-გადაბუგული რუსთაველი, სოხუმელებმაც - „ცეცხლწაკიდებული ზღვა“, ცხინვალელებმაც - დაბომბილ-გაუბედურებული გორი და ცხინვალი და სრულიად საქართველომ -საკუთარ სამშობლოშივე ლტოლვილი ათასობით ადამიანი. დიახ, აბსოლუტურ ჭეშმარიტებას დალადებს მწერალი_ „აქ თბილისში წავაგეთ აფხაზეთის ომი“, **„ჩვენ დავგამარცხა უღმერთობამ“**. უღმერთობა რომ არა აფხაზეთსა და ცხინვალშიც მსგავსი სასწაული მოხდებოდა, სასწაული, რომელმაც სოფელ ატოცის მოსახლეობა გადაარჩინა,წმინდა გიორგის ეკლესიის გუმბათი ღვთაებრივი ნათლით გაბრწყინდა და შეშინებულმა რუსმა ჯარისკაცებმა სროლა შეწყვიტეს. აქვე აუცილებლად მინდა

აღვნიშნო ქართველთა უგნურება, რომლის წყალობითაც სწორედ ეს ღვთაებრივი ნათლით განათებული გუმბათი მოხსნეს ტაძარს, იმ მიზეზით, რომ ვითომ რუსული იყო, და „გაათანამედროვეს“. უღმერთობა რომ არა ქართველი ქართველს არ ესროდა. „დანაწევრებული და ამპარტავნული სულით ვიომეთ აფხაზეთში... სულჩაკლული კი ვერასოდეს გაიმარჯვებს“. ამ ორმა წინადადებამ ორი დიდი მწერალი გამახსენა- გიორგი მერჩულე და გრიგოლ რობაქიძე. **„ესე ოთხნი შეანაწევრნა და შეაერთნა საღმრთომან სიყვარულმან, ვითარცა სული ერთი ოთხთა გვამთა შინა დამტკიცებული“.** „საღმრთო სიყვარულით“ გაერთიანებული ოთხი სულის ერთსულოვნება სასწაულებს მოახდენს ტაო-კლარჯეთში, საქართველოს სახელმწიფოს ერთიანობას ჩაუყრის საფუძველს, ღვთაებრივ მადლსა და ნათელს მოჰფენს ქვეყანას, ხოლო „დანაწევრებული“ და „ჩაკლული სული“ კი უიარაღო მოსახლეობას მტერს დაუტოვებს და თვითონ „სამშვიდობოს“ გარბის; „ურალით“ ჯართს ეზიდება, არ ადარდებს თოვლსა და ყინვაში მიმავალი მოხუცები, ქალები, ბავშვები, რომელთა გადარჩენაც შეიძლება და რომელთა უდიდესი ნაწილი სიცოცხლეს უღელტეხილზე ტოვებს; არ ადარდებს სამეგრელოში დატრიალებული უღმერთობა, ფულისა და სიმდიდრისათვის დაუთოებული ადამიანები, გაუპატიურებული ქალწულები ობლად დარჩენილი ბავშვები. „აფხაზი გაჭირვებაში ჩავარდნილ აფხაზს არასოდეს მოექცევა ისე, როგორც ჩვენ ერთმანეთს უღელტეხილზე მოვეპყართ“. „ჩვენ ტერიტორიულ ომში კი არ დავმარცხდით, არამედ ზნეობრივ ომში... საკუთარ თავთან“.

„გადაგვარების მოსურნე შეჭამოს ტურა-მელამაო“ წერდა დიდი აკაკი. სამწუხაროდ, ეს „მოსურნეები“ არც ჩვენს ეპოქაში დაჰკლებია საქართველოს, ან უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, გაუსრულებიათ გადაგვარება. „ნურავის ჰგონია, რომ გადავლახეთ ის ავადსახსენებელი უღელტეხილი. ჩვენ შუა უღელტეხილზე ვიმყოფებით, სიკვდილ-სიცოცხლის სამანზე... **გადაგვარებული** მამულიშვილები“. მე თუ მკითხავთ რომანის ეს მონაკვეთი ზეპირად უნდა ვასწავლოთ ბავშვებს, რომ დიდობაში თანამედროვე პოლიტიკოსებს არ დაემსგავსონ. დიდი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები კი ყველა საუკუნეში ერთნაირი სიზუსტით აგნებენ „ერის წყლულებს“ და მათი მოშუშებისათვის ერთნაირად არიან დამაშვრელნი.

ავტორი გულდასმით ათვალიერებს, როგორც უკვე ვთქვით საქართველოს დასახიჩრებულ სხეულს და ყველა იარას თავის სახელს არქმევს. ამდენი ხნის განმავლობაში ჩვენი ამდენჯერ დამარცხების უმთავრესი მიზეზი სწორედ ისაა, რომ ვერა და ვერ ვისწავლეთ ამა თუ იმ მოვლენასა და პრობლემას თავისი სახელი დავარქვათ, დავინახოთ მისი დადებითი თუ უარყოფითი მხარე, დავადგინოთ გამომწვევი მიზეზი, რომ მოვაგვაროთ დახვავებული პრობლემები, მოვიშუშოთ წყლულები, შევძლოთ წინსვლა, არ ვტკეპნოთ ერთი ადგილი, არ

ვიტრიალოთ ერთსა და იმავე წრეზე, რასაც დღიდან კომუნისტური რეჟიმის დამხობისა ვაკეთებთ.

„მოშლილია სახელმწიფოს ერთიანობის და მისი სინდისის ერთიანობის სტრუქტურა, ასევე ერთიანი პასუხისმგებლობის გრძნობაც“. ოხ, ეს უპასუხისმგებლობა გასული საუკუნის დასაწყისში რომ არ გაგვაჩნდა გასაგებია, (ყველაფერი რუსეთის საუკუნოვანი ბატონობის „ბრალი იყო“), მაგრამ ვერც ერთი საუკუნის შემდეგ გავიზარდეთ. (ეს უკვე ალბათ ორსაუკუნოვანი ბატონობის ბრალი იქნება). აბა ლომისა და კატის არ იყოს ჩვენს თავს ხომ არ დავაბრალებთ!? ხომ არ ვიტყვით იმას, რომ „ჩვენ დავივიწყეთ ღმერთი და ამიტომ დავისაჯენით. ღმერთი არ შეგვეწია ჩვენ“. მაგრამ ობიექტურად და სწორად მოაზროვნე მწერალი ამას ამბობს. „ომის მსხვერპლი ყოველთვის უდანაშაულო და უმანკო ადამიანები არიან: პოეტი ეთერ სამხარაძე-ჯღამაძე,... „ჟვანიას გვარის ოქროსფერთმიანი ქალიშვილები“,... თენგიზ ვადაქარია „ნაადრევად გაჭაღარავებული მხატვარი... მისი აფხაზი მეზობელი ვოვა,“ რომელმაც თავი გაწირა ქართველი მეგობრისათვის. ემუდარა ე. წ. ბაგრამიანის ბატალიონის ჯარისკაცებს - „გაუშვითო“, „მაგრამ არაფერმა გაჭრა. მაშინ ჯერ მე დამხვრიტეთო,...-ახლავო, -უპასუხეს და დაცხრილეს. მერე მეც მომკლეს“. ყველაფერს წარმოვიდგენდი, მაგრამ ჰაკი აძბას თავგანწირვის მაგალითი თუ გამეორდებოდა...არადა გამეორდა. ამიტომაც სწამს და სჯერა მწერალს: „ხალხების სიბრძნე და სიყვარული ერთმანეთისაკენ გაიკვლევს ომით დანგრეულ გზას“.

ამ ომმა კი ბევრი, ძალიან ბევრი ადამიანის ცხოვრების გზა დაანგრია. რომანში ერთი პატარა მონაკვეთია ძალიან საინტერესო სათაურით „მონასტრიდან გამოსული დიანა“. დიანა თავისი არამიწიერი სილამაზით ძალიან ჰგავს გოგლა ლეონიძის მარიტას; მწერალი საოცარი ეპითეტებით აღწერს მას „ღიმილი ნათელი და კეთილშობილი, თვალები ღრმა და იდუმალი... ქალი კი არა უკვდავებაა“. ეს გარეგნული სილამაზე, რომელსაც საოცრად ავსებს სულიერი სიძლიერე: „...არიან ქალები, რომლებიც გამაღლებენ, სხვა შნოს გამღევენ, რაინდულს გხდიან. ქალები ფრთები...“ ჩემთვის გაუგებარია რატომ კლავს საზოგადოება ღვთაებრივი სულისა და მშვენიერების მქონე ადამიანებს, „რამდენჯერ ეკლესიაში ვნახე ისეთი თვალები ჰქონდა თითქოს ახლახან ანგელოზებს უყურებდაო“. როცა თბილისის ოხშივარ-ადენილ მეტროში იხილავს მწერალი დიანას, მისი თვალებიდან კვლავ „ზღვის სითბო იღვრება“, მაგრამ ეს თვალები იმასაც ეუბნება, „ხედავ რა დღეში ვარ, მაგრამ მეტი რა ჩარა მაქვსო“. მაინც რა დღეში უნდა ყოფილიყო „ქალი- უკვდავება“, „ქალი- ანგელოზების მაყურებელი“, „ქალი-ფრთები“? რატომღაც მზერა არ მოეწონა მწერალს, რატომღაც ღიმილი, ბოლოს კი სიარული „პორნოფილმების ქალებს დაემსგავსა რაღაცით...“ ამის გაფიქრებაც კი ჰზარავს ავტორს, „ღმერთმა ნუ ქნას! თუ ეს მართლა ასეა, მაშინ შეუძლებელი გახდება სოხუმის დაბრუნება, ის ხომ ნაწილია სოხუმის“... „ზღვას აკლია

იგი-მონასტრიდან გამოსული დიანა“. რომანის ამ პატარა მონაკვეთში ტრაგედიამდე მისულ დრამას გადმოგვცემს მწერალი; კიდევ ერთ უმთავრეს უბედურებას გვამცნობს ჩვენი ქვეყნისას, რომლის შესახებაც მიხეილ ჯავახიშვილი ამბობდა: „ქალს და მიწას ერთი და იგივე თვისება აქვს- მისია, ვინც უფლის და პატრონობს“. სამწუხაროდ ვერც გოგლას და ვერც კოხეთის მარიტას ვერ უპატრონა ქართველმა კაცმა, ისე, როგორც თეიმურაზ ხევისთავმა ვერ უპატრონა საკუთარ მეუღლეს, წინაპართა განძსა და მამულს. ამ ტრაგედიაში ვიმყოფებით დღესაც და მისგან თავის დაღწევისა და გადარჩენის სანაცვლოდ „ცივილური მეთოდებით“ ვებრძვით და ვხოცავთ ერთმანეთს.

ღმერთი რომ დავიფიქვით ამის შედეგად ღვთაებრივი მაღლიც დავკარგეთ და მაშინაც კი ვებრძოდით ერთმანეთს იარაღით, როცა სოხუმელები და გულრიფშელები, „ჯოჯოხეთური პარადის“ გზას „დევნილთა უღელტეხილს“ შეუდგნენ. ალბათ მხოლოდ შემთხვევითობას ვერ მივაწერთ იმას, რომ უფლის ცხოველმყოფელი ჯვრის ამალგების დღესასწაულზე, 27 სექტემბერს დაეცა სოხუმი. „კოდორის ხიდი ვერადავერ გაარღვიეს სხვადასხვა ნომრისა და დასახელების ბატალიონებმა“. ხალხი „ხსნის ერთადერთ, სვანეთისაკენ მიმავალ გზას დაადგა“. „ხსნის გზაო“ ამბობს მწერალი, მაგრამ სამწუხაროდ და სავალალოდ მხსნელი არავის ახსოვდა: „მოდიან... მაგრამ მათ არ მოუძღვით წინ არც მოსე, არც მწყემსი კეთილი... მოაბიჯებს ჯვრის სიმძიმით გათანგული ჯვარცმული ხალხი!“. უმძიმესი წასაკითხია და ვერც ვერავინ წარმოვიდგენთ, ვისაც არ გადაუტანია, ჯოჯოხეთს, რომელიც იმ ხალხმა გამოიარა, ვერც იმას ვუსაყვედურებთ ვინმეს ღმერთი რატომ დაივიწყეო, მაგრამ მწერალი ზუსტად ხვდება, „რომ ვიღაც გვსჯიდა, მაგრამ იგივე გონებისმიღმიერი არსება გვიცავდა თანაც...“

„ლტოლვილთა უღელტეხილის“ ანალოგი საქართველოს ისტორიაში არ მოიძებნება; მაგრამ მთა მაინც თავისას შვრება, რამეთუ ტამარივითაა მთა, ვისაც ცოტა მაინც სწამს ღმერთის და ცოტა მაინც უყვარს ადამიანი აქ განიწმინდება და სწორედ ეს რწმენა და სიყვარული უადვილებს გზას“. მრჩება შთაბეჭდილება, რომ მწერალი, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავზე წერს ამ სიტყვებს იმდენად, რამდენადაც ფიქრობს, „რომ სწორედ უფალმა მოიყვანა ამ უღელტეხილთან, არ შეიძლებოდა სხვაგან გადაეხვია მის შარას, არ უნდა ქცეულიყო იგი კომფორტაბელურ გზად“. ჩემი აზრით, „მშობლიური ქალაქისა“ და ქვეყნის უზადო სიყვარულს გადმოგვცემს ეს სიტყვები. ამაში მაშინ უფრო დავრწმუნდი, როცა შემდეგი მონაკვეთი წავიკითხე: „თუ გადარჩება ჩვენი მამული დაღუპვას, მას მხოლოდ სიყვარულის, სიბრძნისა და სიკეთის ძალა, ნებისმიერ იარაღზე უძლეველი ძალა გადაარჩენს“. ამ სიტყვების ავტორს თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ **სიყვარულის მწერალი**; როგორც **იოანე მახარობელს ეწოდება სიყვარულის მოციქული**. სწორედ სიყვარული აძლევს შესაძლებლობას ადამიანს, იმ

უბედურების კორიანტელში, „წიქარა“ დაინახოს, დაინახოს „მთელი ჩვენი უბედურება ხარის გაქვავებულ სხეულში, მის მუშტისოდენა თვალებში“ და პატიება სთხოვოს ადამიანთა სისასტიკის გამო: „აბა ჩემო წიქარავ, კარგად იყავი ძამიკო, მხსნელო ჩვენო და დამპურებელო. გვაპატიე ადამიანებს სისასტიკე და შეგვინდე ცოდვები! ხომ ხედავ სანამდე მიგვიყვანა ყოველივე ამან?“.

მთის სიმკაცრისა და ყინვის შემდეგ დევნილებს „ადამიანთა უგვანობის-თვისაც“ უნდა გაეძლოთ, „არადა...“ „რეალურად არსებული ყაჩაღები ძარცვავდნენ დევნილებს, ჯარისკაცებს ართმევდნენ იარაღს...“ და არა მხოლოდ იარაღს ართმევდნენ, არამედ სიცოცხლესაც ასალმებდნენ. ამდენი უღმერთობის ჩამდენთ, საკუთარი თანამემამულეების წინააღმდეგ, ღმერთი როგორ შეგვეწეოდა?! როგორ შეიძლებოდა ასეთ ზნედაცემულ ერს ომი მოეგო?! მწერალმა ესეც დაგვანახა, თუ როგორ დაეცა იქამდე ქართველი კაცი, რომ მოძმის სისხლის ფასად მოპოვებული იარაღით ვაჭრობა დაიწყო ბრძოლის ნაცვლად და ომს როგორღა მოიგებდა!?, „მოძმის სისხლი ხომ ცაში ღმერთს შეჰვლადებებს და სამართალს ითხოვს?!“ ეგეც რომ არ იყოს ჯერ კიდევ XII საუკუნეში გვაუწყებდა რუსთველი, რომ „ვაჭარნი ჯაბანნი“ და „ომისამცა უმეცერნი“ არიან. ჯაბანობისა და უმეცრების მიუხედავად მწერალს მაინც ეცოდება თანამემამულენი: „საცოდავი სანახავია დამარცხებული ჯარი. მიდიან თავჩაქინდრული სიამაყეშელახული მეომრები, თვალს ვერავის უსწორებენ...“. ზოგი „პატარა ჯარისკაცივით“ ტირის, ზოგს ქალები აკვდება ხელში და ვერაფერს შველის, ზოგს ზურგზე მიბმული პატარა ბავშვები ეყინება. ამდენი ტრაგედიის შემსწრე „პატარა ჯარისკაცი“ კი უკვე ვეღარც ტირის... გაშეშდება და გაქვავდება ადამიანი ამდენი დედისა თუ ამდენი შვილის საცოდავობით. ორი შვილი რომ გაეყინება ქალს მესამის მოსავლელად და გზის გასაგრძელებლად ძალა აღარ ყოფნის ბავშვს ლტოლვილებს მიაბარებს და საკუთარ თავს კი უღელტეხილის უფსკრულს. ნიკო ლორთქიფანიძის „ტრაგედია უგმიროდაც“ მეორდება სვანეთის მთებში. ავტორს მწერალი სერგო წურწუშია უყვება ახალგაზრდა ქალის ამბავს, რომელმაც კვერები სთხოვათ ბავშვისათვის და ცოტა ხანში „ვხედავ ხეს ამოეფარა და სწრაფად დაიწყო ცხელი კვერების ჭამა. რატომღაც ყველაზე მეტად მაშინ შემეცოდა ხალხი.“ ამაზე დიდი ტრაგედია თითქოს მართლაც არ უნდა არსებობდეს, მაგრამ ამ „ჯვარცმულ უღელტეხილზე“ ნამდვილად არსებობს „მის შუაგულში მდგარი მკერდში მომაკვდავშვილჩაკრული ახალგაზრდა მამა, რომელიც ხმამაღლა წყევლის პოლიტიკოსებს და არაპოლიტიკოსებს,...ვინც თავისი წილი თიხა და ღორღი მოზიდა, ცოდვები და ვაება მოიტანა, შექმნა, ააგო, აღმართა და ააბოხოქრა ეს უღელტეხილი...“ უკვე აღარ მიკვირს, რომ ამ ყველაფრის შემსწრე და გამგონე მწერალი იტყვის უღელტეხილის შესახებ: „იგი სამივე ჟამში გაიხირა,

წარსულისა და მომავლის, აწმყოს მაგიურ ტრიპტიქად მექცა ...ჯვარცმული უღელტეხილი... მამულის უწმინდესი ჰაერით გაჟღენთილი...“ .

შეუძლებელია მკითხველს არ გაახსენდეს დავით გურამიშვილის ხილვა- სიზმარი, სადაც ბნელ ხაროში ჩაგდებულ, ქრისტიანულ სამყაროს მოწყვეტილ პოეტს, ღვთისმშობელი ჩასძახებს: „ადეო, ადეო..შორს ახლიხარ საყვარელს ახლოს განემზადეო“... „ადექ, წამოდი, წავიდეთ, მე წაგიძღვები წინაო.“ იმდენი საცოდაობის მიუხადავად, რაც უღელტეხილზე ქართველთა გადმოსვლის დროს დატრიალდა, მე მაინც მჯერა, რომ ღვთის ხელი ამაში ერია, ქართველები მომხვეჭელობისა და ვერცხლისმოყვარეობის ცოდვიდან, (ხუთი სახლის პატრონი ერთი ტამბიტით რომ მოდის უღელტეხილზე, ანდა ოქროს უზარმაზარ ბეჭედს რომ გადაყლაპავს კაცი, არავინ წამართასო), გარუსების პროცესიდან გამოგვიყვანა ღმერთმა. ვისაც აფხაზეთთან შეხება ჰქონია გასული საუკუნის 80-იან წლებში დამეთანხმება, რომ იქ მცხოვრებ ქართველებს უკვე მასობრივად შეჰყავდათ ბავშვები რუსულ სკოლებში, ზოგიერთ რაიონში ქართული სკოლები ფაქტობრივად დაცარიელებული იყო. ქართველები იწერებოდნენ ე. წ. აფხაზებად. ჩემი ღრმა რწმენით, ნამდვილად ჩვენს „მოსაქცევად“, ჩვენი ცოდვების გამო დატრიალდა ის ომი, რომელიც „რუსთაველზე დაიწყო და აფხაზეთში დამთავრდა“; დამთავრდა ქართველების დამარცხებით, რამეთუ ძმათამკვლელ ომში გამარჯვებული არ არსებობს. „მიუხედავად ქართულ აფხაზური კონფრონტაციისა, ამბობს მწერალი, მამაჩემს იმდენი აფხაზი მეგობარი ჰყავდა, რომ ვერასოდეს წარმოიდგენდა მსგავსი ომის შესაძლებლობას, ვიმეორებ_მას მხოლოდ ამერიკა-საბჭოთა კავშირის ომი ამინაბდა“. საბჭოთა კავშირისა რა მოგახსენოთ, მაგრამ, ჩვენი მწერლისა არ იყოს ეს ომი დღემდე გრძელდება და თუ ჩვენი ქვეყნის ე. წ. თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის სამ ათეულ წელს გადავხედავთ დავრწმუნდებით, რომ რუსთაველზე დაწყებული ომი სწორედ რუსეთ-ამერიკის ომია კავკასიისათვის, მაგრამ ახლომხედველი, (ან საერთოდ ბრმა), ნაკლებმორწმუნე (ან საერთოდ ურწმუნო) ქართველების ხელით წარმოებულ. არც კავკასია მიხსენებია შემთხვევით; კავკასიის ერთიანობის იდეას, დავით აღმაშენებლის შემდეგ, ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში მხოლოდ ორმა ქართველმა მიაქცია ყურადღება,წმინდა ილია მართალმა თავის პოემაში „აჩრდილი“... და საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა, _ზვიად გამსახურდიამ. ორივე ქართული სახელმწიფოს დაუძინებელმა მტრებმა ქართველების ხელით გამოასალმეს სიცოცხლეს; ხოლო რუსეთმა, და აწ უკვე ამერიკამაც, ძალიან კარგად უწყის, რომ კავკასიაში ბატონობის უმთავრესი პირობა საქართველოს ფლობაა.

ბოლოს კი ყურადღება მინდა გავამახვილო იმაზე, თუ რას ამბობს მწერალი ქართველთა, და ზოგადად ადამის მოდგმის, უმძიმესი ცოდვის შესახებ, ცოდვისა, რომლის მამადაც წმინდა მამები „არაკეთილს“ თვლიან, ცოდვაზე, რომლის გამოისობითაც პირველმა კაცმა სამოთხე

დაკარგა „...რომ იცრუე ბუნებამ არ გაპატია. კიდეც რომ იცრუე და კიდეც არ გაპატია... ვინ ხარ, ან სად მიდიხარ ან აქ რა გინდა, ან ვინ იყავი? შენ თუ ისევ ისეთი დარჩი ვერასოდეს დაბრუნდები სოხუმში...გახსოვს წმინდა წყალი, წმინდა მარილი_მოკამკამე ბავშვის თვალებში? გახსოვს?...“

სწორედ სიცრუის გამო გვჭირს ყველა უბედურება, სიცრუის გამო დაგვავიწყდა „ვინ ვართ? საიდან მოვდივართ და საით მივდივართ?“ ეს კითხვა ევროპას აწვალებდა და დღემდე ვერ უპასუხა, თორემ ქართველმა კაცმა ყოველთვის იცოდა, კომუნისტური მმართველობის რთულ პერიოდშიც კი ლადო ასათიანი წერდა: „მე კარგად ვიცი ვინა ვარ, რა ვარ, საიდან მოველ და საით წავალ“. იმისთვის შრომობდა, იმისთვის სწავლობდა, რომ საკუთარი თავი შეეცნო უპირველეს ყოვლისა: „ყმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადაო, ვინ არის, საიდან მოსულა, სად არის, წავა სადაო“. (დავით გურამიშვილი) ჩვენი უწმინდესი ხშირად გვაფრთხილებს და გვახსენებს უკრაინელი ფილოსოფოსის გრიგორი სკავარადას სიტყვებს: «Мир ловил меня, но не поймал» - წუთისოფელმა ისე გამოგვიჭირა, რომ საკუთარი თავიც კი დაგვავიწყა, ამიტომ ვერ გაგვიგია საით მივდივართ, ამიტომ ნაკლებად ან საერთოდ აღარ გვიყვარს ერთმანეთი, დაგვავიწყდა გალაკტიონის სიტყვები „უსიყვარულოდ მზე არ სუფევს ცის კამარაზე...“ , დაგვავიწყდა, რომ ჩვენს წინაპრებს მხოლოდ მოყვასი კი არა „ურჯულოც“ კი უყვარდათ, უყვარდათ და ამიტომაც მოიგეს დიდგორი, ბახტრიონი, აღარაფერს ვამბობ შამქორსა და ბასიანზე; როცა მტერიც კი გვიყვარდა ომიც შეგვეძლო და გამარჯვებაც; როცა მოყვასიც კი შევეძულეთ ვეღარც ვომობთ და შესაბამისად, ვეღარც ვიმარჯვებთ.

1972 წელს დაწერილ ლექსში „მკითხე და გეტყვი“, პოეტი მურმან ლებანიძე ნატრობდა: „ღმერთო გვადირსე, ღმერთო გვადირსე, ღმერთო გვადირსე მესამე სვეტი!“; ჩემი აზრით, მალევე აღუსრულა ეს ნატვრა პოეტს უფალმა და 1977 წ., წმინდა მეფე დავით აღმაშენებლისა და წმინდა ილია მართლის შემდეგ, საქართველოს ნამდვილად მოუვლინა „მესამე სვეტი“ ჩვენი უწმინდესი პატრიარქის ილია მეორის სახით, ჯერი ახლა ერსა და ბერზეა, რამდენად შევძლებთ „უპირობო სინანულს“, რომლის წყალობითაც გავხდებით ღირსი ღვთის საოცარი სიტყვებისა და კურთხევისა „მშვიდობა თქვენდა“.

ლიტერატურა:

1. დავით გურამიშვილი - „დავითიანი“, გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“, თბილისი, 1955 წ. 372 გვ.

2. გურამ ოდიშარია., - „სოხუმში დაბრუნება“, გამომცემლობა „მერანი“, თბილისი, 1999 წ. 268 გვ.

Tamar Koberidze

Repeated History According to Guram Odisharia's novel „Return to Sukhumi“**Abstract**

Guram Odisharia's novel Return to Sukhumi is analyzed in the article named Repeated History written by Tamar Koberidze. The novel is dedicated to Abkhazian War. The article is the next part of the thesis' research in which the researcher discusses some artistic and documentary episodes from the novel with great emotions and expression, in fact, very tragic moments that happened during the Abkhazian War. It is worth considering that some literary comparisons are found and discussed in the article. Initially, the author sets the parallel to Leo Kiacheli's outstanding book Haki Adzba, also to the letters written by Nodar Dumbadze and Beka Kurkhuli, which were dedicated to Abkhazia. Also, there are discussed some significant historical and literary parallels between the processes happening at the beginning and end of XX century. It is important to say that posed problem is analyzed and shown correctly and clearly.

რეცენზენტი: პროფ. ე. კუნიაკოვა

„ნათესავნი ქართველნი“ და „ქართველნი დასავლისანი“

თამარ კობერიძე

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

Tamarkoberidze1@gmail.com

სტატიაში გაანალიზებულია ათონელი წმინდა მამების იოანეს, ექვთიმესა და გიორგი მთაწმიდელების ღვაწლი ათონის ივერთა მონასტერში; მათი განსაკუთრებული როლი მთარგმნელობით საქმიანობაში და იოანეს ლტოლვა დასავლეთით, „ესპანეთის იბერიელებისაკენ“. სტატია სადისერტაციო კვლევების მორიგი ნაწილია, რომელშიც მკვლევარი სადაც საუბარია იმ მიზეზებზე, რომელთა გამოც იოანე მთაწმიდელმა განიზრახა ათონის მთას გასცლოდა და დასავლეთით მცხოვრებ იბერებთან წასულიყო. აღსანიშნავია, რომ სტატიაში მოხმობილია კორნელი კეკელიძისა და რევაზ სირაძის საყურადღებო შედეგები აღნიშნულ მოვლენასთან დაკავშირებით. ასევე მოძიებულია ილია აბულაძისეული განმარტება, იპოლიტე რომაელისა და ბასილი კესარიელის მიხედვით, პირენეის ნახევარკუნძულზე მცხოვრები კელტი-იბერების სახელწოდებისთან დაკავშირებით.

„ქართველმა ხალხმა ქრიატიანობიდან მიიღო და შეისისხლხორცა ის, რაც მისთვის ყველაზე „მშობლიური“ აღმოჩნდა: შემწყნარებლობის იდეა და აღმშენებლობის (სიყვარულით შენების) პათოსი“ [ასათიანი,1956]. სიყვარულით აშენებდნენ ჩვენი წმინდა მამები ყველაფერს: ღვთის ტაძრებსა თუ ადამიანთა სულებს. სიყვარულით მაშენებელთა რიცხვს განეკუთვნებიან ათონელი მამები: იოანე, ექვთიმე, გიორგი მთაწმიდელები. ჩემს საუბარს გიორგი მთაწმიდელით დავიწყებ, რადგან მოგეხსენებათ, იგია ავტორი ჰაგიოგრაფიული თხზულებისა_ „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრება“. მას კარგად ჰქონდა გააზრებული მამათა ღვაწლის მნიშვნელობა და სიდიადე ქვეყნისა და ერის წინაშე; ამ სიდიადეს გრიგოლ რობაქიძე თავის სტატიაში -„საქართველოს ხერხემალი“ -„ენის ქმნას უწოდებს“. „ქმნადობა-შემოქმედება სიბრძნის ძალით ხდება“ - გვეუბნება რევაზ სირაძე, როდესაც გიორგი ათონელის ლიტერატურულ-ესთეტიკური

თვალთახედვის შესახებ საუბრობს [სირაძე,1987:172]. გამოდის რომ, სამივე წმინდა მამას ღვთაებრივი სიბრძნე აკავშირებს. რევაზ სირაძეს „იგავთა“ წიგნიდან მოყავს მაგალითი „სიბრძნემან იშენა თავისა თვისისა სახლი, და ქუეშე შეუდგა მას შვიდნი სვეტნი“(9.1).

სიბრძნით განაგებს იოანე ათონელი თავის სულიერ ცხოვრებას და ამიტომაც „ღირსი იყო და საყვარელი ღმრთისაი ნეტარი მამაი ჩვენი იოვანე, რომელმან მსგავსად **აბრაჰამისა, უცხოებაი აღირჩია**, ...ესეცა ადიდა ღმერთმან და სახელოვან-ყო ყოვლითა სათნოებითა...და უფროს მის შვილისა მინიჭებითა,... რომელი-იგი გამოჩნდა სამკაულად ნათესავისა ჩვენისა და მობაძავად წმიდათა მიციქულთა, **განანათლა ქართველთა ენაი და ქუეყანაი...რომლისა- იგი ნამუშავევი ახარებს შორიელთა და მახლობელთა. და თარგმნილთა მისთა წიგნთა სიტყვოებაი, ვითარცა **ნესტვი ოქროისა ხმამაღალი**, ოხრის ყოველსა ქუეყანასა არა ხოლო ქართლისასა, არამედ საბერძნეთისასაცა...“ ([ქართული მწერლობა,1987:8] ნამდვილი დიდოსტატია ამ სიტყვების ავტორი, რამდენი მაღლი და ინფორმაცია ჩაატია ერთდროულად პატარა მონაკვეთში და კიდევ შეფასება, შეფასება პირუთვნელი და მაღალმხატვრული-„ვითარცა **ნესტვი ოქროისა**“. მწერალმა ორი სიტყვით გადმოგვცა იმ წარმოუდგენელი შრომის შედეგი, რომელსაც წმინდა მამა ეწეოდა „საღმრთო მოქალაქობითი“ ცხოვრების განმავლობაში.**

რევაზ სირაძის თქმით-„გიორგი ათონელი პერსონაჟებს წარმოაჩენს არა ერთიანი გაბმული თხრობით, არამედ რამდენიმე სანიმუშო ეპიზოდით“ [სირაძე, 1987:172] ასეთ ეპიზოდს, ექვთიმეს , როგორც წმინდანისა და მთარგმნელის სახის გადმოსაცემად წარმოადგენს მისი ქართულად ამეტიყველების ამბავი. სულთმობრძავი შვილის მამა ღვთისმშობლის ხატს მიმართავს ვედრებით-„რაითა შემწე ეყოს და ყოს ლხინებაი“ და ლოცვის შემდგომ მისწრაფვის შვილის სენაკისაკენ, გააღებს რა კარს „მეყვსეულად ვიყნოსე სული სულნელებისაი საკვირველი. რამეთუ იქმნა მოხედვაი წმიდისა ღვთისმშობელისაი“ [ქართული მწერლობა,1987:25]. გადმოგვცემს მწერალი იოანეს მონათხრობს და მოაყოლებს ექვთიმესა და ყოვლადწმინდა დედის გასაუბრებას- „აწლა წარმომიდგა ვინმე დიდებული დედოფალი და მრქვა ქართულითა ენითა:-რაი არს, რაი გელმის ეფთვიმე?-ხოლო მე ვარქუ-მოვკვდები დედოფალო! ...მან მიპყრა ხელსა და მრქუა -არარაი არს ვნებაი შენ თანა, აღდეგ, ნუ გეშინინ და ქართულად ხსნილად უბნობდი!“ [ქართული მწერლობა, 1987:26]. ეჭვგარეშეა „ნესტვი ოქროისაი“ ამ ღვთაებრივი განგებულების შედეგი რომ იყო. ხოლო რაც შეეხება ფრაზას- „**განანათლა ქართველთა ენაი და ქვეყანაი**“- რევაზ სირაძის აზრით, „განანათლა“ მიციქულებრივ მისიასაც ითვალისწინებს და აქ მნიშვნელობს ზოგადი იდეალი“ -„სვეტო და სიმტკიცეო.. ახალო მიციქულო“- მიმართავს ექვთიმეს საგალობელში ბასილ მთაწმინდელი. ამდენად, ნათლად შეგვიძლია დავინახოთ თუ როდენ მნიშვნელოვანი იყო ექვთიმეს ღვაწლი ქართველთა წინაშე და როგორ აღასრულა მან

მამის სურვილი და მოწოდება – „აწ იღვაწე, რაითა განამრავლო სასყიდელი შენი ღმრთისაგან“ [ქართული მწერლობა, 1987:26]. გიორგი მთაწმიდელი აღფრთოვანებულია რა ექთიმეს საქმიანობით ამბობს: „ეგევითარი თარგმანი არღარა გამოჩინებულ არს ენასა ჩვენსა და ვგონებ თუ არცაღა გამოჩინებად არს“ [ქართული მწერლობა, 1987:26]. ახლა კი მივუბრუნდეთ ფრაზას „უცხოებაი აღირჩია“, თუ რატომ აღირჩია იოანემ „უცხოებაი“ და იმ უცხოებაშიც რატომ „ივლტოდის სპანიად“. რევაზ სირაძე ასე აღწერს იოანეს მოღვაწეობის ტრაექტორიას: მას შემდეგ დაუტევა რა „მეუღლე და შვილნი თვისნი და ნათესავნი“ და „აღილო ჯუარი მხართა თვისთა ზედა“ და „დავით კურაპალატის წინაშე მოვიდა“, ხოლო მან „ოთხთა ეკლესიათა წარმოგზავნა“ „ოთხთა ეკლესია, ულუმბოს მთა, შემდეგ ათონი, ათანასეს ლავრა“* [სირაძე, 1987: 171]. როგორც ვხედავთ, ოთხთა ეკლესიიდან იოანე მიდის. მისი წასვლის მიზეზს ავტორი არ გვიმხელს, სამაგიეროდ მოგვიანებით გვეუბნება თუ რის გამო განიზრახეს წასვლა ოთხთა ეკლესიისდან იოვანე გრძელისძემ და ბასილ მთაწმინდელმა, „რამეთუ ვითარ იგი უნდა მყუდროებით ცხოვრებაი, ვერ იყოფებოდის, რამეთუ აწყინებდიან მამასახლისნი და ძმანი მონასტრისანი“ და „წარვიდეს უცხოთა ქვეყანასა... კერძოთა პონტოსათა უდაბნოთა ადგილთა...“ [ქართული მწერლობა, 1987:22]. გიორგი მთაწმიდელი ობიექტური მწერალია და „ბედნიერი ერის“ შვილთა ჩვეულ თვისებას არ მალავს, არ მალავს ასევე მეორე შემთხვევის დროს, როდესაც „უცხოობაში“ მყოფი იოანე მთაწმინდელი უფრო შორეულ უცხოობაში წასვლას გადაწყვეტს შვილით და რამდენიმე მოწაფითურთ „ივლტოდის სპანიად“. მიუღწევიათ კიდევაც ავიდოსამდე-„წარვიდა ვიდრე ავიდოსამდე“, საიდანაც ავიდოსის მთავრის წყალობითა და ღვთის ნებით „ძლით დაარწმუნეს მეფეთ მონასტრადვე“ მიქცევად. ამ გადაწყვეტილების მიზეზს იგი შემდეგნაირად განუმარტავს „მეფეთ“ „მოვიდა თვისი ჩემი თორნიკ და მისითა გზითა დიდთა შულლთა შთავვარდი და ერისკრებასა. მნებავს, რაითა ამის ყოვლისაგან თავისუფალ ვიქმნა და სულისა ჩემისა ზრუნვასა შეუდგე“ [ქართული მწერლობა, 1987: 20].

„გიორგი ათონელის ნაწარმოებში ძალზე დიდად მნიშვნელობს ართქმა ბევრი რამისა, ასეთი ართქმა ქმედითი ფსიქოლოგიური ფაქტორია. თანაც ართქმა ზრდის თქმულის, მონათხრობის მნიშვნელობას.“* [სირაძე, 1987:171], რევაზ სირაძის ეს სიტყვები განსაკუთრებით მიესადაგება ზემოთქმულ მონაკვეთს. როგორ უნდა გაემწარებინათ ისეთი ღვთისათნო მამა, როგორიც იოანე ათონელი იყო, რომ მეფეთაც კი ძლივს დაერწმუნებინათ მონასტერში დაბრუნებაზე. ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ იგი არ ფიქრობს სამშობლოში დაბრუნებას, არამედ სამშობლოს გარეთ ეძებს „ქართველთა ნათესავთ“; რაც შეეხება „სპანიას“, როგორც რევაზ სირაძე გვაუწყებს „ესაა პირველი და ერთად-ერთი მოხსენიება უძველეს ქართულ პროზაში ესპანეთის იბერებისა“

, ანუ ქართველებისა“ [სირამე, 1987: 176], კორნელი კეკელიძის აზრით, ივირონელები ეტყობა ინტერესდებოდნენ ხალხთა გენეალოგიის საკითხებით, რისი გამოხატულებაცაა „ხალხთა მოდგმის წიგნის“ ნაწილების ქართულად გადმოღება [კ. კეკელიძე, 1956: 168-182]. ისტორიკოსი გიორგი ქავთარაძე თავის სტატიაში „არიან ქართლის საკითხისათვის“ გადმოგვცემს: „საგულისხმოა, რომ ილ.აბულაძის “ძველი ქართული ენის ლექსიკონის” მიხედვით ტერმინი “ქართველი”, გარდა კავკასიელი იბერიელისა, აღნიშნავს ესპანეთის იბერიელსაც“ [40, 451 (ქართველ-ი)]. და მაგალითად მოყავს ექვთიმე მთაწმინდელის (დაახლ. 955-1028 წწ.) მიერ თარგმნილი სალამისის ეპისკოპოსის – ეპიფანე კვიპრელის (დაახლ. 311-403 წწ.) თხზულებაში გადმოცემული ადრექრისტიანული ხანის თვალსაჩინო მწერლის, იპოლიტე რომაელის (დაახლ.170-236 წწ.) “ქრონიკებში” შემავალ “წარმომავლობის წიგნში” (Liber Generationis) მოხსენიებული პირენეის ნახევარკუნძულზე მცხოვრები კელტ-იბერების სახელწოდება (Κελτιβηρες) რომელიც თარგმნილია, როგორც “კელტ-ქართველნი დასავლისანი” [11, 172, 176]. ასევე ბასილი კესარიელის (დაახლ.330-379 წწ.) თხზულების “ექუსთა დღეთადასა” თარგმანში პირენეელი იბერები მოხსენიებულნი არიან “დასავლეთის ქართველებად”: “რომელი-იგი გარემოდგს ჭალაკსა მას ბრიტანიადასა და ქართველთა მათ დასავალისათა” [41, 57, სტრ.20];

როგორც ვხედავთ, აქ თვით „კელტიბერებიც“ ასე იწოდებიან- „ქართველნი დასავლისანი“. იცოდნენ რა ასეთი ახლობლობა დასავლეთისა და აღმოსავლეთის იბერთა შორის ქართველმა ათონელმა მამებმა, ამიტომაც თვლიდნენ, რომ ესპანეთში, ანუ პირინეის იბერიაში „ქართველნი არამცირედნი ნათესავნი და ერნი მკვიდ“ იყვნენ. ამდენად, გასაგებია იოანე ათონელის ლტოლვა დასავლელი ნათესავებისაკენ.

ლიტერატურა:

1. გურამ ასათიანი.-„სათავეებთან“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1982 წ.
2. კორნელი კეკელიძე, - ეტიუდები, ტ. I. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1956 წ.
3. რევაზ სირამე.-, ქართული ჰაგიოგრაფია“, გამომცემლობა „ნაკადული“, 1987წ.
4. ქართული მწერლობა, ტ. 2, გამომცემლობა „ნაკადული“, 1987 წ.
5. ინტერნეტ-რესურსები.

Tamar Koberidze

*”Georgian Relatives” and “Georgians from the West “***Abstract**

Tamar Koberidze’s article “Georgian Relatives” and “Georgians from the West” analyzes holy fathers of Athos Ioane, Ekvtime and Giorgi Mtatsmindelebi’s merit in Iverta Monastery in Athos, their special role in translating work and then Ioane’s passion for Western, “Spanish Iberians”. This article is the next part of the thesis research in which the researcher discusses the reasons shortly but thoroughly why Ioane Mtatsmindeli intended to leave Mountain of Athos and go to the Iberians living in the West. It is worth mentioning that in the article there are discussed Korneli kekelidze’s and Revaz Siradze’s important viewpoints about that fact. In addition, there is shown Iliia Abuselidze’s explanation according to Roman Ipolite and Basil Keisarieli about Celtiberians’s name living on the Pyrenees Peninsula. The author of the letter talks about Georgians’ negative traits with the great disappointment that became the reasons why holy Ioane decided to leave the place of Georgians that was built by him. It is important to say that abovementioned issue should be considered and discussed even nowadays.

რეცენზენტი: პროფ. ნ. ვასილევა

პარიზში გამოცემული ქართული პოეტური კრებული

რუსუდან ნიშნიანიძე

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
e-mail: rusdann@yahoo.com

გიორგი გამყრელიძე ქართული ემიგრაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელი გახლდათ. მისი ლიტერატურული არეალი საკმაოდ ვრცელი და მრავალფეროვანია: თარგმანები ამერიკული და ფრანგული პოეზიიდან, გერმანული მწერლობის ნიმუშები; უპირველესი მაინც საკუთარი, ორიგინალური ლექსების თხზვაა.

1920 წელს საქართველოში გამოიცა მისი ლექსების წიგნი „შემოდგომის ჭიანჭურები“, 1922 წელს „დალურსმული ხელები“, რომელიც გრიგოლ ზოდელის ფსევდონიმით გამოიცა. 1932 წელს პარიზში ქართულ ენაზე გამოდის ასევე, პოეტური კრებული „ლურჯი მონოკლი“. 1960 წელს უკვე არა მხოლოდ სხვა სახელმწიფოში, არამედ სხვა კონტინენტზე, სანტიაგო დე ჩილეში დაისტამბება „გვიანი რთველი,“ ხოლო 1963 წელს ვაშინგტონში ქართულ ენაზე გამოიცა წიგნი, სათაურით: „ლექსები, მოთხრობები და ნარკვევები ფრინველებზე“.

ლიტერატურულ სტატიაში საუბარია გიორგი გამყრელიძის პარიზულ კრებულზე და იქ დაბეჭდილ მხოლოდ რამდენიმე პოეტურ ნიმუშზე („ოქროს ვერძი“, „საშინელი მეზადური“, „მეზღვარის დაღუპვა“); წიგნი დაყოფილია ქვეთავებად; პირველივე მათგანს ჰქვია „ოქროს ვერძი“. „საქართველო“. წარმოდგენილ წერილში გაანალიზებულია პარალელები მითიურ და ცნობილ ლიტერატურულ პერსონაჟებთან და მოძიებულია ის პოეტური რემინისცენციები, რომელიც თითოეულ ნიმუშთან დაკავშირებითაა საგულისხმო

საკვანძო სიტყვები: გიორგი გამყრელიძე, „ლურჯი მონოკლი“

1932 წელს საფრანგეთში, კერძოდ, პარიზში ქართულ ენაზე გამოიცა ქართველი ემიგრანტი პოეტის, გიორგი გამყრელიძის პოეტური კრებული სათაურით: „ლურჯი მონოკლი“. წიგნი რამდენიმე ქვეთავადაა დაყოფილი.

პირველ ქვეთავს ჰქვია: „ოქროს ვერძი“. „საქართველო“ და პირველივე ლექსი დასათაურებულია ამგვარად: „ოქროს ვერძი“. ტექსტში კონკრეტული სიუჟეტური ხაზი არაა. არაა ოქროს ვერძის, ანუ გავრცელებული ოქროს საწმისის ამბის მბობა. ეს უფრო გახსენებაა, იმ დიადი წარსულის, რომელიც ისტორიის ხსოვნაში რჩება.

ეს იყო წინად... დიდი ხნის წინად...

ეს ზღაპარია წარსულ ჩვენების...

ეხლა წინაპართ სუყველას სძინავთ

სამარადისო ტკბილ განსვენებით. [გამყრელიძე, 1932: 5]

(გსარგებლობთ დასახელებული წიგნით და ლექსების ციტირებისას მხოლოდ გვერდებს მივუთითებთ)

გიორგი გამყრელიძე უცხოეთში გამოცემულ წიგნში საქართველოზე საუბარს ოქროს ვერძის ამბით იწყებს. „გავსცქერ“ – დაწერს ამ სიტყვას და გასცქერის რიონის „რძისფერ რიდებას“ და მისი წარმოსახვით, რიონი წარსულთან გაბმული „ვერცხლის თოკია“. იქვე სასოწარკვეთილი შეკითხვაც: მაგრამ სად არის ძველი დიდება,

ოქროს კოლხეთი, კაბადოკია?... [5]

როგორც ვთქვი, აქ არც აიეტია, არც იაზონი და არც მედეა... მხოლოდ გარემოა დასაწყისიდან აღწერილი და იქმნება სრული ალუზია იმისა, რომ ამ შესავალს მითიური „ოქროს საწმისის“ ამბავიც მოჰყვება: ამ მყუდრო ჭალას, შავი ზღვის ხაზით

იცავდა წინად რკინის კარები,

და შავი ზღვისკენ მდინარე ფაზისს

მიჰქონდა სილა ოქრო ნარევი. [5]

სათქმელი უფრო კონკრეტდება: ძველი კოლხების აქ ყოველ დილით

იალქნიანი ჰქროდენ ნავები,

და ამოჰქონდათ წყლიდან ავსილი,

ოქროთ ნაფენი ვერძის ტყავები. [5]

სამეცნიერო ლიტერატურაში გაზიარებულია მოსაზრება, რომელიც ვფიქრობ, ხელოვნების თუ დროის გადასახედიდან ძალიან ზუსტია; როცა შესაძლებელი ხდება, რომ ესა თუ ის მითი მარტივად, სალექსო სტროფებად გაირითმოს, თუმცა ისეც ხდება, რომ მასში ან დროების, ან საკუთარი, პიროვნული ტკივილი ჩაიდოს. ირღვევა მითოლოგიური დრო და კონკრეტულ დროდ იქცევა. ამ შემთხვევაშიც ამგვარადაა. ლექსი მთავრდება:

მე აღვშფოთდები, შემიპყრობს ბრაზი,

წამიღებს ბოღმა გულის სარევი,

ისე, ვით რიონს შავი ზღვის ხაზით

მოაქვს აწ სილა ტალახნარევი. [5]

როგორი პარალელია: მითიური კოლხეთი და ლექსის ავტორის თანამედროვე ქვეყანა. „აწ“ – „ტალახნარევი“. ფარულად, ეს უკვე ავტორის თანადროული სივრცის შეფასებაცაა.

მეორე ქვეთავი: „ვერცელი ქალაქები“. „უცხოეთი“.

ლექსი – „საშინელი მეზადური“.

ზოგადად, ნადირობა მოკვლის (აგრესიისაც) განცდას იწვევს. თევზაობა თითქოს იგივე პროცესია, მაგრამ ემოციური დამოკიდებულება აქ სხვაგვარია. უფრო მეტად მოლოდინთან, სიჩუმესთან, სიმშვიდესთანაა ასოცირებული. ფიქრი დავიწყოთ სათაურით – სიტყვა „საშინელი“ დასაწყისიდანვე უარყოფითად განგვაწყობს და იმავდროულად, შეფასებაცაა.

ჩვეულებრივ, ადამიანები ღამე იძინებენ და იღვიძებენ დღისით. ტექსტის დასაწყისიდანვე სიუჟეტში პერსონაჟისთვის ეს პირიქითაა: მე ჩამეძინა, როს თენდებოდა და საღამოს ჟამს გამომეღვიძა. [18]

და მხატვრული კადრი: ცას მუქი ნისლი შესდედებოდა

და დასწოლოდა პირქუშად მიწას. [18]

სიტყვები: „მუქი“, „პირქუშად“ უკვე მძიმე ამბისთვის ამზადებს მკითხველს. მოქმედება ლოგიკურად მდინარის, ზღვის, ზოგადად, წყლის სივრცეში უნდა განვითარდეს, რაკილა სათაურში „გამოტანილი“ მთავარი პერსონაჟი – მეზადურია. არადა, სრულიად სხვა სივრცეში მოვხვდები ამ ვრცელ ქალაქში: კვენესა, ფათური –

ისმოდა ლანდთა, შველა რომ სცადეს. [18]

ამ არემარეში უბედურების აკორდებად გაისმის: კვენესა, ფათური და ადამიანების, უფრო ზუსტად, იმ ლანდების ხმა შველას რომ ითხოვენ. სწორედ ლანდები და არა პიროვნებები. ყველა ერთნაირია და ყოველი მათგანი განურჩევლად იმ „საშინელ ბადეში“ ეხვევა. აქ „საშინელი“ მარტო მეზადური კი არაა, არამედ კიდევ ერთი პერსონაჟი, რომლის პროფესია პირდაპირ კავშირშია სიკვდილთან. ესაა ჯალათი. ადამიანი, რომლის მოვალეობაა ყოველგვარი განსჯის, ფიქრის, აწონ-დაწონის გარეშე დასაჯოს ნებისმიერი მსხვერპლი. ოღონდ ერთიც უნდა აღვნიშნოთ, მცირე გამონაკლისის გარდა, არცერთი მათგანი არ იღებს გადაწყვეტილებას, ძირითად შემთხვევებში, ის მხოლოდ შემსრულებელია.

ლექსში ორი მთავარი პერსონაჟია – სრული მხატვრულ-სიმბოლური გააზრებით: „ჯალათი“ და „მეზადური“, რომელთა მიერ გადასროლილ არასასურველ ბადეში ექცევა ყველა: ვიღაც ჯალათი და მეზადური გვესროდა ყველას საშინელ ბადეს. [18]

ბადიდან თავის დაღწევა შეუძლებელია, მოუხერხებელიც, ყველა ერთმანეთს უშლის ხელს, რადგანაც გათავისუფლება უნდა თითოეულს და ბადეში იხლართებინ.

„ბადე“ – უჩვეულო, მაგრამ გავრცელებული მხატვრული სიმბოლო. არაერთი ნიმუშის დასახელებაა შესაძლო. ეგებ, შორეული პარალელია, მაგრამ ამჯერად, ჰეფესტოს მიერ შექმნილი „უხილავი მახე“, იგივე, რკინის ბადე გავიხსენოთ, ცეცხლისა და მჭედლობის ღმერთი ჰეფესტო საკმაოდ პოპულარული პერსონაჟია ძველ ბერძენთა მითოლოგიაში. ოსტატი, რომელსაც არა მხოლოდ უმშვენიერესი სამკაულების დამზადება შეეძლო, არამედ იმ ულამაზესი სავარძლის დამზადებაც დედის – ჰერასათვის, საიდანაც აღფრთოვანებით ჩამჯდარმა დედოფალმა წამოდგომა ვეღარ შეიძლო. იმავე პრინციპით, ოსტატმა ისეთი ბადე შექმნა, თავის დახსნა ვერანაირად ვერ უნდა მოეხერხებინა მის ღვთაებრივ, მაგრამ მოღალატე ცოლს – აფროდიტეს (სიყვარულისა და სილამაზის ღვთაებას) და მის საყვარელს, არესს (ომის მრისხანე ღმერთი) და ბადეში გაბმულები შერცხვენილები და გამოხსნის მთხოვნელები დიდხანს უნდა დარჩენილიყვნენ სხვათათვის „საჩვენებლად“. მჭედლის გარდა, ამ ფაქიზად გამოჭედილ ბადეს ვერავინ დაარღვევდა ანუ, მათ შველას ვერავინ შეძლებდა. ლიტერატურული რემინისცენციით დიდი ინგლისელი დრამატურგის, შექსპირის პიესა „ოტელო“-ს ერთი ფრაგმენტი გავიხსენოთ: მოქმედება მეორე, სურათი მესამე. იაგოს რეპლიკა: „... მაშ, დეზდემონას სათნოებას მე ფისად გავხდი,

მის სიკეთეზედ ბადეს მოვქსოვ და იმ ბადეში გავაბამ ყველას". [შექსპირი, 1954: 309]

„მთელი“ და „დეტალი“ – ლოგიკური ერთდროულობა. კონკრეტული ქმედება და იგავურად ნათქვამი. ორივე შემთხვევაში მათ აქვთ დრამატურგიული დატვირთვა. სხვადასხვაგვარად განვითარებული მოვლენები ხდება პირობითად, როგორც ერთი მხატვრული სათქმელის ორგანული ნაწილი. მართალია, ისინი ცალ-ცალკე ამბავს მოიცავენ, მაგრამ ერთი სააზროვნო სივრცის ნაწილი არიან. კონკრეტული სიტყვა „ბადე“ უკვე თავისთავად იძლევა ინფორმაციას, ის „ლაპარაკობს“. პირობითი ნიშანი, რომელსაც აქვს თავისი ინდივიდუალური მნიშვნელობა.

მიუნხენში გამოცემულ მნიშვნელოვან მონოგრაფიაში – „ვილმისმეტყველება“ ბ-ნი კარლო ინასარიძე სხვა საინტერესო მაგალითებთან ერთად სწორედ ზემოხსენებულ ეპიზოდს მიაქცევს ყურადღებას:

„მეთევზეების ბადეებია გამოფენილი გასაშრობად. ოტელო, ბნედამორეული, ვერ აკვლევს გზას ბადეებს შორის და ამ გზით იქმნება, თუმცა იაფფასიანი, მაგრამ მაინც სიმბოლური გამოსახვა: „იაგომ ოტელო გააბა ბადეში“. [ინასარიძე, 1975: 265]

როგორც ჩანს, რეჟისორმა იაგოს რეპლიკა ვიზუალურ სტრუქტურაში ჩადო.

ისევ ლექსს დავუბრუნდები. რისი თქმა უნდა ქართველ ემიგრანტს? რისგან ვერ აღწევს ამ ქალაქში თავს. „საშინელი მეზადური“-ს ბადეში მოქცეულს ჯალათი დაელოდება, ალბათ. დახმარება არავის შეუძლია; ყველას საკუთარი გასაჭირი ადგას თავს. რაღა დარჩენია ლექსის ლირიკულ პერსონაჟს? მასაც ის აგონდება, რომელიც სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევებში მხოლოდ მძიმე დღეებში ახსენდებათ ადამიანებს. „დმერთო, მიშველე“, – ეს ხშირი ფრაზაა. ფსიქოლოგიური „ტრადიცია“ არც ამ შემთხვევაში ირღვევა:

მე შემეშინდა... ავაპყარ ზევით,
ლოცვის ცრემლები მომადგა თვალთა
და ვსთქვი: უფალო, შენ დამიცევი,
დედაოღვთისავ, დამფარე კალთა. [18]

ერთ ჭკვიან კაცს უთქვამს: ჩვენ ყველანი ჩავდივართ შეცდომებს და ვიხდით მის საფასურს. აქ შეიძლება გაჩნდეს კითხვა: და არ გააჩნია მას რა ფასი აქვს?! წიგნი რომ გამოიცემა ლექსის ავტორი მხოლოდ 29 წლისაა და სამშობლოდან შორს, უცხოეთში ცხოვრობს. საინტერესო იქნება ცალკეული მაგალითებით გიორგი გამყრელიძის დამოკიდებულება მითებისა და მითიური პერსონაჟების მიმართ.

„მეზღვარის დაღუპვა.“

გეოგრაფიული ადგილები: კუბა, სან-ფრანცისკო, სალვადორი, სანტოსი, სავაჭროდ გასული და ტყავითა და ყავით დატვირთული გემები (საკმაოდ მარტივი რითმები: ყავა – ჰავა, გემით – თხემი, დეღვა – გათელვა). კიდევ ერთი ხსენებული ალაგი: ეკვადორი, ეს პრაქტიკულად ერთი არეალია. ამერიკის შეერთებული შტატების ჩრდილოეთით, კარიბის ზღვის აუზში მდებარე კუბა, ცენტრალურ თუ სამხრეთ ამერიკაში განლაგებული სან-ფრანცისკო, სალვადორი, ეკვადორი... ამ კონტინენტზე ლექსის ავტორი 40-იანი წლებიდან გააგრძელებს ცხოვრებასა და საქმიანობას.

ლექსის სიუჟეტი კი ამგვარად განვითარდება: გაშლილ ოკეანეში ცურვა ყოველთვის არაა უსაფრთხო, მას მუდამ ახლავს მოულოდნელობები. ამჯერადაც ასე მოხდა. ტექსტში დრამატული ეპიზოდი განვითარდება; სასტიკმა ღელვამ გემბანი შეარყია, გემის კედლებზე შეხეთქილმა მღვრიე ტალღებმა რეალური საფრთხე შექმნეს. დახმარების შეტყობინება = სიგნალი s.o.s.-ის განწირული თხოვნა კიდევ უიმედოდ დიდხანს ისმოდა. მამაცი მეზღვაურების თავგანწირული მონდომება ბუნების სტიქიის წინაშე მაინც უძლური აღმოჩნდა. და გაჩნდა კარგი მხატვრული კადრი: წავიდა გემი ძირისაკენ მთვრალი ბარბაცით. [20]

ყველაფერი დამთავრდა. „დაეუფლა ოკეანეს მწვანე ქაოსი.“

ამბავი მთავრდება, მაგრამ არ მთავრდება ლექსი. ლირიკული გმირი (თუ ავტორი) ახლა თავად მეზღვაურებს მიმართავს; უამბობს, რა მოხდა მათი დაღუპვის შემდეგ; როგორ გაგრძელდა ცოცხლების თუ მათი, დაღუპულთა ცხოვრება. რას აკეთებენ მიწაზე დარჩენილები და ოკეანის ფსკერზე გაუჩინარებულები.

ებლა თქვენს ბაღებს ატირებულთ აჩუმებს დედა,

უწყობს სადაფებს საუცხოვო სიამურ სინზე.

თქვენ კი წყლით სავსე სახეებით ამაყად სხედხართ

პოსეიდონის, ზღვათა მეფის საზღაპრო ღვინზე... [20]

სიკვდილის პატივისცემაა მამაცურად სიკვდილი. არა შემთხვევით მოხმობილი ძველ ბერძენთა მითოსური, ზღვის ღმერთის მითიური სახე. ის ცოლთან, ამფიტრიტესთან ერთად ზღვის ფსკერზე ცხოვრობს. ბერძენთა მითოლოგიის მიხედვით, მისი ძმა, ჰადესი ქვესკნელს განაგებს, მისი ძალაუფლება მიწაზე, ხმელეთზე მკვდართა ჩრდილებზე და სულებზე ვრცელდება. ის „სიკვდილის ღმერთია“ (*ჰომეროსი*). აი, პოსეიდონს კი ყველა ზღვის არსება ემორჩილება – ცოცხალიც და მკვდარიც. წყლის სტიქიის გამგებელი ხან ქარიშხლებს აღძრავს, ხანაც გემებს გადასარჩენად, ნაპირამდე უხიფათოდ მისასვლელად სწრაფ დინებებს უგზავნის. მარჯნის სასახლეში განცხრომით ცხოვრობს და ფერად რიფებში მოსრიალე ნაირფერ თევზებს და წყალქვეშა მცენარეებს შორის ნებივრობს. ახლაც მეზღვაურებთან ერთად სუფრასთან ილხენს.

ზოგადად, სიკვდილი გარდუვალია, მაგრამ მეზღვაურების, მეკობრეების, საზღვაო ვაჭრების თუ სხვათა სამუდამო განსასვენებელი არცთუ იშვიათად, ზღვაა (ან ოკეანე). ლექსის პერსონაჟის კიდევ ერთი მიმართვა (ბოლო სტროფი):

ჰო, მეზღვაურნო, განწირულნო, მკრთალ იმედებით,

უარყოფელნო ხმელეთის და სასაფლაოსი,

დაღუპვის წინედ ამღერდებით როგორც გედები,

და შეგიერთებთ ოკეანეს ვრცელი ქაოსი. [20]

ცნობილი ფაქტია, გედი მხოლოდ სიკვდილის წინ, სიცოცხლეში ერთხელ მღერის. მეზღვაურებიც ამღერდებიან და მართალია, უკანასკნელად იმღერებენ, მაგრამ სწორედ ასე შეხვდებიან სიკვდილს. მერე? მერე ზღვის ღმერთთან – პოსეიდონთან ერთად მიუსხდებიან გაშლილ სუფრას.

ვფიქრობ, ეს ქართველი ემიგრანტის, გიორგი გამყრელიძის ერთ-ერთი მხატვრულად საინტერესო და მნიშვნელოვანი წიგნია, რომელიც უცხოეთში გამოიცა.

ლიტერატურა:

1. გამყრელიძე გ., – ლურჯი მონოკლი. პარიზი. 1932. 32გვ.
2. ინასარიძე კ., – ფილმისმეტყველება. მიუნხენი. 1975. 680გვ.
3. შექსპირი უ., – თხზ. [ტრაგედიები] ტ. 2 გამომც. „საბჭ. მწერალი“.თბ., 1954.807 გვ.

Rusudan Nishnianidze**„Georgian Poetry Collection published in Paris“****Abstract**

Giorgi Gamkrelidze was one of the most important representatives of Georgian emigration. His literary field is quite extensive and varied: translations from American and French poetry, samples of German writing. The first at least is to compose your own original poems.

In 1920, his poems „Autumn Chianuri" was published in Georgia, and in 1922, „nailed Hands" was published under the pseudonym of Grigol Zodel. In 1932, the poetic collection "Blue Monocle" was published in Georgian in Paris. In 1960, not only in another country, but also on another continent, in Santiago de Chile, „Late Harvest" was published, and in 1963 a book was published in Georgian in Washington, DC, entitled „Poems, Stories, and Essays on Birds".

The literary article talks about Giorgi Gamkrelidze's Paris collection and only a few poetic works printed there („Golden Aries", „Terrible Predator", „Death of a Sailor"); The book is divided into subsections; The first of them is called „Golden Aries". „Georgia". The letter analyzes the parallels with mythical and well-known literary characters and finds poetic reminiscences that are significant for each pattern.

I think this is one of the artistically interesting and important books of the Georgian emigrant, which was published abroad.

რეცენზენტი: პროფ. ა. ბერდიჩევსკი

„იცით ნადირობა?“ გურამ რჩეულიშვილის უსათაურო მოთხრობის ირგვლივ

ნანა რჩეულიშვილი

ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
e-mail: nrcheulishvili@yahoo.com

გურამ რჩეულიშვილის ხანმოკლე ბიოგრაფიიდან ცნობილია, რომ ის არასოდეს ყოფილა გატაცებული ნადირობით. ალბათ, ამით თუ აიხსნება მის მოთხრობებში აქა-იქ გამკრთალი მწირი ეპიზოდები ნადირობის თემაზე. ერთადერთი მნიშვნელოვანი, მხატვრული სიძლიერით გამორჩეული მოთხრობა, რომლის სათაურის ფორმულირება და დაწერის თარიღი მსჯელობის საგანი გამხდარა მწერლის ბიოგრაფებსა და ახლო მეგობართა შორის, უსათაუროა. ჩვენი ყურადღება მიიქცია არა მხოლოდ მისმა მხატვრულმა მხარემ, რითაც ის სამართლიანად იკავებს გამორჩეულ ადგილს თანამედროვე ქართული მოთხრობის საგანძურში, არამედ, ზოგადად, მოთხრობის იდეის გააზრებამ და მისმა კავშირმა მსოფლიო ლიტერატურის შესანიშნავ ფასეულობებთან.

ამბავი მოხუც მონადირესა და მის ნანადირევ ჯიხვზე სინამდვილისა და მითიური წარმოსახვის უჩვეულო ნაზავია. მოთხრობა თავისი იდეურ-მხატვრული თვალსაზრისით ჰგავს ამერიკელი მწერლის ერნესტ ჰემინგუეის მოთხრობას „მოხუცი და ზღვა“. ვფიქრობთ, სამწერლო მოღვაწეობის დასაწყისში მწერალი ჰემინგუეის გარკვეულ გავლენას განიცდიდა.

საკვანძო სიტყვები: გურამ რჩეულიშვილი, მოთხრობა „უსათაურო“

მოთხრობა პირველად გამოქვეყნდა 1985 წელს, კრებულში „სად გაექცევი ზამთრის ღამეს“, სათაურით - „მოხუცი მონადირე“ (დასათაურება რედაქტორს, ნუგზარ წერეთელს ეკუთვნის), დაწერის თარიღით - 1957წ. თუმცა, მწერლის არქივში დაცული ავტოგრაფი დაუსათაურებელია და არც დაწერის თარიღია მითითებული. გურამ რჩეულიშვილის ნაწარმოებების ექვსტომეულის გამოცემისას, შემდგენელ-რედაქტორმა, მწერლის დამ, მარინე რჩეულიშვილმა, ის უსათაუროდ შეიტანა პირველივე ტომში, იმ ვარაუდით, რომ ამ მოთხრობით იწყებოდა გურამის

შემოქმედებითი მოღვაწეობა. მარინე რჩეულიშვილი მეხსიერებაში აღადგენს, რომ 1956 წელს, ალპინისტურ ექსპედიციაში მიმავალი ძმა კითხულობდა ჰემინგუეის მოთხრობებს და მისი წასვლის შემდეგ, სამუშაო მაგიდაზე ნახა ხელნაწერი უსათაურო მოთხრობისა მოხუც მონადირეზე. მარინე რჩეულიშვილის ვარაუდით, შესაძლოა, მოთხრობა „ყაზბეგის მიბაძვით“ დაიწერა, რაკი, ავტორი, დღიურის ტიპის ერთ-ერთ ჩანაწერში მიუთითებს, რომ დასაწყისში ბაძავდა კლასიკოსებს, მათ შორის ყაზბეგს [რჩეულიშვილი, 2020: 329].

ვადასტურებთ რედაქტორის თვალსაზრისს, რომ მოთხრობა ერთ-ერთი პირველი მხატვრული ნაწარმოები უნდა იყოს გურამ რჩეულიშვილის სამწერლო მემკვიდრეობაში. იგი „მთის ციკლის“ მოთხრობებიდან გამოირჩევა, როგორც მხატვრული, ისე იდეურ-თემატური თვალსაზრისითაც.

მოთხრობაში აღწერილი მოქმედება ხდება მთაში, ჯიხვთა საუფლოში, სადაც ლამის ყველაფერს მაგიური ნიშანი ადევს და სადაც ჩვეულებრივი კლდის ლოდებიც საკრალურ მნიშვნელობას იძენენ. ეს არის ამბავი მოხუც მონადირესა და მის საოცარ ნანადირეზე - ფარის წინამძღოლ ჯიხვზე, რომელიც, სინამდვილისა და მითიური წარმოსახვის უჩვეულო ნაზავია და მკითხველზე დიდ ემოციურ ზეგავლენას ახდენს.

კავკასიური სამონადირეო ეპოსი უამრავ მითს შეიცავს იმ რიტუალებსა და ადათ-წესებზე, რომელიც ნადირობისას მიუცილებელ პირობად იყო მიჩნეული. ხოლო, ჯიხვზე ნადირობა რომ ერთ-ერთ საპატიო და საამაყო ამბად ითვლებოდა, ამაზე ხალხური ტრადიციაც მიგვანიშნებს. სანადიროდ მიმავალი კაცი ნადირთ მწყემსს ევედრებოდა, რომ მოენადირებინა ჯიხვი. თუმცა, ჯიხვზე ნადირობას გარკვეული წვრთნა და ცოდნა სჭირდებოდა. ეს კარგად მოეხსენებოდა მოთხრობის პროტაგონისტს, ოთხმოცი წლის მგელიკას, ქალაქელი ბიჭების მოხუც მასპინძელს, რომლის სახლიც „მთის კალთაზე, მეჩხერ ტყეში“ იდგა, მხრჩოლავი შუაცეცხლითა და ცივი მდუმარებით. შეკუმშულ დროსა და სივრცეში იშლება თხრობის დინამიკა: „ჩიბუხს კვამლი მოემატა, ბაბუას თვალებს სიცოცხლე... შუაცეცხლს ალი მოემატა და ზედ დაკიდებულმა წყალმა დუღილი დაიწყო. სამივე უხმოდ შეუდგა ჯიხვის ხორცის ჭამას [იქვე, 11]. ჯიხვზე სანადიროდ ხევსურეთში ასული ქალაქელი ბიჭების სურვილი მოხუცს ახალი შთაგონებით მუხტავს. განთქმული მონადირე თავს ვალდებულად თვლის არა მარტო მეგზურად, არამედ ნადირობის მასწავლებლადაც მოევილინოს გამოუცდელ ყმაწვილებს: „გამხიარულდი ბებერო. გამხნევი, შენ ჯიხვი უნდა მოკლა, შენი ბადალი მთას მონადირე არა ჰყოლია [იქვე, 12]. მთის ბუნების მკაცრი სურათიც, პარალელურად, მონადირის მოძრაობასთან ერთად იშლება და მიემართება სულ მაღლა და მაღლა, მწვერვალებისკენ, ასეთი დაგემოვნებით: „თოვლი რბილი იყო. მოხუცი კვალს მიჰყვებოდა, შემდეგ მარჯვნივ გადაუხვია და ქედს გაჰყვა. მთის ფერდზე ქვათა ცვენა

დაიწყო. შორს, აღმოსავლეთის მხარეს ჯიხვებმა ფერდობი გადაჭრეს და კლდეებში მიიმალნენ "[იქვე, გვ.12]. ამ ჭიუხებში ხვდებიან ერთმანეთს განთქმული მონადირე მგელიკა და ფარის წინამძღოლი ჯიხვი, ახოვანებითა და სიდარბაისლით გამორჩეული ბელადი. ისინი არა მარტო ასაკით არიან თანატოლნი (ათი-თორმეტი წლის თუ იქნებოდა ბელადი. ჯიხვის თორმეტი წელი ადამიანის ოთხმოც წელს უდრის, თურმე), არამედ თავიანთი ფიზიკური მონაცემებითაც. მგლის მუხლით გამორჩეული მგელიკა თავის შესაფერ მოშულარს ხედავს აღნაგობითა და რქებით გამორჩეულ ფარის ბელადში. ეს გამორჩეულობა უფრო უმძაფრებს მასთან შერკინების სურვილს - „ეს მოჰკალ, მგელიკავ, და თუნდ ბოლო ჯიხვ იყოს!" - ბუტბუტებს მოხუცი და სჯერა, ბელადსაც მოეწონა მონადირე, იმიტომ, რომ „ამაყ ჯიხვთა შორის უამაყეს არასოდეს გაუხარდება უღირსი მტრის ყოლა...ამას თუნდ სიკვდილამდე ვსდევ, მე მისი რქები მიჩვენია მთელი მისი ფარის ხორცს" [იქვე, გვ.15]. სამი დღის მომქანცველი დევნის შემდეგ, ჩამავალი მზის სხივებით განათებულ მთის წვერზე, ერთად იღუპებიან მონადირე და ნანადირევი, რომელსაც თანაგრძნობით სავსე თვალები მგელიკასთვის მიეპყრო. „ალბათ, ორივეს შურდა ერთმანეთის ვაჟკაცობა".

მოთხრობა, თავისი იდეურ- მხატვრული თვალსაზრისით, მოგვაგონებს ამერიკელი მწერლის ერნესტ ჰემინგუეის მოთხრობას „ მოხუცი და ზღვა". ორივე მათგანის გმირი, მოხუცი, ამასთან, ფიზიკურად ძლიერი და სახელიანი პიროვნებაა თავის სამოქმედო სივრცულ არეალში. მათი სანადირო ობიექტებიც - (ჯიხვი და თევზი), გამორჩეული აღნაგობის მქონე, ძნელად მისაწვდომი არსებებია. საოცარი მსგავსებაა მოხუცების ფიქრებსა და განცდებში. ისინი, თვითდაჯერებულნი და ამაყნი, დაუცხრომლად მიიწევენ სიმაღლისა და სიღრმისაკენ, სურთ სახელის მოპოვება. ორივეს ჰყავს მომავლის გმირი, რომელთაც ერთნაირი სიყვარულით იხსენებენ ნადირობისას. ორივე სამი დღის განმავლობაში სდევს თავის საოცნებო მსხვერპლს, ერთნაირად უყვართ და განიცდიან მათ განსაცდელს. ორივე აღწევს საწადელს უამრავი წინააღმდეგობის გადალახვით, სულიერი და ფიზიკური მხნეობის მოკრებით, რის შედეგადაც ხდება მათი ზიარება უზენაეს შეგრძნებასთან. ეს განცდა შორსაა ყველა მიწიერი განცდისაგან და ის მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. (ასეთი განცდების შესახებ მსჯელობას არაერთგზის ვხვდებით გურამ რჩეულიშვილის მოთხრობებში, პიესებში, დღიურებში, სულ პატარა ჩანაწერებშიც). ეს ლიტერატურული თანხვედრები მიგვითითებს, რომ მოთხრობის ავტორი წერისას განიცდიდა ჰემინგუეის გავლენას. ამ აზრს გვიმტკიცებს ტექსტის ზოგიერთი მხატვრული მხარეც, თხრობის სტილი და დინამიკა. თუ გავიხსენებთ მწერლის დის, მარინე რჩეულიშვილის მოგონებას იმის შესახებ, რომ მოთხრობის პირველი ხელნაწერი ფურცლების შექმნისას გურამი გატაცებული

ყოფილა ჰემინგუეით, მაშინ მკითხველისათვის ნათელი უნდა იყოს ჩვენი აზრი აღნიშნულ მოთხრობაზე.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო კრიტიკა გ. რჩეულიშვილს ევროპული მიმართულების მწერლად თვლის. რაც უფრო ახლოს მიდის მწერალი უცხოურ ლიტერატურასთან, მით უფრო იკვეთება მასში საკუთარი, ეროვნული ნიშატი, რაც ასე განარჩევს მას ნებისმიერი უცხოური სტილისა და სამწერლო ხელოვნებისაგან. მკვლევარი გია არგანაშვილი აშკარად მიუთითებს რა ამგვარი დამოკიდებულების პოზიტიურ შედეგზე, წერს, რომ ამის მაგალითები გვაქვს ნიკოლოზ ბარათაშვილის, ხოლო ჩვენს დროში, გურამ რჩეულიშვილის შემოქმედებაში.

საგულისხმოა, რომ მსგავს თემას და წერის ამდაგვარ სტილს მწერალი ადარ მიბრუნებია თავისი შემოქმედებითი ცხოვრების დარჩენილ პერიოდში. ვფიქრობთ, რომ ეს მოთხრობა, უამრავი გამორჩეული ღირსებით, თითქოს განცალკევებულია მწერლის მთელი შემოქმედებითი მემკვიდრეობიდან და თუ ის მართლაც პირველი მხატვრული ნაწარმოებია, მაშინ ვიტყვით, რომ გურამ რჩეულიშვილმა, სამწერლო ასპარეზზე პირველივე ნაბიჯით განსაზღვრა თავისი მიზანი - ლტოლვა მიუწვდომელის, „ვერმიღწეულის“ მიღწევისაკენ და წინასწარ განჭვრიტა ამ გზაზე ტრაგიკული აღსასრულის მთელი სიდიადის არსი.

ლიტერატურა:

1. არგანაშვილი გ. „გურამ, შენს წიგნზე დავხატეთ ცხენი...“; ჟურნალი „ლიტერატურული პალიტრა“, №8, 2014
2. რჩეულიშვილი გ. მოთხრობები, თხზ. ექვსტომეული; ტ.1; თბილისი. 2020

Nana Rcheulishvili

“Do you know hunting?” Around an untitled story by Guram Rcheulishvili

Abstract

An untitled story by Guram Rcheulishvili, which is about an old hunter, draws special attention both artistically and ideologically. The story about the old hunter and a hunted tur is an unusual mixture of reality and mythical imagination. There is an opinion that chronologically it is the first story in the writer's works and it is an imitation of Kazbegi.

The story really seems to have an impact, but not of Kazbegi, but of writing skills of American writer, Ernest Hemingway. Ideologically and artistically, it stands close to Hemingway's story “The old mand and the sea”.

რეცენზენტი: პროფ. ა. ჟდანოვიჩი

პედაგოგია Pedagogic

განათლების საკითხები ნიკო ნიკოლაძის პუბლიცისტიკაში

ზასილაძე გიგა

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
gigabasiladze1985@mail.ru

სახელმწიფოს თავისუფლებისა და წარმატებული განვითარების უმთავრეს გასაღებს განათლება წარმოადგენს. სწორედ განათლებული საზოგადოება უყრის საფუძველს ერის ეთნო-კულტურულ სიძლიერესა და თვითმყოფადობას. თანამედროვე საქართველო ახალგაზრდა სახელმწიფოა, რომელმაც დამოუკიდებლობის აღდგენამდე რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე გზა განვლო, ჯერ რუსეთის იმპერიის, ხოლო შემდეგ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. 1801-1810 წლებში რუსეთის მიერ ქართული სამეფო-სამთავროების გაუქმებამ ახალი რეალობის წინაშე დააყენა ქართველი ხალხი. ამიერიდან პროგრესული, საგანმანათლებლო იდეები რუსეთიდან შემოდიოდა. ამ პერიოდში თითქმის არ არსებობდა ქართული დაწყებითი თუ საშუალო სკოლები. მხოლოდ XIX საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან იწყება საქართველოში ე. წ. სახალხო სკოლების დაარსება. სწორედ ამ პრობლემატიკას ეხება ჩვენი სტატია, რომელშიც მიმოხილულია ნიკო ნიკოლაძის მიერ XIX საუკუნის 70-80 იან წლებში, საგანმანათლებლო დაწესებულებებისადმი მიძღვნილი საგაზეთო წერილები.

საკვანძო სიტყვები: ნიკო ნიკოლაძე, ნიკოლაძის პუბლიცისტიკა, განათლების სფერო

სახელმწიფოს თავისუფლებისა და წარმატებული განვითარების უმთავრეს გასაღებს განათლება წარმოადგენს. სწორედ განათლებული საზოგადოება უყრის საფუძველს ერის ეთნო-კულტურულ სიძლიერესა და თვითმყოფადობას. თანამედროვე საქართველო ახალგაზრდა სახელმწიფოა, რომელმაც დამოუკიდებლობის აღდგენამდე რთული და წინააღმდეგობებით

აღსავსე გზა განვლო, ჯერ რუსეთის იმპერიის, ხოლო შემდეგ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. 1801-1810 წლებში რუსეთის მიერ ქართული სამეფო-სამთავროების გაუქმებამ ახალი რეალობის წინაშე დააყენა ქართული საზოგადოება. ამიერიდან საქართველოში პროგრესული, საგანმანათლებლო იდეები რუსეთიდან შემოდიოდა. განათლებას მოწყურებული ქართველი ახალგაზრდობა მოკლებული იყო ქვეყანაში სასწავლო კერების არსებობას. თავადაზნაურთა ნაწილი ახერხებდა ცოდნის მიღებას მხოლოდ რუსეთის სამხედრო თუ უმაღლეს სასწავლებლებში, მაგრამ ეს ზღვაში წვეთს წარმოადგენდა. რუსეთის იმპერიაში 1861 წელს საგლეხო რეფორმის გატარების შემდეგ, უკვე გლეხის შვილებსაც შეეძლოთ განათლების მიღება, მაგრამ ისინი ფინანსურად მოკლებულნი იყვნენ ამის შესაძლებლობას. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი ღვაწლი მიუძღვით „თერგდალეულებს“, რომელთა ენერგიულმა საქმიანობამ ბევრ გლეხს გაუღო კარი განათლებისაკენ. 1879 წელს სამოციანელებმა დააარსეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. საზოგადოების მიერ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დაარსდა სახალხო სკოლები, სადაც ხდებოდა დაწყებითი სასკოლო განათლების, უპირველესად წერა-კითხვისა და ელემენტარული არითმეტიკის შესწავლა. პრობლემები იყო უმაღლესი განათლების კუთხითაც. კავკასიაში უნივერსიტეტის არარსებობის გამო, ახალგაზრდები ვერ ახერხებდნენ უმაღლესი განათლების მიღებას, რადგან რუსეთის უნივერსიტეტებში სწავლა საკმაოდ ძვირი ღირდა. ამ პრობლემების შესახებ ქართული მოწინავე საზოგადოების წარმომადგენლები ბევრს საუბრობდნენ XIX საუკუნის ქართული თუ რუსულენოვანი პრესის ფურცლებზე. სწორედ ამიტომ, ამ სტატიაში მინდა შევეხო დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწისა და მოაზროვნის ნიკო ნიკოლაძის პუბლიცისტურ წერილებს, რომლებიც XIX საუკუნის საგანმანათლებლო პრობლემებს ასახავს.

ქართულ ისტორიოგრაფიაში უფრო მეტად შესწავლილია ნიკო ნიკოლაძის საზოგადოებრივი მოღვაწეობა, ნაკლებად ნააზრევი და პუბლიცისტიკა. ნიკოლაძე როგორც უაღრესად განათლებული და ფართო ერუდიციის პიროვნება დიდ ყურადღებას უთმობდა ჩვენს ქვეყანაში არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა მდგომარეობის დახასიათებას. მას განათლება მიაჩნდა საზოგადოებრივი კეთილდღეობის უმთავრეს საფუძვლად.

საქართველოში არსებული საშუალო განათლების სახელმწიფო დაწესებულებანი მოსწავლეებს ამზადებდნენ უმაღლესი განათლებისათვის. კურსდამთავრებულთა უმეტესობას არ ჰქონდა მატერიალური საშუალება, რუსეთის უნივერსიტეტში წასულიყო უმაღლესი განათლების მისაღებად. გიმნაზიაში მიღებული ცოდნით კი ახალგაზრდობა ვერ ახერხებდა საქართველოში პრაქტიკულ საქმიანობის განხორციელებას. ისინი ძირითადად ან გადამწერებად მუშაობდნენ

კანცელარიაში, ან და უსაქმოდ დაეხეტებოდნენ. ვითარების გამოსწორება შეიძლებოდა თბილისში კავკასიის უნივერსიტეტის დაარსებით.

უნივერსიტეტის დაარსების იდეა ჯერ კიდევ 1871 წელს გაჩნდა ქართულ საზოგადოებაში. თბილისში სტუმრად მყოფ რუსეთის იმპერატორს, ალექსანდრე II-ს გუბერნიის ინტელიგენციამ მიმართა უნივერსიტეტის დაარსების თხოვნით. ეს თხოვნა განუხორციელებელი დარჩა, მაგრამ საზოგადოებაში უნივერსიტეტის დაარსების იდეა არ დაკარგულა.

1878 წელს ნ. ნიკოლაძემ „Обзор“-ის ფურცლებზე იწყო უნივერსიტეტის დაარსების პროპაგანდა. მან გამოაქვეყნა წერილი სათაურით — „კავკასიის უნივერსიტეტი“. მასში ავტორი წერს: „თუკი მას, ხელისუფლებას, სურს კავკასიაში მტკიცე მშვიდობის დამყარება და მხარის ცივილიზირება რაც შეიძლება მეტი სასწავლებელი და გიმნაზიები უნდა დაარსოს. ასეთ დაწესებულებებს უნდა უხელმძღვანელოს არა ეგოისტურმა პიროვნებებმა, არამედ ჭეშმარიტმა პედაგოგებმა. ხელისუფლების მიერ გატარებული ამგვარი ქმედებების გვირგვინი კი იქნება — უნივერსიტეტის დაარსება [ნიკოლაძე 1966:485].“

ნიკოლაძის შენიშვნით: თბილისში რომ არსებობდეს უნივერსიტეტი, ბევრ ახალგაზრდას ექნებოდა საშუალება მიეღო უმაღლესი განათლება, მათ შორის ხელმოკლეებსაც. ნათესავებისა და ნაცნობების სიახლოვე დაეხმარებოდა ღარიბ სტუდენტებს ხელმოკლეობის შემსუბუქებაში. წერილის ბოლოს, იგი გამოთქვამს იმედს, რომ თბილისის სათათბირო საბჭოც შეძლებს „მსხვერპლის“ გაღებას და უნივერსიტეტის დაარსებისათვის თავდაპირველ აუცილებელ საშუალებებს მიწის გამოყოფით ან ფულადი სახსრებით გაიღებს [ნიკოლაძე 1966: 488].“

ნ. ნიკოლაძის იმედი გამართლდა. თბილისის ქალაქის სათათბირომ 1880 წლი დასაწყისში აიღო ინიციატივა კავკასიის უნივერსიტეტის პრაქტიკული დაარსებისა. საბჭოს დადგენილებით, უნივერსიტეტის დაარსების შემთხვევაში, იგი გამოყოფდა სათანადო ფართობსა და თანხას ქალაქის ხაზინიდან ასი ათასი მანეთი ვერცხლის ოდენობით. უნივერსიტეტის გახსნის შემთხვევაში ქუთაისის სათათბირო და საადგილმამულო ბანაკიც გამოთქვამდა დახმარების სურვილს. ამ მოვლენას ნ. ნიკოლაძემ მიუძღვნა „Обзор“-ის 1880 წლის 22 თებერვლის ნომერში წერილი სათაურით — „კავკასიის უნივერსიტეტი“. წერილი მკითხველს აცნობს თბილისის სათათბიროს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. ჩვენი ავტორი, აქვე პასუხობს კავკასიის უნივერსიტეტის გახსნის მოწინააღმდეგეებს, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ამიერკავკასიის გიმნაზიებს ძალზე ცოტა სტუდენტები ამთავრებს სიმწიფის მოწივით, რის გამოც კავკასიის უნივერსიტეტი შეიძლება უსტუდენტებოდ დარჩეს. ნიკოლაძე პასუხობს: „ბავშვთა აღზრდა თანამებროვე გიმნაზიებში ყოველ ოჯახს მეტად ძვირი უჯდება. თუკი მათ ექნებათ იმედი, რომ მძიმე ხარჯის გაღებით მათი ვაჟი უმაღლეს განათლებას მიიღებს, ისინი ამ ხარჯს არ გაექცევიან. მაგრამ როდესაც იციან, რომ მხოლოდ

გიმნაზიის დამთავრებით კარიერას ვერ გაიკეთებენ და სამსახურს ვერ იშოვიან, ისინი ზედმეტ ხარჯს თავს არიდებენ. გახსენით თბილისში უნივერსიტეტი და თქვენ დაინახავთ, რომ მარტო ეს გარემოება მისცემს სათანადო ბიძგს როგორც მშობლებს, ისე მოსწავლეებს გიმნაზიის სრულიად დასრულებისას“ [ნიკოლაძე 2003:69-70].

„Одзოპ“-ის მთავარი რედაქტორის მორიგი წერილი უნივერსიტეტთან დაკავშირებით, გამოქვეყნდა 1880 წლის 17 მაისს. ნიკოლაძე მკითხველს აცნობს ქუთაისის საადგილმამულო ბანკის დამფუძნებელთა მიერ, უნივერსიტეტის დაარსებასთან დაკავშირებით თანხის გამოყოფის გადაწყვეტილებას. მათ შეუწირავთ ორმოცი ათასი მანეთი [ნიკოლაძე 2003:273]. ავტორის შენიშვნით ქუთაისის თავად-აზნაურობამ დახმარება გაუწია არა მარტო კავკასიის უნივერსიტეტს, არამედ ზოგადად ქართული საზოგადოების განვითარებასა და ერთობას. იგი აქვე სიხარულით აღნიშნავს გორის თავადაზნაურობის გადაწყვეტილებას, გაეღოთ შეწირულობა განათლების სასარგებლოდ [ნიკოლაძე 2003: 274]. წერილის ბოლოს ნიკოლაძე იმედს გამოთქვამს, რომ მთავრობა გაითვალისწინებს ჩვენი საზოგადოებისა და ქვეყნის ინტერესებს და უნივერსიტეტის დაარსებას სათანადო მსვლელობას მისცემს.

მიუხედავად გამოთქმული ოპტიმიზმისა, ქართული საზოგადოებისა და ნ. ნიკოლაძის იმედი არ გამართლდა. ხელისუფლებამ არანაირი ზომები არ მიიღო უნივერსიტეტის დაარსებასთან დაკავშირებით. მხოლოდ 38 წლის შემდეგ, 1918 წელს გახდა შესაძლებელი თბილისში ქართული უნივერსიტეტის დაარსება. „თერგდალეულთა“ თაობიდან მხოლოდ ნ. ნიკოლაძეს ერგო „პატივი“, მოსწრებოდა ამ მოვლენას.

უნივერსიტეტის დაარსებასთან დაკავშირებული წერილების გარდა, „Одзოპ“-ის ფურცლებზე ქვეყნდებოდა სტატიები აგრეთვე საქართველოში არსებული სახალხო სკოლების შესახებ. ამ მხრივ, აღნიშვნის ღირსია ნ. ნიკოლაძის ორი წერილი საერთო სათაურით — „ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლები“. ეს წერილები გამოქვეყნებული იქნა 1878 წელს „Одзოპ“-ის აგვისტოსა და სექტემბრის ნომრებში.

პირველ წერილში ნიკოლაძე მკითხველს მოუთხრობს ქუთაისის გუბერნიის, შორაპნის მაზრის სახალხო სკოლების მდგომარეობას. 1874 წელს ამ მაზრაში შემავალმა სასოფლო საზოგადოებებმა ითხოვეს სკოლების გახსნის უფლება და საერთო შრომით შეძლეს სკოლის შენობის აგება. მოიწვიეს მასწავლებლები, რომელთა ხელფასი 200-დან 380 მანეთამდე მერყეობდა [ნიკოლაძე 1970:242-243]. მათ ხელფასი ეძლეოდათ გლეხების მიერ აკრებილი თანხიდან. ყოველი კომლი იხდიდა 50 კაპიკს.

1874 წელს მოხდა შორაპნის მაზრაში ახლადაგებული სკოლების გახსნა. ამ სკოლებს გლეხ-

თა ბავშვები მიაწყდნენ და დიდი ენთუზიაზმით შეუდგნენ სწავლას. სკოლების მომარაგება ხდებოდა რუსულ ენაზე შედგენილი სახელმძღვანელოებით. ყოველი გლეხი ხალისითა და წესიერებით იხდიდა სკოლისა და მასწავლებლის შესანახ თანხას. მაგრამ სამი წლის შემდეგ ვითარება შეიცვალა. სკოლებში შემცირდა მოსწავლეთა რაოდენობა. გლეხები წინააღმდეგნი იყვნენ ისევ გადაეხადათ სკოლის შესანახი თანხები და ითხოვდნენ მათ დახურვას. ისინი ზოგიერთი სკოლის უსარგებლობას ამტკიცებდნენ და მაგალითად მოჰყავდათ მოწაფეები, რომლებმაც სამი წლის მანძილზე ვერც ერთი რუსული სიტყვა ვერ ისწავლეს და საკუთარი ენაც დაივიწყეს. მიუხედავად ამისა, მასწავლებლები მაინც იღებდნენ ხელფასს. ასეთია პირველი წერილის მოკლე შინაარსი. მას ნიკოლაძემ მალე მეორე წერილიც მოაყოლა, რომელშიც საზოგადოებას ესაუბრება შორაპნის მაზრაში არსებული სახალხო სკოლების დახურვის მიზეზებზე. იგი, სკოლებში შექმნილი მდგომარეობის პირველ მიზეზად სასწავლო პროგრამას ასახელებს. „პროგრამა, რომელსაც მასწავლებლები იყენებენ, ჩვენი სკოლებისათვის არ ვარგა. ამ პროგრამის წყალობით ბევრი გლეხის ბავშვი ჩლუნგდება, რადგან მათ გონებას შეუფერებელ საკვებს აწვდიან... ამის გამო მათ სკოლა მალე სძულდებათ და მშობლებთან გარბიან“ [ნიკოლაძე 1970:270]. მომდევნო მიზეზი მდგომარეობს მასწავლებელთა მოუმზადებლობაში. ყოველივეს გათვალისწინებით, ნიკოლაძე ვითარების გამოსწორების მიზნით, საზოგადოებას სთავაზობს შემდეგ პროგრამას: 1. აუცილებელია არსებული პროგრამის შეცვლა და სახალხო განათლების წარმართვა ადგილობრივი პირობების, მოთხოვნილების და საღი აზრის შესაბამისად. 2. თუ არ გვეყოლა მომზადებული მასწავლებლები, მარტო სკოლის შენობები ხალხს განათლებას ვერ მოუტანს. 3. ძალადობა განსაკუთრებით არ ვარგა საგანმანათლებლო საქმეში. გლეხის ბავშვები სკოლამ თავისი წარმატებით უნდა მიიზიდოს და არა მათრახითა და ბოქაულის დახმარებით. 4. ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორც სკოლების საკითხია, მუდამ ყოველმხრივ უნდა განიხილებოდეს და საკითხის გადაწყვეტისას უნდა მოიწვიონ გლეხების საჭიროებათა მცოდნე ადამიანები, და 5. ყოველთვის, როცა პრესაში რაიმე ნაკლზე უთითებენ, საჭიროება განვიხილოთ ის და სწრაფად აღმოვფხვრად [ნიკოლაძე 1970: 271].

სახალხო სკოლებსა და მათ მდგომარეობას მორიგი წერილი, ნ. ნიკოლაძემ 1880 წლის 12 ივნისს მიუძვნა, შემდეგი სათაურით — „სახალხო სკოლის არსებითი საჭიროება“. მასში ავტორი ისევ აკრიტიკებს სახალხო სკოლების სასწავლო პროგრამებს, რომელიც უშინსკის „როდნოე სლოვოს“ საფუძველზე არის შედგენილი. ევროპის ქვეყნებისა და რუსეთის მაგალითზე, ნიკოლაძე მოუწოდებს ქართველ პედაგოგებს მოაწყონ ადგილობრივი საგუბერნიო ან მთელი ქვეყნის მასშტაბით პედაგოგთა ყრილობა, სადაც მოახდენენ საკუთარი შეხედულებებისა და გამოცდილების ერთმანეთისათვის გაზიარებას. ასეთი საშუალებებით ისინი შესძლებენ ჩვენი ქვეყნის თაობაზე

აღზრდის სწორი სისტემის გამომუშავებასა და ჩამოყალიბებას. ნიკოლაძის აზრით, საკითხი მეტად მნიშვნელოვანია, ამიტომ მის გადაწყვეტაში უნდა მიიღოს ყველა იმ პედაგოგმა მონაწილეობა, ვისთვისაც ჩვენი სამშობლოს ბედი მნიშვნელოვანია [ნიკოლაძე 2003:325-327].

პუბლიცისტს არც საქართველოში არსებული სასულიერო სასწავლებლები ავიწყდება. 1878 წლის ოქტომბერში „Отец“-ში დაიბეჭდა სტატია — „სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელი“. მასში გადმოცემულია მარტვილში არსებული სასულიერო სასწავლებლის მძიმე მდგომარეობა. ავტორის შენიშვნით, სასწავლებელი შენობის მაგივრად ფარდულშია განთავსებული, რომელშიც სამასამდე მოწაფე სწავლობს. მძიმეა ასევე მოწაფეთა საერთო საცხოვრებლების მდგომარეობა, რაც მათ ზნეობრივ სფეროზე დიდი გავლენას ახდენს. **„ბავშვი ვერაფერს ვერ ხედავს ირგვლივ ისეთს, რასაც შეუძლია კეთილი გავლენა მოახდინოს მისი ხასიათის, ზნეობის, მოვალეობის გრძნობისა და სამართლიანობის ჩამოყალიბებაზე“** [ნიკოლაძე 1970:430]. კიდევ ერთი პრობლემა, რომელსაც სასწავლებელი განიცდის, არის მასწავლებელთა ნაკლებობა. ასეთ მძიმე პირობებში მუშაობა მასწავლებელთათვის მიუღებელია. ნიკოლაძე პრობლემის არსს ხედავს იმაში, რომ სასწავლებელი განთავსებულია სოფელ მარტვილში, რომელიც მოწყვეტილია ქალაქებსა და დასახლებებს. სოფელი მარტვილი გარშემორტყმულია მთებითა და მდინარეებით, რომლებზეც ხიდი არ არსებობს. ავადმყოფობის შემთხვევაში ექიმის მოწვევა ხდება ქუთაისიდან ან სენაკიდან, რადგან მარტვილს ექიმის შტატი არ გააჩნია. ეს კი საკმაოდ დიდ დროს მოითხოვს. ამგვარი ყოფითი პრობლემების მოუგვარებლობა იწვევს სწორედ მასწავლებელთა სიმცირეს [ნიკოლაძე 1970: 434]. ამ წერილით ავტორი მთელს ქართულ საზოგადოებას აცნობს სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის მძიმე მდგომარეობას და მათ რეაგირებისაკენ მოუწოდებს.

სასულიერო სასწავლებლებში სწავლების პროცესს გამოეხმაურა ნიკოლაძე მომდევნო წერილით, რომლის სათაურია „ენების სწავლება ჩვენს სასულიერო-სასწავლო დაწესებულებებში“. იგი სასწავლებელთა ხელმძღვანელობას აკრიტიკებს იმის გამო, რომ იქ პირველ „პლანზე“ არ დგას ქართული ენის შესწავლა. **„ჩვენი მართლმადიდებლური სასულიერო-სასწავლო დაწესებულებანი დაარსებულია იმისათვის, რომ ჩვენს მართლმადიდებლურ ქვეყანას მოემსახუროს... რადგან ჩვენი ქვეყნის მართლმადიდებლური მოსახლეობის ოთხმოცდაცხრამეტი და ცხრა მეათედი პროცენტი ქართულად ლაპარაკობს, ამიტომ ამ ენის სწავლებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს“** — წერს ნიკოლაძე [ნიკოლაძე 1970:452].

ზემოთ მოყვანილი წერილები საუკუნეზე მეტი ხნის წინ არის დაწერილი, მაგრამ პრობლემატიკა 2020 წელსაც აქტუალურია. ქართველ პუბლიცისტს აქვს ერთი მიზანი. ეს მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენს ქვეყანაში არსებულმა საერო თუ სასულიერო სასწავლებლებმა აღზარდოს მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობით მქონე მოქალაქეები, რომელებიც

წარმატებულ ქვეყანას ააშენებენ. თანამედროვე ეროვნული სასწავლო გეგმის მიზანიც ხომ სწორედ ეს არის.

ლიტერატურა

1. ნიკოლაძე ნ.,-კავკასიის უნივერსიტეტი. თბულებანი, ტ.V. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. თბილისი 1966. გვ. 485.
2. ნიკოლაძე ნ.,-კავკასიის უნივერსიტეტი. თბულებანი, ტ.VIII. „საგამომცემლო ცენტრი ქუთაისი“. ქუთაისი. 2003. გვ. 69-70.
3. ნიკოლაძე ნ.,-ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლები. თბულებანი, ტ.VI. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. თბილისი. 1970. გვ.242.
4. ნიკოლაძე ნ.,-სახალხო სკოლის არსებითი საჭიროება. თბულებანი, ტ.VIII. „საგამომცემლო ცენტრი ქუთაისი“. ქუთაისი. 2003. გვ.325-327.
5. ნიკოლაძე ნ., სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელი. თბულებანი, ტ.VI. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. თბილისი. 1970. გვ.430.
6. ნიკოლაძე ნ., ენების სწავლება ჩვენს სასულიერო-სასწავლო დაწესებულებებში. თბულებანი, ტ.VI. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. თბილისი. 1970. გვ. 452.
7. ბასილაძე გ., ნიკო ნიკოლაძის ეროვნული კონცეფცია და მისი საზოგადოებრივ-პუბლიცისტური მოღვაწეობა XIX საუკუნის 70-80-იან წლებში. ქუთაისი. 2018

Giga Basiladze

Educational issues in Niko Nikolodze's publicism

Abstract

Education plays a vital role in the success and free development of a government. A state's ethno-cultural strength and originality is actually based on the educated society. Contemporary Georgia is a young state, that had to overcome great difficulties and obstacles, before restoring its independence. First within the Russian empire, then within the USSR. The abolition of Georgian kingdom-principality by Russia in 1801-1810 was the new reality for Georgians. Henceforth progressive academic ideas were dictated by Russia. During this period there were hardly any Georgian primary or secondary schools. It was not until the 60s of XIX century, when so called public schools were established in Georgia. This is the very problem that our article is focused on. The article expands on Niko Nikoladze's newspaper letters, written in the 70s-80s of XIX century, devoted to academic institutions.

რეცენზენტი: ო. გუსევა

„მათეტიკა“ და „კოგნიტივიზმი“

იმერი ბასილაძე, თამარ ღვინიაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
imeri_basiladze@yahoo.com; t.gvinianidze@gmail.com

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს, თუ რამდენად ესადაგება ერთმანეთს „მათეტიკა“ და კოგნიტივიზმი, როგორც თეორიები, რომლებიც ეფუძნებიან შემეცნებას.

კოგნიტური განვითარების თეორიამ დიდი გავლენა მოახდინა თანამედროვე განათლების სფეროზე. პირველ რიგში მან მეტი თავისუფლება მიანიჭა მოსწავლეებს, რომ არჩევანი გაეკეთებინათ სწავლის პროცესში.

აღნიშნული თეორიის მოთხოვნები, ჩვენი აზრით, ჯერ კიდევ კომენიუსმა ჩამოაყალიბა მათეტიკაში, როდესაც მან პირველმა, მოსწავლის სასწავლო მიზნებიდან გამომდინარე გაითვალისწინა, როგორც მოსწავლის ინტერესები, ასევე ის მოთხოვნილებები, რომლებიც საჭირო იქნება მისი პროვინებად განვითარების პროცესში, როგორც მიმდინარე, ისე სამომავლო პერსპექტივების გათვლით. მოსწავლე დააყენა სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ცენტრში. დიდი მნიშვნელობა მიანიჭა მოსწავლეთა დამოუკიდებლობასა და ინიციატივას, აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. გაითვალისწინა მოსწავლეთა განვითარების ეტაპები და ყურადღება გაამახვილა მათი აზროვნების პროცესებზე.

„მათეტიკა“ არის კოგნიტივიზმის საფუძველი, სწავლა/ სწავლების პროცესში, საგნების შემეცნების გზით, პროვინების ფორმირებისა და განათლების შედეგების მიღწევის ინსტრუმენტი.

საკვანძო სიტყვები: კოგნიტივიზმი, კომენიუსი, პროვინული განვითარება

1680 წელს, კომენიუსის გარდაცვალებიდან ათი წლის შემდეგ, კრისტიან ვლადისლავ ნიგრინუსმა (ჩეხი სწავლული) გამოსცა მცირე ზომის საექსპერიმენტო წიგნის 100 ეგზემპლარი, სახელწოდებით „Spicilegium didacticum“. წიგნი შეიცავს კომენიუსისეულ ერთ-ერთ ძალიან

საყურადღებო ტექსტს, ე.წ., „მათეტიკას“. მას ეძღვნება პირველი თავი, სადაც კომენიუსი იძლევა მათეტიკისა და დიდაქტიკის შემდეგ განმარტებას: ბერძნული სიტყვა "Mathetica" პირდაპირი თარგმნით ნიშნავს "მოწაფეობას", რომელიც ასევე შეიძლება განიმარტოს, როგორც სწავლის უნარი [Месяков 2017:113]. ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, „მათეტიკა“ არის სწავლის მეცნიერება, ხელოვნება, ტექნიკა, იცოდეთ ან ეძებდეთ მეცნიერების საკითხებს, ხოლო „დიდაქტიკა“ არის სწავლების ხელოვნება, გადავცეთ ისე, რომ სხვებმაც ისწავლოს [Fino 2017: 26]. 300 წელზე მეტი ხნის წინათ, კომენიუსის აზრით, ორი მნიშვნელოვანი პროცესი იყო სწავლის დროს: სწავლების ხელოვნება (დიდაქტიკა) და სწავლის ხელოვნება (მათეტიკა). როგორც ჩანს, კომენიუსმა დაინახა აუცილებლობა უფრო ღრმად შეესწავლა, თუ როგორ იძენს ცოდნას ადამიანი. პრაქტიკულად მან განათლებასთან მიმართებაში საფუძვლები ჩაუყარა „მეცნიერებას შემეცნების შესახებ“ და ამ მიმართულებას "მათეტიკა" უწოდა, როგორც ჩანს, დიდაქტიკის ანალოგიით, რომელიც ითარგმნება როგორც „მასწავლებლობა,“ "მეცნიერება, თუ როგორ ვასწავლოთ" [Месяков 2017: 113].

იან ამოს კომენიუსის „მათეტიკის“ მიხედვით „სწავლა“ არის რაიმე (საგნის) ცოდნის ძიება, ან მცდელობა თუ, როგორ უნდა შევიმეცნოთ ესა თუ ის საგანი [Spicilegim Didacticum 1680: 1].

განსხვავებას „დიდაქტიკასა“ და „მათეტიკას“ შორის იმაში ხედავდნენ, რომ დიდაქტიკა სასწავლო პროცესის ცენტრში აყენებს მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობას და მასწავლებლის ცოდნა განმსაზღვრელია ცოდნის გადაცემის პროცესში. ხოლო „მათეტიკა“, თავისი არსით, ორიენტირებულია პირზე, რომელიც სწავლობს“ [ბასილაძე 2020: 26].

„ძირითადი მნიშვნელობით მათეტიკა თავის თავში აერთიანებს დღესდღეობით არსებული სწავლის ყველა სახეობას, ანუ იგი გულისხმობს სწავლას, როგორც მასწავლებლის თანხლებით, ისე მის გარეშე და მოიცავს „ჰუმანურ“ დასწავლას, რომელიც ორიენტირებულია სწავლის მიღების მსურველის მოთხოვნილებებზე [ბასილაძე 2020: 26].

პედაგოგიკის კლასიკოსის იან ამოს კომენიუსის „მათეტიკა“- სწავლის თეორია, ჯერჯერობით სათანადოდ არ არის შესწავლილი. იგი დღემდე არ იყო ცნობილი ქართული პედაგოგიკური აზროვნებისათვის. მხოლოდ 2020 წლის დასაწყისში ქართულ ენაზე გამოვიდა პროფესორების იმერ ბასილაძის და ეთერ ღვინერიას წიგნი „იან ამოს კომენიუსის „მათეტიკა“(სწავლის თეორია)“. მასში შესწავლილი და გადმოცემულია დიდი მოაზროვნის მიერ დამუშავებული სწავლის პრობლემური საკითხები.

ამ ეტაპზე, ჩვენ კვლევის მიზანს წარმოადგენს, თუ რამდენად ესადაგება ერთმანეთს „მათეტიკა“ და კოგნიტივიზმი, როგორც თეორიები, რომლებიც ეფუძნებიან შემეცნებას. ამასთან

მიგვაჩნია, რომ იან ამოს კომენიუსი შეიძლება ჩაითვალოს კოგნიტივიზმის (შემეცნების) თეორიის ფუძემდებლად.

„მათეტიკას“, თუ განვიხილავთ ისტორიული თვალსაზრისით შეიძლება, იგი ჩავთვალოთ მნიშვნელოვან გარდატეხად პედაგოგიკის მეცნიერების განვითარებაში დაწყებული ანტიკური ფილოსოფიის შემეცნებიდან თანამედროვე შემეცნების თეორიამდე (კოგნიტივიზმი).

კომენიუსი სიღრმისეულად ხედავს საგნის შემეცნებას, რაც მკვლევარებს აძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ის ჩაითვალოს კოგნიტივიზმის (შემეცნების) თეორიის ფუძემდებლად. კოგნიტივიზმის არსი და მნიშვნელობა ჩვენი აზრით, ქართულ პედაგოგიკურ სინამდვილეში ასოცირდება პედაგოგიკასა და დიდაქტიკასთან [ბასილაძე 2020: 143].

კოგნიცია ეს არის ყველა ის პროცესი, რომელთა მიმდინარეობისას სენსორული მონაცემები აღწევენ თავის ტვინში გარდაიქმნებიან სხვადასხვა ტიპის მენტალური რეპრეზენტაციების სახეებში და აუცილებლობის შემთხვევაში ინარჩუნებენ თავიანთ თავს ადამიანის მეხსიერებაში.

კოგნიტური განვითარების თეორიამ დიდი გავლენა მოახდინა თანამედროვე განათლების სფეროზე. პირველ რიგში მან მეტი თავისუფლება მიანიჭა მოსწავლეებს „ რომ არჩევანი გაეკეთებინათ სწავლის პროცესში. სასწავლო პროგრამები უფრო მოქნილი გახდა. სასწავლო პროცესში თანდათან იხერგება ჯგუფური მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა და სწავლა ერთმანეთს დაუკავშირდა. ყურადღება გამახვილდა პრობლემის გადაწყვეტისა და გადაწყვეტილებების მიღების უნარების ჩამოყალიბებაზე [დოლიძე 2013: 33].

აღნიშნული თეორიის მოთხოვნები, ჩვენი აზრით, ჯერ კიდევ კომენიუსმა ჩამოაყალიბა მათეტიკაში, როდესაც მან პირველმა, მოსწავლის სასწავლო მიზნებიდან გამომდინარე გაითვალისწინა, როგორც მოსწავლის ინტერესები, ასევე ის მოთხოვნილებები, რომლებიც საჭირო იქნება მისი პროვინებად განვითარების პროცესში, როგორც მიმდინარე, ისე სამომავლო პერსპექტივების გათვლით. მოსწავლე დააყენა სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ცენტრში. დიდი მნიშვნელობა მიანიჭა მოსწავლთა დამოუკიდებლობასა და ინიციატივას, აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. გაითვალისწინა მოსწავლეთა განვითარების ეტაპები და ყურადღება გაამახვილა მათი აზროვნების პროცესებზე.

ვინაიდან პედაგოგიკა არის მეცნიერება პროვინების აღზრდის, სწავლებისა და განათლების შესახებ [ბასილაძე., კობერიძე 2004 : 6], რომელიც ემსახურება პროვინებად ჩამოყალიბების პროცესს, არის ღვთაებრივი მოვლენა [ი. ბასილაძე], წარმოადგენს ადამიანის სულისა და სხეულის ინჟინერიას და ეყრდნობა ცოდნას შემეცნების შესახებ, არის კოგნიტივისტური ფუნდამენტალური მეცნიერება მომავალი განათლებული თაობების

აღსაზრდელად და საჭიროა მისი არსებობა ქვეყნის სიძლიერის მხარდასაჭერად. მიგვაჩნია, რომ კომენიუსის მიერ წარმოჩენილი დაუკრეფავი თავთავები, სწავლის თეორიის (სწავლის ხელოვნების) შემეცნების თვალსაზრისით, არის კლასიკური პედაგოგიკის გენიალური ნაწარმოები, რომელმაც დაასაბუთა შეგრძნებების მნიშვნელობა სწავლის პროცესში და მოახდინა თანამედროვე წარმოდგენების რეკონსტრუქცია მსოფლიო პედაგოგიკურ აზროვნებაში.

ეჭვგარეშეა, რომ კომენიუსის „მათეტიკა“ ემსახურება პიროვნების სწავლა/სწავლების მიზანს. მკვლევარების მესკოვის, ზისკინის და საბანიანას აზრით [Меськов, Зискин, Сабанина 2018 : 68] კომენიუსი ცდილობდა, რომ მათი საშუალებით ადამიანი მოემზადებინა სამ სამყაროში საცხოვრებლად [Меськов, Зискин, Сабанина 2018 : 68]:

- საგნებით სავსე სამყაროში;
- ხალხით სავსე სამყაროში, რომელშიც განმსაზღვრელი იქნება ღვთაებრივი განწყობით გაწერილი კანონები;
- საერთო ჭეშმარიტების სამყაროში.

ამ შემთხვევაში, კომენიუსის მიხედვით პიროვნება(მოსწავლე) არ უნდა იყოს სტატიკური, ის სწავლის პროცესში უნდა მიდიოდეს აღმავალი გზით, როდესაც მოსწავლე ეუფლება თავის გრძნობებს, განამტკიცებს გონებას და თავის საქმიანობას ანიჭებს აზრს (შინაარსს). თუ ჩვენ ოდნავ წინ გავუსწრებთ კომენიუსის გადმოსახედიდან მის ეპოქას და შევადარებთ თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომებს, დავინახავთ თანხვედრას, თუმცა არის რამდენიმე მნიშვნელოვანი სხვაობა [Меськов, Зискин, Сабанина 2018 : 68]:

- შემეცნების პროცესის განხილვისას კომენიუსს არ შეეძლო განეჭვრიტა, რომ ცოდნისა და გამოცდილების სისწრაფე მოითხოვდა ახალ ლოგიკას და მეთოდოლოგიებს საგნებით ოპერირების პროცესში;

- იგი ზოგადად შეეხო შემეცნების ერთ-ერთი საშუალების რწმენის, კანონებისა და ფასეულობის როლს კულტურის განვითარებაში, რადგან ვერ წარმოიდგენდა მის ეპოქაში საზოგადოების განვითარების ასეთ დაჩქარებულ ეტაპს. ამიტომ წერდა, რომ „ეს ცნებები ჩვენს მიერ არის შემოტანილი სწავლის პროცესში და, თუ მოსწავლე მას დააკავშირებს წინარეს, ისინი საოცრად გააძლიერებენ გონების სინათლეს“ [Меськов, Зискин, Сабанина 2018 :68]; ჩვენ გარკვეულ წილად ვიზიარებთ მკვლევარების მესკოვის, ზისკინის და საბანიანას ზემოთ განხილულ მოსაზრებას, მაგრამ ვერ დავეთანხმებით იმ თვალსაზრისით, რომ წინარე ცოდნის გამოყენება არ არის საჭირო სწავლა/სწავლების პროცესში. პირიქით, ჩვენ ობიექტურად უნდა შევაფასოთ წინარე ცნებები და მასზე დაყრდნობით დავსახავთ სამომავლო ამოცანები.

• კომენიუსს არ შეეძლო განევიტარებინა მოსწავლე - ობიექტისგან, მოსწავლე სუბიექტზე განწყობის (დღეს საკმაოდ წინ წავიდა კოგნიტივისტური თეორიიდან გამომდინარე-ი.ბ.) პროცესის გაგება იმ დროის რელიგიური წარმოსახვის იქით. ამ შემთხვევაშიც გარკვეულწილად ჩვენ ვერ გავიზიარებთ მათ შეხედულებას, რადგან ბიბლიის თანახმად შემეცნება ღვთის ხატად და მსგავსად ხდის ადამიანს, ღმერთან აკავშირებს მას. „ადამიანი, როგორც ასეთი, თავისუფალია და სულიერი თავისუფლება შეადგენს მისი ბუნების მთავარ ბირთვს. ეს არის ადამიანის უღრმესი და საბოლოო განხორციელება, რის იქითაც მისი თვითგამორკვევა, გათვითცნობიერება და განვიტარება ვერ წავა. ადამიანს უკვე ესმის, რომ მისი უმთავრესი და უმაღლესი საქმე მასშივე არსებული განძის - თავისუფლების აღმოჩენაა [ხასაია 2018: 114]. ჩვენ, ვფიქრობთ, რომ სწორედ, მოსწავლის, ამ თავისუფლების, პოვნას გულისხმობდა კომენიუსი თავის „მათეტიკაში“, როდესაც სურდა, რომ სასწავლო - სააღმზრდელო პროცესი, სასიამოვნო, მოსწავლეზე ორიენტირებული გაეხადა.

„მათეტიკის“ სუბიექტი კომენიუსის მიხედვით არის ადამიანი (მოსწავლე), რომელმაც უნდა დააკმაყოფილოს „მოსწავლის“თვისებები, ე.ი., უნდა გახდეს ცოდნის მაძიებელი, შემეცნებელი, რომ შემდგომში ღმერთის მიერ ბოძებული გრძნობებით, ინტელექტით, ნებისყოფით, ენით და აქტივობით პრაქტიკულად მოიხმაროს გრძნობების დახმარებით საგნებზე მიღებული ცოდნა, განიხილოს და შეაფასოს იგი.

მამასადამე, „მათეტიკა“ არის კოგნიტივიზმის საფუძველი, სწავლა/ სწავლების პროცესში, საგნების შემეცნების გზით, პიროვნების ფორმირებისა და განათლების შედეგების მიღწევის ინსტრუმენტი.

ლიტერატურა:

1. ბასილაძე ი., ღვინერია ე., იან ამოს კომენიუსის „მათეტიკა“ (სწავლის თეორია), ქუთაისი, 2020.
2. ბასილაძე ი., კობრიძე ქ., პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები, ქუთაისი, 2004.
3. დოლიძე ნ., ინდუქციური მეთოდების გამოყენება 5-6 წლის ბავშვების სწავლა-აღზრდის პროცესში /პროექტზე დაფუძნებული სწავლების“ მაგალითზე/ განათლების მეცნიერებების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, თბუ თბილისი, 2017.
4. [ხასაია ზ., ვეფხისტყაოსანი და ფაუსტი, თბილისი, 2018.](#)
5. Меськов В.С., Зискин К.Е., Сабанина Н.Р., ВВЕДЕНИЕ В МАТЕТИКУ, Книга 1, Научно-методологическое издание, Москва, 2018., УДК 16:1(091) ББК 74.03 М53

6. Meskov V. S., Sabanina N. R., THE MATHEMATICS OF JAN AMOS COMENIUS: LEARNING – THEORY OF COGNITION, УДК 16:1(091) ББК 74.03, Наука и Школа № 3., 2017.
7. Spicilegium Didacticum 1680: Spicilegium Didacticum., Artium Difcendi ac Docendi Summam brevibus Preceptis exhibens. e MSSstis Cl.J. A.Comenni colleElum editium, a C.V.N. Amstelodami, Typis Christophori Cunradi, 1680., <https://books.google.com>
8. Fino 2017: Carlos Nogueira Fino , CONSTRUCTIONISM AND THE SHIFTING FROM DIDACTICS TO MATHEMATICS, *International Journal of Development Research* Vol. 07, Issue, 10, pp.16250-16255, October, 2017, ISSN: 2230-9926, Available online at <http://www.journalijdr.com>

Imer Basiladze, Tamar Gvinianidze

"Mathematics" and Cognitivism

Abstract

The aim of our research is to find out how "mathematics" and cognitivism fit together as theories based on cognition.

Cognitive development theory has had a major impact on the field of modern education. First, it gave students more freedom to choose between learning.

The requirements of this theory, in our opinion, were formed by Comenius in mathematics when he first considered the interests of the student based on the student's learning goals, as well as the needs that will be needed in the development of his personality, both current and future. The student was placed in the center of the educational process. Great importance was attached to student independence and initiative, active involvement in the learning process. Considering the stages of students' development and focusing on their thinking processes.

"Mathematics" is the basis of cognitivism, a tool in the process of learning / teaching, through the cognition of subjects, the formation of personality and the achievement of educational outcomes.

რეცენზენტი: ლ. კიროვა

The Impact of Classroom Management on Language Learning

Natia Gabashvili

Iakob Gogebashvili Telavi State University

natia_gabashvili@yahoo.com

The article deals with the EFL classroom management as a positive climate for learning. In the English language teaching methodology classroom management occupies a very important place. It is such techniques teachers use to maintain control in the classroom as well as arise big motivation and interest in the subject. Academic achievement, teacher efficacy, teacher and student behavior are directly linked with the concept of classroom management. For the students, lack of effective classroom management can mean that learning is reduced in the classroom. For the teacher, it can cause unhappiness and stress and eventually lead to individuals leaving the teaching profession. Components and characteristics of classroom management are discusses in this paper as well as we offer a small questionnaire with the students that shows students dependence towards EFL teaching.

Teachers have great responsibilities in creating appropriate EFL classroom environment. A good manager teacher should develop lessons that appeal to students' interests and goals. Thus, all the successful teaching should be managed by teachers whose role in the classroom organization is crucially important.

Being a teacher and therefore having skills of fruitful classroom management is crucial in teaching methodology. Classroom management creates a set of expectations used in an organized classroom environment. It includes routines, rules and consequences. Effective classroom management paves the way for the teacher to engage the students in learning. It comprises techniques teachers use to maintain control in the classroom as well as arise big motivation and interest in the subject.

Classroom management strategies help create an organized classroom environment that's conducive to teaching. Classroom management aims at encouraging and establishing student self-control through a process of promoting positive student achievement and behavior. Thus academic achievement, teacher

efficacy, teacher and student behavior are directly linked with the concept of classroom management. For the students, lack of effective classroom management can mean that learning is reduced in the classroom. For the teacher, it can cause unhappiness and stress and eventually lead to individuals leaving the teaching profession.

Classroom management focuses on three major components: content management, conduct management, and covenant management.

"Content management occurs when teachers manage space, materials, equipment, the movement of people, and lessons that are part of a curriculum or program of studies".

"Conduct management refers to the set of procedural skills that teachers employ in their attempt to address and resolve discipline problems in the classroom".

"Covenant management focuses on the classroom group as a social system that has its own features that teachers have to take into account when managing interpersonal relationships in the classroom" (Froyen & Iverson, 1999).

Classroom management certainly involves discipline, control and punishment to a great extent. In the traditional theory of classroom management, the aim of classroom management primarily means achieving class control and order. However, the concept of classroom management has shifted to "establishing a positive climate for learning" (Everstone, C.M. and E.T. Emmor. 1982.) and it concludes that "the critical element of the teacher's role thus shifts from control to management—management of time, space, materials, auxiliary personnel, and students" (Duke, D.K. 1982).

It is commonly accepted nowadays that the ability to communicate is the primary goal of foreign language learning. EFL learning is now more regarded as a process of acquiring linguistic and communicative competences (Krahen, S.D. 1976). These competences, as most contemporary linguists agree, can be acquired only through linguistic and communicative performance, namely, "the actual use of the language" (Chomsky, N. 1959). Although different language teaching methodologies vary greatly in how to make actual use of the target language in order to achieve the competences, they, indeed, all recognize the primary importance of active practice and interactions in language learning. Therefore, EFL class must inevitably be of a communicative nature. Because EFL learners often lack the informal linguistic environment, and thus have little chance to use the target language in daily life, they have to depend entirely on classroom activities. For most of them, the classroom is the only environment in which they can practice communicating in the target language. So an EFL teacher must bear it in mind that neither control nor discipline but setting a climate appropriate for learning in the class is his most important task for classroom management. Of an effective EFL learning environment, Littlewood

[Littlewood, W.T. 1984] has identified a number of characteristics:

1. The learner feels strongly a communicative need using the target language in the class.
2. Adequate opportunities are provided for the learners to use the target language for personal communication.
3. There is an easy climate in the class in which the learners enjoy participating in the classroom activities.

When the learner has a clear communicative need for the target language, he is most likely to learn the language spontaneously. He tends to take active part in all classroom activities and make active responses to the teacher's instruction. So an EFL class should be student-centered rather than teacher-centered. The teacher should reduce his talk to minimum and give the students adequate opportunities to practice on the instruction and produce their own ideas.

We can conclude from all these that EFL teachers should provide the students attitude towards EFL studies while managing EFL classroom. Teachers should mainly concentrate on creating communicative atmosphere in the classroom and use target language all the time, i.e. use listening activities and enhance the use of English while teaching, minimize the use of mother language and make students acquire a foreign language in the specially created foreign language classroom atmosphere.

First of all teachers should arise motivation in students, which is key component for the students' success. The students must be motivated to communicate with their peers as well as their teacher in the target language. Motivation comes from communicative needs; communicative needs can be set up by choosing right teaching materials, which should be up-to-date, comprehensible and relevant to the learner's interest. The classroom activities must be able to attract the students' attention and involve them into actual communication. "There is ample research evidence to show that the performance of students is at least partly dependent on the teacher's confidence in their ability" (Abbott, Gerry and P. Wingard. 1985). Give them a chance and they will surprise you. In the classroom, anxiety hinders learning and makes the learners reluctant to express themselves. The teacher, therefore, should try to avoid placing anxiety on them. Being over-critical is often one of the major sources of anxiety in EFL classes.

In order to develop the four language skills--listening, speaking, reading and writing -- of the students, an EFL lesson should be composed of various activities which require an active participation of the students. So the students usually have more opportunities in an EFL class than classes of other subject to speak, to talk, to read aloud or even to argue with each other. The class may appear to be in lack of order and too noisy for a normal class. Of course, this does not mean that an EFL class can do without discipline or class order. The problem is how discipline is achieved and what discipline it is. Over-

discipline often causes anxiety in the students and the anxiety of the students is fatally harmful for effective EFL learning.

Thus, it should be concluded that, a successful teacher should be well-organized, dependable, and able to effectively manage the classroom. In a well-managed classroom, students know what is expected of them and respond with pre-established procedures throughout the lesson. A properly managed classroom motivates student cooperation and teamwork. If the teacher is positive, enthusiastic, and teaches with a smile, the energy will spread to the students. This positive energy can motivate students and make the classroom environment more pleasant.

A good manager teacher should develop lessons that appeal to students' interests and goals. Students should have the opportunity to use the language in genuine tasks and gain fluency without worry of mistakes. Students are excited to be in a foreign teacher's class and will respond more positively to meaningful tasks that allow them to "use" the language. It is best to associate new information with something students already know, and avoid too much grammatical explanation and activities without a clear purpose.

References:

1. Abbott, Gerry and P.Wingard. 1985. The teaching of English as an international language. London : Collins).
2. Chomsky, N. 1959. A review of B.F. Skinner's Verbal Behavior. Language 35:26-58.
3. Duke, D.K. 1982. Helping teachers manage classroom. Virginia: ASCD Publications, p.vii
4. Everstone, C.M. and E.T. Emmor. 1982. Preventive classroom management. D.K.(ed.).
5. Froyen, L. A., & Iverson, A. M. 1999. School wide and classroom management: The reflective educator-leader (3rd ed.). Upper Saddle River, NJ: Prentice-Hall. p. 181, 128
6. Krahen, S.D. 1976. Formal and informal linguistic environments in language acquisition and learning TESOL QUARTERLY.
7. Littlewood, W.T. 1984. Foreign and second language learning. Cambridge: Cambridge University Press.

**საკლასო მენეჯმენტის გავლენა ენის სწავლებისას
იაკობ გოგებაშვილის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

სტატიაში განხილულია საკლასო მენეჯმენტის დადებით გარემოს გავლენა უცხო ენის სწავლების პროცესში. ინგლისური ენის სწავლების მეთოდოლოგიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საკლასო მენეჯმენტს. ეს ის ტექნიკაა, რომელსაც მასწავლებლები იყენებენ საკლასო ოთახში კონტროლის შესანარჩუნებლად, და ამავდროულად განპირობებულია დიდი მოტივაციითა და საგნისადმი ინტერესით. საკლასო მენეჯმენტის კონცეფცია პირდაპირ კავშირშია კადემიური მიღწევებთან, მასწავლებლის ეფექტურობასთან, მასწავლებლისა და სტუდენტის ქცევასთან. სტუდენტებს, ეფექტური მენეჯმენტის ნაკლებობამ შესაძლოა გაუჩინოს სწავლის შემცირების განცდა. ხოლო მასწავლებელში, ამან შეიძლება გამოიწვიოს უკმაყოფილება და სტრესი და საბოლოოდ, მასწავლებლის პროფესიის დატოვებამდეც კი მიგვიყვანოს. ნაშრომში განხილულია საკლასო მენეჯმენტის კომპონენტები და მახასიათებლები, ასევე სტუდენტებს ვთავაზობთ მცირე კითხვარს, რომელიც გვიჩვენებს სტუდენტთა დამოკიდებულებას ინგლისურის, როგორც უცხო ენის სწავლებისადმი.

მასწავლებლებს დიდი პასუხისმგებლობა აქვთ უცხო ენის სწავლებისას სათანადო გარემოს შექმნის საქმეში. მასწავლებელმა, როგორც კარგმა მენეჯერმა, უნდა წარმართოს ისეთი გაკვეთილები, რომლებიც მორგებული იქნება სტუდენტების ინტერესებსა და მიზნებს. ამრიგად, წარმატებულ სწავლებას განაპირობებენ პედაგოგები, რომელთა როლი საკლასო პროცესის ორგანიზებაში უაღრესად მნიშვნელოვანია.

რეცენზენტი: პროფ. ო. გუსევა

პიროვნების პროფესიული ინტერესებისა და მოტივაციის ზოგიერთი ასპექტის შესახებ

მირანდა გობიანი, გურანდა გობიანი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისის უნივერსიტეტი

E-Mail: miranda.gobiani@atsu.edu.ge

E-Mail: guranda.gobiani@unik.edu.ge

სქესი და ასაკი არის ადამიანის სხვადასხვა ფსიქოლოგიური ასპექტის ერთობლიობა და მოიცავს პიროვნების ინტერესებსა და მოტივაციას. მოტივაციის საკითხში განსაკუთრებულ როლს ასრულებს პიროვნების თვითდაჯერებულობა და თვითშეფასება. ამ ასპექტებს რამდენიმე ძირითადი ფაქტორი განაპირობებს: კულტურული გარემო, მშობლების მრწამსი და ქცევა, ინდივიდუალური ფაქტორები, წარსული ცხოვრებისეული გამოცდილება, რაც შემდგომში განსაზღვრავს ინდივიდის მიზნებს, რომელსაც თან სდევს წარმატების მოლოდინი და შესასრულებელი დავალების ანუ მისაღწევი მიზნის სუბიექტური შეფასება.

მოდელში მოცემული ფაქტორების შეჯამებით ნათლად ჩანს, რომ პიროვნება მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს (მაგ, პროფესიის არჩევანი და სხვა) არ იღებს იზოლირებულად, ეს პროცესი მრავალ სხვა ფიზიკურ თუ ფსიქოლოგიურ ასპექტს უკავშირდება. სოციალური სქესს და ასაკს ყოველთვის აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა პროფესიული ინტერესისა და მოტივაციის განსაზღვრის დროს. პროფესიის არჩევა არ არის დამოკიდებული მხოლოდ პროფესიის სირთულეზე

საკვანძო სიტყვები: ინტერესი, მოტივაცია, სქესი, ასაკი, პიროვნული კომპეტენციები, ფსიქოლოგიური ასპექტები, პროფესიული ორიენტაცია.

მოტივაცია, ინტერესები და მათი განმაპირობებელი ფაქტორები მნიშვნელოვანი საკითხებია თანამედროვე პედაგოგიურ ფსიქოლოგიაში. მოტივაციისა და ინტერესების

წყაროები მრავალფეროვანია, შეუძლებელია, ადამიანის მრავალგვაროვანი ბუნების გათვალისწინებით, მოტივაციის გამომწვევი ერთი კონკრეტული მიზეზის დადგენა, მაგრამ სქესი და ასაკი, უმეტეს შემთხვევაში, ნამდვილად გადამწყვეტ როლს ასრულებს ინტერესებისა და მოტივაციის განსაზღვრაში .

გენდერული იდენტურობის განვითარება, განსაკუთრებით პუბერტეტის ასაკში, უშუალო კავშირშია პიროვნულ განვითარებასთან. შესაბამისად, სქესი და ასაკი პიროვნულობის ასპექტებია. ფსიქოლოგიის მიხედვით შეთანხმება ხდება გენეტიკურ სქესს, სქესობრივ იდენტურობასა და სქესობრივ როლებს შორის. ვიღაც დაიბადა როგორც ქალი ან მამაკაცი (გენეტიკური), გრძნობს თავს ქალად ან მამაკაცად (სქესობრივი იდენტურობა) და იქცევა ისე, როგორც მიღებულია მის სუბკულტურაში (სქესის როლი). სქესის როლი სუბკულტურაზე დამოკიდებული და ცვლადი ფენომენია. ფსიქოლოგების უმეტესობა სქესს სოციალურ კატეგორიად მიიჩნევს და თვლის, რომ სქესი გამოკვლეული უნდა იქნას სოციალური ინტერაქციის პროცესში.

სქესი და ასაკი სხვადასხვა ფსიქოლოგიური პერსპექტივების ერთიანობაა, შესაბამისად, კომპლექსური ფენომენია. საკუთარი სქესის იდენტიფიკაცია პიროვნულობის ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია. სწორედ პიროვნულობის ასპექტში განხილული სქესი და ასაკი მოიცავს ინდივიდის ინტერესებსა და მოტივაციას. ინტერესები, თავის მხრივ, მნიშვნელოვანი ფაქტორია პიროვნულობის დეფინიციისათვის.

ინტერესების ჩამოყალიბება დაკავშირებულია სქესობრივ იდენტურობასთან და ასაკთან. სქესობრივი როლი და სოციალური ასაკი სპეციფიკური ინტერესებით გამოირჩევა. მაგალითად, მამაკაცი ტექნიკის მიმართ იჩენს როგორც ზოგად, ასევე სპეციფიკურ ინტერესს. ის მამაკაცური სქესის როლთან ასოცირდება, პროფესიული დასაქმების საკითხში მამაკაცური იდენტურობის შემქმნელია. ქალისთვის ტექნიკა მხოლოდ მაშინ უკავშირდება სქესის როლსა და სქესის იდენტურობას, როცა იცვლება სქესის როლები ან ხდება მამის მაგალითზე სქესის იდენტიფიკაცია. ტექნოკრატი ქალების უმეტესობა ტექნიკით დაინტერესებას მამის ზეგავლენით ხსნის¹.

თანამედროვე გლობალიზაციის ეპოქაში ახალგაზრდების კომპიუტერით დაინტერესებამ გვიჩვენა, რომ ბიჭებისთვის ეს საქმიანობა ინტერესისა და სიამოვნების ურთიერთშერწყმას წარმოადგენს. გოგონებისთვის კი იგი საჭიროებით და აუცილებლობითაა განპირობებული.

¹ Todt 1985, 1090

გოგონები ტექნიკურ სფეროებში ცდილობენ მოახდინონ სოციალური ასპექტების ინტეგრირება¹.

ადამიანის წარმატება ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, რამდენად აქვს მას საკუთარი კომპეტენციის რწმენა. პიროვნების წარმოდგენა საკუთარ თავზე უშუალო კავშირშია ინდივიდის მოტივაციასთან. ნებისმიერ ადამიანს ახასიათებს გარკვეული პიროვნული კონცეფცია, კონკრეტული ნიჭი რაიმეს მიმართ, მისწრაფებები, მოტივები და ფასეულობები. წარსული ცხოვრებისეული გამოცდილება აფორმირებს ფასეულობათა სისტემას, რომელზედაც ინდივიდი იორიენტირებული. ამერიკულ სოციალურ ფსიქოლოგიაში ეს კონცეფციები ცნობილია „კარიერული ორიენტაციის“ ან „კარიერული ღუზის“ (Career Anchor) სახელწოდებით. კარიერული ორიენტაცია განისაზღვრება როგორც წარმოდგენა საკუთარ შესაძლებლობებზე, მოტივებზე, ღირებულებებზე, კონკრეტული პროფესიული საქმიანობის არსსა და მოთხოვნილებებზე. საკუთარი კომპეტენციის რწმენის ჩამოყალიბებას ბევრი გარეგანი და შინაგანი ასპექტი განაპირობებს. განსაუთრებით გამოკვეთენ გარემოს, მშობლების, აღმზრდელების, თანატოლების პოზიციებისა და ინტერპრეტაციების ზეგავლენას.

ინდივიდის მოტივაციასა და ინტერესებზე მოქმედი ფაქტორები თავმოყრილია ვიგფილდ/ეკლეს მიერ შემუშავებულ „წარმატებული არჩევანის მოდელში“ (იხილეთ სქემა 1.) ამერიკელი ფსიქოლოგების „წარმატებული არჩევანის მოდელის“ პირველი 4 ფაქტორი გახლავთ: კულტურული გარემო, მშობლის (აღმზრდელის) მრწამსი და ქცევა, ინდივიდუალური ფაქტორები, წარსული ცხოვრებისეული გამოცდილებები. შემდგომი ეტაპია ინდივიდუალური აღქმა კულტურული გარემოსა და აღმზრდელის მრწამსისა და ქცევის. შემდეგ მოდის ინდივიდუალური ფაქტორებისა და წარსული ცხოვრებისეული გამოცდილებების ინდივიდუალურ ინტერპრეტაცია. ეს ყველაფერი, კულტურული გარემოს ინდივიდუალური აღქმა და გამოცდილებების ინდივიდუალური ინტერპრეტაცია, თავის მხრივ, შემდგომში განსაზღვრავს ინდივიდუალური მიზნების ჩამოყალიბებას, როგორცაა, მაგალითად, პიროვნების შესაძლებლობები, მოკლე და გრძელვადიანი მიზნები, საკუთარი “მე-ს” იდეალური სურათი, წარმოდგენა საკუთარ შესაძლებლობებზე, დავალების სირთულის აღქმა და სხვა. მიზანს თან სდევს წარმატების მოლოდინი და შესასრულებელი დავალების ანუ მისაღწევი მიზნის სუბიექტური შეფასება. მოდელის მიხედვით შეფასების სამი კომპონენტი გამოიყოფა:

¹ Sklorz-Weiner 1995, 136

- Der Aneignungswert – კომპეტენციის დემონსტრირება. დაკისრებული დავალების წარმატებული შესრულებით მაღლდება ინდივიდის წარმოდგენა საკუთარ თავზე.
- Die Nützlichkeit – დავალების აქტუალობა და სარგებლიანობა, მისი შესაბამისობა პირად, გრძელვადიან გეგმებთან და მიზნებთან.
- Die Kosten – საფასური, რის ფასად უჯდება ინდივიდს დავალების შესრულება (მაგ: დროის, ემოციის, ენერჯის ხარჯი).

მოდელში არ არის მოცემული დამატებითი კომპონენტები, რომლებიც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია სუბიექტური შეფასების პროცესში, ესენია დავალების შესრულებისას განცდილი სიამოვნებისა და სოციალიზაციის ასპექტები. სოციალიზაციის ასპექტში მნიშვნელოვანია მშობლების რწმენა შვილის შესაძლებლობებისადმი, რომელიც, უმეტეს შემთხვევაში, ან გადაჭარბებულია ან პირიქით, დაუფასებელი.


როგორც დავინახეთ, მოდელში მოცემული ფაქტორების შეჯამებით პიროვნება მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს (მაგ, პროფესიის არჩევანი და სხვა) არ იღებს იზოლირებულად, ეს პროცესი მრავალ სხვა ფიზიკურ თუ ფსიქოლოგიურ ასპექტებს უკავშირდება. დიდი მნიშვნელობა აქვს ასევე, როგორ წარმატებას ელის პიროვნება საკუთარი თავისგან მომავალში.

ადამიანის საქმიანობას განაპირობებს საჭიროება ან ინტერესი. ორივე ინდივიდუალურობის ნაწილია და, შესაბამისად, მნიშვნელოვან როლს თამაშობს საკუთარი იდენტურობის განსაზღვრაში. ინტერესები მჭიდრო კავშირშია პიროვნების ცოდნასთან. ადამიანი თავის ინტერესებს აიგივებს პიროვნულ იდენტურობასთან. საკუთარი თავის დახასიათების დროს იგი შემოიფარგლება არა მხოლოდ ასაკის, სქესის და პროფესიის დასახელებით, არამედ ჩამოთვლის ინტერესებს.

პიროვნების წარმოდგენა საკუთარ თავზე და ინტერესები ერთმანეთზე მუდმივად ზემოქმედებენ. გამოიყოფა ზემოქმედების შემდეგი ასპექტები: 1) ინტერესების ჩამოყალიბება ავითარებს პიროვნების „მეს“ (ინტერესებისა და საკუთარი თავის შეფასების ყველაზე ხშირი ცვლა ხდება პუბერტეტის (გარდატეხის) პერიოდში). 2) ინტერესები არეგულირებს თვითშეფასებას. ადამიანი ისწრაფვის საკუთარი თავი დადებითად Dშეაფასოს. ინტერესები იძლევა პოზიტიური თვითდღეფინიციის მიღწევის საშუალებას, რადგან ადამიანთა უმეტესობა საკუთარ კომპეტენციას თავისი ინტერესების სფეროში უფრო აფასებს, ვიდრე იმ სფეროებში, რომლებიც მას არ აინტერესებს. შესაძლებელია საპირისპირო პროცესიც – ადამიანი აღწევს საკუთარი თავის პოზიტიურ თვითდღეფინიციას მაშინ, როცა ცდილობს დაინტერესდეს იმ სფეროებით, რომელიც მის კომპეტენციაში ნაკლებად შედის.

პროფესიის არჩევანს პროფესიისადმი ინტერესი, შესაძლებლობები და გარემო განაპირობებს. ინტერესის კვლევა, განსხვავებით შესაძლებლობებისა და გარემოს კვლევისაგან, რომელთა ინდიკატორია უნარები და პიროვნული თვისებები, აზუსტებს და გამოკვეთს თურისი კეთება სურს და ურჩევნია მას. გამოკითხული გვიანდელი მოზარდი ასაკის გოგონებისა და ბიჭების ერთი მესამედისთვის არჩევანის საფუძველია ინტერესი, თუმცა მათი ინტერესები განსხვავებულია. ბიჭების უმრავლესობისათვის მნიშვნელოვანია ფინანსურად უზრუნველყოფის საკითხი (ბიჭები – 62%, გოგონები – 55%)¹, ხოლო გოგონებისთვის შემეცნებით – საგანმანათლებლო და ჰუმანიტარული სფერო. გოგონებისა და ბიჭების ეს განსხვავებული გენდერული ინტერესები, რა თქმა უნდა, განსაზღვრავს მათ სამომავლო პროფესიის არჩევანს და „კარიერულ ორიენტაციას“. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში (იხილ. ცხრილი 1.) პროცენტულად აღრიცხულია გერმანიასა და დიდ ბრიტანეთში სხვადასხვა პროფესიის მასწავლებელთა რაოდენობა, სადაც თვალსაჩინოა მამაკაცთა დომინირება ტექნიკურ/საბუნებისმეტყველო დარგებში, ხოლო ქალების პრიორიტეტი ჰუმანიტარულ დარგებში.

სქემა 1. ⁴



⁴ Wiegfield/ Eccles 2000, 69

¹ Baumert 1992, 83

cxrili 1¹

Fach	Anzahl Lehrer	% Frauen	%Männer
Spanisch	2700	78	22
Französisch	16200	75	25
Deutsch	8100	75	25
Andere Sprachen	1300	70	30
Biologie	5100	51	49
Wirtschaftslehre	6400	50	50
Geschichte	13800	46	54
Geographie	14200	44	56

Sozialwissenschaften	11000	48	52
Musik	5600	49	51
Berufsbildung	1900	53	47
Sozialkunde	75200	47	53
Allgemeinbildung	75200	53	47
Sport	20100	42	58
Religion	13400	44	56
Kunsterziehung	9400	56	44

Physik	4400	18	82
Informationstechnologien	10700	31	69
Naturwissenschaften	28900	35	65
Chemie	4600	38	62

მკვლევართა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ პროფესიულ ინტერესთან დაკავშირებულ მოძველებული გენდერული სტერეოტიპები თანამედროვე ახალგაზრდებზეც მოქმედებს.

¹ Pease 2001, 187/188

გოგონები უფრო ნაკლებად თავდაჯერებულნი არიან საკუთარი შესაძლებლობების მიმართ, ვიდრე ბიჭები და ეს არის მიზეზი იმისა, რომ ისინი ხშირად უარს ამბობენ აირჩიონ „რთული“ საბუნებისმეტყველო საგნები და პროფესიები. სხვა მიზეზად სახელდება პრობლემური შეთავსებადობა ოჯახსა და „რთულ“ პროფესიებს შორის¹, ყველა ფაქტორი გასათვალისწინებელი და საგულისხმოა, თუმცა სინამდვილეში საქმე ეხება არა მხოლოდ სირთულეს (ბოლო მონაცემებით გოგონებისა და ბიჭების წარმატებები ტექნიკურ საგნებში თითქმის ერთნაირია, ხოლო ჰუმანიტარულ საგნებში გოგონები უსწრებენ ბიჭებს, განსაკუთრებით ადრეული და შუა მოზარდობის პერიოდში), არამედ გენდერისთვის სპეციფიკური ინტერესებისა და განსხვავებული სქესის წარმომადგენელთა განსხვავებული პროფესიული მოტივაციის არსებობის საკითხს, რომელსაც გადამწყვეტი და უმნიშვნელოვანესი როლი აქვს პიროვნების პროფესიული განვითარების, მისი თვითრეალიზაციისა და კარიერის წარმატებულ დაგეგმვაში.

ლიტერატურა:

1. გობიანი მ.,- დისკურსის გენდერული დინამიკა ახალგაზრდების მეტყველებაში (გერმანული და ქართული ენობრივი მასალის მიხედვით). აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2018. 310 გვ.
2. Baumert, J. (1992): *Koedukation oder Geschlechtertrennung*. Zeitschrift für Pädagogik, 38 (1), 83-110.
3. Fleischer, M. Greuer-Werner (Hg) *Schule im Spannungsfeld von Beratung* . Bonn : deutscher Pszchologen Verlag. S. 253-259
4. Pease A/B (2001): *Warum Männer nicht zuhören und Frauen schlecht einparken*. Econ Ullstein List Verlag GmbH und KG, München
5. Schreyer, Inge (2008): *Geschlechtsspezifische Untersuchung in der beruflichen Interessenentwicklung*. Verlag Dr. Hut, München.
6. Spieß, E (1991): *Problemfeld Studienfachwahl und Berufsmotivation junger Frauen*. In T.
7. Sklorz-Weiner, M (1995): *Jungen und Mädchen und Computer*. Zeitschrift für Pädagogische Psychologie, 2, 129-137
8. Todt, E.(1990): *Entwicklung des Interesses*. In H. Hetyer (Hg) *Angewandte Entwicklungspsychologie des Kindes- und Jugendalters*. Heidelberg: Quelle/meier. S. 213-264.

¹ Spieß 1991, 253

9. Wiegfield, A / Eccles, J.S. (2000): *expectancy-value Theory of Achievement Motivation*. Contemporary Educational Psychology, 25, 68-81

Miranda Gobiani; Guranda gobiani

On some aspects of a person's professional interests and motivation

Abstract

Gender and age are the combination of different psychological perspectives and involves a person's interests and motivation. Self-confidence and self-esteem of a person plays great role in the issue of motivation. These aspects are effected by several factors: cultural surroundings, parent's belief and behavior, individual factors, previous experience and the fact that how a person enjoys fulfilling the task and also, the aspect of socialization. In this case parents' belief in their children's opportunities plays an important role.

The interests of interests are depend or associated gender and age. Social gender and age have always specific interest. Of the career goals of the individual influence: the capabilities of the person, long-term and short-term goals, self-image and the perception of the difficulty of task. Important is the expectation of success and subjective estimate of the target. Here we are secreted following component: the slope value, the utility, the cost.

The profession choice is not depends on the complexity of the profession (Recent data shows that boys and girls succeed equally in technical subject , the girls have better results than boys in humanitarian subjects, especially in the early and middle adolescence period), but it is depend on gender interests and its various professional motivation.

რეცენზენტი: პროფ. ა. დომიძე

ვახტანგ ჭაბუკიანის საბალეტო შემოქმედება და პედაგოგიური მოღვაწეობა

მაგდა თხილავა

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

magda.tkhilava@atsu.edu.ge

ქართული პროფესიული ბალეტის ფუძემდებელი, მოცეკვავე და პედაგოგი, სახალხო არტისტი ვახტანგ ჭაბუკიანი დაიბადა თბილისში, 1910 წლის 12 მარტს. ვახტანგი მარია შევალიეს სახელოსნოში მუშაობდა, სადაც ფიგურებს ამზადებდა. ძალიან მოძრავი ხასიათის გამო, მარია შევალიემ ჭაბუკიანს ბზრიალა შეარქვა. 15 წლის ასაკში ჭაბუკიანმა თბილისის ოპერის თეატრში დადგა „ცეცხლის ცეკვა“.

ვახტანგ ჭაბუკიანი სწავლის გასაგრძელებლად გაემგზავრა ლენინგრადის ქორეოგრაფიულ სასწავლებელში. ჭაბუკიანმა 7 წლის პროგრამა 3 წელიწადში გაიარა. ლენინგრადში, ქორეოგრაფიულ სასწავლებელში სწავლის დროს, მან დადგა „ცეცხლის ცეკვა ჩირაღდნით“ ანტონ რუბინშტეინის მუსიკაზე.

ქორეოგრაფიული სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, ვახტანგ ჭაბუკიანი მუშაობდა ლენინგრადის ოპერისა და ბალეტის თეატრში, სადაც წამყვან პარტიებს ასრულებდა.

მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ჭაბუკიანის გამგზავრება ამერიკის შეერთებულ შტატებში თავის პარტნიორ ტატიანა ვიოჩესლოვთან ერთად. ამ ვიზიტმა აქცია ჭაბუკიანის სახელი ლეგენდად. ამერიკული პრესა იუწყებოდა, რომ მათი გამოსვლა სენსაცია იყო.

ის დიდი პატრიოტი იყო. თავისი სამშობლოს გარეშე მას არც ფიზიკური და არც შემოქმედებითი არსებობა არ შეეძლო. ამიტომაც, 1941 წელს ჭაბუკიანი ჩამოვიდა საქართველოში და ხელი მოკიდა საბალეტო დასის განვითარებას.

ჭაბუკიანის სახელს უკავშირდება კლასიკურ ბალეტში მამაკაცის როლისა და ფუნქციის გარდაქმნა. მანამდე მამაკაცს მხოლოდ დამხმარე ფუნქცია ჰქონდა. ჭაბუკიანმა კლასიკურ ბალეტში ხალხური ელემენტები შეიტანა, დაამკვიდრა საკუთარი ინდივიდუალური სტილი, ახდენდა პერსონაჟების ახლებურ გააზრებას... მანვე გაზარდა კორდო ბალეტის როლი.

1992 წლის 8 აპრილს ვახტანგ ჭაბუკიანი გარდაიცვალა. იგი დაკრძალულია მთაწმინდაზე ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

საკვანძო სიტყვები: ვახტანგ ჭაბუკიანი, ბალერონი, ქართული პროფესიული ბალეტის ფუძემდებელი

ქართული პროფესიული ბალეტის ფუძემდებელი, მოცეკვავე და პედაგოგი, სახალხო არტისტი ვახტანგ ჭაბუკიანი დაიბადა თბილისში, 1910 წლის 12 მარტს. მიხეილ ჭაბუკიანს და ელენე ფილიასს (ქალაქ რიგიდან იყო) ხუთი შვილი ჰყავდათ: ორი ვაჟი (კონსტანტინე და ვახტანგი) და ოთხი ქალიშვილი (ეკატერინე, მარიამი, ელენე და თამარი). ვახტანგი მარია შევალიეს სახელოსნოში მუშაობდა, სადაც ფიგურებს ამზადებდა. ძალიან მოძრავი ხასიათის გამო, მარია შევალიემ ჭაბუკიანს ბზრიალა შეარქვა. ვახტანგმა, პერინის სახელობის საბალეტო სტუდიის დამთავრების შემდეგ, მუშაობა დაიწყო თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში. (მარიამ პერინი იყო იტალიელი მოცეკვავე, რომელმაც 1916 წელს საქართველოში პირველი კერძო საბალეტო სტუდია გახსნა, რომელიც 1920 წელს გადაკეთდა ოპერისა და ბალეტის თეატრის სახელმწიფო საბალეტო სკოლად). 15 წლის ასაკში ჭაბუკიანმა თბილისის ოპერის თეატრში დადგა „ცეცხლის ცეკვა“.

1926 წელს ვახტანგ ჭაბუკიანი სწავლის გასაგრძელებლად გაემგზავრა ლენინგრადის ქორეოგრაფიულ სასწავლებელში. სასწავლებლის დირექტორმა - სემიონოვმა, ვახტანგის მიღებაზე უარი განაცხადა, ვინაიდან ის თვლიდა რომ ბალეტი რჩეულთა ხვედრი იყო, ჭაბუკიანს იწუნებდა ოჯახიშვილობის გამო (ხელოსნის ოჯახიდან იყო). ამას თან ერთვოდა მოცეკვავის მცირე ასაკი (16 წელი). ვახტანგის დის, ეკატერინეს დიდი თხოვნით, (რომელიც ლენინგრადში იყო გათხოვილი), კომისიამ გამოსცადა ყმაწვილი. გამოცდის დაწყებიდან რამდენიმე წუთში აღფრთოვანებული სემიონოვი ჭაბუკიანის დას გადაეხვია და უთხრა: „თქვენ სასწაული ჩამოგვიყვანეთ, ეს ყმაწვილი მალე ყველას დაგვრდილავსო“. ჭაბუკიანმა 7 წლის პროგრამა 3 წელიწადში გაიარა. ლენინგრადში, ქორეოგრაფიულ სასწავლებელში სწავლის დროს, მან დადგა „ცეცხლის ცეკვა ჩირაღდნით“ ანტონ რუბინშტეინის მუსიკაზე.

ქორეოგრაფიული სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, 1929-1941 წლებში, ვახტანგ ჭაბუკიანი მუშაობდა ლენინგრადის ოპერისა და ბალეტის თეატრში, სადაც წამყვან პარტიებს ასრულებდა. ბაზილის პარტიის შესრულებამ მინკუსის ბალეტში „დონკიხოტი“, ლენინგრადის მაყურებელი განაცვიფრა და ჭაბუკიანს დიდი პოპულარობა მოუტანა. ის ხშირად მართავდა გასტროლებს საქართველოსა და საზღვარგარეთ.

1936 წლის 27 დეკემბერს თბილისის ოპერისა და ბალეტის სცენაზე ჭაბუკიანმა დადგა ანდრია ბალაჩივას ბალეტი „მზეჭაბუკი“, იგივე „მთების გული“, მხატვარი იყო ს. ვირსალაძე. მიღწეული წარმატებებისთვის ჭაბუკიანს, 1939 წელს, მიენიჭა დამსახურებული არტისტის წოდება.

მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ჭაბუკიანის გამგზავრება ამერიკის შეერთებულ შტატებში. 1933 წელს ამერიკასა და რუსეთს შორის დამყარდა დიპლომატიური კავშირი. პირველი კულტურული ურთიერთობის დასამყარებლად გასტროლებისთვის აარჩიეს ბალეტი, კერძოდ, კი, ვახტანგ ჭაბუკიანი, თავის პარტნიორ ტატიანა ვიოჩესლოვთან ერთად. ამ ვიზიტმა აქცია ჭაბუკიანის სახელი ლეგენდად. ამერიკული პრესა იუწყებოდა, რომ მათი გამოსვლა სენსაცია იყო.

ის დიდი პატრიოტი იყო. თავისი სამშობლოს გარეშე მას არც ფიზიკური და არც შემოქმედებითი არსებობა არ შეეძლო. ამიტომაც, 1941 წელს ჭაბუკიანი ჩამოვიდა საქართველოში და ხელი მოკიდა საბალეტო დასის განვითარებას. ბალეტმა მაშინ დამოუკიდებელი უფლებები მოიპოვა, იქამდე იგი საოპერო სპექტაკლების შემადგენელი ნაწილი იყო. ჭაბუკიანი იყო შეუდარებელი პედაგოგი. თავად ესწრებოდა ლექციებს და აკონტროლებდა პედაგოგების მუშაობას. მან მრავალი წარმატებული სპექტაკლი დადგა საქართველოსა და მის საზღვრებს გარეთ (გუნოს „ფაუსტი“, „ვალპურგის ღამე“, ჩაიკოვსკის „გედის ტბა“, გრ. კილაძის „სინათლე“, რაველის „ბოლერო“, ლლონტის „განთიადი“, ბეთჰოვენის „აპასიონატა“ ...). 1958 წელს, მოსკოვში, ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადაზე, დიდ თეატრში, „ოტელოს“ პრემიერამ დიდი ტრიუმფით ჩაიარა.

ვახტანგ ჭაბუკიანი 1951-1973 წლებში ხელმძღვანელობდა თბილისის ქორეოგრაფიულ სასწავლებელს. სიცოცხლის ბოლო წლები ვახტანგის ცხოვრებაში მძიმე ეტაპი იყო, როცა ის თეატრისა და დასის გარეშე დატოვეს. ამ პერიოდს, რომელიც 15 წელზე მეტ ხანს გაგრძელდა, მტკივნეულს და აუტანელს უწოდებდა ჭაბუკიანი, ვინაიდან თავისი ქვეყნისთვის არ შეეძლო შემოქმედებითი ძალის მოხმარება. 1982 წლიდან, კი იყო ამავე სასწავლებლის მთავარი კონსულტანტი და ოპერისა და ბალეტის თეატრსა და სასწავლებელში კლასიკური ცეკვის წამყვანი პედაგოგი.

ჭაბუკიანი არის ქართული საბალეტო სკოლის შემქმნელი, მთელი მისი ცხოვრება დაკავშირებულია ახალგაზრდა თაობის აღზრდასთან. მისი აღზრდილები არიან: ნინო ანანიაშვილი, ირმა ნიორაძე, ნიკა ცისკარიძე, იგორ ზელენსკი, ლალი კანდელაკი... ჭაბუკიანის სახელს უკავშირდება კლასიკურ ბალეტში მამაკაცის როლისა და ფუნქციის გარდაქმნა. მანამდე მამაკაცს მხოლოდ დამხმარე ფუნქცია ჰქონდა. ჭაბუკიანმა კლასიკურ ბალეტში ხალხური ელემენტები შეიტანა, დაამკვიდრა საკუთარი ინდივიდუალური სტილი, ახდენდა პერსონაჟების

ახლებურ გაზრებას... მანვე გაზარდა კორდო ბალეტის როლი. ყოველ საბალეტო საქმეში მას თავისებური სიახლე შეჰქონდა. (საბალეტო ცეკვები არის ყოფითი, რომელიც უახლოვდება ხალხურს და კლასიკური. მათ ასრულებენ სოლისტები და კორდებალეტი - მასობრივ ცეკვებში დაკავებული მსახიობები. საბალეტო სპექტაკლის დადგმას ხელმძღვანელობს ბალეტმასტერი).

1992 წლის 8 აპრილს ვახტანგ ჭაბუკიანი გარდაიცვალა. იგი დაკრძალულია მთაწმინდაზე ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ლიტერატურა

1. თხილავა მ., საგანმანათლებლო პროცესის მუსიკალურ-მეთოდური უზრუნველყოფა, ქუთაისი, 2018
2. https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%95%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92_%E1%83%AD%E1%83%90%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%99%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98

Magda Tkhilava

Vakhtang Tchabukiani's Ballet Career and Pedagogical Activity

Abstract

The founder of Georgian Professional Ballet, a ballet dancer and a teacher, a public performer Vakhtang Tchabukiani was born in Tbilisi, March 12, 1910. Vakhtang used to work in Maria Chevalier's studio where he made figures. Because of his active character Maria called him "Bzriala" (skillful). At the age of 15, Tchabukiani staged "Dance of Fire" in Tbilisi Opera House.

Vakhtang Tchabukiani continued his studies at Leningrad Choreographic School. He completed the seven-year program in three years. As a student of Leningrad Choreographic School, he staged "Dance of Fire with Torch" on Anton Rubinstein's music.

After graduation Choreographic School he worked in Leningrad Opera and Ballet Theatre, where he played main roles. His performance of Minkus's "Don Quixote" amazed Leningrad audience and brought him popularity. He often did tours in Georgia and abroad.

His travelling with his partner Tatiana Vecheslova in the United States of America was an important event. This visit made his name as a legend. American press wrote about their performance as a sensation.

He was a great patriot. He could not live and work without his homeland. Therefore, in 1941 he came back to Georgia and started ballet development.

Tchabukiani changed man's role and function in classical ballet. Before, a man had only assisting function. Tchabukiani implemented folk elements in classical ballet, created his own individual style, interpreted characters in a new way... he increased the role of Cord Ballet.

Vakhtang Tchabukiani died in 1992, April 8. He was buried in Mtatsminda Pantheon of Writers and Public Figures.

რეცენზენტი: პროფ. ლ. ჩერნოვატი

კვლევები პროფესიულ განათლებაში, პოლიტიკა და პრაქტიკა

ნანა მაჭარაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
nanamacharashvili54@gmail.com

პროფესიული განათლება საგანმანათლებლო სისტემისა და ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტია. მიუხედავად აღნიშნულ სფეროში განხორციელებული სიახლეებისა, სახეზეა მნიშვნელოვანი გამოწვევები, რომელთა შორისაც განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს არასათანადო მნიშვნელობის მინიჭება დარგობრივი აკადემიური კვლევებისა და მისი უშუალო კავშირისათვის პოლიტიკასა და პრაქტიკასთან.

აღნიშნული მიმართულებით სათანადო როლის შესრულება შეუძლია ქვეყანაში არსებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რაც პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიაშიც არის ხაზგასმული. სწორედ საუნივერსიტეტო სივრცეში არის შესაძლებელი აკადემიური კვლევების განხორციელება, აგრეთვე აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, ცხადია, სოციალურ პარტნიორებთან, ადგილობრივ და საერთაშორისო ექსპერტებთან მჭიდრო თანამშრომლობით. შესაბამისად, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაძლებლობების და პერსპექტივების წარმოჩენა პროფესიული განათლების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განვითარებისათვის უდაოდ აქტუალურია.

პროფესიული განათლება საქართველოს განათლების სისტემის ერთ-ერთი პრიორიტეტია. პროფესიული განათლება აძლევს საზოგადოების ფართო ფენებს (ახალგაზრდები, ზრდასრულები, განსხვავებული შესაძლებლობის ადამიანები, სოციალურად დაუცველი ოჯახების წარმომადგენლები და სხვ.) პროფესიის დაუფლების, დასაქმებისა და თვითრეალიზაციის საშუალებას მათი ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, რაც საბოლოო ჯამში განსაზღვრავს საზოგადოების კეთილდღეობას. შესაბამისად, პროფესიული

განათლება ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტიც არის – ხელს უწყობს უმუშევრობის შემცირებას და შრომის ბაზრის გაჯერებას ახალი, მაღალი კვალიფიკაციის კონკურენტუნარიანი კადრებით.

ბოლო ათწლეულში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა პროფესიული განათლების სისტემაში. კერძოდ, მომზადდა პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია, ახალი კანონი პროფესიული განათლების შესახებ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე აღიარებული პროფესიული კვალიფიკაციების სისტემა, მიმდინარეობს მოწინავე ევროპული, კერძოდ, გერმანიაში არსებული დუალური პროფესიული განათლებისა და სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების დანერგვა, შრომის ბაზარზე ორიენტირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მომზადება, პროფესიული განათლების ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმების დახვეწა, ზოგადი განათლების ინტეგრირება პროფესიულ განათლებაში, კერძო სექტორისა და დამსაქმებლების ჩართულობის გააქტიურება პროფესიული განათლების სისტემის მართვაში, პოლიტიკის შემუშავებისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, პროფესიული განათლების წინაშე არა ერთი გამოწვევაა. მოცემულ სტატიაში შევხებით ერთ-ერთ მათგანს, რომელიც განსაკუთრებით საყურადღებოა და წარმოადგენს მნიშვნელოვან ბაზას სხვა გამოწვევების გადასაჭრელად. აღნიშნულს წარმოადგენს პროფესიულ განათლებაში აკადემიური კვლევისათვის არასათანადო მნიშვნელობის მინიჭება.

კვლევა – მიზანმიმართულად დაგეგმილი და განხორციელებული, საჭიროებების იდენტიფიცირებასა და შედეგზე ორიენტირებული – ნებისმიერი სფეროს / დარგის პროგრესის საწინდარი, ინოვაციური მიდგომების დანერგვის, რეფორმების ინიცირების, შედეგების მონიტორინგის საფუძველზე სისტემის დახვეწის მძლავრი მექანიზმია.

პროფესიული განათლების და გადამზადების (VET) სისტემაში არსებული მოწინავე ევროპული (და არა მხოლოდ) გამოცდილება მკაფიოდ წარმოაჩენს კვლევის, პოლიტიკისა და პრაქტიკის უშუალო განპირობებულობას და ზოგადად, არსებითი ხასიათის მონაწილეობას დარგის მოდერნიზებაში, მით უმეტეს, რომ პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია ორიენტირებულია განათლების სფეროში ევროკავშირის შესაბამის პოლიტიკასა და პრაქტიკასთან დაახლოვებაზე.

სადღეისოდ, პროფესიული განათლების მიმართულებით, კვლევა ძირითადად, შემოიფარგლება სიტუაციური ანალიზით და უმთავრესად ორიენტირებულია გარკვეული სტატისტიკური მონაცემების მოპოვებაზე (მაგალითად, პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულების / დამსაქმებლების დამოკიდებულების კვლევა პროფესიული

განათლებისადმი, პროფესიული სასწავლებლით სტუდენტების კმაყოფილების კვლევა, პროფესიული განათლების მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულებების კვლევა, პროფესიული განათლების ცალკეული ასპექტების კვლევა (მაგალითად, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და ა.შ.), დონორი ორგანიზაციების ინიციატივით დაგეგმილი კვლევების ცალკეული ეტაპების ანგარიში და სხვ.). შესაბამისად, განხორციელებულ კვლევებს უმეტესად, გამოყენებითი / პრაქტიკული ხასიათი აქვს, არ ხორციელდება სიღრმისეული, აკადემიური კვლევა, რაც მნიშვნელოვან როლს შეასრულებდა პროფესიული განათლების პოლიტიკის შექმნაში, სწორი პრიორიტეტების განსაზღვრაში, ახალი ცოდნის შექმნასა და ახალი კვლევითი იდეების ინიცირებაში.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ კვლევა უმეტესად, პრაქტიკისგან დაშორებულია, დანაწევრებული, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნაკლებად არის ორიენტირებული ახალი ცოდნის შექმნაზე, ამ ცოდნის სინთეზზე პრაქტიკასა და პოლიტიკის შექმნასთან. შესაბამისად, პოლიტიკა და პრაქტიკა კვლევისგან ნაკლებ სარგებელს იღებს, რაც მკაფიოდ აისახება სარეფორმო პროცესების მიმდინარეობასა და შედეგებზე.

ამგვარად, შესაძლებელი ხდება ტრადიციული კვლევის ძირითადი პრობლემატური მხარეების გამოყოფა, როგორცაა კვლევის მეთოდოლოგიების ხარისხის შეფასების მექანიზმების არ არსებობა, კვლევითი პრობლემების ფრაგმენტიზაცია, ნაკლები ყურადღება მეტა კვლევების მიმართ, საერთაშორისო გამოცდილების არასიღრმისეული, ზედაპირული ანალიზი, ორიენტაცია სტატისტიკური მაჩვენებლების წარმოჩენაზე და ნაკლებად მეცნიერულ არგუმენტაციაზე და სხვ. აღნიშნულიდან გამომდინარე, საყურადღებოა ისიც, თუ რომელი ორგანიზაციები ატარებენ კვლევებს, რამდენად ჩართული არიან კვლევით პროექტებში სოციალური პარტნიორები და სამოქალაქო საზოგადოება, დარგის საუკეთესო ადგილობრივი თუ საერთაშორისო ექსპერტები, რამდენად არსებული საჭიროებების რელევანტურია თითოეული კვლევის შედეგად მიღებული რეკომენდაციები და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს აღნიშნული მიმართულებით საერთაშორისო კვლევები, რომლებშიც აქცენტირებულია კვლევისა და პოლიტიკის, აგრეთვე კვლევისა და პრაქტიკის შორის კავშირის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული საყურადღებო ინიციატივები, ჩვენთან აკადემიური კვლევა დღესდღეობით კვლევითი აქტივობების მხოლოდ უმნიშვნელოვანეს სეგმენტს წარმოადგენს.

აღნიშნული პრობლემების გადაჭრის, პროფესიული განათლების სისტემის ევროპულ სტანდარტებთან დაახლოვებისათვის, განსაკუთრებული დატვირთვა უნდა შეიძინოს უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა, რაც პროფესიული განათლების ერთიან

სტრატეგიაშიც არის ხაზგასმით აღნიშნული. სწორედ საუნივერსიტეტო სივრცეში უნდა შეიქმნას პროფესიული განათლების სამეცნიერო-კვლევითი ბაზა, რომელიც ხელს შეუწყობს კვლევითი პროექტების განხორციელებას ფართო პროფილის აკადემიური რესურსით (მენეჯმენტი, პედაგოგიკა, ფსიქოლოგია, ინკლუზიური განათლება და სხვ.), სოციალური პარტნიორების, პრაქტიკოსების, განსაკუთრებით, არასამთავრობო და დონორი ორგანიზაციების, საერთაშორისო ექსპერტების აქტიური ჩართულობით. შედეგად მივიღებთ პროფესიული განათლების სფეროში კვლევითი პოტენციალის განვითარების შესაძლებლობასაც, რამდენადაც სწორედ აღნიშნულ ბაზაზე, კვლევით საქმიანობასთან ერთად, მომზადდება და ამოქმედდება აკადემიური პროგრამები სწავლების სხვადასხვა საფეხურისათვის (მაგისტრატურა, დოქტორანტურა), რომლებიც მოამზადებს მაღალი კვალიფიკაციის, კონკურენტუნარიან ადამიანურ რესურსს პროფესიული განათლების სფეროში მოღვაწეობისათვის.

საუნივერსიტეტო სივრცეში განსახორციელებელი კვლევების (არა მხოლოდ აკადემიური, აგრეთვე პრაქტიკული / გამოყენებითი, ინტერდისციპლინარული და სხვ.) სტრატეგიულ მიმართულებებად შეიძლება განისაზღვროს:

- პროფესიული განათლების საფუძვლების, დარგის განვითარების მოწინავე ევროპული გამოცდილების შესწავლა-შედარებითი ანალიზი და ეროვნული სისტემისათვის რელევანტური ასპექტების განსაზღვრა;
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ერთიანი, მოქნილი ქსელის მიზნობრივი დაფინანსების ეფექტური სტრატეგიები და თანამედროვე მენეჯმენტი;
- საერთაშორისო სტანდარტის შესატყვისი ადამიანური რესურსის მომზადებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები;
- შრომის ბაზრის მზარდი და ცვალებადი მოთხოვნების საფუძვლიანი ეტაპობრივი კვლევა და მიღებული შედეგებზე დაფუძნებით პროფესიული აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების მომზადება;
- ახალი ინსტიტუციური კონტექსტის განვითარება, როგორც პროფესიულ განათლებასა და გადამზადებას, ასევე აკადემიურ პედაგოგიურ კვლევასა და პოლიტიკაზე ორიენტირებულ კვლევას შორის არსებული დემარკაციების დაძლევის საშუალება;
- პროფესიული განათლების პოლიტიკის პრაქტიკასთან დაახლოვების მნიშვნელობა და მოსალოდნელი შედეგები საერთაშორისო გამოცდილებისა და ქვეყნის ახალი სოციალურ-ეკონომიკური რეალობის გათვალისწინებით;

დარგის წამყვანი უცხოელი ექსპერტებიც ადასტურებენ, რომ სარეფორმო პოლიტიკა წარმატებული მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება, თუკი იარსებებს პროფესიული განათლებისა და

გადამზადების კვლევას, პოლიტიკასა და პრაქტიკას შორის მჭიდრო ურთიერთკავშირი. პროფესიული განათლების და გადამზადების (TVET) კვლევა უნდა ცხადჰყოფდეს პროფესიული განათლების საფუძვლებს, რათა შექმნას შინაარსობრივი ნაწილი და მიზნები, შეუსაბამოს ცვლილებები ტექნოლოგიურ, ეკონომიკურ და სოციალურ პროგრესს. აქ სწორედ აკადემიური კვლევა იგულისხმება. ეს ამკარა ხდება, როცა აღნიშნულს ემატება მათი ხედვა, რომ განათლების კვლევების უმეტესობა იზოლირებულია კონკრეტულ აკადემიურ სფეროებში, ხშირ შემთხვევებში კვლევებს აკლია მრავალდისციპლინურობა. საჭირო ხდება პროფესიული განათლების ცალკეული ასპექტების კვლევის უფრო ფართო კონცეფციის შემოტანა. ასე მაგალითად, სწავლების კვლევა უნდა დაუკავშირდეს შრომის ბაზარსა და სამუშაოს მოწყობის საკითხებს, სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს, თეორიული და პრაქტიკული სწავლის ინტეგრაციის სტრატეგიებს, შემსწავლელის საჭიროებებსა და სწავლის ახალ თეორიებს და არა პროფესიული სწავლების შიდა საკითხებს, როგორცაა სასწავლო გეგმა, სასწავლო მასალები, მასწავლებლების გადამზადება და ა.შ.

ამგვარად, პროფესიული განათლების კვლევის, პოლიტიკისა და პრაქტიკის ურთიერთგანპირობებულობის ეფექტიანობა, რაც არაერთი მოწინავე გამოცდილების მქონე ევროპული ქვეყნების მკვლევრების მიერ არის დასაბუთებული და წარმატებით აპრობირებული, მნიშვნელოვან შედეგებზეა ორიენტირებული და მკაფიოდ წარმოაჩენს აღნიშნული მიმართულებით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების როლსა და შესაძლებლობებს დარგის განვითარებისათვის.

ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. 2018 წ.
2. პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია (2013-2020 წწ.). საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
3. პროფესიული განათლება საქართველოში, მიმდინარე რეფორმები და გამოწვევები, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2013 წ.;
4. Rauner F., Maclean R. Handbook of Technical and Vocational Education and Training Research. UNESCO-UNEVOC International Centre for Education, Germany. ED. Springer. 2016.
5. Areas of Vocational Education Research. Editors: Zhao, Zhiqun, Rauner, Felix (Eds.) 2014.

Studies in Vocational Education, Policy and Practice**Technical University of Georgia****Abstract**

Vocational education is one of the priorities of the education system and the country's economic policy. Despite the innovations in this area, there are significant challenges, among which it is especially important to highlight giving improper importance to the academic research of the industry and its direct connection to the policy and practice.

Higher educational institutions in the country can play a proper role in this direction, which is also emphasized in the strategy of vocational education reform. Exactly the university is the place where the academic research should be conducted, as well as the development of the academic educational programs, obviously should be done in close cooperation with social partners, local and international experts.

Therefore, it is vitally crucial to show the capabilities and prospects of higher educational institutions in Georgia is undoubtedly relevant for the development in accordance with international standards of vocational education.

რეცენზენტი: პროფ. ლ. ეკშებევა

მეთოდოლოგია Methodic

ზოგიერთი ტიპის დამოკიდებული წინადადების სწავლების სპეციფიკის შესახებ

ლელა ედგვერაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

e-mail: edzveradze9@gmail.com

ქართული ენის სინტაქსის საკითხები სწავლებისას სპეციფიკურ სირთულეებს ვაწყდებით ისეთი ტიპის ქვეწყობილი წინადადებების განხილვის დროს, რომლებშიც დამოკიდებული წინადადება მიემართება მთლიანად მთავარ წინადადებას. ამ სახის წინადადებების სემანტიკური და სტრუქტურული მახასიათებლების თავისებურებათა გააზრება სასწავლო პროცესში სათანადო ყურადღებას მოითხოვს.

მოცემულ ნაშრომში განვიხილავთ ქართული ენის სინტაქსის სახელმძღვანელოებში დაქვემდებარებული წინადადების ცალკე ტიპად გამოყოფილ შედეგობითი და მთავრის მიმართი დამოკიდებული წინადადებების სწავლების საკითხს. სტატია დაფუძნებულია „დაწყებითი განათლების“ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლების გამოცდილებაზე. ჩვენი მიზანი იყო გვაჩვენებინა საკითხის გააზრების მოდელი, რომელიც შესაძლებელია მოცემული პროგრამაზე სწავლების შემთხვევაში.

შედეგობითი და მთავრის მიმართი დამოკიდებული წინადადებების აზრობრივი მიმართება მთავართან ენათმეცნიერებაში გამიჯნულია, თუმცა რიგ შემთხვევებში ამ ტიპის წინადადებების შინაარსობრივი მახასიათებლები გარკვეულწილად ფარავს ერთმანეთს, რაც სირთულეს ქმნის სწავლების პროცესში. დეფინიციების დონეზე ამ ორი ტიპის წინადადებებს შორის გამოკვეთილი შინაარსობრივი სხვაობა ყოველთვის არ არის მკაფიო, რაც პრაქტიკული მაგალითების განხილვის დროს ზოგჯერ ბუნდოვანებას წარმოქმნის.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია სალექციო კურსის პროცესში გვერდი არ ავუაროთ ორაზროვან, ბუნდოვან საკითხებს. შესაძლებლობის ფარგლებში სტუდენტებს მივცეთ საკითხის გააზრებისათვის საჭირო ინფორმაცია, პრაქტიკული მუშაობის პროცესში გავაანალიზოთ

მრავალფეროვანი მაგალითები და მივცეთ მათ მსჯელობის, საკუთარი დასკვნების გაკეთების საშუალება. ამ დასკვნების საფუძველზე კრიტიკულად განვიხილოთ სახელმძღვანელოებში წარმოდგენილი დებულებები. ვფიქრობთ, ეს სტუდენტებს არა მარტო დაეხმარება კონკრეტული საკითხების გააზრებაში, არამედ განუვითარებს მათ უნარებს, რომლებიც დაეხმარებათ მომავალ პრაქტიკულ საქმიანობაში. მივიჩნევთ, რომ მსგავსი შესაძლებლობები სწავლების პროცესში მიზანმიმართულად უნდა იქნეს გამოყენებული.

საკვანძო სიტყვები: რთული ქვეწყობილი წინადადება, წინადადების სწავლების მეთოდოლოგია

ქართული ენის სინტაქსის საკითხები სწავლებისას სპეციფიკურ სირთულეებს ვაწყდებით ისეთი ტიპის ქვეწყობილი წინადადებების განხილვის დროს, რომლებშიც დამოკიდებული წინადადება მიემართება მთლიანად მთავარ წინადადებას. ამ სახის წინადადებების სემანტიკური და სტრუქტურული მახასიათებლების თავისებურებათა გააზრება სასწავლო პროცესში სათანადო ყურადღებას მოითხოვს.

ქართული ენის სახელმძღვანელოებში გამოიყოფა 4 ასეთი სახის წინადადება: პირობითი, დათმობითი, შედეგობითი და მთავრის მიმართი დამოკიდებული წინადადებები. თუმცა, ენათმეცნიერები საუბრობენ შემდგომობით წინადადებაზეც, რომელიც ჰიპოტაქსური სტრუქტურით გადმოგვცემს მოქმედებას, რომელიც ხდება მთავარ წინადადებაში გამოხატული მოქმედების შემდეგ.

მოცემულ სტატიაში განვიხილავთ ქართული ენის სინტაქსის სახელმძღვანელოებში დაქვემდებარებული წინადადების ცალკე ტიპად გამოყოფილ შედეგობითი და მთავრის მიმართი დამოკიდებული წინადადებების სწავლების საკითხს. ამ სახის წინადადებებს აქვს რამდენიმე საერთო მახასიათებელი, რომლებიც მათ პირობითი და დათმობითი წინადადებისგან არსებითად განსხვავებს.

მთავრის მიმართი და შედეგობითი დამოკიდებული წინადადებები, ისევე როგორც პირობითი და დათმობითი, არ წარმოგვიდგენს მთავარი წინადადების რომელიმე წევრის ახსნა-განმარტებას. ისინი მიემართებიან მთლიანად მთავარ წინადადებას. მაგრამ მათი მსგავსება პირობითსა და დათმობითთან ამით ამოიწურება. რაც შეეხება თავად მთავრის მიმართსა და შედეგობით დამოკიდებულ წინადადებებს. მათ შორის არსებობს გარკვეული მსგავსება როგორც სტრუქტურული, ისე შინაარსობრივი თვალსაზრისით. ამიტომ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ეს წინადადებები პარალელურად განვიხილოთ.

როგორც მთავრის მიმართი, ისე შედეგობითი დამოკიდებული წინადადების პოზიცია მთავარი წინადადების მიმართ, ყველა სხვა ტიპის დამოკიდებული წინადადებისაგან

განსხვავებით, მყარია. ორივე სახის დამოკიდებული წინადადება ყოველთვის დგას მთავარი წინადადების შემდეგ.

შედგობითი და მთავრის მიმართი დამოკიდებული წინადადებების აზრობრივი მიმართება მთავართან ენათმეცნიერებაში გამოიხსნა, თუმცა რიგ შემთხვევებში ამ ტიპის წინადადებების შინაარსობრივი მახასიათებლები გარკვეულწილად ფარავს ერთმანეთს, რაც სირთულეს ქმნის სწავლების პროცესში.

შედგობითი დამოკიდებული წინადადების შესახებ ყველა ძირითად სახელმძღვანელოში აღნიშნულია, რომ იგი მიემართება მთლიანად მთავარ წინადადებას და „გვიჩვენებს შედეგს იმისას, რაც მთავარ წინადადებაშია ნათქვამი“ (ლ. კვაჭაძე, 385). სინტაქსის სახელმძღვანელოებში წარმოდგენილი დეფინიციის მიხედვით „დამოკიდებული წინადადება მთავრის მიმართია, თუ ის მთავარი წინადადების რომელიმე წევრის ახსნა-განმარტებას კი არ წარმოადგენს, არამედ მთელს მთავარ წინადადებაში გამოთქმულ აზრს განეკუთვნება და გადმოგვცემს მთქმელის დასკვნას, შეფასებას ან რაიმე სახის შენიშვნას იმის შესახებ, რაც მთავარ წინადადებაშია ნათქვამი/გადმოცემული (გეგუჩაძე ლ., გვ. 345, კვაჭაძე ლ., 392; შანიძე ა., 165); გვხვდება მთავრის მიმართი დამოკიდებული წინადადების სემანტიკური ნიუანსების მცირედ განსხვავებული დაზუსტება: „მთავრის მიმართი დამოკიდებული წინადადება გამოხატავს დამოკიდებულ წინადადებაში გადმოცემული მოქმედების შეფარდებას მთავარში გადმოცემულთან. მასში ხშირად გადმოცემულია მთავრით გამოხატული მოქმედების შეფასება, აღნიშნულია მისი დანიშნულება, შეფასებულია მისი როლი მოქმედების განვითარებისათვის და მისთ.“ (კეკელია შ., დავითიანი აკ., 354გვ.).

დეფინიციების დონეზე ამ ორი ტიპის წინადადებებს შორის გამოკვეთილი შინაარსობრივი სხვაობა ყოველთვის არ არის მკაფიო, რაც პრაქტიკული მაგალითების განხილვის დროს ზოგჯერ ბუნდოვანებას წარმოქმნის. წინადადებებში, რომლებიც მიჩნეულია შედეგობით დამოკიდებულ წინადადებებად, სრულიად შესაძლებელია დავინახოთ მთქმელის დასკვნა ან შეფასება იმის შესახებ, რაც მთავარ წინადადებაშია ნათქვამი. ხოლო მთავრის მიმართ დამოკიდებულ წინადადებებად კვალიფიცირებული ერთეულები ხშირად აშკარად მთავარში გადმოცემული ფაქტის შედეგს გვიჩვენებენ.

მაგალითად, წინადადებაში „ადიდებულმა წყალმა წისქვილი წაიღო, რამაც მთელი სოფელი საგონებელში ჩააგდო“, აზრობრივი მიმართების თვალსაზრისით, დამოკიდებული აშკარად მთავარში გადმოცემული ფაქტის შედეგს გვიჩვენებს. მთელი სოფლის საგონებელში ჩავარდნა იმ მიზეზით არის განპირობებული, რომ ადიდებულმა წყალმა წისქვილი წაიღო. მთავარსა და დამოკიდებულს შორის ანალოგიური მიმართებაა გამოხატული წინადადებაში

„უცრად დაუბერა ჩრდილოეთის ქარმა, რის გამოც საშინლად აცივდა“. აცივება გამოიწვია იმან, რომ ჩრდილოეთის ქარმა დაუბერა. ასეთივე ვითარებაა, წინადადებაში „კნენას მუდმივ სამი მომგლელი ჰყავდა, ასე რომ იგი მალე უსაქმობის ჭაობმა ჩაითრია“. კნენას უსაქმურობის ჭაობში ჩაფლობა გამოიწვია იმან, რომ მას მუდმივ სამი მომგლელი ჰყავდა.

როგორც ვხედავთ, სამივე განხილულ მაგალითში, მთავარ წინადადებაში გადმოცემულია მიზეზი, ხოლო დამოკიდებულში - შედეგი. შესაბამისად, თუ სახელმძღვანელოებში წარმოდგენილ დეფინიციებს დავყვართ, ყველა მოცემულ მაგალითში დამოკიდებული წინადადება უნდა მივიჩნიოთ შედეგობითად, მაგრამ დამოკიდებული წინადადება შედეგობითად მხოლოდ მეორე და მესამე შემთხვევაში კვალიფიცირდება. პირველ შემთხვევაში დამოკიდებული წინადადება მთავრის მიმართად არის მიჩნეული.

ფაქტობრივად, სინტაქსური კვალიფიკაციის კრიტერიუმად გვევლინება, საკავშირებელი სიტყვები. წინადადებაში „ადიდებულმა წყალმა წისქვილი წაიღო, რამაც მთელი სოფელი საგონებელში ჩააგდო“ დამოკიდებული წინადადება („რამაც მთელი სოფელი საგონებელში ჩააგდო“) მთავრის მიმართად მიიჩნევა, რადგან მასში საკავშირებელ სიტყვად გამოყენებულია მიმართებითი ნაცვალსახელი „რამაც“, რომელიც მთავრის მიმართი წინადადების კავშირად მოიაზრება. ხოლო მეორე და მესამე წინადადებაში, საკავშირებელ სიტყვებად გვხვდება - „რის გამოც“ და „ასე რომ“, რომლებიც შედეგობითი დამოკიდებული წინადადების კავშირებად ითვლება.

საკავშირებელი სიტყვების მიხედვით („ასე რომ“) დამოკიდებული კომპონენტი შედეგობითია წინადადებაში:

„ძალიან მოხერხებულია, ასე რომ მიზნის მიღწევა არ გაუჭირდება“;

„ბევრი მათგანი ძალიან სწრაფად დარბის, ასე რომ ლომი ვერც კი მიეწევა“;

„ცა მოიწმინდა, ასე რომ ღამე ყინვა იქნება“.

მაგრამ, თუ დავაკვირდებით დამოკიდებულის აზრობრივ მიმართებას მთავართან, ნათელია, რომ მოცემულ მაგალითებში დამოკიდებული წინადადება, ერთი მხრივ, გამოხატავს მთავარში გამოხატული ფაქტის შედეგს, მაგრამ, მეორე მხრივ, ეს შედეგი, მოცემულია მთქმელის დასკვნის სახით, რომელსაც იგი აკეთებს მთავარ წინადადებაში გამოხატული ფაქტის საფუძველზე. ეს კი, შინაარსობრივი თვალსაზრისით, დამოკიდებულს მთავრის მიმართი წინადადებების რიგში აქცევს.

ხშირად შედეგობითი და მთავრის მიმართი დამოკიდებული წინადადებების აზრობრივი მიმართება მთავართან ხშირად აღნიშნულზე გაცილებით უფრო მკაფიოა და სირთულეებს არ

წარმოქმნის, მაგრამ ამგვარი ნიუანსები სწავლების პროცესში აძნელებს პრაქტიკულად განხილული მაგალითებში წარმოდგენილი ვითარების გააზრებას.

დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით, ზემოთ მოყვანილი მაგალითების მსგავს შემთხვევებში დამოკიდებული წინადადების გარჩევის პრაქტიკული ხერხი საკავშირებელი სიტყვების დამახსოვრებაში გამოიხატება. თუ საკავშირებლად გამოყენებულია „რის გამოც“, „რის შედეგადაც“, „ასე რომ“, „ისე რომ“, დამოკიდებული წინადადება შედეგობითია, ხოლო თუ საკავშირებლად გვხვდება „რაც“ ნაცვალსახელის სხვადასხვა ბრუნვის უთანდებულო ან თანდებულიანი ფორმა, დამოკიდებული წინადადება მთავრის მიმართია. ამასთან, უნდა აღვნიშნოთ, რომ შედეგობითი წინადადების სპეციფიკური კავშირები - „რის გამოც“, „რის შედეგადაც“ -, ფაქტობრივად, „რაც“ ნაცვალსახელის თანდებულიანი ფორმებია. რაც დამატებით უხერხულობას ქმნის.

ცალკე ყურადღებას იმსახურებს შედეგობითი დამოკიდებული წინადადების მთავართან დამაკავშირებელი ერთეულები. ზოგჯერ შედეგობითი დამოკიდებული წინადადების კავშირებად დასახელებულია „ამიტომ“, „იმიტომ“ „ამის გამო“.

ჟუჟუნა ფეიქრიშვილის სახელმძღვანელოში „ქართული ენის სინტაქსი“ შედეგობითი დამოკიდებული წინადადების მაგალითებადაა დასახელებული წინადადებები:

„აქამდე სიცოცხლე ტკბილი იყო ჩემთვის, ამის გამო ვცდილობდი ამ მხარეში დამალვას.“

„აქ ხალხის ხმა არ შეწყდება, ამიტომ ამ ჩარდახს შევაფარე თავი.“

ავტორი წერს: „როგორც ვხედავთ, შედეგობითი დამოკიდებული წინადადების კავშირებად გამოყენებულია **ამიტომ**, **ამის გამო**, რომლებიც, მეორე მხრივ, მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებისთვის კორელატებია“ (ჟ. ფეიქრიშვილი, ქართული ენის სინტაქსი, გვ. 285).

უნდა აღვნიშნოთ, რომ დასახელებული ერთეულების კავშირებად მიჩნევა არ ჩანს გამართლებული, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ასეთ შემთხვევაში კომპონენტ წინადადებებს შორის მარტივად ჩაისმება მაერთებელი კავშირი „და“.

„აქამდე სიცოცხლე ტკბილი იყო ჩემთვის და ამის გამო ვცდილობდი ამ მხარეში დამალვას.“

„აქ ხალხის ხმა არ შეწყდება და ამიტომ ამ ჩარდახს შევაფარე თავი.“

როგორც ვხედავთ, „და“ კავშირის ჩასმა არ არღვევს წინადადების არც აზრობრივ და არც გრამატიკულ სტრუქტურას. შესაბამისად, წინადადებები - „აქამდე სიცოცხლე ტკბილი იყო ჩემთვის, ამის გამო ვცდილობდი ამ მხარეში დამალვას“; „აქ ხალხის ხმა არ შეწყდება, ამიტომ ამ ჩარდახს შევაფარე თავი“ - აშკარად თანწყობილი წინადადებებია, რომელთა კომპონენტები უკავშიროდ არის შეერთებული.

ამ მსჯელობას ამყარებს ლევან კვაჭაძის „თანამედროვე ქართული ენის სინტაქსში გამოთქმული აზრი: „შედევობითი დამოკიდებული წინადადების შემცველი რთული ქვეწყობილი წინადადება სინონიმურია ისეთი რთული თანწყობილი წინადადებისა, რომლის მეორე ნაწილსაც იწყებს ზმნიზედა „ამიტომ“ ან „ამის გამო“. ამ ზმნიზედების წინ შეიძლება მაჯგუფებელი კავშირიც („და“) იქნეს ნახმარი“ (ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გვ. 403-404).

ბოლოს, აღვნიშნავთ, რომ სტატია დაფუძნებულია „დაწყებითი განათლების“ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლების გამოცდილებაზე. ჩვენი მიზანი იყო გვაჩვენებინა საკითხის გააზრების მოდელი, რომელიც შესაძლებელია მოცემული პროგრამაზე სწავლების შემთხვევაში. ამიტომ არ განვიხილავთ ენათმეცნიერებაში გამოთქმულ მოსაზრებებს, რომლებიც ეჭვქვეშ აყენებენ შედეგობითი და მთავრის მიმართი წინადადებების არსებობას, რაც გარდაუვალი იქნებოდა ფილოლოგიური მიმართულების პროგრამის ფარგლებში.

დასკვნის სახით, ვიტყვით, რომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია სალექციო კურსის პროცესში გვერდი არ ავუაროთ ორაზროვან, ბუნდოვან საკითხებს. შესაძლებლობის ფარგლებში სტუდენტებს მივცეთ საკითხის გააზრებისათვის საჭირო ინფორმაცია, პრაქტიკული მუშაობის პროცესში გავაანალიზოთ მრავალფეროვანი მაგალითები და მივცეთ მათ მსჯელობის, საკუთარი დასკვნების გაკეთების საშუალება. ამ დასკვნების საფუძველზე კრიტიკულად განვიხილოთ სახელმძღვანელოებში წარმოდგენილი დებულებები. ვფიქრობთ, ეს სტუდენტებს არა მარტო კონკრეტული საკითხების საფუძვლიანად გააზრების საშუალებას მისცემს, არამედ განუვითარებს მათ უნარებს, რომლებიც დაეხმარება მომავალ პრაქტიკულ საქმიანობაში. მივიჩნევთ, რომ მსგავსი შესაძლებლობები სწავლების პროცესში მიზანმიმართულად უნდა იქნეს გამოყენებული.

ლიტერატურა:

1. კვაჭაძე ლ., თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი, 1977
2. კეკელია შ., დავითიანი აკ., თბილისი, 1981
3. შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკა, ნაწილი მეორე, სინტაქსი, თბილისი, 1968
4. ფეიქრიშვილი ჟ., ქართული ენის სინტაქსი, ქუთაისი, 1996
5. გეგუჩაძე ლ., ქართული ენა, სინტაქსის საკითხები, თბილისი, 2010
6. მიძიგური შ., კავშირები ქართულ ენაში, თბილისი, 1969

Lela Edzgeradze**On the specifics of teaching some types of dependent sentences****Abstract**

Issues of Syntax of the Georgian Language We encounter specific difficulties in teaching when discussing the types of subordinate clauses in which the dependent clause refers entirely to the main clause. Understanding the peculiarities of the semantic and structural characteristics of these types of sentences requires proper attention in the learning process.

In this paper, we discuss the issue of teaching the results of the sentence subordinated to the Georgian language syntax textbooks as a separate type and the teaching of the dependent sentences to the principal. The article is based on the experience of teaching within the framework of the "Primary Education" educational program. Our goal was to show us a model of understanding the issue that is possible in the case of teaching on a given program.

Consequential and relational to the principal The thought-provoking relation of the dependent sentences to the principal in linguistics is distinct, although in some cases the substantive characteristics of these types of sentences overlap to some extent, making it difficult in the teaching process. The difference in content between these two types of sentences at the level of definitions is not always clear, which sometimes creates ambiguity when discussing practical examples.

In the course of the lecture course, it is advisable not to avoid ambiguous, ambiguous issues. As much as possible, give students the information they need to understand the issue, analyze a variety of examples in the process of practical work, and give them the opportunity to reason, to draw their own conclusions. Based on these conclusions, let us critically review the provisions presented in the textbooks. We think this will not only help students understand specific issues, but will also develop their skills that will help them in future practical activities. We believe that such opportunities should be used purposefully in the teaching process.

რეცენზენტი: პროფ. ო. გუსევა

ფილმების გამოყენების პრიორიტეტული ინსტრუმენტები ინგლისურის სწავლებისას

თეონა თედორაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

email: tedoradze.t@gmail.com

მოსმენა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უნარია, რომელიც მრავალ სირთულესთანაა დაკავშირებული და შესაბამისად ძალიან აქტიურ ჩართულობას მოითხოვს ენის სწავლის პროცესში. იმისათვის, რომ მასწავლებელი დაეხმაროს სტუდენტებს ენის დაუფლებაში, ისინი უნდა უზრუნველყოს საინტერესო და უახლესი მასალებით. ფილმების ჩართვა ენის სწავლების პროცესში ეხმარება სტუდენტებს გაიმდიდრონ ლექსიკა, გაიუმჯობესონ გრამატიკა და განავითარონ მოსმენის უნარი და სრულყოფილი წარმოთქმა. სტატიაში განვიხილავთ პოზიტიურ ზეგავლენას, რაც ინგლისურენოვანი ფილმების ჩართვას გააჩნია მოსმენის უნარის გაუმჯობესებისათვის ენის სწავლების პროცესში. ამასთანავე, წარმოვაჩინოთ იმ მეთოდებს, რომლებიც პრიორიტეტებად მიგვაჩნია სწავლებისას ფილმების გამოყენების დროს. ჩვენ მიერ ჩატარებულ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 20 სტუდენტმა. ყველა მათგანისათვის მოსმენა ერთ-ერთი რთული ასპექტი იყო. კვლევა სამი ფილმის გამოყენებით ვაწარმოეთ. გამოვიყენეთ ფილმის ნახვამდე, ყურების პროცესში და ნახვის შემდეგ შესასრულებელი დავალებები და კითხვარი.

საკვანძო სიტყვები: მოსმენა, საუბარი, სასწავლო პროცესი

ინგლისური ენის საერთაშორისო კომუნიკაციის ენად არსებობამ მნიშვნელოვნად გაზარდა ენის შემსწავლელთა რაოდენობა. ენის სწავლება ძალიან საპასუხისმგებლოა. იმისათვის რომ მასწავლებელი დაეხმაროს სტუდენტებს ენის დაუფლებაში, ისინი უნდა უზრუნველყოს საინტერესო და უახლესი მასალებით. ეფექტური კომუნიკაციისათვის გადამწყვეტ უნარს წარმოადგენს მოსმენა და საუბარი. მოსმენა არის უნარი, რომელიც აქტიურ ჩართულობას მოითხოვს. უნარი, რომელსაც დიდი პრაქტიკა სჭირდება როგორც აუდიტორიაში, ისე

აუდიტორიის გარეთ. მოსმენა არ არის მარტივი უნარი. სტუდენტების უმეტესი ნაწილი აღიარებს, რომ მათთვის რთულია მშობლიურ ენაზე მოსაუბრის გაგება. მთავარი პრობლემა, რასაც სტუდენტები აწყდებიან, არის ინტერაქციის ნაკლებობა სახლში და იმ გარემოში, რომელშიც ისინი არიან. მასწავლებლებისათვის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა დაეხმარონ სტუდენტებს გახდნენ ეფექტური მსმენელები. ამისათვის არსებობს უამრავი აქტივობა, განსაკუთრებით დღეს, როცა ინტერნეტი ძალზედ ადვილად არის ხელმისაწვდომი. ფილმების, როგორც სასწავლო ინსტრუმენტად გამოყენება სირთულეს არ წარმოადგენს და ფილმების ჩართვა ენის სწავლების პროცესში ერთ-ერთი საუკეთესო და სტუდენტებისათვის საყვარელი აქტივობაა. ფილმები ეხმარება სტუდენტებს გაიმდიდრონ ლექსიკა, გაიუმჯობესონ გრამატიკა, განავითარონ მოსმენის უნარი და სრულყოფილი წარმოთქმა. ამ დროს ასევე ხდება ენის გაცნობა რეალურ კონტექსტში, რადგან ფილმები კონტექსტუალურად მდიდარი წყაროა, რაც შეიძლება ასევე სხვადასხვა უნარების განვითარებისთვის გამოვიყენოთ. იმას, რასაც ვერ ისწავლიან გაკვეთილზე, სწავლობენ ფილმის ყურების დროს, რადგან ამ დროს ისინი ყურადღებით უსმენენ წარმოთქმას, მახვილს, ინტონაციას და უამრავ სასარგებლო ფრაზას, შესაბამისად, იუმჯობესებენ მოსმენის უნარს. რაც უფრო მეტს მოისმენს სტუდენტი, მით უფრო დაიხვეწება მოსმენის უნარი. ხშირად სტუდენტებს უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ მოსასმენი დავალებების მიმართ, რადგან მოსმენა ბევრ სირთულესთან არის დაკავშირებული. ამასთან გარდა აკადემიური ენისა, რომელიც სასწავლო გარემოში ისწავლება, მსმენელს უხდება სასაუბრო ენის გაგებაც, რაც ხშირად განსხვავდება ენის ფორმალური ნაირსახეობისაგან. მოსმენილის გაგებას ხელს უშლის შემოკლებული სიტყვები, ინფორმაციის გადაცემის სხვადასხვა ტემპი და ხარისხი.

ადამიანისათვის მოსმენა კომუნიკაციის პირველი უნარია, რომელსაც ის იძენს. ეს არის უხილავი მენტალური პროცესი, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ყოველდღიურ ცხოვრებაში. ადამიანები უსმენენ ისეთი განსხვავებული მიზნებისათვის, როგორცაა: გართობა, აკადემიური მიზნები ან საჭირო ინფორმაციის მიღება. უცხო ენის შესწავლის დროს, მოსმენა ყველაზე მნიშვნელოვანი უნარია, რადგან სწორედ ის უზრუნველყოფს ენის მიწოდებას. კომუნიკაციის თეორიის საფუძველზე დაყრდნობით, მ.როსტი მოსმენას განიხილავს, როგორც გარიგების პროცესის ნაწილს, სადაც ყველა მონაწილე ერთდროულად გასცემს და ლეზულობს შეტყობინებებს (Rost 2002). ის მოსმენას ოთხ მიმართულებაზე დაყრდნობით განმარტავს: 1. აღქმის თვალსაზრისით, მოსმენა შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც, იმის მიღება, რასაც მთქმელი ფაქტობრივად ამბობს. 2. კონსტრუქციული თვალსაზრისით, მოსმენა შეიძლება განისაზღვროს, როგორც მნიშვნელობის კონსტრუირება და წარდგენა. 3. თანამშრომლობითი მიმართულების თვალსაზრისით, მოსმენა არის მნიშვნელობის მოძიება მოსაუბრესთან ერთად

და მასზე რეაგირება. და ბოლოს, 4. ტრანსფორმაციული თვალსაზრისით ეს არის მონაწილეობის, წარმოსახვის და თანაგრძნობის საშუალებით მნიშვნელობის შექმნა. მოსმენის მრავალი განმარტება არსებობს. მ. ანდერვუდი (Underwood 1989) მოსმენას განმარტავს, როგორც აქტივობას ყურადღების მიქცევისათვის და მცდელობას, რომ გავიგოთ ის არსი, რაც გვესმის. ის თვლის, რომ მოსმენა არ არის პასიური აქტივობა, არამედ აქტიური აქტივობაა, რომელსაც გააჩნია შინაგანი პროცესი. მოსმენის პროცესი შემდეგ სამ საფეხურს გაივლის: 1. როცა ჟღერადობა გაივლის ექოსებზე მეხსიერებას ძალზედ მოკლე დროში, რათა გადაიქცეს მნიშვნელობის მქონე ერთეულებად ენის იმ ცოდნის შესაბამისად, რომელიც მსმენელს უკვე გააჩნია. 2. შემდეგ ხდება ინფორმაციის დამუშავება: რამდენიმე წამში ხდება სიტყვების შემოწმება და შედარება იმ ინფორმაციასთან, რომელიც უკვე არის გრძელვადიან მეხსიერებაში და ამის შედეგად მიიღება მნიშვნელობა. 3. მოპოვებული მნიშვნელობა ინახება გრძელვადიან მეხსიერებაში შემდგომი გამოყენებისათვის. ის ასევე განსაზღვრავს პრობლემებს, რომლებსაც მსმენელები აწყდებიან:

- მოსაუბრის სისწრაფეზე კონტროლის ნაკლებობა
- როცა მსმენელებს არა აქვთ საშუალება განმეორებით მოისმინონ ნათქვამი
- მსმენელის შეზღუდული ლექსიკა
- ინფორმაციის ნიშნების ვერ ამოცნობა
- ინტერპრეტაციის პრობლემები
- კონცენტრაციის უქონლობა
- უკვე არსებული სწავლის ჩვევები.

მასწავლებლის მიზანი უნდა იყოს მოსმენის გამოცდილება მთავარ და მნიშვნელოვან საგნად აქციოს, დაეხმაროს სტუდენტებს გაიგონ თუ რა არის მოსმენის მიზანი, რას მოითხოვს ის და როგორ შეიძლება ამის მიღწევა. ასევე სტუდენტებს ჩამოუყალიბოს თავდაჯერებულობა საკუთარი მოსმენის უნარისადმი. ენის სწავლების პროცესში ძალზედ მნიშვნელოვანი და ეფექტურია ფილმების ჩართვა. ფილმები იძლევა ენის გამოყენების შესაძლებლობას ავთენტურ გარემოში და იმ კულტურულ კონტექსტში, რომელშიც ამ ენაზე საუბრობენ. ფილმები ასევე ეხმარება სტუდენტებს კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში. ფილმების მეშვეობით ხდება გაგებაზე დაფუძნებული სწავლა-სწავლება. ფილმები იძლევა კონტექსტუალურ ინფორმაციას და ავითარებს ინტერაქციულ უნარს, რაც ასევე დიდ ინტერესს იწვევს სტუდენტებში. ყოველივე ეს პოზიტიურ ზეგავლენას ახდენს მოტივაციაზე. ამასთანავე, ფილმები გართობის ერთ-ერთი სასიამოვნო რესურსია ენის ათვისების პროცესში. ისინი უზრუნველყოფენ რეალურ სწავლის გარემოს რეალური სცენების წარდგენით. იმისათვის, რომ დაეხმაროს სტუდენტებს ენის დაუფლებაში, მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს ისინი

ხარისხიანი, საინტერესო და უახლესი მასალებით. ჯ. ჰარმერი აღნიშნავს, რომ ფილმები შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც დამხმარე ვიზუალური საშუალება როგორც სწავლების, ისე სწავლის პროცესში (Harmer 2001, 282). ფილმები შეიძლება გამოვიყენოთ ისტორიის, მეცნიერების, ადამიანური ქცევის თუ ნებისმიერი სხვა საგნის სწავლების პროცესში. ზოგიერთი ფილმი კი ასევე სასიამოვნოა და სწავლის პროცესსაც სასიამოვნოს ხდის. რაც შეეხება ფილმის შერჩევას, ამისათვის უ. ვიდიასტუტი (Widiastuti 2011) რამდენიმე კრიტერიუმს გვთავაზობს, რომლებიც უნდა გავითვალისწინოთ: 1. ფილმი საინტერესო უნდა იყოს და ენის შემსწავლელს მისი ყურების სურვილი უნდა ჰქონდეს. 2. ვიდეო უნდა იყოს სრული. შესაბამისად, უნდა იყოს შერჩეული ისეთი კლიპები ან ფრაგმენტები, რომლებიც მეტნაკლებად დასრულებულ ამბავს გადმოსცემენ და მსმენელისთვის ადვილია სიუჟეტის აღქმა. ასევე მნიშვნელოვანია 3. ფილმის ხანგრძლივობა და 4. შინაარსის რელევანტურობა. მ. დანანს (Danan 2004, 67) რამდენიმე საყურადღებო მიზეზი მოჰყავს იმის დასტურად, თუ რამდენად მნიშვნელოვანია აუდიოვიზუალური მასალები. პირველი მიზეზი არის ის, რომ ისინი აუმჯობესებენ სტუდენტების მოსმენის გაგების უნარს. აუდიოვიზუალური მასალა ეხმარება სტუდენტებს ვიზუალურად წარმოიდგინონ ის, რაც ესმით; და ბოლოს, ეს მასალები ზრდის ენის გაგების შესაძლებლობას და იძლევა დამატებითი კოგნიტური უპირატესობების მთელ ჯაჭვს, მაგალითად, აღქმის და გაანალიზების უფრო სიღრმისეულ პროცესს. ფილმებს სტუდენტები რეალურ სიტუაციაში გადაჰყავს. საწყის ეტაპზე მნიშვნელოვანი და ეფექტურია ფილმები სუბტიტრებით. სუბტიტრები ნ. ზანონის მიერ განმარტებულია, როგორც ეკრანის ქვემოთ დაბეჭდილი სიტყვები უცხო ენაზე ან ფილმის ენაზე და გვიჩვენებს იმ სიტყვებს, ფრაზებს და წინადადებებს, რომლებსაც მსახიობები წარმოთქვამენ (Zanon 2006, 47). ის ასევე სუბტიტრების რამდენიმე ტიპს გამოჰყოფს:

1. ბიმოდალური სუბტიტრები (ინგლისური დიალოგები ინგლისური სუბტიტრებით).
2. სტანდარტული სუბტიტრები (ინგლისური დიალოგები შემსწავლელთა მშობლიურ ენაზე სუბტიტრებით).
3. რევერსული ანუ შებრუნებული (reversed) სუბტიტრები (როცა დიალოგები არის შემსწავლელთა მშობლიურ ენაზე, ხოლო სუბტიტრები არის ინგლისურ ენაზე).

ჩვენ მიერ ჩატარებულ კვლევაში მონაწილეობა მიიღო ოცმა 20 სტუდენტმა, რომელთა ენობრივი დონე ერთნაირი იყო (B1). ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმების გათვალისწინებით, კვლევის მასალად გამოვიყენეთ ორი მხატვრული ფილმი. ესენია ნენსი მეიერსის „შვებულება“ (Holiday) და თეა შაროკის „მე შენამდე“ (Me Before You). კვლევაში მონაწილე ერთი ჯგუფი

უყურებდა ფილმებს ბიმოდალური სუბტიტრებით, ხოლო მეორე ჯგუფი სუბტიტრების გარეშე. მათ ურიგდებოდათ სავარჯიშოები და კითხვარი, რომლებიც ამოწმებდა, თუ რამდენად გაიგეს ფილმი. კვლევამ აჩვენა, რომ სუბტიტრებიანი ფილმების ყურების შემდეგ ფილმი უფრო გასაგები იყო. ასევე გამოიკვეთა სტუდენტების პოზიტიური დამოკიდებულება სწავლის პროცესში სუბტიტრებიანი ფილმის ყურებისადმი. განსაკუთრებით ეფექტური იყო ბიმოდალური სუბტიტრები, რადგან როცა შევადარეთ ის სავარჯიშოები, რომლებიც შეასრულა იმ ჯგუფმა, რომელიც ფილმებს სუბტიტრებით ნახულობდა გამოიკვეთა, რომ სუბტიტრების გარეშე მათ უჭირდათ ყველა სიტყვის გაგება, ხოლო ბიმოდალური სუბტიტრების დახმარებით ისინი სწავლობდნენ ბევრ ახალ სიტყვას, ფრაზას, იდიომს და სლენგს. ჩვენ მიერ ჩატარებულმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ ის სტუდენტები, რომლებიც ფილმებს სუბტიტრებით უყურებდნენ, გაცილებით მარტივად აღიქვამდნენ სიტყვებს და შესაბამისად ადვილად იმახსოვრებდნენ, ვიდრე ისინი, რომლებიც ფილმებს სუბტიტრების გარეშე უყურებდნენ. შესაბამისად, ფილმები სუბტიტრებით ამარტივებს სწავლის პროცესს და ზრდის სტუდენტების მოტივაციას.

ასევე მნიშვნელოვანი ეფექტი ჰქონდა ერთი და იმავე ფილმის მეორედ ან რამდენჯერმე ნახვას. კვლევაში მონაწილე სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ სუბტიტრებიანი ფილმების ყურება არის საუკეთესო საშუალება ინგლისური ენის ლექსიკის გაუმჯობესების, გამდიდრების და დაუფლების პროცესში. ბიმოდალური სუბტიტრები ეხმარება მათ დაინახონ და გაიგონონ ყველა სიტყვა.

ამასთანავე, ამ გზით ისინი უკეთ ეცნობოდნენ შესასწავლი ენის კულტურას. ფილმების ყურებამ დადებითი ზეგავლენა იქონია მართლწერაზე და წარმოთქმაზე. ასევე გაუმჯობესდა მათი მოსმენის, კითხვის და საუბრის უნარები.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფილმები წარმოადგენს მდიდარ რესურსს ენის კომუნიკაციისათვის, რაც ხელს უწყობს სტუდენტების მოტივაციას ენის დაუფლების პროცესში.

ლიტერატურა:

1. Danan, M. (2004) Captioning and subtitling: Undervalued language learning strategies. *Meta* 49,66-67
2. Harmer. J. 2001. *The Practice of English Language Teaching*. London: Pearson education Limited
3. Rost, Michael. 2002. *Teaching and Researching Listening*. Edinburgh: Longman
4. Underwood, M. 1989. *Teaching Listening*. Longman
5. Widiastuti, W. 2011. *Enrich Student's Vocabulary Using Theme Based Youtube Video*. Unpublished Thesis. Surakarta: University Sebelas Maret.

6. Zanon, N . (2006). Using Subtitles to Enhance Foreign Language Learning. *Porta Linguarum*, 6, 41-52.

Teona Tedoradze

Priority Instruments of Using Films in Teaching English

Abstract

Listening is one of the essential skills related to a number of difficulties. Accordingly, it requires active involvement in the learning process. In order to assist the students in mastering a language, teachers should provide them with interesting and updated materials. Inclusion of movies into the teaching process facilitates students' ability to enrich vocabulary, improve grammar, develop listening skills and perfect pronunciation. The article deals with the positive impact that application of English films renders to the improvement of listening skills during language acquisition. Twenty students participated in the survey conducted by us for whom listening appeared to be the most difficult aspect. The study was accomplished with using three films and applying the methods of pre-watching, while-watching and after-watching assignments including a questionnaire.

რეკენზენტი: პროფ. ნ. ზვიადაძე

მუსიკალურ-რიტმული უნარების განვითარება ბავშვებში

მაგდა თხილავა

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

e-mail: magda.tkhilava@atsu.edu.ge

მუსიკალური მოძრაობის ამოცანაა აღზარდოს ბავშვებში მუსიკის მოსმენის, აღქმის, შეფასების უნარები, განავითაროს მათში სიყვარული მუსიკის მიმართ, მოამზადოს მათგან მუსიკის მომავალი მსმენელი და მოყვარული, რომლებიც მუსიკაში პოულობენ შთაგონებას, სიხარულს, მხარდაჭერას. მუსიკალურ-რიტმული მოძრაობები უნდა ავითარებდეს ბავშვების მუსიკალურობას. მუსიკალურობა ხასიათდება მუსიკალური ნაწარმოების შინაარსის მის ერთობლიობაში შეგრძნების უნარით – მუსიკალური სახის გრძნობით.

მუსიკალურ-რიტმული მოძრაობების დროს ხატოვანი შინაარსი და სავარჯიშოების ხასიათი მთლიანად გამომდინარეობს მუსიკის შინაარსიდან და ნაწარმოების ფორმიდან. ბავშვებს უვითარდებათ მუსიკის მოსმენის უნარი, როგორც ლოგიკური და თანმიმდევრული მოქმედება. სპეციალურ სავარჯიშოებში, თამაშებში, ცეკვებში ისინი თვითონ აღიქვამენ მუსიკის ემოციურ შინაარსს.

მუშაობის დაწყებისთანავე ბავშვებმა უნდა შეიძინონ პირველი აუცილებელი მუსიკალურ-მოძრაობითი უნარები: ისინი ეჩვევიან მუსიკის ყურადღებით მოსმენას: მოძრაობის დროს მუსიკასთან ერთად მოძრაობის დაწყება და დამთავრება, ერთი მოძრაობის მეორეთი შეცვლა...

როდესაც მასწავლებელი უხსნის ბავშვებს სავარჯიშოს შინაარსს და მის სტრუქტურას, ის აფრთხილებს მათ, რომ უნდა მოემზადონ მოძრაობისთვის მუსიკის დაწყებასთან ერთად, შემდეგ აძლევს მათ საშუალებას შეასრულონ დავალება ისე, როგორც ეს მათ გაიგეს, როგორაც უკარნახებს მათ მუსიკა.

საკვანძო სიტყვები: მუსიკალურ-რიტმული მოძრაობა, მუსიკის მსმენელი და მოყვარული

მუსიკალური მოძრაობის ამოცანაა აღზარდოს ბავშვებში მუსიკის მოსმენის, აღქმის, შეფასების უნარები, განავითაროს მათში სიყვარული მუსიკის მიმართ, მოამზადოს მათგან მუსიკის მომავალი მსმენელი და მოყვარული, რომლებიც მუსიკაში პოულობენ შთაგონებას, სიხარულს, მხარდაჭერას. მუსიკალურ-რიტმული მოძრაობები უნდა ავითარებდეს ბავშვების მუსიკალურობას. მუსიკალურობა ხასიათდება მუსიკალური ნაწარმოების შინაარსის მის ერთობლიობაში შეგრძნების უნარით – მუსიკალური სახის გრძნობით.

მუსიკალური სახის შექმნის უნარის განვითარება ხდება შესაბამისი მიზანმიმართული, ორგანიზებული მუშაობით, როგორც მუსიკის აღქმის, ასევე თვითონ ბავშვების მიერ რიტმული მოძრაობების შესრულებით. მუსიკა ნებისმიერ ადამიანში იწვევს მოტორულ რეაქციას. ხშირად ეს რეაქცია ფარული რჩება და გამოიხატება მხოლოდ კუნთოვანი ტონუსის ცვლილებებით. უნდა შეიქმნას აუცილებელი პირობები ამ მოტორული რეაქციების ბუნებრივ გამოვლენაში მთელი სხეულის მოძრაობებით. ყველაფერი ეს აღზრდის ბავშვებში შემოქმედებით აქტიურობას და წარმოსახვის უნარს.

მუსიკალურ-რიტმული მოძრაობების დროს ხატოვანი შინაარსი და სავარჯიშოების ხასიათი მთლიანად გამომდინარეობს მუსიკის შინაარსიდან და ნაწარმოების ფორმიდან. ბავშვებს უვითარდებათ მუსიკის მოსმენის უნარი, როგორც ლოგიკური და თანმიმდევრული მოქმედება. სპეციალურ სავარჯიშოებში, თამაშებში, ცეკვებში ისინი თვითონ აღიქვამენ მუსიკის ემოციურ შინაარსს.

რიტმის დროს შემოქმედებითი აქტიურობა სხვადასხვანაირად ვლინდება: 1. როდესაც ბავშვები მუსიკის მოსმენის დროს დამოუკიდებლად გამოხატავენ მოძრაობების მისეულ ემოციურ აღქმას, რომელსაც მოითხოვს მუსიკა; 2. როდესაც ბავშვები ასრულებენ სავარჯიშოს მოცემული მოძრაობებით, მაგრამ ანიჭებენ მას ექსპრესიულობას, რომელიც პასუხობს მუსიკის აღქმას.

მუშაობის პროცესში ბავშვებს უნდა გავაცნოთ ნაწარმოები, რომელიც გადმოცემულია სხვადასხვა ხასიათის მუსიკალური სახეებით - მხიარულით, უდარდელით, ლირიკულით, ნაზით, ენერგიულით... კონკრეტული მუსიკალური სახეების შეპირაპირება (ენერგიული, აქტიური, მშვიდი, ლირიკული და ა.შ) ეხმარება ბავშვებს უფრო ძლიერად, სიღრმისეულად და მკაფიოდ გამოხატონ ისინი, ასეთი მუსიკალური სახეები ამდიდრებს და ორგანიზებას უწევს ბავშვების ემოციურ სამყაროს.

მუშაობის წარმატება მიიღწევა არა განვლილი ვარჯიშების, თამაშების, ცეკვების რაოდენობით, არამედ ბავშვების უნარით, გამოხატონ მათი შინაარსი. ყოველთვის უნდა

მივაქციოთ ყურადღება მოძრავი და ცელქი ბავშვების სახეების გამომეტყველებას, რადგანაც მათზე ყველაზე კარგად გამოისახება, რას აძლევს ბავშვს მუსიკისა და მოძრაობის სინთეზი.

რიტმიკის სახელმძღვანელოებში შეტანილი სავარჯიშოები, თამაშები და ცეკვები წარმოადგენენ სასწავლო, დიდაქტიკურ მასალას: თითოეული მათგანი ეხმარება ბავშვების მუსიკალური აღქმის განვითარებას, მათი მოძრაობების სრულყოფას და მათში მუსიკალირ-მამოძრავებელი სახის შემოქმედებითად განსახიერების უნარის ფორმირებას.

სავარჯიშოები, რომელთა დახმარებით ბავშვები ეუფლებიან ზამზარისებურ, სვინგურ ანუ აქნევით და გლუვ ანუ ნარნარ მოძრაობებს, შემდგომში მათ აძლევთ საშუალებას, მოძრაობას მიანიჭოს ხასიათი და ექსპრესიულობა, რომლებიც დამახასიათებელია სხვადასხვაგვარი მუსიკალურ-მოძრავი სახეებისთვის. სიარული, სირბილი და სხვა სახის მოძრაობები ხელს უწყობს პატარებში უმარტივესი მუსიკალურ-მოძრავი სახეების დაუფლებას და ეხმარება მათ აღქმულის გამოხატვასა და გადმოცემაში. სავარჯიშოები, რომლებიც გამოხატავს მუსიკალურ-სივრცითი კომპოზიციების ექსპრესიულობას, ასწავლიან ბავშვებს ჯგუფურად შეასრულონ ისინი ისევე გააზრებულად, მკაფიოდ და მუსიკალურად, როგორც უნდა სრულდებოდეს ყოველი ინდივიდუალური მოძრაობა; ასეთი ვარჯიშები უვითარებს ბავშვებს სივრცის გრძნობას.

მუსიკალურ-რიტმული თამაშებისა და ცეკვების მთავარი ამოცანაა განავითარონ და გააღრმავონ ბავშვებში შემოქმედებითი უნარ-ჩვევები და ფანტაზიის უნარი, ამდროულად მიღებული უნარები გამოიყენონ სხვადასხვა სავარჯიშოების შესრულებისას.

მოსამზადებელი სავარჯიშოები უვითარებს ბავშვებს აუცილებელ სამოდრაო უნარ-ჩვევებს. მთელი ყურადღება უნდა იყოს მიმართული კუნთოვანი შეგრძნების განვითარებაზე, შეგნებულ დამოკიდებულებაზე საკუთარი მოძრაობების მიმართ. მიჩნეულია, რომ კუნთოვანი შეგრძნება არის ის კინესთეტიკური (მოძრაობით) შეგრძნებები, რომლებიც ააქტიურებენ კუნთების მუშაობის ხარისხს და იძლევიან სურათს სხეულის ნაწილების მდგომარეობის შესახებ (მაგალითად, რამდენადაა მოხრილი ხელი მხარის სახსარში და ა.შ.). ამიტომ მოსამზადებელი სავარჯიშოები სრულდება მუსიკის გარეშე.

აუცილებელია კარგად გავეცნოთ მუშაობის ძირითად დირექტივებსა და მეთოდებს, აგრეთვე გავეცნოთ მუსიკალური ვარჯიშების შინაარსსა და სტრუქტურას. მასწავლებელმა წინასწარ უნდა აითვისოს მუსიკალური მოძრაობის ძირითადი პრინციპები და განსაზღვროს მუშაობის დირექტივები, რომლებიც ხელს შეუწყობს ვარჯიშების სწორად გამოყენებას.

პირველკლასელები მუსიკალურ-რიტმულ მოძრაობას ელიან ინტერესით და ახლის მოლოდინით. ბევრი მათგანი უკვე არაერთხელ შეხვედრია მუსიკას და რიტმიკას ჯერ კიდევ სკოლამდელ ასაკში, სადაც ისინი დიდი სილალით ხტუნავდნენ, დარბოდნენ, როგორც ეს სჩვევია

ყველა ბავშვს. შეიძლება ითქვას, რომ პირველკლასელთათვის მუსიკისა და მოძრაობის სინთეზი უცხო არ არის, რაც განსაზღვრავს მოძრაობის ჩვევათა ხარისხს და ეხმარება პატარებს მუსიკის შეგრძნებების გამომუშავებაში.

პირველივე გაკვეთილზე მასწავლებელი მიუთითებს მოსწავლეებს, რომ ყურადღებით მოუსმინონ და კარგად გაიაზრონ მასწავლებლის ყველა მიუთითება, გაითვალისწინონ მისი დირექტივები, სერიოზულად მოეკიდონ მუშაობის ძირითად წესებს, გაკვეთილზე შეინარჩუნონ დისციპლინა და ყოფაქცევა: არ იხმაურონ, არ ისაუბრონ მუსიკის მოსმენის დროს, არ გაფანტონ ყურადღება, იმოდროს უხმაუროდ, „არ შეუშალონ ხელი მუსიკას“, მეცადინეობებზე უნდა მოვიდნენ მსუბუქ, თავისუფალ ტანისამოსში, რბილძირიანი ჩუსტებით.

თუ კი პირველ გაკვეთილზე დაფუძვებით ყურადღების მოდუნებას, ყოფაქცევის წესების დარღვევას, მაშინ ის ინტერესი და სერიოზული დამოკიდებულება, რომლითაც მოვიდნენ ბავშვები გაკვეთილზე, დაიკარგება და მისი აღდგენა ძნელი იქნება: თამაშები და ვარჯიშები გადაიქცევა უწესრიგო სირბილად და მეცადინეობა ყოველგვარ აზრს დაკარგავს. მუშაობის დაწყებისთანავე ბავშვებმა უნდა შეიძინონ პირველი აუცილებელი მუსიკალურ-მოძრაობითი უნარები: ისინი ეჩვევიან მუსიკის ყურადღებით მოსმენას: მოძრაობის დროს მუსიკასთან ერთად მოძრაობის დაწყება და დამთავრება, ერთი მოძრაობის მეორეთი შეცვლა...

როდესაც მასწავლებელი უხსნის ბავშვებს სავარჯიშოს შინაარსს და მის სტრუქტურას, ის აფრთხილებს მათ, რომ უნდა მოემზადონ მოძრაობისთვის მუსიკის დაწყებასთან ერთად, შემდეგ აძლევს მათ საშუალებას შეასრულონ დავალება ისე, როგორც ეს მათ გაიგეს, როგორც უკარნახებს მათ მუსიკა. ერთდროულად პედაგოგი ბავშვების მუსიკალური მეხსიერების განვითარებისათვის ეკითხება: რა გავაკეთებ წინა გაკვეთილზე ამ მუსიკის თანხლებით? ან აძლევს უფლებას თვითონ დაიწყონ ვარჯიში, როდესაც გაიგონებენ ნაცნობ მელოდიას. ამ მეთოდით ბავშვებში ვითარდება სმენითი ყურადღება, ბავშვები ეჩვევიან თვალყური ადევნონ მუსიკის თხრობას ისევე, როგორც ისინი უსმენენ ლექსებს, ზღაპრებს. რიტმული მოძრაობები აძლიერებს ბავშვის ემოციურ გამოძახილს მუსიკაზე.

ამიტომ არ უნდა წარუდგინოთ ძალიან დიდი მოთხოვნები მათი მოძრაობების სიმკვეთრეზე და ექსპრესიულობაზე. ვარჯიშების გამეორებისას ბავშვებს შეგვიძლია დავეხმაროთ კითხვებით, მაგალითად: ეს მუსიკა მხიარულია თუ ნაღვლიანი?, სწრაფია თუ ნელი?, უნდა შევთავაზოთ იმოდროს მუსიკის ხასიათის შესაბამისად. პედაგოგმა ხელი უნდა შეუწყოს ბავშვების ინტერესს, შეიტანოს დავალებებში სახალისო ელემენტები, გააღვივოს წარმოსახვა, აღძრას შემოქმედებითი ფანტაზია.

ბავშვების პირველივე მუსიკალური შთაბეჭდილებები და რიტმის დროს გამომუშავებული უნარ-ჩვევები საწინდარია მთელი შემდგომი მუშაობის წარმატებისა.

ლიტერატურა

1. თხილავა მ., - საგანმანათლებლო პროცესის მუსიკალურ-მეთოდური უზრუნველყოფა. ქუთაისი, ქსუ - გამომცემლობა. 2018
2. თხილავა მ., - ცეკვისა და რიტმული მოძრაობების გამოყენების მნიშვნელობა მოსწავლეთა მუსიკალური აღზრდის დროს. სამეცნიერო ჟურნალი „მაცნე“, № 7, გვ 23-25. თბილისი. 2014
3. ფალავანდიშვილი მ.,- რიტმიკა ბავშვებისათვის. თბილისი. 1995

Magda Tkhilava

Development of Musical-rythmic Skills in Children

Abstract

The task of a musical movement is to raise listening, comprehension and assessment skills of music in children, develop love of music, upbringing future music listener and amateur, who find inspiration, joy and support in music. Musical-rhythmic movements should develop children's musicality. Musicality is characterized with the skill to perceive the content of musical composition in unity.

Developing the skill to create musical concept is possible through proper purposeful, organized work as well as rhythmic movements done by children. Music causes motoric reaction in any person. This reaction is often secret and is only expressed by the changes of muscle tone. These will upbringing creative activity and imaginary skills in children.

In musical-rythmic movements figurative content and character of exercises flow out from the content of music and shape of a composition. The skill of listening music is developed in children as a logical and sequential activity. In special exercises, games and dances they perceive emotional content of music on their own.

At the first lesson, a teacher refers to children to listen carefully and think about teacher's references, consider her instructions, obey main working rules, keep discipline at the lesson: not to make noise, not to speak while listening music and not to lose attention, move without noise, "not to interfere music", wear light, casual clothes and slippers. Success of the work can be reached, not by the amount of exercises, games and dances, but by children's skill to express their content.

რეცენზენტი: ა. არველაძე

ბოლონიის უნივერსიტეტში ჩატარებული კვლევების შედეგები

მეტრეველი მედეა

თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
medeametreveli@mail.ru

კვლევის მიზანია გამოვლინდეს ის სირთულეები, რომლებიც თან ახლავს რუსული ენის შესწავლას იტალიელი სტუდენტებისა და რუსულენოვანი მიგრანტი სტუდენტების მიერ მიერ. ასევე დაისახოს ის საშუალებები, რითაც ეს სირთულეები აღმოიფხვრება. ბოლონიის უნივერსიტეტში უცხო ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე ფუნქციონირებს ბაკალავრიატის ორი და მაგისტრატურის სამი პროგრამა:

ბაკალავრიატის ორი მიმართულება:

1. უცხო ენებისა და ლიტერატურის ტრადიციული კურსი
2. ენების, კულტურების და აზიის ბაზრების კურსი

სამი სამაგისტრო პროგრამა:

1. ლიტერატურის, ფილოლოგიისა და პოსტკოლონიალური კვლევების შედარებითი შესწავლა

2. კომუნიკაცია და ლინგვისტიკა

3. იტალიური ენის, როგორც უცხო ენის სწავლება

რუსული ენის შესწავლის მსურველთა რიცხვი მატულობს მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდა ინფორმანტებს აქვთ დიდი ინტერესი რუსული ენისადმი, იკვებება

რუსული ენა ყოველთვის ვერ აკმაყოფილებს მათ მოთხოვნებს, ამიტომ იტალიური ენა ხდება დომინანტი, განსაკუთრებით მათთვის, ვინც ჩამოვიდა იტალიაში ადრეულ ასაკში.

რუსულის, როგორც უცხო ენის, შესწავლა იწყება ნულიდან (ალფაბეტიზაცია). იტალიელი სტუდენტების რაოდენობა, რომელნიც უკვე ფლობენ რუსულ ენას უნივერსიტეტში მოსვლამდე ძალიან ცოტაა (იტალიის სკოლებსა და ლიცეუმებში რუსული იშვიათად ისწავლება)

ისინი ვინც ფლობენ ან ნახევრად ფლობენ რუსულ ენას, არიან რუსეთიდან, უკრაინიდან, ბელორუსიდან და მოლდოვიდან ჩამოსული სტუდენტები.

რუსული ენის შესწავლის მსურველთა რიცხვი მატულობს

HERITAGE SPEAKERS, ვინ არიან ისინი?

ესენი არიან მიგრანტების შვილები, რომლებიც დაიბადნენ იტალიაში, ასევე ადამიანები, რომლებიც ჩამოვიდნენ იტალიაში ადრეულ ასაკში, ზოგჯერ რუსულ ან ნაციონალურ სკოლებში დაწყებითი სწავლების შემდეგ, და გააგრძელეს სწავლა იტალიაში. როგორც ამბობენ, პირველი ენის მატარებლები, როგორც საოჯახო ანუ საშინაო ენის.

მეორე თაობების რუსულენოვანი მიგრანტების ანალიზი, რომელიც ჩატარდა: რუსული საკვირაო სკოლის მოსწავლეებთან (13 ოჯახი, 4 რუსულენოვანი და 9 შერეული), ახალგაზრდა ინფორმანტებთან, რომლებიც არიან უნივერსიტეტის სტუდენტები (17 ახალგაზრდა)

მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდა ინფორმანტებს აქვთ დიდი ინტერესი რუსული ენისადმი, იკვთება შემდეგი პრობლემები: რუსული ენა ყოველთვის ვერ აკმაყოფილებს მათ მოთხოვნებს, ამიტომ იტალიური ენა ხდება დომინანტი, განსაკუთრებით მათთვის, ვინც ჩამოვიდა იტალიაში ადრეულ ასაკში. ისინი წვალობენ, რადგან არ აქვთ ნორმატიული მხარდაჭერა (მათი ენაა მხოლოდ მშობლების ენის შეზღუდული ვარიანტი) imperfect learning/ full language

მათი ენის წყარო ძირითადად ზეპირია.

მიუხედავად სირთულეებისა, მეორე თაობის რუსულენოვანი წარმომადგენლები მაღალ შეფასებას აძლევენ მშობლიური ენის პოტენციალს და უნდათ მისი, როგორც პროფესიონალური რესურსის განვითარება

ფინანსური რესურსებისა და პერსონალის უკმარისობის გამო უნივერსიტეტში მუშაობა ტარდება ერთიან სტუდენტურ აუდიტორიასთან (რუს და იტალიელ სტუდენტებთან). აუცილებლად უნდა იქნას შემუშავებული რუსული ენის სპეციალური პროგრამები კონკრეტულად რუსულენოვანი სტუდენტებისთვის, დაახლოებით ისეთები, რომლებიც შექმნილია ამერიკის შეერთებულ შტატებში

საჭირო სპეციფიკური მეთოდის არ არსებობა რუსულ ენაში განსაკუთრებით მკვეთრად იგრძნობა საუნივერსიტეტო განათლების დონეზე

საკვანძო სიტყვები: ბოლონიის უნივერსიტეტი, რუსულენოვანი, სტუდენტობა

კვლევა ჩატარდა ბოლონიის უნივერსიტეტში უცხო ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის იმ სტუდენტებთან, რომლებიც შეისწავლიან რუსულ ენას.

კვლევის მიზანია გამოვლინდეს ის სირთულეები, რომლებიც თან ახლავს რუსული ენის შესწავლას იტალიელი სტუდენტებისა და რუსულენოვანი მიგრანტი სტუდენტების მიერ. ასევე დაისახოს ის საშუალებები, რითაც ეს სირთულეები აღმოიფხვრება.

ბოლონიის უნივერსიტეტში უცხო ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე ფუნქციონირებს ბაკალავრიატის ორი და მაგისტრატურის სამი პროგრამა:

ბაკალავრიატის ორი მიმართულება:

1. უცხო ენებისა და ლიტერატურის ტრადიციული კურსი
2. ენების, კულტურების და აზრის ბაზრების კურსი

სამი სამაგისტრო პროგრამა:

1. ლიტერატურის, ფილოლოგიისა და პოსტკოლონიალური კვლევების შედარებითი შესწავლა

2. კომუნიკაცია და ლინგვისტიკა

3. იტალიური ენის, როგორც უცხო ენის სწავლება

ვინ სწავლობს რუსულ ენას?

რუსულის, როგორც უცხო ენის, შესწავლა იწყება ნულიდან (აღფაბეტიზაცია)

იტალიელი სტუდენტების რაოდენობა, რომელნიც უკვე ფლობენ რუსულ ენას უნივერსიტეტში მოსვლამდე, ძალიან ცოტაა (იტალიის სკოლებსა და ლიცეუმებში რუსული იშვიათად ისწავლება)

ისინი ვინც ფლობენ ან ნახევრად ფლობენ რუსულ ენას, არიან რუსეთიდან, უკრაინიდან, ბელორუსიდან და მოლდოვიდან ჩამოსული სტუდენტები.

რუსული ენის შესწავლის მსურველთა რიცხვი მატულობს

HERITAGE SPEAKERS, ვინ არიან ისინი?

ესენი არიან მიგრანტების შვილები, რომლებიც დაიბადნენ იტალიაში, ასევე ადამიანები, რომლებიც ჩამოვიდნენ იტალიაში ადრეულ ასაკში, ზოგჯერ რუსულ ან ნაციონალურ სკოლებში დაწყებითი სწავლების შემდეგ, და გააგრძელეს სწავლა იტალიაში. როგორც ამბობენ, პირველი ენის მატარებლები, როგორც საოჯახო ანუ საშინაო ენის.

რუსული ენის შენარჩუნების პრობლემები

მეორე თაობების რუსულენოვანი მიგრანტების ანალიზი, რომელიც ჩატარდა:

❖ რუსული საკვირაო სკოლის მოსწავლეებთან (13 ოჯახი, 4 რუსულენოვანი და 9 შერეული)

❖ ახალგაზრდა ინფორმანტებთან, რომლებიც არიან უნივერსიტეტის სტუდენტები (17 ახალგაზრდა)

❖ მშობლების მნიშვნელოვანი როლი მშობლიური ენის შენარჩუნებაში და ორენოვან აღზრდაში.

❖ სწავლების რუსულ ენაზე გაგრძელების მნიშვნელობა

❖ მტკიცდება რუსული ენის, როგორც lingua franca - ს როლი სხვადასხვა ეროვნების ოჯახებში

მეორე თაობის ახალგაზრდა ინფორმანტების იდენტურობა

რას გრძნობ იმასთან დაკავშირებით, რომ ლაპარაკობ რუსულად?

- | | | |
|--------------------------|---|-------|
| <input type="checkbox"/> | მგონია სხვა ვარ (დადებითად) | 6/17 |
| <input type="checkbox"/> | მგონია სხვა ვარ (უარყოფითად) | 1/17 |
| <input type="checkbox"/> | მე ვამაყობ იმით, რომ ვლაპარაკობ რუსულად | 12/17 |
| <input type="checkbox"/> | მე მრცხვენია | – |
| <input type="checkbox"/> | მე მიმაჩნია, რომ ეს უპირატესობაა | 10/17 |
| <input type="checkbox"/> | მე მიმაჩნია, რომ ამას აქვს თავისი სირთულებები | 2/17 |

ორენოვნების განვითარების პრობლემა

მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდა ინფორმანტებს აქვთ დიდი ინტერესი რუსული ენისადმი, იკვეთება შემდეგი პრობლემები:

❖ რუსული ენა ყოველთვის ვერ აკმაყოფილებს მათ მოთხოვნებს, ამიტომ იტალიური ენა ხდება დომინანტი, განსაკუთრებით მათთვის, ვინც ჩამოვიდა იტალიაში ადრეულ ასაკში

❖ ისინი წვალობენ, რადგან არ აქვთ ნორმატიული მხარდაჭერა (მათი ენაა მხოლოდ მშობლების ენის შეზღუდული ვარიანტი) imperfect learning/ full language

❖ მათი ენის წყარო ძირითადად ზეპირია

ახალგაზრდა იმიგრანტების კონტაქტი რუსულ ენასთან

სად ლაპარაკობენ რუსულად:

- | | | |
|---|-------------------|-------|
| ❖ | სახლში მშობლებთან | 14/17 |
| ❖ | დებთან და ძმებთან | 6/17 |

(თუმცა აღნიშნეს, რომ საუბრობენ რუსულადაც და იტალიურადაც)

- ❖ რუს მეგობრებთან 1 6/17
(თუმცა აღნიშნეს, რომ საუბრობენ რუსულადაც და იტალიურადაც)
- ❖ კითხულობენ წიგნებს, ჟურნალებს და გაზეთებს რუსულ ენაზე: 9/17
(ხშირად, და განსაკუთრებით ინტერნეტში), 7 ხანდახან, 1 არასდროს
- ❖ უსმენენ რუსულ მუსიკას 16/17
- ❖ უყურებენ რუსულ ტელევიზიას და ფილმებს რუსულ ენაზე 14/17

წერის დროს დაშვებული შეცდომები

- ❖ არ ესმით ორმაგი თანხმოვნები: клас, каса
- ❖ ურევენ ასოებს, რომლებიც აღნიშნავენ ყრუ და მჟღერ თანხმოვნებს: реский
- ❖ ახდენენ ხმოვნების რედუქციას: заевилась, ашибочный, жельё, свенья
- ❖ ზოგიერთ სიტყვას წერენ ერთად: небезгранично, небесконечно, და პირიქით: не выносимо, не обыкновенно, не померно
- ❖ ურევენ Е /Э, Ш/Щ: экономика, мешанка
- ❖ ტოვებენ Й : ячеика, поити
- ❖ ავიწყდებათ რბილი ნიშანი: меньше, дитё, семя, болше, менше, ან სვამენ იქ, სადაც არ არის საჭირო: столичьный, твояь, вечьно

ანალოგიური შეცდომები გვხვდება იტალიელი სტუდენტების ნაწერებშიც, თუმცა იქ არ შეინიშნება იდენტურობის კრიზისი ანდა დანაშაულის გრძობა, როგორც ეს აღინიშნება რუს სტუდენტებთან

სირთულები სინტაქსში და მორფოლოგიაში

❖ ჩვენი ახალგაზრდა ინფორმანტების ლინგვისტური კომპეტენცია მეტად სხვადასხვანაირია . ის პროპორციულად მაღალია მათთან, ვინც უფრო დიდხანს ცხოვრობდა რუსეთში და რამდენიმე წელი სწავლობდა რუსულ სკოლაში.

❖ სინტაქსის დონეზე შეინიშნება ნულოვანი პრონომინალიზაცია, რომელიც დამახასიათებელია ასევე იტალიური ენისთვისაც.

- ❖ ფართოდაა გავრცელებული კითხვითი კონსტრუქცია: интересно, если
- ❖ მთავარი პრობლემები შეინიშნება ბრუნვების ფლექსიების დონეზე
- ❖ სჭარბობს предложный падеж - ის გამოყენება განურჩევლად ყველა ირიბ ბრუნვაში:

к ученикам ленивых, в культура всех народах

- ❖ სირთულები გამოიკვეთა მოთხრობით ბრუნვის მრავლობით რიცხვში:
- ❖ Первенцов, грачов (უფრო მეტად გავრცელებულია დაბოლოება -ов).

დასკვნები:

- ❖ მიუხედავად სირთულეებისა, მეორე თაობის რუსულენოვანი წარმომადგენლები მაღალ შეფასებას აძლევენ მშობლიური ენის პოტენციალს და უნდათ მისი, როგორც პროფესიონალური რესურსის განვითარება
- ❖ ფინანსური რესურსებისა და პერსონალის უკმარისობის გამო უნივერსიტეტში მუშაობა ტარდება ერთიან სტუდენტურ აუდიტორიასთან (რუს და იტალიელ სტუდენტებთან)
- ❖ აუცილებლად უნდა იქნას შემუშავებული რუსული ენის სპეციალური პროგრამები კონკრეტულად რუსულენოვანი სტუდენტებისთვის, დაახლოებით ისეთები, რომლებიც შექმნილია ამერიკის შეერთებულ შტატებში
- ❖ საჭირო სპეციფიკური მეთოდის არ არსებობა რუსულ ენაში განსაკუთრებით მკვეთრად იგრძნობა საუნივერსიტეტო განათლების დონეზე

Medea Metreveli**Study of the Russian language by Italian students and Russian-speaking migrant students****Abstract**

The aim of the study is to identify the difficulties associated with the study of the Russian language by Italian students and Russian-speaking migrant students. Also identify the means by which these difficulties are eliminated. There are two bachelor's and three master's degree programs at the Faculty of Foreign Languages and Literature at the University of Bologna:

Two directions of bachelor's degree:

1. Traditional course in foreign languages and literature
2. Course in languages, cultures and Asian markets

Three Master's Programs:

1. Comparative study of literature, philology and postcolonial studies
2. Communication and Linguistics
3. Teaching Italian as a foreign language

The number of people wishing to study Russian is increasing, although young informants have a great interest in the Russian language, it is clear

The Russian language does not always meet their requirements, so the Italian language becomes dominant, especially for those who arrived in Italy at an early age.

The study of Russian as a foreign language starts from scratch (alphabetization). The number of Italian students who already speak Russian before coming to the university is very small (Russian is rarely taught in Italian schools and lyceums)

Those who speak or are fluent in Russian are students from Russia, Ukraine, Belarus and Moldova.

The number of people wishing to study Russian is increasing

HERITAGE SPEAKERS, who are they?

These are the children of migrants who were born in Italy, as well as people who came to Italy at an early age, sometimes after primary education in Russian or national schools, and continued their studies in Italy.

Analysis of Russian-speaking migrants of the second generation, conducted with Russian Sunday school students (13 families, 4 Russian-speaking and 9 mixed), with young informants who are university students (17 young people)

Although young informants have a strong interest in the Russian language, the following problems arise: The Russian language does not always meet their requirements, so the Italian language becomes dominant, especially for those who arrived in Italy at an early age. They complain because they do not have normative support (their language is only a limited version of the parents' language) imperfect learning / full language

The source of their language is mostly oral.

Despite the difficulties, the second generation of Russian-speaking representatives highly appreciate the potential of the native language and want to develop it as a professional resource.

Due to financial resources and staff shortages, work at the university is carried out with a single student audience (Russian and Italian students). Special Russian language programs must be developed specifically for Russian-speaking students, about the same as those designed in the United States.

The lack of the required specific methodology in the Russian language is particularly pronounced at the level of university education

რეცენზენტი: პროფესორი ნ. კვირიკაძე

ზოგი რამ სკოლაში მეტყველების კულტურის გასაუმჯობესებლად

მანანა მიქაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

e-mail: manana-mikadze@rambler.ru

მშობლიური ენის საფუძვლიანი შესწავლით მოსწავლეს უმდიდრდება გონება, უმუშავდება გარკვეული შეხედულება საგნებზე, მოვლენებზე, უვითარდება ადამიანური ცხოვრებისა და მოქმედებისათვის აუცილებელი ჩვევები, ყალიბდება როგორც განათლებული ადამიანი. მეტყველების განვითარების გეგმაშეწონილად წარმართვა მოითხოვს მისი ფსიქოფიზიოლოგიური ბუნების ცოდნას. არა მხოლოდ მშობლიური ენის მასწავლებელი უნდა ერკვეოდეს ამ საკითხებში, არამედ ყველა საგნის მასწავლებელი, ვინაიდან მეტყველების განვითარებას ხელს უწყობს არა მხოლოდ დედაენის, არამედ, საერთოდ, სხვადასხვა მეცნიერების საფუძვლების ცოდნა. მეცნიერებათა ელემენტარული საკითხების დაუფლებაც კი იმაზეა დამოკიდებული, თუ მოსწავლეს რამდენად სრულყოფილად ექნება შეთვისებული დედაენა, ის ენა, რომელზედაც აზროვნებს.

საკვანძო სიტყვები: მეტყველების კულტურა, მშობლიური ენა, აზროვნება, მეტყველება და ენა, ენის აღქმა და გამოხატვა

მშობლიური ენის საფუძვლიანი შესწავლით მოსწავლეს უმდიდრდება გონება, უმუშავდება გარკვეული შეხედულება საგნებზე, მოვლენებზე, უვითარდება ადამიანური ცხოვრებისა და მოქმედებისათვის აუცილებელი ჩვევები, ყალიბდება როგორც განათლებული ადამიანი. მეტყველების განვითარების გეგმაშეწონილად წარმართვა მოითხოვს მისი ფსიქოფიზიოლოგიური ბუნების ცოდნას. არა მხოლოდ მშობლიური ენის მასწავლებელი უნდა ერკვეოდეს ამ საკითხებში, არამედ ყველა საგნის მასწავლებელი, ვინაიდან მეტყველების განვითარებას ხელს უწყობს არა მხოლოდ დედაენის, არამედ, საერთოდ, სხვადასხვა მეცნიერების საფუძვლების ცოდნა. მეცნიერებათა ელემენტარული საკითხების დაუფლებაც კი

იმაზეა დამოკიდებული, თუ მოსწავლეს რამდენად სრულყოფილად ექნება შეთვისებული დედაენა, ის ენა, რომელზედაც აზროვნებს.

ქართული ენის სწავლებასთან დაკავშირებით მეტყველების კულტურაზე მუშაობისათვის მიზნად უნდა დავისახოთ მოსწავლეთა წიგნიერების დონის ამაღლება, რისთვისაც IV–XII კლასებში ყურადღება უნდა გავამახვილოთ რამდენიმე საკითხზე:

- ა) სრულყოფილი კითხვის ჩვევის განმტკიცება;
- ბ) ზეპირი მეტყველების განვითარება;
- გ) მართლწარმოთქმისა და მართლწერის ჩვევითა გამომუშავება-განმტკიცება;
- დ) ლექსიკის გამდიდრება;
- ე) ფონეტიკისა და გრამატიკის ცოდნის პრაქტიკულად გამოყენება;
- ვ) პუნქტუაციისა და სტილისტიკის ცოდნა-ჩვევის გამომუშავება-განმტკიცება;
- ზ) საქმის ქაღალდების შედგენა;
- თ) წიგნზე მუშაობა;

ი) საჯაროდ ზეპირ გამოსვლაზე (თეზისების, გეგმების, კონსპექტების შედგენა და მათი გამოყენება მოხსენებისათვის) და სხვა.

ამ საკითხების სწორად დაგეგმვასა და წარმართვას დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა მეტყველების განვითარების ორგანიზაციისათვის. სასკოლო პრაქტიკაში გამოკვეთილია, რომ მოსწავლეთა მეტყველების განვითარებისათვის წიგნიერების დონის ამაღლებისათვის თანამიმდევრული, სისტემატური მუშაობა არც თუ კარგად მიმდინარეობს. მართალია, სასკოლო პროგრამით ლიტერატურისა და ენის გაკვეთილებზე მუშაობა მიმდინარეობს, მაგრამ იშვიათია, რომ მოსწავლეები ვარჯიშობდნენ გამომტყველებითს კითხვაში, ლიტერატურულ წარმოთქმაზე, გადმოსაცემი შინაარსის გეგმის შედგენაზე, წიგნიდან ან პრესიდან ციტატების ამოღებაზე, მოხსენებისათვის გეგმის შედგენაზე, თეზისებისა და კონსპექტების შედგენაზე, საქმის ქაღალდების შედგენაზე.

ყველაფერი ეს სად უნდა ისწავლოს მოსწავლემ თუ არა მშობლიური ენისა და ლიტერატურის ფგაკვეთილზე? და ვინ უნდა ასწავლოს თუ არა დედაენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა?

აზროვნება, მეტყველება და ენა, ერთმანეთთან უმჭიდროესად არის დაკავშირებული და ჩვეულებრივ სიტყვახმარებაში მათ ზოგჯერ ერთმანეთისაგანაც კი არ ასხვავებენ, მაგრამ აზროვნების, მეტყველებისა და ენის ცნებები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, მათ თავ-თავისი სპეციფიკური ნიშნები აქვთ. ამ განსხვავების ცოდნა აუცილებლად საჭიროა.

როცა ადამიანს სურს, თავისი აზრი გამოთქვას ზეპირად, ზოგჯერ მთლიანად წერს სათქმელს, შემდეგ სწავლობს მას კითხვის გზით, რათა მწყობრად, თანმიმდევრულად და ამომწურავად გადმოსცეს სათქმელი. წიგნიერი ადამიანის ზეპირი მეტყველება უმთავრესად ნაწერს ეყრდნობა, წერითი მეტყველება კი ზეპირს იშველიებს.

ამდენად, ზეპირი და წერითი მეტყველება ორგანულადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ამ კავშირის ფაქტი სწავლების პროცესში, სადაც მეცნიერებათა საფუძვლების ათვისება ძალიან ხშირად ზეპირსა და წერით მეტყველებას ერთდროულად ეყრდნობა.

მიუხედავად მათ შორის მჭიდრო კავშირისა, ზეპირი მეტყველება მაინც განსხვავდება წერითი მეტყველებისაგან. მათ შორის განმასხვავებელი ნიშნები შეიძლება ასე ჩამოვაცალიბოთ:

ა) ზეპირად სათქმელი წარმოითქმის და გაიგონება, აღიქმება აკუსტიკური შთაბეჭდილებებით; წერილობით ნათქვამი წაიკითხება გრაფიკული ნიშნების ასოების საშუალებით და აღიქმება მხედველობითი შთაბეჭდილებებით. ზეპირად თქმა ორთოეპიის საგანია და მისი ხარისხი დამოკიდებულია არა მხოლოდ მთქმელის განათლებაზე, არამედ მის (მთქმელის) პირად ანატომიურ-ფიზიოლოგიურ და ფსიქიკურ თავისებურებებზე (ნაკლოვანება-ღირსებებზე).

ბ) ბავშვი ენას იდგამს ზეპირი მეტყველებით, დასაწყისში ზეპირი მეტყველება ვითარდება პრაქტიკული გზით, გამოცდილებით. შემდეგ კი როცა ბავშვი სკოლაში იწყებს სწავლას, მეტყველების წესებს თანდათანობით საგანგებოდ სწავლობს. წერას კი სკოლაში შესვლამდე არ სწავლობს, თანაც მისი დაუფლება საგანგებო ღონისძიების – სწავლის – გარეშე ვერ ხერხდება.

გ) ზეპირი მეტყველების მსმენელი იქვე იგულისხმება. მოუბარი მსმენელს მოითხოვს. წერილობითი დოკუმენტი ანგარიშს არ უწევს იმას, წამკითხველი სად იქნება. ზეპირად ნათქვამის მოქმედების მასშტაბი ვიწროა და ხანმოკლე, ნაწერისა კი თითქმის უსაზღვროა, გამძლე და ხანგრძლივი.

დ) ზეპირი მეტყველების ემოციური ეფექტი მაღალია და თვალსაჩინო, ვიდრე წერითი მეტყველების მონაცემებისა: ზეპირი მეტყველებისას მოუბარზე უშუალოდ მოქმედებს აუდიტორია, რომელსაც შეაქვს მოუბრის ტონსა, ტემპსა და მიმართვის ფორმაში ერთგვარი ცვლილებები; უფრო ადვილად მიაქვს მთქმელს გადასაცემი მსმენელთან ჟესტის, მიმიკის დახმარებით. მოუბარს საშუალება ეძლევა თვალყური ადევნოს თქმულის გაგება-ათვისების მიმდინარეობას: კონტროლი გაუწიოს თქმის (საუბრის) ხარისხს მსმენელთა შთაბეჭდილების ანალიზის შედეგად.

ე) ზეპირად ნათქვამის შინაარსსა და ფორმას თქმის პროცესშივე აკონტოლებენ როგორც მთქმელი, ისე მსმენელები; ნაწერს კი წერის პროცესში მხოლოდ დამწერი ამოწმებს და სხვას მისი დასრულებისა და წაკითხვის შემდეგ ეძლევა შემოწმების საშუალება.

ვ) ზეპირი მეტყველება შედარებით უფრო თავისუფალია და შეუზღუდველი, ვიდრე წერითი. ზეპირი მეტყველების მსვლელობისას მთქმელი საჭირო შემთხვევაში მონოლოგს ცვლის დიალოგით, იმოწმებს მსმენელებს ნათქვამის სისწორეში, იმეორებს ფრაზებს ან იძლევა მათს შინაარსს სხვადასხვა ფორმაში, აკეთებს ლოგიკურ და ფსიქოლოგიურ პაუზებსა და მახვილებს, გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ნათქვამის შინაარსისადმი სათანადო ინტონაციით. ამ საშუალებებსა და ღირსებებს წერილობითი ნათქვამი მოკლებულია, სადაც ვერ ხერხდება ლოგიკური და ფსიქოლოგიური პაუზებისა და მახვილების დაცვა, ინტონაციის გამოვლენა; წერით მეტყველებაში ამ დანაკლისთა კომპენსირება მხოლოდ ნაწილობრივ ხერხდება სასვენი ნიშნების საშუალებით. მაგრამ სასვენი ნიშნები მოკლებულია იმ მდიდარ საშუალებებს (ინტონაციას, ტემპს, ტემბრს, ჟესტს, მიმიკას), რომლებიც ზეპირ მეტყველებას ახასიათებს გადმოსაცემი შინაარსის ლოგიკური, ფსიქოლოგიური, გრამატიკული და სტილისტიკური სინამდვილის ნათელსაყოფად.

ზ) წერით მეტყველებასაც აქვს გარკვეული უპირატესობანი ზეპირ მეტყველებასთან შედარებით: ა) ნაწერი იქმნება ნელი ტემპით, დაკვირვებით. დამწერს საშუალება ეძლევა მეტი იფიქროს დასაწერის შინაარსსა და ფორმაზე, უკეთ გამართოს ფრაზა გრამატიკულად და სტილისტიკურად; ბ) ნაწერში უკეთ ვლინდება ადამიანის ცოდნა-განათლების დონე, მისი აზროვნების დონე, მეტყველების კულტურის მაჩვენებლები, ვიდრე ზეპირად ნათქვამში. სწორედ ამის გამო ხშირად ნაწერის შემოწმება-ანალიზის საფუძველზე გამოაქვთ დასკვნა დამწერის აზროვნებისა და მეტყველების დონეზე, ე.ი. ნაწერი ხდება დამწერის წიგნიერების, საერთო განათლების საზომი.

მეთოდურ ლიტერატურაში სათანადო გაგებით არ იხმარება ტერმინები "მეტყველების განვითარება", "ენის განვითარება". ეს ორი ტერმინი სხვადასხვა შინაარსის შემცველია. ენის განვითარების საკითხი - ლინგვისტიკის საკითხია და იგი ამ მეცნიერების სხვა ზოგად პრობლემებთანაა დაკავშირებული. მეტყველების განვითარების საკითხი კი პიროვნებას შეეხება, მის მეტყველებაში ენის კანონების დაცვასა და გამოყენებას გულისხმობს. ამდენად, სწავლების მეთოდიკა მოსწავლეთა მეტყველების განვითარების საკითხებს შეისწავლის და არა ენის განვითარებისას.

სკოლის უფროსი კლასებისა და განსაკუთრებით IV–XII კლასების მოსწავლეთა ზეპირ მეტყველებას ახასიათებს გარკვეული ნაკლოვანებები, რომელთაგან აღვნიშნავთ უმთავრესს:

- 1) ბგერათა, სიტყვათა არამართებულად წარმოთქმა: ერთი ბგერის ნაცვლად მეორის წარმოთქმა (მოხდა- მოხთა), ბგერათაგადასმა (აღნიშნავ- ავღნიშნავ), ბგერათდაკარგვა (სახლში-სახში). და ა.შ.
- 2) სიტყვის დაბოლოებათა, წინადადების დაბოლოებათა არამკაფიოდ წარმოთქმა, დაბოლოებათა "ყლაპვა".
- 3) წარმოთქმის კულტურაზე არასისტემატური ზრუნვა. არის შემთხვევები, რომ მასწავლებელი არც დაწყებითსა და არც შემდგომ კლასებში ყურადღებას არ აქცევს წარმოთქმის კულტურას, უყურადღებოდ ტოვებს წარმოთქმაში დაშვებულ უხეშ შეცდომებს. ყურადღების ცენტრი გადატანილია იმაზე, თუ რას ამბობს მოსწავლე და უყურადღებოდაა დატოვებული – როგორ ამბობს, როგორ წარმოთქვამს.
- 4) ქართული ზეპირი მეტყველებისათვის დამახასიათებელია მახვილის, ინტონაციის, ტემპის, ტემბრის დაუცველობა; სიტყვის ბოლო მარცვლის ხელოვნურად გაგრძელება, სიტყვისა და ფრაზის მონოტონურად წარმოთქმა, კითხვისიტყვიანი წინადადების დაბოლოების კითხის ინტონაციით წარმოთქმა და სხვ.
- 5) ფონეტიკური წესების მექანიკურად დასწავლა; ამ წესების პრაქტიკაში გამოყენებაზე ნაკლები ვარჯიშობა: თეორიული და პრაქტიკული საკითხების სწავლების სუსტი კავშირი ფონეტიკის სწავლების პროცესში.
- 6) გრამატიკული წესების პრაქტიკაში გამოყენების სუსტი ჩვევა, სტილისტიკური მინიმუმის დარღვევის შემთხვევები და სხვა.
- 7) დიალექტიზმების, ბარბარიზმების შემთხვევები, წიგნის ენის სუსტი გავლენა და ა.შ.
- წერითი მეტყველების კულტურის დონის გამორკვევა-შეფასებისათვის მნიშ-ვნელოვანია ნაწერის მოცულობა. იყო წლები, როცა საშუალო სკოლის ზედა კლასებში მტკივნეულად იდგა თხზულების ვრცლად წერის საკითხი. შეიძლება ითქვას, რომ ამ მიმართულებით, უმეტეს შემთხვევაში მდგომარეობა ამჟამად ნორმალურია.
- მთავარია, მოსწავლეები შევაჩვიოთ სიტყვათა ზუსტი მნიშვნელობით ხმარებას, აზრის გადმოსაცემად შესაფერისი ლექსიკისა და გრამატიკული ფორმების შერჩევას, ფრაზის დახვეწას, სალიტერატურო ენის ნორმების და სიწმინდის დაცვას, წინადადებაში სიტყვებისა და თხზულებაში წინადადებების ლოგიკური თანამიმდევრობით დალაგებას, მეტყველების სტილზე ზრუნვას.
- სკოლაში მოსწავლეებში ლიტერატურული წარმოთქმის ნორმათა დასანერგად, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა შემდეგი ღონისძიებების გატარება:

1) ყველა საგნის მასწავლებელი მეტყველებდეს მართლა სანიმუშოდ, მაქსიმალურად იცავდეს ლიტერატურული წარმოთქმის ნორმებს.

2) სკოლაში ორთოგრაფიულ რეჟიმთან ერთად ყურადღების ცენტრში დადგეს ორთოეპიის რეჟიმის დაცვა. მოსწავლეებს კატეგორიულად მოვთხოვით მართებული ზეპირი მეტყველება არა მხოლოდ გაკვეთილზე – დავალების გადმოცემისას, არამედ ერთმანეთთან საუბრისას, წრეებსა და შეკრებებზე მოხსენების წაკითხვისას.

3) განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სწორი, სწრაფი და გამომეტყველებითი კითხვის ჩვევათა გამომუშავებას, ვინაიდან სრულყოფილი კითხვის ჩვევა ორთოეპიისა და ორთოგრაფიის საფუძველია.

4) შედგეს ფონეტიკურად რთული აგებულებისა და ძნელადწარმოსათქმელ სიტყვათა ტაბულები და გაიკრას ისინი საკლასო ოთახში.

5) მოსწავლეებმა ზეპირად ისწავლონ ლექსები და მხატვრული პროზის ნაწყვეტები და წარმოთქვან ისინი ორთოეპიის ნორმათა დაცვით.

6) აღირიცხოს წარმოთქმაში ბგერათა დაკარგვის, დამსგავსებისა და გადასმის ტიპობრივი შემთხვევები და ისინი თანდათანობით დაძლეულ იქნას ფონეტიკისა და მორფოლოგიის სათანადო თეორიულ მასალასთან ერთად.

7) ზეპირი გადმოცემის უნარ-ჩვევების გამოსამუშავებლად ჩატარდეს სისტემატური ვარჯიშობა გაკვეთილზე და შინ; გადმოცემის ხარისხი შეფასდეს არა მარტო შინაარსის მიხედვით, არამედ ფორმის სიზუსტისა და გამართულობის მიხედვით (პაუზების, მახვილების, ინტონაციის, ტემპის, ტემბრის დაცვა; გრამატიკული კანონებისა და წესების დაცვა).

მეტყველების კულტურის ასამაღლებლად საჭიროა პოეტური და პროზაული ნაწარმოებებიდან ადგილების ზეპირად დასწავლა, ზოგიერთი ნაწარმოებიდან ადგილების გასცენურება და როლებში წაკითხვა, რაც მოსწავლეებს ადვილად შეათვისებინებს ახალ სიტყვებსა და გამოთქმებს, წინადადების ბუნებრივ კონსტრუქციებს, ეუფლებიან წინადადებათა მართებულად წარმოთქმის ტექნიკას, მოხდენილ მეტყველების სტილს. ლექსიკური მარაგის გასამდიდრებლად მნიშვნელოვანია კლასგარეშე საკითხავი სხვადასხვა ჟანრის მასალა. სალექსიკონო მუშაობა, როგორც მეტყველების გამდიდრების საშუალება და სავარჯიშოთა ჩვენს მიერ შემუშავებული სისტემა.

მეტყველება, როგორც ფსიქიკის აქტივობა, დაკავშირებულია სხვა ფსიქიკური ფუნქციების (ყურადღების, მეხსიერების, ნებელობის, შეგრძნების, აღქმის, წარმოდგენის, წარმოსახვის, აზროვნებისა და სხვ.) ნორმალურ მოქმედებასა და ჰარმონიულ განვითარებაზე. ამიტომ სკოლასთან ერთად მშობელმაც უნდა იზრუნოს თავისი შვილის ფსიქიკის მთლიან

განვითარებაზე და არა რომელიმე მისი ფუნქციის განვითარებაზე, ვინაიდან მიზანია არა ცალმხრივი, არამედ ყოველმხრივი აღზრდა-განვითარება, მთლიანი პიროვნების ფორმირება, ისეთი პიროვნებისა, რომელსაც დაამშვენებს აზროვნებისა და მეტყველების მაღალი კულტურა.

ლიტერატურა:

1. ვალ რამიშვილი, მეტყველების განვითარების ზოგიერთი საკითხი საშუალო სკოლაში, თბ., 1952.
2. ლ. თავართქილაძე, მეტყველების განვითარების მეთოდის საკითხები, თბ., 1986
3. მ. მიქაძე, მორფოლოგიისა და სტილისტიკის საკითხების სწავლება საშუალო სკოლაში, ქუთაისი, 1999

Manana Mikadze

Improvement speech culture in school

Abstract

A thorough study of the native language learner umdidrdeba mind, umushadeba certain view of things, events, and actions necessary for developing human life habits, is being developed as an educated person. Speech Development orderly manner requires knowledge of the psychophysiological nature. Native language teachers not only to resolve these issues, but also to teachers of all subjects, as the speech not only contributes to the development of the mother tongue, but in general, the knowledge of different skills. Mastered in elementary science issues will depend on how the student will have learned how perfectly the mother tongue, the language you are thinking.

რეცენზენტი: პროფ. ნ. მაღლაკელიძე

სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკების სწავლებისათვის

მე-5 კლასში

ინეზა ხაჭაპურიძე


ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის N 1 საჯარო სკოლა

როგორც წესი, სიტყვიერების მასწავლებელმა ფიქრი უნდა ასწავლოს შეგირდს. ფიქრი იმაზე, თუ რისი თქმა სურს, რას გვასწავლის, რას შეგვაგონებს მწერალი, რომ გახდე უკეთესი, ვიდრე ხარ; რომ იყო ზნეკეთილი, სულიერად ამაღლებული, თავისუფალი ადამიანი.


ჩვენი აზრით, სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკების შესწავლას, სწორედ, ეს დანიშნულება აქვს.

მეხუთეკლასელს, იგავ-არაკის სათქმელი რომ გაიაზროს, ტექსტის შესწავლამდე სქემით – ასოციაციური რუკა – შევახსენებთ მის რაობას. ამისათვის დაფის ცენტრში ვხაზავთ წრეს, რომლის შუაგულში ჩავწერთ: „იგავ-არაკი“, ხოლო წრის ირგვლივ ვაკეთებულ სხივებზე ვაკეთებთ წარწერებს, რომლებიც იგავ-არაკის განმარტებას მოგვცემს.

სქემა „ასოციაციური რუკა“




„ასოციაციური რუკა“ შეიძლება ასეთი სახით შეივსოს:



იგავ-არაკ „უტკბესის და უმწარესის“ შესწავლისას, შინაარსის გააზრების შენდევ, მეხუთეკლასელებს ყურადღებას გავამახვილებინებთ სათაურზე, როგორც ანტონიმურ წყვილზე, და “T” დიაგრამით დავაკვირებთ სიტყვის სიტკბოსა და სიმწარეზე, თუ რა განცდას აღძრავს ერთი და რას - მეორე.

T დიაგრამა



T დიაგრამის შევსებული ნიმუში:

ტკბილი სიტყვა	მწარე სიტყვა
<p>ამხნეებს ანუგეშებს აკეთილშობილებს</p>	<p>გულს უკლავს კაემანს გვრის აბოროტებს</p>

დიაგრამის შევსების შემდეგ მოსწავლეებს კიდევ ერთხელ გავააზრებინებთ, რომ სიტყვა არის სასოც და რწმენაც; ხანჯალიც და ლახვარიც; რომ სიტყვას ძალუმს გაგამხნეოს და პირიქით.

„ენით დაკოდილზე“ მუშაობისას მოსწავლეები, იგავ-არაკის მთავარი ფრაზის დასახელების შემდეგ, სქემით „მე მივხვდი...“ გაიაზრებენ იგავის სათქმელს, რომ ენით

მიყენებული „ჭრილობა“ გულს ჰკრავს ლახვარს და განუკურნებელია, განსხვავებით ცულით მიყენებული ჭრილობისგან, რომელიც მალე მორჩება, შეხორცდება.

ამ სქემით, მთავარი ფრაზის შერჩევის გარდა, მოსწავლეებს ევალებათ პერიფრაზით გადმოსცენ შერჩეული ფრაზა, შემდეგ კი გამოიტანონ დასკვნა, რა არის იგავის მთავარი სათქმელი.

აქვე წარმოვადგენ სქემის „მე მივხვდი“ შეუსვებელ და შევსებულ ნიმუშებს:

მე მივხვდი

მთავარი ფრაზა:
პერიფრაზი:
მივხვდი, რომ

მე მივხვდი

მთავარი ფრაზა: შენი ცულით დაკოდილი თავი გამიმთელდა, მაგრამ შენი ცოლის ენით დაკოდილი გული არაო.
პერიფრაზი: ცულით მიყენებული ჭრილობა შეხორცდება, ენით მიყენებული იარა კი განუკურნელია.
მივხვდი, რომ სიტყვას უდიდესი ძალა აქვს: იგი კიდევ კლავს და კიდევ აცოცხლებს.

ამგვარი მიდგომა, ჩვენი აზრით, დაგვეხმარება ზოგიერთი სირთულის დამლევაში, ჯერ ერთი, გაკვეთილში მეტნაკლებად ჩაერთვება ყველა მოსწავლე; შემდგომ გავიმეოროთ შესწავლილი გრამატიკული მასალა. მაგალითად, ანტონიმური სიტყვები და, იმავდროულად, განუკურნებელი მოსწავლეებს სააზროვნო უნარ-ჩვევები, რაც თანამედროვე პედაგოგიკის უმთავრესი გამოწვევაა.

გაკვეთილის მსვლელობის მესამე ფაზაში, ანუ რეფლექსიისთვის, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება, ვიდეოტექნიკის საშუალებით, მეხუთეკლასელებს მივაწოდოთ სხვადასხვა გამონათქვამი, აფორიზმი, ქართული პოეზიისა თუ ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუში, რომლებითაც შეიძლება გადმოიცეს შესასწავლ იგავ-არაკთა სიბრძნე, შეგონება, სათქმელი, რაც ეფექტურად დაგვეხმარება სასწავლო ამოცანის გადაწყვეტაში; მოვიხმობთ რამდენიმე ნიმუშს:

1. „ტკბილი სიტყვით ბოროტება დაითრგუნება“ (სახარებისეული სიბრძნე)
2. „გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა, ტკბილად მოუბარი“ (აფორიზმი)
3. „ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა, გულსა“ (აფორიზმი)
4. „შავ ლუდსა წითელ ღვინოსა, განა, სუყველას სმა უნდა,
პირზე მომდგარსა სიტყვასა, განა, სუყველას თქმა უნდა“ (ხალხური)
5. „სიტყვა სალოცავიც არის და სარისხველიც,

ხეები ჯუჯებიც არიან და ალვის ხენიც,

წვიმა დიდ გვალვაში მალამოა,

მაგრამ უცაბედად წარღვნად მოვა,“ (მ. კახიძე)

6. „კაცი ხარ მაშინ, თავზე ქუდის მაშინ ხარ ღირსი,

როდესაც იცი, ზედმიწევნით როდესაც იცი,

რა არ უნდა თქვა, რა უნდა თქვა, როგორ უნდა თქვა

სად არ უნდა თქვა, სად უნდა თქვა, რატომ უნდა თქვა“ (მ. მაჭავარიანი)

ლიტერატურა:

1. ვახტანგ როდონაია, ავთანდილ არაბული, ნინო ნაკუდაშვილი, მარინე ხუციშვილი, „ქართული ლიტერატურა“, მოსწავლის წიგნი, მე-5 კლასი, 2018;
2. სასწავლო-მეთოდოლოგიური რესურსების კრებული „კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე“ I-VI კლასები, 2015;
3. სასწავლო-მეთოდოლოგიური რესურსების კრებული „ვიზუალური სქემები და გარაფიკული ორგანიზატორები“, 2015.

Ineza Khachapuridze

For teaching Sulkhan-Saba Orbeliani's fables in the 5th class

Abstract

As a rule, the speech teacher should teach the student to think. Thinking about what he wants to say, what he teaches us, what reminds us of a writer, to become better than you are; to be a moral, spiritually elevated, free person.

In our opinion, the study of the fables of Sulkhan-Saba Orbeliani has this purpose.

To understand the parable of the parable of the fifth grader, we will recall its existence with a diagram-associative map before studying the text.

რეცენზენტი: პროფ. მანანა მიქაძე

კულტუროლოგია Culturology

ეთნიკური უმცირესობების კულტურათა მხარდაჭერის
პოლიტიკური ასპექტი
(სახალხო დამცველის აპარატისა და ტოლერანტობის ცენტრის
საქმიანობის მიხედვით)

ირინე საგანელიძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
e-mail: irinesaganelidze@yahoo.com

მულტიეთნიკურ საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობათა თვითმყოფად კულტურასთან, ტრადიციებთან, სამოქალაქო ინტეგრაციასა და ტოლერანტობასთან დაკავშირებული საკითხების, მათ შორის, ამ მიმართულებით არსებული გამოწვევების წარმოჩენის, ასევე ევროპული ღირებულებების მქონე ქვეყნის იმიჯის წარმოსაჩენად მათი კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება-განვითარებისადმი სახელმწიფო მიდგომებისა და ხელშეწყობის მექანიზმების შესწავლის მიზანმა განაპირობა ის, რომ ჩვენი კვლევის არეალში მოექცა, ზოგადად, ადამიანის, მათ შორის, მცირერიცხოვან ეთნიკურ ერთეულთა საყოველთაო უფლებების დამცავი ორი სახელმწიფო უწყების - 1997 წელს შექმნილი სახალხო დამცველის, ანუ ომბუდსმენის აპარატისა და მასთან 2005 წლიდან არსებული ტოლერანტობის ცენტრის საქმიანობა. ეს მრავალპროფილიანი ინსტიტუციები, აერთიანებს რელიგიათა და ეთნიკურ უმცირესობათა საბჭოებს ქვემდებარე ორგანიზაციებითურთ. წინამდებარე კვლევა, ეფუძნება ზოგადლოგიკურ მეთოდებს-ინდუქციას, დედუქციას, შედარებას, ანალიზსა და სინთეზს. თანამედროვე ეპოქაში ადამიანის ნებისმიერი უფლება, მათ შორის, მცირერიცხოვან ეთნიკურ ერთეულთა კულტურული უფლებებიც საერთაშორისო კონვენციებითა განსაზღვრული და დაცული. მათი უფლება, შეინარჩუნონ მშობლიური

კულტურა, ენა, ტრადიციები, ჩვეულებანი, აღმსარებლობა დაცულია კონსტიტუციითაც და სამართლებრივი რეგულაციებითაც. ჩვენც, ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების სახელმწიფოებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე, მათი კვლევისას გამოვიყენეთ ყველა მნიშვნელოვანი სახელმწიფო და საერთაშორისო დოკუმენტი, ასევე სახალხო დამცველის აპარატთან მოქმედ რელიგიათა და ეთნიკურ უმცირესობათა საბჭოებისა და მათში შემავალი პროფილური ორგანიზაციების საქმიანობის შედეგები.

საკვანძო სიტყვები: მცირერიცხოვანი ეთნოსები, სამოქალაქო ინტეგრაცია, ტოლერანტობა, კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება

მულტიეთნიკურ საქართველოში მცხოვრებ მცირერიცხოვან ეთნოსთა ყოფა, კულტურა ისტორიულად იყო დაკავშირებული ავტოქთონი მოსახლეობის ყოფა-კულტურასთან. საუკუნეების განმავლობაში ამ მცირე გეოგრაფიულ სივრცეში სხვადასხვა მენტალობის, აღმსარებლობისა თუ კულტურული ორიენტაციის ეთნიკურ ერთეულთა ტოლერანტული თანაცხოვრება გამორჩეული ფენომენი და, შეიძლება ითქვას, ეგზისტენციალური მოვლენაცაა, რაც, უდავოდ, მომავალში მულტიდისციპლინური კვლევის საგანი გახდება. ჩვენთვის კი ამჯერად საინტერესოა ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის, როგორც მათი მენტალობის ამ უცხადესი მარკერის დაცვისა და განვითარების სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი საკითხი და ეთნიკური უმცირესობების კულტურათა მხარდაჭერის პოლიტიკური ასპექტის შესწავლა. თავისუფალი ნებელობის მქონე ადამიანების, მით უფრო, არამშობლიურ გარემოში დამკვიდრებულ უმცირესობათა ნებისმიერი კულტურული უფლების საჯარო სივრცეში ღიად და შეუზღუდავად დემონსტრირების შესაძლებლობა არსობრივად უკავშირდება ქვეყნის ეთნოკულტურულ პოლიტიკას და განსაზღვრავს მის ხასიათს. ეს კი განსაკუთრებით აქტუალურია დღეს, როდესაც ადამიანის საყოველთაო უფლებების, მათ შორის, ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული უფლებების დაცვა სავალდებულოდაა დადგენილი არაერთი საერთაშორისო კონვენციისა და, შესაბამისად, ადგილობრივი სამართლებრივი აქტით. საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობათა მენტალობასთან, თვითმყოფად კულტურულ ტრადიციებთან, სამოქალაქო ინტეგრაციასა და ტოლერანტობასთან დაკავშირებული სახელმწიფო მიდგომებით ჩვენმა დაინტერესებამ განაპირობა, რომ სადისერტაციო კვლევის არეალში მოექცა მცირერიცხოვან ეთნიკურ ერთეულთა საყოველთაო უფლებების დამცავი სახელმწიფო უწყებების - 1997 წელს შექმნილი სახალხო დამცველის, ანუ ომბუდსმენის აპარატის, ასევე მასთან 2005 წლიდან დაარსებული ტოლერანტობის ცენტრისა და სხვა ორგანიზაციების საქმიანობა. ეს რთული სისტემური და მრავალპროფილიანი ინსტიტუცია

მთელი ქვეყნის მასშტაბით, განსაკუთრებით, მცირერიცხოვანი ეთნოსებით დასახლებულ რეგიონებში, საერთაშორისო თუ ადგილობრივი რეგულაციების გათვალისწინებით ჩატარებული ყოველწლიური მონიტორინგის საშუალებით შეისწავლის ეთნიკური უმცირესობების მიმართ გამოვლენილი შეუწყნარებლობის, ქსენოფობიისა და დისკრიმინაციის, მათი კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის, ტრადიციების, აღმსარებლობის, წეს-ჩვეულებათა და ა.შ. შენარჩუნება-დაცვის საკითხებს, ავლენს ამ მხრივ არსებულ დარღვევებს, მათი გამოსწორების მიზნით გასცემს რეკომენდაციებს, მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე კი ადგენს ანგარიშებს. ამ მიმართულებით **ომბუდსმენის მონიტორინგის შედეგები აისახება მის ყოველწლიურ** საპარლამენტო ანგარიშში. ტოლერანტობის ცენტრისა კი - ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპული ჩარჩო კონვენციის პრინციპების გათვალისწინებით შემწყნარებ-ლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და 2009-2014 წლების სამოქმედო გეგმის, ასევე სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2015-2020 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშებში. მათში, ფაქტობრივად, შესულია სახელმწიფო უწყებების მიერ კონკრეტული მიმართულებით განხორციელებული ყველა ღონისძიებაც. მათ კი თავს უყრის სახელმწიფო მინისტრის აპარატი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში, რამდენადაც ის უძღვება ეთნიკურ უმცირესობათა სახელმწიფო პოლიტიკას ჩვენს ქვეყანაში. ეს სამოქმედო გეგმა განსაზღვრავს სახელმწიფო სტრატეგიასა და ამოცანებს ექვსი ძირითადი მიმართულებით. ესენია: *კანონის უზენაესობა; განათლება და სახელმწიფო ენა; მედიისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა; პოლიტიკური ინტეგრაცია და სამოქალაქო მონაწილეობა; სოციალური და რეგიონალური ინტეგრაცია; კულტურა და თვითმყოფადობის შენარჩუნება* ([https://matsne.gov.ge/ka/document/view/2091642? Publication =0](https://matsne.gov.ge/ka/document/view/2091642?Publication=0)). სწორედ ამ ამოცანების შესრულებას უწევს ორივე უწყების მონიტორინგს, მონაცემები და შედეგები კი შეაქვს თავის ანგარიშებში. ამიტომ მათში კარგად ჩანს, ერთი მხრივ, მათი მრავალასპექტიანი საქმიანობა, მეორე მხრივ კი, ეს ანგარიშები დოკუმენტურად აფიქსირებს ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის მხარდაჭერის მიმართულებით სახელმწიფოს მიდგომას, ანუ ოფიციალურ ეთნოკულტურულ პოლიტიკას. შევნიშავთ, რომ ამ დოკუმენტების შინაარსი შეიძლება იქცეს მომავალი მულტიკულტურული კვლევის ობიექტად. ყოველივე ეს კი ზრდის მთლიანად ამ ინსტიტუციის საქმიანობის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ მნიშვნელობას. როცა ადამიანის უფლებამდამცავ რეგულაციებზე ვსაუბრობთ, უპრიანი იქნება გავიხსენოთ, საქართველოში უფლებადაცვითი აზროვნებისა და მენტალიტეტის 1921 წლის 21 თებერვლის დოკუმენტირებული კონსტიტუცია, რომელშიც პირველად გაჩნდა ჩანაწერი ეთნიკურ

უმცირესობათა ინტერესების გათვალისწინებასა და უფლებების დაცვის ვალდებულებასთან დაკავშირებით. ეს კონსტიტუცია ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების დაცვისა და თანასწორუფლებიან, ტოლერანტულ გარემოში ცხოვრების უზრუნველყოფის თვალსაზრისით ძალზე თანამედროვეა, მაღალ შეფასებას იმსახურებს და სამართლებრივ საფუძველს უქმნის კონსტიტუციონალიზმის განვითარებას საქართველოში [ჰაკუაშვილი, 2013:10]. მეტიც, იგი ითვლება მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ დოკუმენტად, რომელშიც აისახა მოქალაქეთა სოციალ-ეკონომიკური უფლებები [ფუტკარაძე, 2011: 58]. სწორედ პირველ კონსტიტუციაში-ამ უმაღლეს საკანონმდებლი აქტში დოკუმენტურად გამოხატული ქართველის ხალხის ნების ერთგვარი გაგრძელებაა ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების დამცველი ყველა მომდევნო საკანონმდებლო აქტისა თუ უწყების საქმიანობა საქართველოში. როგორც ვთქვით, წლიური მონიტორინგის შედეგად პარლამენტისა და სათანადო უწყებების წინაშე წარმოდგენილ ანგარიშებში, ფაქტობრივად, აისახა ეთნიკურ უმცირესობათა მთელი კულტურული ცხოვრება. ცხადია, ამ მასშტაბის გამო შეუძლებელია ანგარიშებში ასახული ყველა ფაქტის დაწვრილებით აღნუსხვა და გაანალიზება, მაგრამ შესაძლებელია მათი განზოგადება, ტენდენციად წარმოჩენა და დედუქციისა და ინდუქციის მეთოდოლოგიის გამოყენებით ამ რთული სტრუქტურული ინსტიტუციების საქმიანობის დახასიათება, შეფასება და, რაც მთვარია, ჩვენი კვლევის მიზნიდან გამომდინარე, მათში ეთნიკურ უმცირესობასთან დაკავშირებით სახელმწიფო ეთნოკულტურული პოლიტიკის ძირითადი ვექტორების წარმოჩენა. ეს ვექტორები თემატიკური ფაქტებითაა გამყარებული და თემატიკაც, შესაბამისადვე, მრავალფეროვანია, ანუ ანგარიშებში ეთნოსთა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ფიქსაციასა და რეაბილიტაციასთან ერთად და გვერდით განხილულია მათი სამოქალაქო ინტეგრაციის, განათლების, აღმსარებლობის, ტრადიცია-წეს-ჩვეულებების დაცვის, შენარჩუნებისა და სხვა საკითხებიც. ამთავითვე შევნიშნავთ იმასაც, რომ საქართველოში მრავალეთნიკური მოსახლეობის არსებობის რეალობა განაპირობებს, ზოგადად, მათს კულტურულ უფლებებთან დაკავშირებული პრობლემების ნაირგვარობასა და სიხშირეს. მათ მოგვარება-გადაჭრას კი ხანდახან აფერხებს ზოგი ეთნიკური ერთეულის მენტალურ-კულტურული თავისებურებანი, არცთუ იშვიათად, ტექნიკურ-ფინანსური ფაქტორი ან სხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზი, რაც აუცილებელს ხდის არაერთგზის მის განმეორებას. **ეს კი მოწმობს იმას, რომ არც ერთი ეს სახელმწიფო უწყება არ იფარგლება საკითხის მხოლოდ დასმით, წარმოჩენით, არამედ სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობით უდგება მათ და ამით დიდი წვლილი შეაქვს არსებული პრობლემების მოგვარებაში.** ანგარიშების საერთო სპეციფიკასთან დაკავშირებით დამატებით ისიც უნდა ითქვას, რომ ყველა მათგანში ეთნოსთა კულტურული უფლებების დაცვასა თუ დარღვევას-თან

დაკავშირებული ამა თუ იმ ფაქტთან ერთად, როგორც წესი, გაცემულია რეკომენდაციებიც არსებულ ხარვეზთა გამოსასწორებლად, რაც ეთნოკულტურული პოლიტიკის სწორად წარმართვის ერთგვარი პირობაცაა. აქვე ვთქვათ, რომ 2009 წლიდან მოქმედებს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიერ შემუშავებული „ეროვნულ უმცირესობათა კულტურის მხარდაჭერის“ პროგრამა (შემდგომ ეთნიკურ უმცირესობათა მხარდაჭერის პრიორიტეტად წოდებული), რომლის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ეთნიკური უმცირესობის კულტურის მხარდაჭერი უამრავი ღონისძიების ჩატარება. ანგარიშების თემატიკიდან ყურადღებას იქცევს ეთნიკურ უმცირესობათა ძეგლთა დაცვის, მოვლა-პატრონობის, რესტავრაცია-რეაბილიტაციის, ინვენტარი-ზაციისა და კულტურის ძეგლთა ნუსხაში შეტანის პრობლემები. ნებიმიერ კულტურულ ქმედებასა და მის, ასე ვთქვათ, პროდუქტში ნებისთ თუ უნებლიეთ პროეცირებულია მათი შემქმნელი ეთნოსის ეთნოკულტურული მსოფლგაგება. თუმცა, მენტალურად ყველა კულტურული ნაღვაწი ფასეულია. ამიტომ ეს სეგმენტი ერთ-ერთი წამყვანია ანგარიშებში, მაგ., ხაზგასმულია, რომ **ამგვარ ძეგლთა სიმრავლის მიუხედავად, ჩატარებულია მნიშვნელოვანი სამუშაოები: მოხერხდა 50-მდე სომხური ეკლესიის, 10 მეჩეთისა და ჯამეს, 5 სინაგოგის (თბილისში, ბათუმში, თელავში, ბოლნისში, ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში) აღრიცხვა [შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის,... 2010: 470 72].** კულტურათა და რელიგიათა თანაზიარობის უნიკალურ ისტორიულ-კულტურულ გარემოს წარმოადგენს რაბათის უბანი ქ. ახალციხეში. ამიტომ 2011 წელს „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ეროვნული მნიშვნელობის კატეგორია განესაზღვრა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს – ქ. ახალციხის ისტორიული ნაწილს-რაბათის უბანს, სადაც ერთმანეთის გვერდითაა მეჩეთი, სომხური, კათოლიკური, მართმადიდებლური ეკლესიები, სინაგოგები. 2011 წელს ქ. ახალციხეში ჩატარებული რაბათის უბნის ინვენტარიზაციის შედეგად სამინისტრომ უძრავი ძეგლის სტატუსი მიანიჭა 19 ობიექტს; არქიტექტურული, კულტურული და ისტორიული თვალსაზრისით მნიშვნელოვნად ჩაითვალა ქუთაისის ყველა სინაგოგისა და ონის სინაგოგისათვის კულტურული ძეგლის სტატუსის მინიჭება. კულტურული ძეგლის სტატუსი აქვს თბილისის სინაგოგას „დიდი ლოცვა“, ქუთაისის ერთ სინაგოგასა და დამხმარე ნაგებობას ბ. გაბონოვის ქუჩაზე [სახალხო დამცველის ანგარიში, ... 2011: 116]. **მართალია, ანგარიშებში ხშირად ეთმობა ყურადღება ზემოთ აღნიშნულ საკითხებს, მაგრამ ისიცაა აღნიშნული, რომ მატერიალურ-ტექნიკური რესურსის უკმარისობის გამო კვლავ ფერხდება ამ მიმართულებით ჯერ კიდევ არსებულ პრობლემათა სრულფასოვნად და სწრაფად გადაჭრა, მაგ., ანგარიშებში არაერთხელ დაისვა სოფელ გორელოვკაში დუხოზორების ე.წ. „Сиротский дом-ის სახელმწიფოს**

მხრიდან რეაბილიტაციის საკითხი. ირკვევა, რომ იგი კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში მხოლოდ 2010 წელს შევიდა, მიენიჭა მუზეუმის სტატუსი და გამოცხადდა რუსული დუხობორული კულტურის ნაკრძალად [შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის,.... 2010: 24-25; სახალხო დამცველის ანგარიში,.... 2010:330]. არაერთ ანგარიშში სახელობითადაა ჩამოთვლილი ის ძეგლები, რომლებიც გადაუდებელ აღდგენასა და გამაგრება-რეაბილიტაციას საჭიროებს, მაგ., სომხური სურბ ნიშნისა და მუღნის სურბ გევორქის ეკლესიები. საშურადაა მიჩნეული მათი და სხვა ტაძრების წარმომავლობისა და კუთვნილების სადავო საკითხის გადაჭრაც, კერძოდ, აღნიშნულია, მართლმადიდებელი ეკლესიის საქართველოს ეპარქია თბილისში 5-სა და ახალციხეში 1 ტაძრის დაბრუნებას მოითხოვს; კათოლიკე და მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის დავა მიმდინარეობს 5 ტაძარზე, რომლებიც ამჟამად მართლმადიდებელ ეკლესიას ეკუთვნის; დღის წესრიგში დგას ორი ევანგელურ-ლუთერული ტაძრის, ათეულობით მეჩეთისა და ერთი სინაგოგას დაბრუნების საკითხიც და ა.შ. [შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის, ...2011:47-72; სახალხო დამცველის ანგარიში, ... 2013: 311-321]. უმცირესობათა ძეგლების აღრიცხვა- ინვენტარიზაციის თვალსაზრისით უნდა დასახელდეს 2010 წელს დასრულებული სამწლიანი პროექტიც „ოსმალური ძეგლების ინვენტარიზაცია“. პროექტის ფარგლებში შესწავლილ იქნა თბილისის მუზეუმებსა და არქივებში დაცული მასალა, სამცხესა და აჭარაში არსებული ოსმალური ისტორიული ძეგლების ნაწილი, ოსმალური არქიტექტურის რამდენიმე ათეული ობიექტი [შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის, ... 2010: 65].

სათანადო ადგილი ეთმობა ანგარიშებში რელიგიური ნაგებობების დაუდევარსა და უხარისხო რესტავრაციასაც, მაგ., აღინიშნა, რომ 2012 წელს თბილისში ჩამოინგრა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის-სადავო, უმოქმედო სომხური ტაძრის-სურბ ნიშნის სამრეკლო; დაიწყო ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ უდეში მდებარე კათოლიკური ტაძრის (შეტანილია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში და ამჟამად მართლმადიდებელი ეკლესიის კუთვნილება) იერსახის შეცვლა, რაც არ იყო შეთანხმებული კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან. რუსული თემის ძეგლთაგან კი გამოიყო სოფ. ჯაფარიძეში (სეჩენოვკა) XIX ს-ში გრაფ სეჩენოვის მიერ აგებული სერაფიმე საროველის ტაძარი, რომელიც ჯერჯერობით არაა შეტანილი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში ... [სახალხო დამცველის ანგარიში,.... 2012:1150].

უმცირესობათა ნებისმიერი სახის კულტურული ცენტრების (მუზეუმების, თეატრების, სოფლად კულტურის სახლებისა და ა. შ.) შენარჩუნებისა თუ აღდგენის პრობლემაც არ რჩება ანგარიშების შემდგენელთა ყურადღების მიღმა. ამ მხრივ გამოსაყოფია თბილისის პეტროს

ადამიანის სახელობის სომხური და ჰეიდარ ალიევის სახელობის აზერბაიჯანული თეატრების შენობების რეაბილიტაციის პრობლემა. ანგარიშებიდან ირკვევა, რომ **სხვადასხვა ობიექტური მიზეზის გამო მხოლოდ 2017 წელს მოგვარდა სომხური თეატრის რეაბილიტაციის საკითხი**, ხოლო აზერბაიჯანული თეატრის შენობის პრობლემა სხვადასხვა ტექნიკურ-ობიექტური მიზეზის გამო ჯერ ვერ გადაიჭრა [სახალხო დამცველის ანგარიში, 2017:277-278]. მიუხედავად ამ თეატრების შენობებთან დაკავშირებული ამგვარი პრობლემებისა, სამინისტრო მაინც განაგრძობს ამ ეთნიკურ უმცირესობათა თეატრალური კულტურის ფინანსურ მხარდაჭერას სხვადასხვა აქტივობისა და ღონისძიების განსახორციელებლად: მაგ., **2010 წლის მაისში თბილისში გაიმართა სომხეთის კულტურის დღეები**, მის ფარგლებში **სომხურ სახელმწიფო დრამატულ თეატრში მიწვეული იყვნენ სომხეთიდან ჩამოსული სტუმრები; პრემიერების გარდა, გაიმართა საქველმოქმედო და საგასტროლო სპექტაკლები ერევანში. ყოველწლიურად შემოქმედებითი საქმიანობის წარმართვისათვის სამინისტრო ფინანსურად ხელს უწყობს თბილისის სომხურ, აზერბაიჯანულსა და რუსულ დრამატულ თეატრებს: მოხერხდა არაერთი სპექტაკლის დადგმა, მოეწყო გასტროლები სხვადასხვა რეგიონში და საზღვარგარეთ არაერთი [შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის, ...2010: 47-72].**

სამუზეუმო სფეროდან ანგარიშებში სანიმუშოდ გამოვყოფთ **დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის აღდგენა-რეკონსტრუქციის წლობით მოუგვარებელ პრობლემას**. მისი აღდგენა და სრული ფუნქციონირება მხოლოდ **2014 წელს მოხერხდა [შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის,2014: 57]**. ანგარიშებში არაერთგზის იქნა განხილული თბილისის გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიულ მუზეუმში ე.წ. ოსური სახლის რეაბილიტაციის საჭიროებაც, რის გამოც ის დაიკეტა [სახალხო დამცველის ანგარიში, ...2013: 320]. ამ პრობლემის მოგვარება რიგი მიზეზების გამო სწრაფად ვერ მოხერხდა, თუმცა მოგვიანებით ის აღდგა [სახალხო დამცველის ანგარიში, 2016:439].

ანგარიშების შემდგენელებისათვის აქტუალურია ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ბიბლიოთეკებისა და სამუსიკო სკოლების აღდგენის საკითხიც. ისინი გაუქმდა 2006 და 2011 წლებში. ანგარიშებში არაერთგზის აღინიშნა ამ პრობლემის მოგვარების აუცილებლობა და პარალელურად დასახელდა არაერთი მაგალითი სოფლად ბიბლიოთეკის აღდგენის, ეროვნულენოვანი წიგნებით მათი მომარაგების, ადგილობრივ კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიების ჩატარებისა კულტურის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით, მათ შორის, სახალხო დღესასწაულებისა, ეთნიკური ანსამბლებისა და სამუსიკო

სკოლების მოსწავლეთა შემოქმედების დემონსტრირებისა, ეთნიკური ცენტრების გახსნისა და მრავალი სხვა [სახალხო დამცველის ანგარიში, .. 2012: 812-814; 2014: 459; **შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის, ... 2017:69**].

რიგი პრობლემებისა განიხილება იურიდიულ-სამართლებრივ ჭრილშიც, მაგ , განხილულია ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან დაკავშირებული ომბუდსმენის მიერ იურიდიულ ხარვეზად მიჩნეული სამართლებრივი რეგულაცია, კერძოდ, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-8 პუნქტი, რომელიც საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისა და სხვა რელიგიური კონფესიების საკუთრებაში (სარგებლობაში) არსებული კულტურული ძეგლის მოვლა-პატრონო-ბასთან დაკავშირებული მესაკუთრის/კანონიერი მოსარგებლის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების გაუმართლებელ საგამონაკლისო წესს ადგენს. სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ გაუმართლებელია სახელმწიფო მხრიდან ნებისმიერი კონფესიის საკუთრებაში არსებულ ძეგლებთან დაკავშირებით საგამონაკლისო წესით პასუხისმგებლობის მოხსნა [სახალხო დამცველის ანგარიში.... 2016:503-505]. დადებითად შეფასდა მოგვიანებით მაინც, 2018 წელს, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ზემოთ აღნიშნული კანონის ჩანაწერის გაუქმება. ახალი რედაქციის თანახმად კი, ძეგლის მოვლა-პატრონობისათვის კანონით დადგენილი პასუხისმგებლობა ვრცელდება ყველაზე, მათ შორის, რელიგიურ კონფესიებზეც [საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში2018:233-234.]

ამდენად, 2009-2019 წლების სახალხო დამცველის საპარლამენტო და შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშების ანალიზმა, მათი მიმოხილვითი ხასიათის მიუხედავად, ცხადყო, სახელმწიფოებრივად რამდენად მნიშვნელოვან საქმიანობას ეწევა ეთნიკურ უმცირესობათა საყოველთაო უფლებების, მათ შორის, კულტურული უფლებების დაცვის სფეროში მოღვაწე სახალხო დამცველის აპარატი, მასთან არსებული ეთნიკურ უმცირესობათა საბჭო, ტოლერანტობის ცენტრი და სხვა ინსტიტუციები, განსაკუთრებით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო. ანგარიშებში ძალზე კომპლექსურად, მეტი არგუმენტაციისათვის საერთაშორისო და ადგილობრივი სამართლებრივი რეგულაციების გათვალისწინებითა და მოშველიებით, კონკრეტულადაა განხილული ამ სენსიტიურ თემებთან დაკავშირებული ყველა ის პოზიტიური თუ ნეგატიური ფაქტი თუ მოვლენა, რაც კი ეხება ეთნიკურ უმცირესობათა

კულტურული უფლებების, ძეგლების დაცვას, ტრადიციების, წეს-ჩვეულებების, ენობრივი და რელიგიური თვითმყოფადობის შენარჩუნებას, სამოქალაქო ინტეგრაციას. ამიტომ ეს ანგარიშები, გადაუმეტებლად შეიძლება ითქვას, საქართველოში საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებული ეთნიკური უმცირესობების ყოფა-კულტურის თანამედროვე მდგომარეობის ამსახავი უტყუარი დოკუმენტებია, რომლებიც დროთა განმავლობაში უფრო მეტ ისტორიულ მნიშვნელობას შეიძენს, რამეთუ მათში ასევე კარგად ჩანს სახელმწიფოს მიდგომა და მხარდაჭერა ეთნიკური უმცირესობების კულტურათა მიმართ. ამ კომპლექსურმა დოკუმენტებმა ცხადყო, რომ, არსებული გამოწვევების მიუხედავად, საერთაშორისო და ადგილობრივი რეგულაციების შესატყვისად სახელმწიფო თანმიმდევრულად ახორცილებს თავის ვალდებულებას მცირერიცხოვანი ეთნიკური მოსახლეობის კულტურის მხარდაჭერისა და განვითარების მიმართულებით.

ლიტერატურა:

1. პაპუაშვილი გ., - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია. გამომცემლობა ბათუმი. 2013.
2. ფუტყარაძე ნ., - 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციით გათვალისწინებული ადამიანი ძირითადი უფლებები.წიგნში: ქართული კონსტიტუალიზმის სათავეებ-თან, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 90 წლისთავი. გამომცემლობა „გრაალი“. ბათუმი. 2011.
3. სახალხო დამცველის ანგარიში ადამიანის უფლებებთა დაცვისა და თავისუფლების მდგომარეობის შესახებ.WWW.OMBUCMAN.GE. 2010.
4. სახალხო დამცველის ანგარიში ადამიანის უფლებებთა დაცვისა და თავისუფლების მდგომარეობის შესახებ.WWW.OMBUCMAN.GE. 2012.
5. სახალხო დამცველის ანგარიში ადამიანი უფლებებთა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. WWW.OMBUCMAN.GE. 2013.
6. სახალხო დამცველის ანგარიში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვის მდგომარეობის შესახებ.WWW.OMBUCMAN.GE. 2014.
7. სახალხო დამცველის ანგარიში ადამიანთა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. WWW.OMBUCMAN.GE . 2016.

8. სახალხო დამცველის ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. WWW.OMBUCMAN.GE . 2017.
9. შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში. WWW.OMBUCMAN.GE. 2010.
10. შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში. WWW.OMBUCMAN.GE. 2011.
11. შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში. WWW.OMBUCMAN.GE. 2014
12. შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში. WWW.OMBUCMAN.GE. 2017.

Irine Saganelidze

Political Aspects of Supporting the Culture of Ethnic Minorities, According to the Working Processes of Ombudsman's Department and the Tolerance Centre

Abstract

The sphere of my research is based on analyzing problems linked with the original culture, traditions, civil integration and tolerance of ethnic minorities living in Georgia, to introduce the activities of two state institutions that defend ethnic groups' universal rights – the Ombudsman's department (established in 1997) and the Tolerance Centre (founded in 2005). They unite religious and ethnic minorities' councils with organizations subordinated to them. The presented work deals with their activities and is a significant part of my thesis, which is the first scientific attempt to study the support of ethnic minority cultures and the state's method of approach during the period 2009 – 2019. The thesis and presented research are based on common logical methods – induction, deduction, comparison, analysis and synthesis. Nowadays all human rights, including the cultural rights of negligible ethnic groups, are defined and protected by international conventions. The rights to preserve native culture, mother tongue, traditions, habits and confessions are protected by the constitution and legal regulations. When working on my research I used important state and international documents, results of the Ombudsman department's and the Tolerance Centre's activity and the results of input from the profile organizations. They periodically display cases of intolerance, xenophobia and discrimination, although religious rights are guaranteed to ethnic minorities by international and local legislations. Questions connected with the

preservation and protection of cultural heritage, traditional customs, wherein violations exist are demonstrated too.

To improve the situation regarding existing violations, appropriate recommendation projects have been established for the Ombudsman. Multidimensional activity provides the opportunity to settle any violations of ethnic minorities' rights and, accordingly, increases the activity of the state and the political significance of the relevant institutions.

Analytics connected with the protection of cultural rights of ethnical minorities and corresponding recommendations are represented in the Ombudsman's annual parliamentary analyses which clearly illustrate the state's approach to supporting ethnic groups' culture and opinions regarding reform. Moreover, analyses give a complete picture of the state's ethno-cultural policy and its democratic nature, which is foremost manifested in the support and tolerant view taken towards negligible ethnic groups and their culture.

რეკენზენტი: პროფ. შ. ფაზიევი

ჟურნალისტიკა Journalistic

ანგარიში-ინფორმაციული ჟანრის თავისებურებანი

ნათია ჯიქია

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

e-mail: natajikia17@gmail.com

დღეს ანგარიშს წმინდად ინფორმაციულ მასალათა ჯგუფს მიაკუთვნებენ. ძველად, ტექსტს წერდა ჟურნალისტი, რომელიც ესწრებოდა საბჭოს სესიას, შეკრებებს, კონფერენციებს. ამასთან დასაშვები იყო, რომ მოვლენის აღწერა მომხდარიყო მთელი თავისი სისრულით, მხოლოდ მკაცრად თანმიმდევრულ ქრონიკალურ ფორმაში, ჟანრობრივ თავისებად ანგარიშისა ითვლებოდა მხოლოდ დოკუმენტალური ასახვა მოხდარი ამბისა. თანამედროვე ანგარიში სახეცვლილია, მაგრამ ინარჩუნებს თავის ჟანრობრივ ნიშნებს. ჟანრის საფუძველია სრული თხრობა კონკრეტული მოვლენისა, რომელიც ავტორის დაკვირვების საფუძველია.

დღეს ანგარიშს წმინდად ინფორმაციულ მასალათა ჯგუფს მიაკუთვნებენ. ზოგიერთი სპეციალისტი კი მას ანალიტიკურ მასალათა რანგში მოიაზრებს. ძველი დროის სახელმძღვანელოები ანგარიშის მხარეს მხოლოდ რეალობას ხედავდნენ, რომელიც ასახული იყო სიტყვაში. ძველად, ტექსტს წერდა ჟურნალისტი, რომელიც ესწრებოდა საბჭოს სესიას, შეკრებებს, კონფერენციებს. ამასთან დასაშვები იყო, რომ მოვლენის აღწერა მომხდარიყო მთელი თავისი სისრულით, მხოლოდ მკაცრად თანმიმდევრულ ქრონიკალურ ფორმაში, ჟანრობრივ თავისებად ანგარიშისა ითვლებოდა მხოლოდ დოკუმენტალური ასახვა მოხდარი ამბისა.

დღეს ანგარიში ცდილობს შეინარჩუნოს ადგილი მკვიდრად საგაზეთო ფართზე სხვა ჟანრებთან ერთად. იყენებს რა ელემენტებს კორესპონდენციისა (სურათი ნატურიდან), რეპორტაჟი (დასწრების ეფექტი), სტატია (ავტორის მსჯელობის სისტემა), კომენტარი (ფაქტის ასახვა მისი თანმიმდევრული ანალიზით). გაფართოვდა ასევე ანგარიშის საგნობრივი საფუძველი: „სპორტ-ექსპრესი“ ბეჭდავს ანგარიშებს მატჩებზე, ტურნირებსა და შეჯიბრებებზე.

ანგარიშის, როგორც ჟანრის განხილვა უნდა მოხდეს ორი ძირითადი მიმართულებით: კონსერვატიული და თანამედროვე პერსპექტივებიდან.

თანამედროვე ანგარიში სახეცვლილია, მაგრამ ინარჩუნებს თავის ჟანრობრივ ნიშნებს. როგორ? [1].

- ჟანრის საფუძველია სრული თხრობა კონკრეტული მოვლენისა, რომელიც ავტორის დაკვირვების საფუძველია.

- თხრობა შემოსაზღვრულია გარკვეული სისტემურ-დროებითი ჩარჩოებით, რომელიც აღწერილ მოვლენას მოიცავს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ პუბლიცისტს არ შეუძლია გასწიოს თავისი ნაამბობის საზღვრები, მაგრამ ასეთი გაფართოება გამოიყურება, როგორც შეგნებული ჩართვა დამატებითი ეპიზოდებისა მოვლენის მიმდინარეობის მსვლელობაში.

- არსებითი შინაარსობრივი ელემენტი ანგარიშისა არის მოვლენის დეტალიზაცია, წვრილმანის თხრობა. ამასთანავე, დეტალებისა და წვრილმანების სახით გამოდის არა საგნობრივი აღწერა საკითხებისა ან სიტუაციისა, არამედ, როგორც წესი, მოქმედ პირთა რეპლიკები.

- ანგარიშში ავტორი ცდილობს ემოციონალურად იმოქმედოს აუდიტორიაზე, მიმართოს აუდიტორიის შთაგონება იმისკენ, რომ აქტიურად შევიგრძნოთ ტექსტი, რაც უკავშირდება საკუთარი პოზიციის პირდაპირ დემონსტრაციას.

ანგარიშის ასახვის ობიექტია თავყრილობა. ანგარიში რეგლამენტირებული ჟანრია, არსებობს ორი სახის ანგარიში: *თემატური და ქრონოლოგიური*.

ანგარიშში გადმოცემულია ერთი ფაქტი, რომელიც *ზუსტად განსაზღვრულ ვადაში* მოხდა. ანგარიშის სტილი მკაცრად შეზღუდულია. იგი არის მთელი პროცესის დოკუმენტური ფიქსაცია. ავტორი არის უშუალო მონაწილე და მსმენელი. მოხსენებათა და სიტყვათა შინაარსის გაცნობა ხდება პირდაპირ ან პერიფრაზის სახით, ანგარიში არის თავყრილობისადმი მიძღვნილი პუბლიცისტური ჟანრი, რომელშიც მოვლენის უშუალო მხილველი პროცესების ოპერატიულ აღწერას, არსებითად, სხვათა სიტყვებისა და მდგომარეობის გადმოცემას, ყოველმხრივი ანალიზისა და მრავალმხრივი განსჯის გარეშე ახერხებს [2].

მოდით, მოვახდინოთ რეპორტაჟისა და ანგარიშის შედარება განსხვავებულისა თუ საერთო ნიშან-თვისებათა განხილვის ფონზე. რეპორტაჟში აღწერა უფრო აქტიურია, ხოლო ანგარიშში დისტანცია იგრძნობა აღწერილსა და აღმწერს შორის, რეპორტაჟში რეპორტიორი თავად აღიქვამს მოვლენებს და ის *თვითმხილველის* სტატუსით გვევლინება, ანგარიშში კი ჟურნალისტი მხოლოდ მკაცრი და ქრონოლოგიის მიდევარი *მემატიანეა*.

ანგარიშს, შენიშვნის მსგავსად, დიდი ხნის ისტორია აქვს. იგი გაზეთის აღმოცენებისთანავე გაჩნდა. პირვანდელ ანგარიშში ნაკლებად იყო კომენტარი. დროთა განმავლობაში ანგარიშის ფორმასა და შინაარსში დიდი ცვლილება მოხდა. პირველ ანგარიშთა ავტორები უმთავრესად ფიქსატორები იყვნენ [3].

პუბლიცისტთა შორის დაუსრულებელი კამათი წარმოებს ამ ჟანრის საბოლოო კლასიფიკაციისათვის. ანგარიშის სახეობად დაყოფის პრინციპი ამ ჟანრის მთავარი დანიშნულებიდან გამომდინარეობს- ეს არის მოვლენის შეტყობა-გაცნობა, შეფასების ხარისხი.

ანგარიში არსებობს ქრონიკალური და კომენტირებული. ეს დაყოფა პირობითია. ამ სახეობათა თავისთავადობას ქმნის ნაწარმოებში ანალიტიკური ელემენტების რაოდენობრივ-ხარისხობრივი არსებობა.

ქრონიკალური ანგარიში არ შეიცავს კომენტარს. მოვლენა აღწერილია ზუსტად, ტენდენცია მჟღავნდება შეფარვით, კერძოდ, ფაქტის შერჩევით. ქრონიკალური ანგარიში შეიძლება დაიბეჭდოს ასეთი სახით: გამომსვლელთა სიტყვები გამოყოფილია დამოუკიდებელი ქვესათაურებით. როცა ფაქტი ნათელია და არ მოითხოვს დაზუსტებას, უნდა იყოს **კომენტირებული ანგარიში**. ეს ქვეჟანრი უფრო ოპერატიულია, მასში წინა პლანზე იწვევს საკითხის ახსნა-შეფასება. კომენტარი ამ ქვესახეობაში მოიაზრება, როგორც აღწერილისადმი ავტორის თვალსაზრისის გაშლილად გამოხატვა ანალიზთან ერთად. აქ ავტორს შეუძლია შემოიტანოს დამატებითი ფაქტები (საკუთარი შთაბეჭდილებები), გაპაექრება გამომსვლელთან, დარბაზის განწყობა და რეაქცია.

თემატური ანგარიშის სიუჟეტი რეპორტიორის ფანტაზიას ეყრდნობა. კომენტირებული ანგარიში კი გულისხმობს შეფასებას, საკუთარ მოსაზრებათა გამოვლენას, ამ დროს „ღირიკული გადახვევები“, მოკლე ექსკურსიებისა და შეპირისპირებითი შესაძლებლობების გამოყენების ფართო ასპარეზია.

ანგარიშის მიზანია თხრობა იმ საკითხებისა, რომელიც განიხილეს, მაგალითად, მთავრობის სხდომაზე. ის იძლევა წარმოდგენას იმაზე თუ რა ღონისძიებები მიიღეს, რა იგეგმება ქალაქის ხელმძღვანელობის მხრიდან, მაგალითად, ქალაქის უმთავრესი ავტომაგისტრალის მშენებლობასთან დაკავშირებით.

ავტორი არ ისახავს მიზნად იმის ლამაზად აღწერას, მაგალითად, როგორ გამოიყურებოდა სხდომათა დარბაზი ან დებატების მიმდინარეობა, რომელსაც ადგილი ექნებოდა საკითხების განხილვისას, ან ასევე გვიამბოს დეპუტატების ქცევაზე მისი მსვლელობისას (რაც იქნებოდა უმთავრესი რეპორტაჟის მომზადებისას) მას აქვს სხვა მიზანი- ზუსტად, თუნდაც რომ არ მოჰყვეს წვრილმანებს, კომენტირება არ გაუკეთოს

ნანახს, გაგონილს, გადმოსცეს ძირითადი თეზისები ამ სხდომისა, რაც სრულიად შეესაბამება ინფორმაციული ანგარიშის ამოცანებსა და შესაძლებლობებს [4].

ნებისმიერი ანგარიშის ავტორმა, რომელიც მოიხსენიებს ხალხს, რომლებიც დებულობს მონაწილეობას ტექსტში აღწერილ ღონისძიებებში, აუცილებლად უნდა გადაამოწმოს და ზუსტად დაასახელოს მათი ვინაობა, სახელი, გვარი, თანამდებობები. თუკი პუბლიკაციაში გადმოცემულია მიღებული ამოცანებისა და გადაწყვეტილებების ჩამოყალიბების შესახებ, მაშინ ისინი უნდა იყოს ზუსტი. ამგვარი სიზუსტით ანგარიშის ავტორი თავს დაიზღვევს ინფორმაციის დამახინჯებასთან დაკავშირებული შესაძლო პრობლემების თავიდან აცილების მიზნით.

ლიტერატურა:

Корокосенко, „Практическая Журналистика“ Изд. Московского Университета, 2008;
Тертычный, „Жанры Периодической печати“, Учебное пособие, М. Аспект- пресс 2000;

<http://www.evartist.narod.ru/text2/01.htm>

<http://www.evartist.narod.ru/text/71.htm>

Natia Jikia

Report-information genre features

Abstract

Nowadays a report is sure to belong to the group of informational materials. In the past a text was written by the journalist who attended the session of the board, meetings and conferences. Describing the event was admitted in all its fullness but in a strictly consistent chronological form. Only documental depiction of an incident was considered to be a genre feature of the report. A modern report is modified but it maintains its genre sights. The basis of genre is considered a full story of the concrete event, that represents the ground of its observation.

რეცენზენტი: პროფ. ჟოლნეროვიჩი

გამოსათხოვარი



გარდაიცვალა გომარ სიხარულიძე - საქართველოს პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, კომპოზიტორი, დირიჟორი და მომღერალი, საქართველოს სახალხო არტისტი, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ჟურნალ „ენა და კულტურას“ სარედაქციო კოლეგიის წევრი დაარსების დღიდან.

გომარ სიხარულიძე დაიბადა 1942 წლის 4 მარტს ქ. ქუთაისში, მუსიკოსების ოჯახში. 1959 წელს დაამთავრა ქუთაისის მეორე საშუალო სკოლა და მ. ბალანჩივაძის სახელობის

სამუსიკო სასწავლებელი, 1964 წელს - ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია გუნდის დირიჟორის, ხოლო 1976 წელს იმავე სასწავლებლის კომპოზიციის სპეციალობა.

მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება გ. სიხარულიძემ მიუძღვნა ქართული სიმღერის შექმნა-პოპულარიზაციას, მუშაობდა გუნდის ლოტბარად, პედაგოგად, თბილისის მეხუთე სამუსიკო სკოლის დირექტორად (1970-77 წწ), მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის სამუსიკო მიმართულების ხელმძღვანელად (1977-2000), აკად. ნათელა ვასაძის მიწვევით 1983 წლიდან სათავეში ჩაუდგა ა.ს.პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რევაზ ლალიძის სახელობის მუსიკის კათედრას და არაერთი თაობის აღზრდას ემსახურა.

1991 წელს გ. სიხარულიძემ დააარსა კულტურისა და ხელოვნების ინსტიტუტი, რომელიც ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის უნივერსიტეტად გარდაიქმნა და 2005 წელს მიუერთდა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტს, სადაც იგი ხელმძღვანელობდა ქართული ტრადიციული სიმღერისა და საეკლესიო გალობის მიმართულებას.

1989 წელს გომარ სიხარულიძეს მიენიჭა დოცენტის, ხოლო 2004 წელს - პროფესორის სამეცნიერო-პედაგოგიური წოდება.

სხვადასხვა წლებში ჩამოაყალიბა და ხელმძღვანელობდა ანსამბლ „გორდელას“ (1961) ახალციხის ბავშვთა ინტერნაციონალურ გუნდს „მღერის 400 გოგონა“ (1977 წ.), სოხუმის ბავშვთა ინტერნაციონალურ კაპელას (1980 წ.), გოგონათა ფოლკლორულ ანსამბლს „ქალგულო“ (2002 წ.). 2007 წლიდან ხელმძღვანელობდა ხობის საერთაშორისო ფესტივალს „სიმღერა სამეგრელოზე“.

გომარ სიხარულიძეს 1972 წელს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული, ხოლო 1981 წლიდან - სახალხო არტისტის წოდება. 2009 წელს მიენიჭა თბილისის, ხოლო 2011 წელს ხობის საპატიო მოქალაქის წოდება.

გომარ სიხარულიძე არაერთი სიმღერის ავტორია, არაერთი დრამატული თეატრის სპექტაკლისა და მხატვრული ფილმის მუსიკის ავტორი, არის რამდენიმე წიგნის ავტორი და რედაქტორი. არის „იუნესკოს“ ფოლკლორის ორგანიზაციის წევრი, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის მდივანი, ღირსების ორდენის კავალერი.

გომარ სიხარულიძისა და ქუთისის მესხიშვილის თეატრის შემოქმედებითი ურთიერთობა ათწლეულებს ითვლის. მრავალი სპექტაკლი გომარ სიხარულიძის ორიგინალი მუსიკითაა გაფორმებული:

როგორ მეწყინა და გული დამწყდა... კიდევ ერთი დიდი ქართველი, რაფინირებული ინტელიგენტი, ქვეყნის ერთგული და მოამაგე, ღირსეული მოქალაქე, ბატონი გომარ სიხარულიძე აღარ არის. წლები მაკავშირებს ბატონ გომართან, როგორც მეგობართან და არაჩვეულებრივ პროფესიონალთან... როგორ განვიცდი რომ მისებრ ტკბილი ხმით სხვა ვერ იმღერებს, ვერ შექმნის ქართულ ფესვებიდან ამოსულ ქართულ მელოდიას, ვერ შემოუძახებს დაბეჩავებულ მოძმეებს. დიდი მადლობა, ბატონო გომარ, მეგობრობისთვის, ძმობისთვის, მისაბადი მოქალაქეობისათვის, მაღალპროფესიონალიზმისა და უბრალოდ სიყვარულისთვის, თანამშრომლობისათვის, დიდი სიკეთისა და კაცურკაცობისათვის. ბევრ ცრემლს გაყოლებთ. მსუბუქი იყოს ქართული მიწა შენთვის, ჩემი ქალაქის ღირსეულო შვილო!

ჟურნალ „ენა და კულტურა“: რედკოლეგიისა და რეცენზენტის საბჭოს სახელით,

პროფესორი მანანა მიქაძე

Condolence Letter

Gomar Sikharulidze passed away - Academician of the Georgian Academy of Pedagogical Sciences, composer, conductor and singer, People's Artist of Georgia, Professor of Shota Rustaveli State University of Theater and Film, member of the Editorial Board of the magazine "Language and Culture" since its establishment.

Gomar Sikharulidze was born on March 4, 1942 in Kutaisi, in the family of musicians. In 1959 he graduated from Kutaisi Secondary School and M. Balanchivadze Music School, in 1964 - V. Sarajishvili State Conservatory, majoring in choir conducting, and in 1976 the specialty of composing of the same school.

All his conscious life G. Sikhasrulidze dedicated to the creation and popularization of Georgian song, worked as a team bandmaster, teacher, director of the Tbilisi Fifth Music School (1970-77), music director of the

Student Youth Palace (1977-2000), and at the invitation of Academician Natela Vasadze headed Revaz Laghidze Music Department at A. S. Pushkin Pedagogical Institute from 1983 and brought up number of generations.

In 1991, G. Sikharulidze founded the Institute of Culture and Arts, which was transformed into Ekvtime Takaishvili University and in 2005 merged with the Shota Rustaveli State University of Theater and Cinema, where he headed the department of Georgian traditional songs and church chants.

In 1989 Gomar Sikharulidze was awarded the title of Associate Professor, and in 2004 - Professor of Science and Pedagogy.

In different years he formed and led the ensemble "Gordela" (1961) Akhaltsikhe International Children's Choir "Singing 400 Girls" (1977), Sokhumi International Children's Chapel (1980), Girls Folklore Ensemble "Kalgulo" (2002). From 2007 he led the Khobi International Festival "Song about Samegrelo".

Gomar Sikharulidze was awarded the title of Honory Artist of the Republic in 1972 and the title of People's Artist in 1981. In 2009 he was awarded the title of Honorary Citizen of Tbilisi, and in 2011 the title of Honorary Citizen of Khobi.

Gomar Sikharulidze is the author of numerous songs, the author of various drama theater plays and films, and is the author and editor of several books. He is a member of the UNESCO Folklore Organization, Secretary of the Georgian Composers' Union, Cavalier of the Order of Honor.

The creative cooperation between Gomar Sikharulidze and Kutaisi Meskhishvili Theater has been going on for decades. Many performances are accompanied by Gomar Sikharulidze's original music.

I feel deep sorrow..... Great Georgian man, refined intellectual, devoted person and caretaker of the country, a worthy citizen, Mr. Gomar Sikharulidze passed away. The years connect me with Mr. Gomar, as a friend and an extraordinary professional ... How could I feel that no one else can sing with his sweet voice, he can't create a Georgian melody from Georgian roots.

Thank you, Mr. Gomar, for your friendship, brotherhood, exemplary citizenship, high professionalism and simply for your love, cooperation, great kindness and manliness. We shed tears. May the Georgian ground be light for you, the worthy son of my city!

On behalf of the board of editors and reviewers of the scientific

journal 'Language and Culture',

Professor **Manana Mikadze**

შინაარსი

ენათმეცნიერება

ციური ახვლედიანი, გიორგი ყუფარაძე, ქეთევან გაბუნია
პროტესტის კონცეპტუალურ სფეროში შემავალი ფრაზეოლოგიური
გამონათქვამები ფრანგულ და ინგლისურ ენებში.....11

ნომადი ბართაია

ბატონიშვილი ვახუშტის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“
ზოგიერთ აღმოსავლურიდან მომდინარე ტერმინთან დაკავშირებით
(აიდი, ლულუფარი, ლაკლაკი, მეჰმანდარი,
მორდარი, ნიჯადი, საბდივანი, სრა-ფარდაგი).....16

თამარ გელაშვილი

სახელწმინდის ზოგი მორფოლოგიური მახასიათებელი ინგლისურ ენაში.....22

თამარ თვალაძე

ხმისმიმბაძველობა თანამედროვე ინგლისურ ენაში.....26

ეკატერინე თოფურია

„ფუნქციურ-სისტემური ელემენტები პოლიტიკოსთა მეტყველებაში“37

ნათია კენჭიაშვილი

საქართველოში კორპუსის ლინგვისტიკის, როგორც ახალი
ინტერდისციპლინური მიმართულების ისტორია
(კორპორა და ვებკორპორა)..... 38

მაია ლომია

ევიდენციალურ-ეპისტემიკური მწკრივების
კვალიფიკაციის საკითხი მეგრულში.....51

თამარ მამარდაშვილი ოდნობითობის სემანტიკის გამოხატვისათვის ქართულში.....	58
თამარ მახარობლიძე არამანუალოური გრამატიკული მარკირების შესახებ ქართულ ჟესტურ ენაში.....	64
ცისანა მოდებაძე „წყლის“ სიმბოლიკისა და სემანტიკისათვის გერმანულ ფრაზეოლოგიზმებში.....	70
Петр Петрович Жолнерович Редактирование эссе Владимира Короткевича «Сказки Янтарной страны».....	75
სვეტლანა როდინაძე, ზურაბ ბეჟანოვი, თამილა მიქელაძე, ქრისტინე ზარბაზოია, მედეა აბაშიძე მარინისტული მხატვრული ნაწარმოებები, საზღვაო ტერმინოლოგიის სპეციფიურობა და თარგმანთან დაკავშირებით არსებული თავისებურებები	80
ნუნუ ჩარკვიანი, ირმა რუსაძე, სოფიო ყიფიანი სიტყვისა და ცნების ურთიერთობისთვის სხვადასხვა ენობრივ სივრცეში.....	87
თათია ცეცხლაძე ფუნქციურ-ენობრივ სტილთა და ჟანრთა ეკლექტიზმი აკა მორჩილაძის რომანში „გაქრები მადათოვზე“	91
ლიტერატურათმცოდნეობა	
ნონა ამბოკაძე 9 აპრილი, როგორც კოლექტიური ტრავმის ინსპირაცია, გურამ დოჩანაშვილის მოთხრობის „ორნი აქა-იქ“ მიხედვით.....	100

მაია გუგუნავა კოლექტიური ტრავმა და მისი დაძლევის მხატვრულ-ენობრივი მექანიზმები	106
გაბრიელ თაგაური ნაცარქექიას ფსიქოლოგიური პორტრეტისათვის /ლინგვოკულტუროლოგიური და ფსიქოლოგიური ანალიზი/.....	113
Елена Киреева О конститутивных признаках жанра ссоры (на материале пьесы А.Житковского «Посадить дерево»)	127
თამარ კობერიძე გამეორებული ისტორია გურამ ოდიშარიას რომანის „სოხუმში დაბრუნება“ მიხედვით.....	135
თამარ კობერიძე საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია „ნათესავნი ქართველნი“ და „ქართველნი დასავლისანი“.....	147
რუსუდან ნიშნიანიძე პარიზში გამოცემული ქართული პოეტური კრებული.....	152
ნანა რჩელიშვილი „იციტ ნადირობა?“ გურამ რჩელიშვილის უსათაურო მოთხრობის ირგვლივ.....	158
ჰედაგოგია	
ბასილაძე გიგა განათლების საკითხები ნიკო ნიკოლაძის პუბლიცისტიკაში	162

იმერი ბასილაძე, თამარ ღვინიაძე „მათეტიკა“ და „კოგნიტივიზმი“	169
ნათია გაბაშვილი საკლასო მენეჯმენტის გავლენა ენის სწავლებისას იაკობ გოგებაშვილის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი.....	179
მირანდა გობიანი, გურანდა გობიანი პიროვნების პროფესიული ინტერესებისა და მოტივაციის ზოგიერთი ასპექტის შესახებ.....	180
მაგდა თხილავა ვახტანგ ჭაბუკიანის საბალეტო შემოქმედება და პედაგოგიური მოღვაწეობა.....	188
ნანა მაჭარაშვილი კვლევები პროფესიულ განათლებაში, პოლიტიკა და პრაქტიკა.....	192
მეთოდოლოგია	
ლელა ეძგვერაძე ზოგიერთი ტიპის დამოკიდებული წინადადების სწავლების სპეციფიკის შესახებ.....	198
თეონა თედორაძე ფილმების გამოყენების პრიორიტეტული ინსტრუმენტები ინგლისურის სწავლებისას	205
მაგდა თხილავა მუსიკალურ-რიტმული უნარების განვითარება ბავშვებში.....	211
მეტრეველი მედეა ბოლონიის უნივერსიტეტში ჩატარებული კვლევების შედეგები.....	216

მანანა მიქაძე

ზოგი რამ სკოლაში მეტყველების კულტურის გასაუმჯობესებლად.....223

ინეზა ხაჭაპურიძე

სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკების სწავლებისათვის მე-5 კლასში230

კულტუროლოგია

ირინე საგანელიძე

ეთნიკური უმცირესობების კულტურათა მხარდაჭერის პოლიტიკური ასპექტი

(სახალხო დამცველის აპარატისა და ტოლერანტობის

ცენტრის საქმიანობის მიხედვით).....235

ჟურნალისტიკა

ნათია ჯიქია

ანგარიში-ინფორმაციული ჟანრის თავისებურებანი246

გამოსათხოვარი250

Content
Linguistic

Akhvlediani Tsiuri, Kuparadze Giorgi, Gabunia Ketevan Phraseological Expressions of the Conceptual Field of Protest in the French and English Languages.....	15
Nomadi Bartaia In connection with some terms of oriental origin in the Georgian language found in the “Description of the Kingdom of Georgia” by Batonishvili Vakhushti.....	21
Tamar Gelashvili Some morphological features of the non-finitive forms in English.....	25
Tamar Tvaladze Sound imitation in modern English.....	33
Ekaterine Topuria Functional-Systematic Forms in Public Speeches of Politicians.....	34
Natia Kenchiashvili History of Corpus Linguistics as a New Interdisciplinary Field in Georgia (Corpora and Webcorpora).....	50
Maia Lomia The Issue of Qualification of Evidential-Epistemic Screeves in Megrelian.....	56
Tamar Mamardashvili To express the semantics of diversity in Georgian.....	63
Tamar Makharoblidze On non-manual grammatical marking in GESL	69

Tsisana Modebadze	
Semantic and Symbol Interrelationship of „water“ in German Praselogisms	74
P. P. Zhauniarovich	
Editing of the essay «Tales of the Amber country» by Vladimir Korotkevich	79
Sv. Rodinadze, Z. Bezanov, T. Mikeladze, Q. Zarbazoiia, M. Abashidze	
Marine Literature, Specifics of Marine Terminology and Peculiarities Concerning with Translation.....	85
Nunu Charkviani, Irma Rusadze, Sophio Kipiani	
For the Relationship of Word and Notion in Different Language System.....	90
Tatia Tsetskhladze	
The Eclecticism of Functional-Lingual Styles and Genres in Novel by Aka Morchiladze “To Disappear on Madatov Island”	99
 Literature	
Nona Ambokadze	
April 9 as an inspiration of collective trauma, based on Guram Dochanashvili's short story "Two here and there".....	105
Maia Gugunava	
The mechanisms of artistic language to overcome the Collective trauma.....	112
Gabriel Tagauri	
For the Psychological Portrait of Natsarkekia Linguo-cultural and Psychological Analysis.....	126

Jelena Kirejeva	
On Constituent Characteristics of the Genre of a Quarrel (on the materials of A.Zhitkovskiy’s play “To Plant a Tree”).....	134
Tamar Koberidze	
Repeated History <i>According to Guram Odisharia’s novel „Return to Sukhumi“</i>	146
Tamar Koberidze	
<i>“Georgian Relatives” and “Georgians from the West “</i>	151
Rusudan Nishnianidze	
„Georgian Poetry Collection published in Paris“	157
Nana Rcheulishvili	
“Do you know hunting?” Around an untitled story by Guram Rcheulishvili.....	161
 Pedagogic	
Giga Basiladze	
Educational issues in Niko Nikolodze’s publicism	168
Imer Basiladze, Tamar Gvinianidze	
"Mathematics" and Cognitivism.....	174
Natia Gabashvili	
The Impact of Classroom Management on Language Learning.....	175
Miranda Gobiani; Guranda Gobiani	
On some aspects of a person’s professional interests and motivation	187
Magda Tkhilava	

Vakhtang Tchabukiani's Ballet Career and Pedagogical Activity191

Nana Machavariani

Studies in Vocational Education, Policy and Practice

Technical University of Georgia197

Methodic of Teaching

Lela Edzgeradze

On the specifics of teaching some types of dependent sentences.....204

Teona Tedoradze

Priority Instruments of Using Films in Teaching English210

Magda Tkhilava

Development of Musical-rythmic Skills in Children215

Medea Metreveli

Study of the Russian language by Italian students and Russian-speaking migrant students221

Manana Mikadze

Improvement speech culture in school229

Ineza Khachapuridze

For teaching Sul Khan-Saba Orbeliani's fables in the 5th class.....234

Culturology

Irine Saganelidze

Political Aspects of Supporting the Culture of Ethnic Minorities, According to the

Working Processes of Ombudsman's Department and the Tolerance Centre235

Journalistic

Natia Jikia

Report-information genre features249

Condolence Letter.....251